


საქართველოში სსრკ მუცნობრივობათა აკადემიის



ენისა

და

ლიტერატურის

სერია

3 · 1975

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИЙСКОЙ ССР

---

---

ენისა და ლიტერატურის  
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი  
ТБИЛИСИ

3 • 1975

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ  
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),  
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,  
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),  
Гамкрелидзе Т. В., Гвахариа А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),  
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი  
Ответственный секретарь Г. А. Глonti

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19  
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19  
ტელეფონი 37-24-07    телефон

---

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.7.1975; შეკე. 1774; ანაწყოების ზომა  $7 \times 11\frac{1}{2}$ ;  
ქალაქის ზომა  $7 \times 108\frac{1}{16}$ ; ნაბეჭდი თაბახი 16,80; სააღრიცხვო-საგამომცემლო  
თაბახი 15; უე 01978; ტირაჟი 1 600.  
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19  
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### წ ე რ ი ლ ე ბ ი

ზ. ბამსახურდია, ვეფხისტყაოსნის „ერთარსება“ და „მზე — მისი ხატი“	5
ნ. სულავა, ვეფხისტყაოსნის „არსთა მხედი“	30
ბ. დარჩია, ვეფხისტყაოსნის ნაკაშიძისეული ხელნაწერის ტიპის რედაქციის თავი- სებურებანი და მისი შექმნის დრო	42
ბ. ახვლედიანი, ფოლკლორი „ქართლის ცხოვრებაში“ (XII—XVII სს.)	53
რ. ქაქილაძე, ე. თაყაიშვილი და ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის პრინციპები	68
მ. ივანიშვილი, ხოსროვი საადის შესახებ	78
უ. ბაბესკირია, უცხო წარმომავლობის ლექსთა იუნუს ემრეს ნაწარმოებებში	82
დ. ჟღენტო, სიტყვაწარმოება ბესარიონ გაბაშვილის თხზულებებში	90
ზ. სარჯველაძე, სიტყვათგანლაგების ზოგიერთი მოდელი ჭველსა და ახალ საშუალ ქართულში	94
ი. ქავთარაძე, იმერული დიალექტის ისტორიისათვის	110
რ. ჯანაშია, რაოდენობითი რიცხვითი სახელი აფხაზურ-ადიღურ ენებში	125
ა. ჟორდანია, ორენოვნების შესწავლისათვის	140

### ც ნ ო ბ ა ბ ი და შ ე ნ ი შ ვ ე ნ ბ ი

ბ. შაყულაშვილი, საიათნოვას ქართული ლექსების ტექსტოლოგიური შესწავლი- სათვის	154
ი. უთურაშვილი, ზოგი რამ მოყმისა და ვეფხეის ბალადის შესახებ	159
მ. იმნაიშვილი, ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ ზოგიერთი უცნობი წყაროს შესახებ	169
ლ. ლელაშვილი, დაღესტნური წარმოშობის ერთი არაბულენოვანი ძეგლის შესახებ	176

ქ რ ო ნ ი კ ა და ი ნ შ ო რ მ ა ც ი ა

ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში	183
---	-----

## СОДЕРЖАНИЕ

### СТАТЬИ

- З. ГАМСАХУРЦИЯ, «Единосушее» и «Солнце — Его Образ» в поэме Руставели «Вепхисткаосани»
- И. СУЛАВА, Об одном эпитете Всевышнего Существа в «Вепхисткаосани» («arsta mxedi») 30
- Б. ДАРЧИА, Особенности и время создания редакции текста поэмы Руставели, представленной в рукописях «Накашидзевого» типа 42
- Г. АХВЛЕДИАНИ, Фольклор в «Картлис цховреба» (Летопись Грузии) (XII—XVII) 53
- Р. КАВИЛАДЗЕ, Е. С. Такайшвили и принципы описания грузинских рукописей 68
- М. ИВАНИШВИЛИ, Образ Саади в романе Хосрови 78
- Ш. ГАБЕСКИРИЯ, Иноязычная лексика в произведениях Юнуса Эмре 82
- Д. ЖГЕНТИ, Словообразование в произведениях Виссарiona Габашвили 90
- З. САРДЖВЕЛАДЗЕ, Основные правила порядка слов в древне- и среднегрузинском литературном языке 94
- И. КАВТАРАДЗЕ, К истории имерского диалекта Грузинского языка 110
- Р. ДЖАНАШИА, Количественное имя числительное в абхазско-адыгских языках 125
- А. ЖОРДАНИЯ, К изучению двуязычия 140

### СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

- Г. ШАКУЛАШВИЛИ, К текстологическому изучению грузинских стихотворений Саат-Новы 154
- И. УТУРАШВИЛИ, Некоторые соображения относительно «Баллады о Тигре и витязе» 159
- В. ИМНАИШВИЛИ, О некоторых неизвестных источниках «Словаря древнегрузинского языка И. Абуладзе» 169
- ЛЕЛАШВИЛИ, Об одном арабоязычном памятнике дегестанского происхождения 176

### ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

- В комиссии по установлению академического текста поэмы Ш. Руставели «Витязь в барсовой шкуре» 183

## შ ე რ ი ლ ე ბ ი

ზვიად გამსახურდია

### ვეფხისტყაოსნის „ერთარსება“ და „მზე — მისი ხატი“

რუსთაველის ქრისტიანობის უარყოფელნი უმთავრესად იმით ასაბუთებენ თავიანთ თვალსაზრისს, რომ თითქოს პოემაში არსად მოიხსენიება სამება. შესაქმნის გაგებაზე საუბრისას ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ნაწილობრივ, თუ რამდენად საფუძვლიანია ამგვარი მტკიცება<sup>1</sup>. როგორც ცნობილია, აგრეთვე აკად. კ. კეკელიძემ კონკრეტულად მიუთითა პოემაში იმ ადგილზე, სადაც ნახსენებია სამება, კერძოდ 836 სტროფზე:

იტყვის: ჰე მზეო ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,  
ერთარსებისა ერთისა, მის უჟამოსა უამისად,  
ვის გმორჩილებენ ციერნი ერთის იოტის წამისად,  
ბედსა ნუ მიცვლი, მიაჟე შეყრამდე ჩემად და მისად.

მიუხედავად იმისა, რომ ისეთი სოლოდური ავტორიტეტები, როგორნიც არიან კ. კეკელიძე, კალისტრატე ცინცაძე და სხვანი, ჩვენ მიერ ზემოთ მითითებულ ნაშრომებში ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე ასაბუთებენ, რომ ძველ ქართულ სასულიერო მწერლობაში და საერთოდ ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში ტერმინი „ერთარსება“, „ჰომოუსიოს“, *implicite* გულისხმობს „სამებას“, ხოლო ამ სტროფში ნაგულისხმევი უზენაესი აოსება ქრისტიანული ღმერთია, ზოგი მკვლევარი (მ. გოგიბერიძე, ე. ხინთიბიძე და სხვ.), რომელთა ნაშრომებიც აგრეთვე უკვე მიუთითებენ ზემოთ დასახელებულ ჩვენს ნაშრომში, ცდილობს ამ თვალსაზრისის უარყოფას. მათი აზრით, ძნელი გასარჩევია, ქრისტიანულ „ერთარსებას“ გულისხმობს პოეტი, ნეოპლატონურს. თუ რომელიმე სხვას.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ ამგვარი დაეჭვება არის შედეგი როგორც ქრისტიანობის, ასევე ნეოპლატონიზმის ანბანურ ქეშმარიტებათა გაუთვალისწინებლობისა, ვინაიდან ნეოპლატონიზმში არასოდეს არ იხმარება ტერმინი „ერთარსება“ ღმერთთან, „ერთთან“ დაკავშირებით. „ერთარსება“ მართალია იხმარება ნეოპლატონიზმში, მაგრამ სრულიად სხვაგვარ შემთხვევებში. მაგ., პროკლეს „კავშირის“ პეტრიწისეულ განმარტებაში, სადაც საუბარია განსხვავებული საგნების არსებით ერთობაზე, „თანამეარსეობაზე“ ნახმარია ტერმინი „ერთარსება“<sup>2</sup>. ასევეა ნახმარი π

<sup>1</sup> იხ. ჩვენი ნაშრომი: ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე, „მაცნე“. ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 2, გვ. 38.

<sup>2</sup> იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. II, გვ. 131.

ბμσιςσσιον εινα: ერთარსებითი ანუ თანამეარსე ყოფა — პლოტინის მეოთხე ენეადში, სადაც საუბარია სულის სხვადასხვაგვარი ვნებების თანაარსობაზე, ერთგვარ ბუნებაზე<sup>3</sup>, მაგრამ, რაც შეეხება ნეოპლატონურ ღმერთს, ანუ ერთს, მას არაეინ უწოდებს „ერთარსებას“: ასეთი ატრიბუტი მას არ გააჩნია, ვინაიდან ეს თავისთავად იგულისხმება ყოველთვის, არასოდეს არ დაბადებულა ეჭვი, რომ ნეოპლატონური ღმერთი არსებით ერთია. არასოდეს არც ერთ ნეოპლატონიკოსს არ უფიქრია, რომ მას აქვს სამი ან მეტი არსება. ხოლო რაც შეეხება ქრისტიანობას, აქ სხვაგვარადაა საქმე. ქრისტიანული სამების დოგმის ისტორია არის სამების ერთარსებობისათვის ბრძოლის ისტორია. ქრისტიანულმა ეკლესიამ არიოზის მამდევართა წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად მოიპოვა ტერმინი ერთარსება (ბμσιςσσιον) და დაამკვიდრა იგი<sup>4</sup>. ასე რომ, ტერმინ „ერთარსებას“ მხოლოდ იმდენად აქვს აზრი, რამდენადაც აგვარიდებს გაუგებრობას „სამ არსებასთან“ დაკავშირებით, რომელსაც ნერგავდა არიანული ტრითეიზმი. ნეოპლატონიზმში კი ეს პრობლემა არასოდეს დამდგარა, ამიტომ ნეოპლატონიკოსი ავტორი არასოდეს იხმარდა გამოთქმას „ერთარსებისა ერთისა“, ვინაიდან ეს იქნებოდა ყოველად უსარგებლო ტავტოლოგია. მით უმეტეს ამას არ დაუშვებდა ისეთი ლაკონისტი ავტორი, როგორცაა რუსთაველი. ასე რომ, ტერმინი „ერთარსების“ ნეოპლატონური გაგებით ხმარება ამ სტროფში გამორიცხულია, მით უმეტეს, რომ აქ საუბარია ღმერთზე. ქრისტიანობაში კი სიტყვა „ერთარსება“ სპეციალურად „სამების“ განსაზღვრისათვის იხმარება ნიკეის კრების შემდეგ (მე-4 ს.). იგი განუყოფელია შინაარსობრივად „სამებისაგან“. მის ხმარებას „სამების“ გარეშე არაეითარი აზრი არა აქვს, მით უმეტეს თუ საქმე ღმერთს ეხება. ეს არის განსაზღვრება სამებისა, თან როგორც მსაზღვრელი იგი იხმარება მხოლოდ სამებისათვის და, სადაც მას ახსენებენ, იქვე იგულისხმება სამება თავისთავად, აუცილებლობის ძალით.

ახლა დავუკვირდეთ ტერმინ „ერთს“. შეიძლება თუ არა ეს იყოს ნეოპლატონური ერთი, ანუ ნეოპლატონური ტრიადის (და არა სამების) ის პირი, რომელსაც „ერთი“ ჰქვია? ამგვარი ვარაუდი გამორიცხულია უწინარეს ყოვლისა იმის გამო, რომ „ერთთან“ დაკავშირებით ნახმარია „ერთარსება“. გარდა ამისა, როგორც ზემოთ ითქვა, ვეფხისტყაოსნის პიროვნული, თეისტური ღმერთი ძირეულად განსხვავდება ნეოპლატონური „ერთისაგან“, რომელიც არის ზეპიროვნული, ზეყოფიერი ზეარსებობა, რომლისგანაც ემანირებულია სამყარო.

დავუკვირდეთ იმ ძირეულ განსხვავებებს, რომელნიც არსებობენ ქრისტიანულ სამებასა და ნეოპლატონურ ტრიადას შორის. ნეოპლატონური ტრიადაა: ერთი, გონება და სული. „ერთი“ არის საწყისი ყოველივესი და, უწინარეს ყოვლისა, ტრიადის მეორე პირის, გონების წარმოქმნელი (და არა შემქმნელი), რომელიც იერარქიულად უფრო დაბალია ერთზე. გონება (νοης) წარმოქმნის სულს (ψυχη), რომელიც იერარქიულად გონებაზე

<sup>3</sup> Plotin, *Enneades*, IV, 4, 28. აბასთან დაკავშირებით იხ. V. Lossky, *The Mystical Theology of the Eastern Church*, London, 1968, გვ. 49.

<sup>4</sup> H. A. Wolfson, *The Philosophy of the Church Fathers*, v. I, Cambridge, 1970, გვ. 337.

დაბალია და ნაკლებ სრულყოფილი<sup>5</sup>. ასე რომ, აქ გვაქვს დამავალი იერარქია. გარდა ამისა, ერთი თავისთავად უმარტივესი, უწმინდესი ერთებაა. მის წიაღში, მასშივე გამორიცხულია რაიმე სამებაზე საუბარი.

რაც შეეხება ქრისტიანულ ერთს, სამება თავად მის წიაღშივეა მოცემული იმანენტურად. ყველაზე ნათლად მოჩანს ეს მომენტი დიონისე არეოპაგელის მიმართვაში სამებისადმი: „სამებაო ზეშთაარსებისაო და ზეშთაღმერთთაო და ზეშთასახიერებისაო...“<sup>6</sup>. ზოგიერთ მკვლევარს უყვარს საუბარი დიონისე არეოპაგელის „ნეოპლატონიკოსობაზე“, მაგრამ ავიწყდება ხოლმე ასეთი კარდინალური განსხვავებანი დიონისეს მოძღვრებასა და ნეოპლატონიზმს შორის. ასე რომ, თუ ნეოპლატონური ტრიადა დამავალი იერარქიაა ურთიერთისაგან გამომავალი მეტ-ნაკლებად სრულყოფილი პირებისა, ქრისტიანული სამება არის გამოუთქმელი ერთობა თანაბრად სრულყოფილი პირებისა: „სრული ღმერთი არს მამა; სრული ღმერთი არს ძე, სრული ღმერთი არს სულიწმიდა“, როგორც ამბობს პაქსიმე აღმსარებელი თავის „ჰეშმარიტ აღსარებაში“<sup>7</sup>. ასე რომ, ქრისტიანული გაგებით „ერთის“ ხმარება თავისთავად გულისხმობს „სამს“, აი, რას ამბობს ამის თაობაზე გრიგოლ ნაზიანზელი: „როგორც კი დაეუფიქრდები ერთს, მაშინვე განმანათლებს სამი; როგორც კი ვიწყებ გარჩევას სამისას, მაშინვე შაბრუნებენ ისინი ერთთან... როდესაც ვჭერეტ სამივეს ერთად, ეხედავ მხოლოდ ერთ ჩირაღდანს, ასე რომ, არ ძალმიძს არც დაყოფა და არც გაზომვა განუზომელი ნათლისა“<sup>8</sup>. ამრიგად, ქრისტიანული ღვთისმეტყველების მიხედვით „სამება“ არის „ერთარსება“, „ერთი“ კი არის სამების ერთობა, ანუ ერთარსების ერთობა. ნეოპლატონურ ფილოსოფიაში კი „ერთი“ არის ტრიადის პირველი პირი. ქრისტიანულ სამებაში მოცემულია მისტერიალური იდენტურობა „სამისა“ ერთთან, რაც ლოგიკური აზროვნებისათვის მიუღებელია.  $3=1$  აბსურდია უბრალო არითმეტიკის თვალსაზრისით, მაგრამ აპოფატური ღვთისმეტყველების თვალსაზრისით ეს მისაღებია, თუ რიცხვებს გავიაზრებთ თვისობრივად, ვინაიდან ქრისტიანული სამება გამოცხადების მიერ იქმნება და არა სპეკულატიური ფილოსოფიის ან არითმეტიკის ქმნაობა. გამოცხადებისმიერი ქმნაობები მიუწვდომელია ადამიანური ინტელექტისათვის, ჩვეულებრივი ლოგიკისათვის. ამის გამო ღვთისმეტყველებაში შემუშავებულია ე. წ. აპოფატური გზა ანუ *Via Negativa* — გზა მისტეკური თეოლოგიისა (დოგმატური თეოლოგიისაგან, ანუ კატაფატიკისაგან განსხვავებული), რომელიც მიზნად ისახავს არა მხოლოდ უარყოფას ღვთაების ყველა არსებული ატრიბუტისას, არამედ იძლევა ლოგიკური გონებისათვის მიუღებელ ანტინომებს, რომელთა მეოხებითაც ადამიანს ძალუძს მიუახლოვდეს წარმოდგენას გამოუთქმელი ღვთაებისას, ვინაიდან თავად ანტინომიაც ნეგაციაა ერთგვარი<sup>9</sup>.

ვეფხისტყაოსნის 826-ე სტროფი მთელი თავისი შინაარსით ენათესავება ღა პლოტინს და წარმართულ ნეოპლატონიზმს, არამედ უწინარეს ყოვლისა ეკლესიის მამათა აპოფატურ ნააზოევს. ეს სტროფი მთლიანად აგებულია აპო-

<sup>5</sup> П. П. Б л о н с к и й, Философия Плотина, გვ. 187.

<sup>6</sup> ი. პეტრიწი, შრომები, II, გვ. 223.

<sup>7</sup> საქართველოს სამოთხე, გვ. 5.

<sup>8</sup> Oratio XL, P. G. XXXVI, 417 BC.

<sup>9</sup> V. L o s s k y, The Mystical Theology of the Eastern Church, London, 1968, გვ. 69.

ფატური ანტინომიზმის პრინციპზე, რომელიც მდგომარეობს ურთიერთის გამოძრიცხავი ცნებების შეწყვილებაში და იდენტიფიკაციაში. ეს ურთიერთის გამოძრიცხავი, დაპირისპირებული ცნებებია: „მზე“ და „ლამე“, „ერთარსება“ (სამება) და „ერთი“, „უყამობა“ და „ყამი“. ეს ანტინომიზმი მთლიანად დაირღვეოდა, რუსთაველს აქ ნახმარ „ერთში“ ნეოპლატონური „ერთი“ რომ ეგულისხმა, ვინაიდან ნეოპლატონიზმში არ არსებობს ტრინიტარული ანტინომიზმი, სამისა და ერთის მისტერიალური იდენტურობა. „ერთარსების“ ხმარება სიტყვა „ერთთან“ არავითარ ანტინომიას არ ქმნის ნეოპლატონიზმის გაგებით.

836-ე სტროფში მოცემული ღვთაებისაკენ ზეალმავალი უკუთქმითი გზა, რომელიც თავისი ანტინომიებით ეწინააღმდეგება აზრის ბუნებრივ, ლოგიურ მიმდინარეობას, ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: მზე = ლამე, ერთარსება (სამება) = ერთი, უყამო (ბა) = ყამი, ხოლო უბრალო არითმეტიკის ენაზე  $3 = 1$ . ამ უკანასკნელ შემთხვევაში, რასაკვირველია, არ უნდა ვიფიქროთ, რომ აქ სამი რაოდენობრივად გაიაზრება. ეს არის თვისობრივი მხარე რიცხვისა, რომელიც ესოდენ დიდ როლს თამაშობდა ძველ მათემატიკაში<sup>10</sup>. ასე რომ, აქ მატერიალური რიცხვების მატებაში როდია საქმე, არამედ თვისობრივი სამების თვისობრივ ერთებასთან იდენტურობაში<sup>11</sup>. ამრიგად განიხილავდა რიცხვებს ძველად ე. წ. „კვალიტატიური მათემატიკა“<sup>12</sup>, რომლის თვალსაზრისითაც ერთი არის ერთება გამოცხადებამდე, თვითგამოვლენამდე, ორი არის ორება, რომლის არსია შემოქმედებითი თვითგამოვლენა ერთისა შესაქმეში<sup>13</sup>. მისი არსია დიალექტიკური ბრძოლა პოლარობისა, რომელსაც ქმნის ორება, ხოლო ამ ბრძოლის შედეგად ხდება გადასვლა ახალ, უფრო მაღალ, სრულყოფილ ერთებაში, ანუ სამებაში. ასეთია გზა ორების პოლარობიდან სამების ერთიანობისაკენ. ასეთი, შინაგანი ნათესაობაა ერთსა და სამს შორის კვალიტატიური თვალსაზრისით.

ამრიგად, „ერთი“ არის ერთება გამოცხადებამდე, გაორებამდე, სამი კი არის ერთება გამოცხადებაში, გაორების შემდეგ<sup>14</sup>. შეიძლება ითქვას აგრეთვე, სამი იგივე ერთია გამოცხადებაში. ხსენებული მოვლენის არსს კარგად გადმოსცემს გერმანული სიტყვა „Drei-Einigkeit“, რომლის პირდაპირი თარგმანი იქნება „სამერთება“. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ სამი თვისობრივი თვალსაზრისით არის რიცხვი ღვთაების სივრცეში გამოცხადებისა. ამის გამო ტოლფერდა სამკუთხედს ძველ ბერძნულ მისტერიებში უწოდებდნენ „დემიურგულ სამკუთხედს“<sup>15</sup>, ხოლო ქრისტიანულ ეკლესიაში ტოლფერდა სამკუთხედი, რომელშიაც თვალთა ჩახატული, ითვლება სამებით ერთი ღვთაების სიმბოლოდ.

მართალია, 836-ე სტროფში ნახსენები „ერთარსება“ არ ნიშნავს არაერთს რაოდენობრივი სამის გაგებით, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იგი მიუთითებს სამის თვისობრივ ბუნებაზე, სამებაზე, სამპიროვნების, სამგვამოვნების ერთარსებობაზე. სხვათაგან მის ხმარებას არავითარი აზრი არა აქვს. ამ ასპექ-

<sup>10</sup> E. B i n d e l, Die Geistigen Grundlagen der Zahlen, Stuttgart, 1956, გვ. 65.

<sup>11</sup> V. L o s s k y, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

<sup>12</sup> H. H e s s e n b r u c h, Geheimnisse und Wesen der Zahlen, Köln. 1963, გვ. 11.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 36.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 38.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 40.

ტით შეიძლება მისი დაპირისპირება ამავე სტროფში ნახმარ „ერთთან“. ამდენად „ერთარსება“ და „ერთი“ შეიძლება მივიღოთ ისეთივე ანტინომიურ ცნებებად, როგორცაა: „მზე“ და „ღამე“, „უქამობა“ და „უქამი“ და, აქედან გამომდინარე, განვიხილოთ ისინი აპოფატიკის თვალსაზრისით, ვინაიდან წმინდა „ერთი“ არადიფერენცირებული ერთობაა, ხოლო „ერთარსება“ (სამება) დიფერენცირებული ერთობაა, ანტინომიის მიზანი კი არის მათი იდენტურობის ჩვენება. აი, ამრიგად ათავისუფლებს ადამიანს განსჯითი დეფინიციებისაგან აპოფატური გზა და აპყავს იგი იმ რეალობის ჭკრეტამდე, რომელსაც ვერ სწვდება შექმნილი ინტელექტი. ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში არასწორად იყო წარმოდგენილი ეს სტროფი როგორც შერწყმა კატაფატიკისა და აპოფატიკისა. კატაფატიკის ელემენტი არ არის ამ სტროფში, ვინაიდან ანტინომიების შექმნა კატაფატიკის სფეროში არ შედის. კატაფატია არ ეხება უშუალოდ ღვთის ბუნებას, არამედ მხოლოდ ისეთ საგნებს, რომელნიც უკავშირდებიან ღვთის ბუნებას. იგი უფრო ინტელექტუალური დეფინიციების გზაა, იგი არ იცნობს ინტელექტისათვის აბსურდულ ანტინომიებს. რაც შეეხება „ერთარსება ერთს“ ანუ სამების მისტერიას, იგი მთლიანად მამების აპოფატური ღვთისმეტყველების კუთვნილებაა, ვინაიდან აპოფატია სამებას განიხილავს განსაკუთრებით მისი ბუნებისეული ასპექტით<sup>16</sup>. რაც შეეხება სამების პირთა გარჩევას, მათ შესახებ თეორეტიზებას, ეს ყოველივე კატაფატიკის სფეროში შედის<sup>17</sup>, მაგრამ სწორედ ამას ვერ ვხედავთ 836-ე სტროფში. შემთხვევითი როდია რომ სიტყვა „სამება“ არ არის ამ სტროფში ნახსენები, არც ცალკეულ პირთა დეფინიციებია მოცემული, არამედ პირდაპირ ნახმარია „ერთარსება“. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ამ სტროფში პოეტი მიელტვის ღვთის ბუნების გადმოცემას აპოფატიკის გზით, მას მიზნად როდი დაუსახავს დოგმატური თეოლოგიური დეფინიციების მოცემა, პირთა გარჩევა. კატაფატია ხომ მთლიანად დოგმატური თეოლოგიის კუთვნილებაა და არა მისტიკურისა<sup>18</sup>. უნდა ითქვას აგრეთვე, რომ ხსენებულ სტროფში „სამების“ ნაცვლად სიტყვა „ერთარსების“ ხმარებას კიდევ ერთი მიზეზი აქვს. ღვთისმეტყველებაში და ჰიმნოგრაფიაში ხშირად ითქმის, რომ როდესაც ღმერთს ჭადაგებენ, მის შესახებ საუბრობენ, ან ახასიათებენ მას, ჭადაგებენ სამებას, ხოლო როდესაც მას აღიღებენ და თაყვანს სცემენ, აღიღებენ როგორც ერთარსებას. მაგ., ძლისპირებში ნათქვამია: „რაათა გქადაგოთ ღმერთი სრული სამგვამოვნად თვითებითა, შეურევენელად, ბუნებით განუყოფელად, ერთარსებით დიდებულად“ (გვ. 156). ხშირია აგრეთვე „ერთარსებით თაყვანისცემული“ და „სამებით ცნობილი“ (გვ. 127), ე. ი. სამება. პირების გარჩევა, ცნობის საქმეა. „და ერთობით ვადიდებდეთ ერთარსებასა ღმერთებისასა“ (გვ. 121). ასეთი დაპირისპირება ფორმულის ხასიათსაც კი იძენს ქართულ ჰიმნებში: „სამებით ცნობილსა, ერთარსებით დიდებულსა“ (გვ. 98). „ცნობილი“, ცხადია, მიუთითებს კატაფატური ღვთისმეტყველებისათვის ცნობილზე. ამასვე აღნიშნავს გრიგოლ ღვთისმეტყველი, კერძოდ, იგი ამბობს, რომ როცა სამზეა საუბარი, „მოკვდავით

<sup>16</sup> V. Lossky, გვ. 63.

<sup>17</sup> C. E. R o l l, Dionisios the Areopagite on the Divine Names and the Mystical Theology, N. Y., 1966, გვ. 75.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 73.

უქადაგებენ სამი ნათლის ღირსებას, ხოლო როცა ერთხეა საუბარი ვადიდებთ ნათელ ერთმეუფებას“ (II, გვ. 20).

ამრიგად, თუ დისკურსიულ გონებაზე დაყრდნობილი კატაფატიკა ანუ დოგმატური თეოლოგია განსაზღვრავს ღვთის ატრიბუტებს, სულის ინტუიტიურ, ჰერეტიკით უნარზე დაყრდნობილი მისტიკური თეოლოგია და პოეზია (ჰიმნოგრაფია) არღვევენ ამ განსაზღვრებებს ანტინომიებით, რომელნიც ინტელექტს აბსურდულად ეჩვენება, რათა უფრო მიაახლოონ ადამიანი ტრანსცენდენტული ღვთაების ჰერეტას. გოეთე ამბობდა: „მე თითქმის მწამს, რომ ალბათ მხოლოდ პოეზიას თუ ძალუძს გადმოცემა ისეთ საიდუმლოებათა, რომელნიც პროზაში, ჩვეულებრივ, აბსურდულად გვეჩვენებიან, ვინაიდან მათი გადმოცემა შეიძლება მხოლოდ წინააღმდეგობებში, რომელთაც უკუაგდებას ადამიანური ინტელექტი (განსჯა)“ ან, რუსთაველის სიტყვებით რომ დავსძინოთ, რომელსაც „ჰეკვიანნი ვერ მიხვდებიან“. აქედან ცხადი ხდება, თუ რაოდენ ღრმა კავშირია აპოფატიკასა და პოეზიას შორის.

ძართალია, კატაფატიკა და აპოფატიკა სხვა რელიგიურ და ფილოსოფიურ მიმდინარეობებშიც გვხვდება, მაგრამ მოცემულ სტროფში დანამდვილებით მხოლოდ მამების აპოფატიკასთან გვაქვს საქმე, ვინაიდან „ერთარსება“ (სამეზობა) და „ერთი“ არსად არ ქმნის ანტინომიას, გარდა ქრისტიანული აპოფატური ღვთისმეტყველებისა. გარდა ამისა, „ერთარსება“ არსად არ იხმარება ღმერთთან დაკავშირებით. პლოტინის ტრიადა, როგორც ითქვა. დამავალი იერარქიაა ერთისა. გონებისა და სულისა, მან არ იცის პირთა ის თანასწორობა, რომელიც ახასიათებს ქრისტიანულ თვალსაზრისს. ამიტომ პლოტინის ტრიადა, სამეული არ ქმნის ტრინიტარულ ანტინომიზმს სამსა და ერთს შორის, ვინაიდან პლოტინთან ვხვდებით ტრიადას და არა ტრინიტეტს<sup>19</sup>.

თუ მოცემულ სტროფში „ერთარსება“ წმინდა „ერთის“ მნიშვნელობით არის ნახმარი, მაშინ გაუგებარია, რად დასჭირდა პოეტს ასეთი ტავტოლოგია? ნ. მარის სამართლიანი შენიშვნით ტავტოლოგიებს რუსთაველი მაშინ მიმართავს, როდესაც ორ სხვადასხვა ენაზე ახსენებს ერთსა და იმავე ცნებას. მაგ., „ვითა ვეფხსა, წავარნა და ქვაბი აქვსო, სახლად, მენად“<sup>20</sup>. სხვაგვარი ტავტოლოგიები მასთან არსად დასტურდება. მაგრამ აქ საქმეც ის არის, რომ რუსთაველმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სამეზობა არა მხოლოდ არსებით ერთია, ერთარსებაა, არამედ იგი იღვენტურიცაა წმინდა ერთისა და ამით შექმნა ანტინომია, რომელსაც ამგვარად გადმოსცემდა წმ. მაქსიმე აღმსარებელი: „ღმერთი არის იღვენტურობა მონადისა და ტრიადისა“ (რა თქმა უნდა, ერთარსება ტრიადისა ანუ თვისობრივი ტრიადისა). ნეოპლატონიზმში განა

<sup>19</sup> V. L o s s k y, დასახ. ნაშრომი, გვ. 49. იხ. აგრეთვე, K r e m e r K., Neuplatonische Seinsphilosophie, Leiden, 1966, გვ. 247. იხ. აგრეთვე P i c a v e l F., Hypostases Plotiniens et Trinité chretienne: Annuaire de L-ecol pratique des Hautes-Etudes. Section des Sciences Religieuses, Paris, 1927. აპოფატური ანტინომიზმი ღვთის გაგებასთან დაკავშირებით საერთოდ მიღებული იყო ძველ მისტიკურებში. მაგალითად, ჰერაკლიტესთან ვხვდებით ასეთ ანტინომიებს: ღმერთი არის ღლე-ღამე, ზამთარი-ზაფხული, ომი-შვილობა, სიმაძღრე-შიშნობა (Frag. 67). იხ. Annales Contemporaines, Paris, 1923, გვ. 207. მაგრამ რაც შეეხება ტრინიტარულ ანტინომიზმს და ტერმინ „ერთარსებას“, ეს დაკავშირებულია მხოლოდ და მხოლოდ ეკლესიის მამათა ნააზრევთან, კერძოდ ნიკეის საეკლესიო კრებასთან (IV ს.).

<sup>20</sup> Н. Я. М а р р, Грузинская поэма «Витязь в Барсовой Шкуре Шоты из Рустава», Известия Академии наук, 1917, гв. 484.

ვინმე ექვობდა „ერთის“ ერთარსებობას? განა *implicite* არ იგულისხმებოდა რომ „ერთს“ ერთი არსება აქვს? განა ვინმე იფიქრებდა, რომ მას სამი არსება აქვს ან მეტი? მაშ რაღა საჭირო იყო ღია კარების მტვრევა და სტროფში ერთისათვის „ერთარსების“ მიკერება, თუ რუსთაველი ნეოპლატონურ „ერთს“ გულისხმობდა? მაგრამ საქმეც ის არის, რომ იგი „ერთარსებაში“ „სამეხას“ გულისხმობდა. „ერთი“ კი დასჭირდა ანტინომიისათვის.

ამრიგად, ნეოპლატონური ტრიადის დამავალ იერარქიაში ზეშთაარსება ერთიდან გამოდის ნაკლებ სრულყოფილი გონება, გონებიდან — ნაკლებ სრულყოფილი სული. ერთისაგან იწარმოება ყოველი მყოფი, ერთი არის მარტივი, ზეარსული, ზეყოფიერი (*ὑπεριστάου*) ერთება, თავად მის წიაღში კი სამებაზე საუბარი გამორიცხულია. გონებაც, სულიც და მთელი დანარჩენი ყოფიერებაც ეკუთვნის მრავლობითობას, ქრისტიანული სამება კი ყოველგვარ მრავლობითობაზე მაღლა დგას. დიონისესეული ზეშთაარსებითი, ზეყოფიერი ზედმერთი თავის წიაღშივე სამებითია და ამავე დროს ერთია. მასში იმანენტურადაა მოცემული მისტერიული იდენტურობა სამებისა ერთებასთან: „არამედ ვითარ იგი გვითქუამს, რაჟამს ღმრთისმეტყველებითთა განწესებათა დავწერდეთ ერთისა მის უმეტესად უცნაურისა, არსებათა უზეშთაესისა თვითსახიერებისა არცა გამოთქუამაჲ, არცა მოგონებამა შესაძლებელ არს“ (გვ. 10). მაგრამ ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქრისტიანული ზეშთაარსებითი ღმერთი არც ცალკე სამებაა და არც ცალკე ერთება, არეოპაგელის თქმით იგი არ არის „არცა ერთბამაჲ, არცა სამობამაჲ, არცა რიცხვი, არცა პირველობამა“, ე. ი. იგი არც „ერთარსებაა“ ცალკე, არც „ერთი“, იგი ყოველგვარ განსაზღვრებაზე მაღლა დგას. ხოლო ნეოპლატონური ღმერთი განსაზღვრულია, როგორც „ერთი“. აი, ამრიგად განსხვავდება ქრისტიანული რელიგიური გამოცხადების ეული გაგება ღვთისა ნეოპლატონური ფილოსოფიური გაგებისაგან.

ქრისტიანულ აპოფატურ ღვთისმეტყველებაში უმაღლესი ანტინომიაა ტრინიტარული ანტინომია, რომელიც მდგომარეობს შემდეგში. არსებობს ანტინომია, ერთი მხრივ, ღმერთის ბუნებასა და, მეორე მხრივ, თანადაუსაბამო, თანასწორ, მაგრამ ამავე დროს განსხვავებულ პირებს შორის. ე. ი. ანტინომია იქმნებოდა ერთბუნებოვნებასა და სამპიროვნებას შორის<sup>21</sup>. თუ დაირღვევა ამ ანტინომიზმის ბალანსი, რომელიც ათავსებს აბსოლუტურად განსხვავებულს აბსოლუტურად იდენტურთან, დაიწყება ტენდენცია ან არიოზის სამღმერთიანობისკენ (ბუნების დაყოფა) ან საბელიოსის უნიტარიზმისაკენ (პირთა შერევა). ის მკვლევარნი, რომელნიც უარყოფენ სამებას 836-ე სტროფში, რუსთაველს თავისდა უნებურად აცხადებენ საბელიოსის უნიტარიზმის მიმდევრად, თუმც საბელიოსის უნიტარიზმის მიმდევარი არასოდეს შექმნიდა ლოგიური გონებისათვის ესოდენ მიუწვდომელ სტროფს, როგორცაა 836-ე სტროფი, ვინაიდან საბელიანიზმი ხომ სწორედ ლოგიურობის მოთხოვნილებიდან გამომდინარე უპირისპირდება მამების ტრინიტარულ ანტინომიზმს. საბელიანური მოძღვრების თვალსაზრისით უფრო გასაგებია მტკიცება  $1=1$ , ვიდრე  $3=1$ , მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, ღვთისმეტყველების ჭეშმარიტებები არითმეტიკას ჭეშმარიტებებზე ვერ დაიყვანება.

<sup>21</sup> V. Lossky, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.

რუსთაველის თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ საბელიანელები არიან ის „ქკვიანნი“, რომელნიც ვერ მიხვდებიან ტრინიტარულ ანტინომიზმს.

ამრიგად, ანტინომიური ბალანსი, ერთი მხრივ, სამპიროვნებასა და, მეორე მხრივ, ერთბუნებოვნებას შორის არის პირველი პირობა ქრისტიანული სამეზობისა. დასავლური თეოლოგიური აზროვნება ამოსავალ წერტილად ირჩევდა მეტწილად ერთბუნებოვნებას და შემდეგ გადადიოდა სამპიროვნების განხილვაზე, აღმოსავლური კი პირუკუ: სამპიროვნებიდან ამოდიოდა და შემდეგ გადადიოდა ერთბუნებოვნებაზე. ე. ი. ჯერ სამის ასპექტი, სამის ერთარსებობის ასპექტი, შემდეგ კი წმინდა ერთი როგორც ასეთი<sup>22</sup>. აქედან გამომდინარე ჩვენთვის გასაგები ხდება, თუ რატომ დაწერა რუსთაველმა ჯერ „ერთარსება“ (ე. ი. სამი პირის ერთარსებობის ასპექტი), შემდეგ კა „ერთი“ (ბუნების ერთების ასპექტი). „ერთარსება“ ხომ პირების ერთარსებობაა, ხოლო „ერთი“ — ბუნების ერთობა. ასე რომ, მიმდევრობაც კი ემთხვევა აღმოსავლეთის ეკლესიის მამების ნააზრევს. აი, ამიტომ იყო შოთა „ღვთისმეტყველიცა მაღალ“, როგორც მას უწოდებს ანტონ კათალიკოსი!

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ ვეფხისტყაოსნის ღმერთი ქრისტიანული, თეისტური, პიროვნული ღმერთია, რომელმან „შექქმნა სამყარო“, „შექქმნა სახე ყოვლისა ტანისა“, რომელი „აღხენს მონაწილთა“, „სამზღვარსა დაუსაზღვრებს“, „ცხოველ არს“, „ზის“, არის „არსთა მხადი“, „არსთა მხედი“ და ა. შ. როგორც არაერთგზის აღნიშნულა, ეს ყოველივე უცხოა ნეოპლატონიზმის ზეყოფიერი, პასიური ერთისათვის, რომლისაგანაც ემანირებულია სამყარო. რაც შეეხება იმას, რომ პოემანში არ იხსენიება ღვთისმშობელი, უმანკო ჩასახვა, წმინდანები და ა. შ., საერთოდ არ იხსენიება საჩარება და არც არაფერი მასთან დაკავშირებული, ასეთი მტკიცება მოკლებულია საფუძველს. რამდენადაც პოემის მოქმედება პირობითად არაბეთსა და ინდოეთშია გადატანილი, აქ ვერ იქნებოდა ქარბად ქრისტიანული ტერმინოლოგია. მაგრამ რუსთაველი მაინც არღვევს ალაგ-ალაგ პირობითობას და ახსენებს მოციქულებს, აღვსების დღეს (აღდგომას) და ა. შ.

ძირითადად კი, ხსენებული მიზეზის გამო, ვეფხისტყაოსანში ქრისტიანულ გაგებებზე საუბარია არაპირდაპირად, მეტაფორულად. გადატანით. სამებაზე საუბრისას ჩვენ უკვე ნაწილობრივ დავრწმუნდით ამაში. ახლა ვნახოთ როგორი გაგებით იხმარება ვეფხისტყაოსანში „მზე — ხატი ღმრთისა“, ანუ „ხატი ერთარსებისა ერთისა“. ისმის კითხვა, ამ შემთხვევაში მატერიალურ მზე-მნათობს გულისხმობს პოეტი, თუ მზის სულს. ქრისტეს? ამასთან დაკავშირებით მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა<sup>23</sup>.

ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ აქ საქმე ეხება მზე-მნათობს, ასტროლოგიურ მზეს. მკვლევარი ვერ ამჩნევს, თუ როგორ უთხრის ამით ძირს

<sup>22</sup> იქვე, გვ. 57.

<sup>23</sup> აღსანიშნავია, რომ ვეფხისტყაოსნის „მზე-ხატთან“ დაკავშირებით ზოგიერთ მკვლევარ უცნაური წინააღმდეგობები ახასიათებს. კერძოდ, უარყოფს ვახტანგისეულ დებულებას, რომ „მზე-ხატი ღმრთისა“ ვეფხისტყაოსანში ქრისტეა, შემდეგ ამბობს გარკვევით, რომ „მზე-ხატი ღმრთისა“, ანუ ერთარსებისა ერთისა, ასტროლოგიური დებულება არ არის და საბოლოო დასკვნის სახით იმეორებს იქვე, რომ ეს არის ქრისტიანული თეოლოგიის ფილოსოფიური დებულება. შემდეგ უეცრად 836-ე სტროფის ანალოზის შემდეგ აცხადებს: პირადად მგონია ამ შაირში მზე არის მხოლოდ ასტროლოგიური სიმბოლო. აშკარაა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მკვლევარი ჩიხშია მომწყვდეული. ქვემოთ ჩვენ გავაანალიზებთ, თუ რატომ დგას იგი ასეთი სიძნელის წინაშე „მზე-ხატთან“ დაკავშირებით.

საკუთარ დებულებას რუსთაველის ქრისტიანობისას. რომელი ქეშმარიტი ქრისტიანი მიაჩნებდა მზე-მნათობს ისეთ დიდ ხელმწიფებას. როგორც მას მინიჭებული აქვს 836, 837-ე სტროფებში. დავუკვირდეთ, რა არის აქ მზეზე დამოკიდებული? ადამიანთათვის ბედის შეცვლა, შველა ტყვექმნილისა, რომელსაც „ჯაჭვნი ასხიან რკინანი“, მას „ჰმორჩილებენ ციერნი ერთის იოტის წამისად“, სხვაგან იგია „უძღლესი, მძღლეთა-მძღლე“ და სხვ. მეორე მხრივ კი ქრისტიან ღვთისმეტყველთა შრომებში ყველგან ვხვდებით გამძაურებულ პოლემიკას ასტროლოგიასთან, რომელიც თვლიდა, რომ ადამიანთა ბედი მნათობებზეა დამოკიდებული. გრიგოლ ნაზიანზელი თავის ერთ-ერთ ქადაგებაში ამბობს „შორს ჩემგან ის ხალხი, ვინაც უარყოფენ ღვთაებას და სამყაროს კეთილმოწყობილობას არ მიაწერენ ყოველგან განმგებელ და ყოვლისმპყრობელ არსებას! განმეშორონ ისინი, ვინც უარყოფენ განგებას, და ყოველივეს სამყაროში მიაწერენ არამყარ ლტოლვას, ან უქვემდებარებენ ვარსკვლავთა მოძრაობას. ასეთ ხალხს თითქოს ეშინიაო, რომ ხსნა მიიღოს ღვთისაგან. ვინ ამოძრავებს ვარსკვლავებს და როგორ? თუ ღმერთი ამოძრავებს, რატომ მაინცდამაინც ის არის პირველადი, რასაც ამოძრავებს ღმერთი? თუ ვინმემ რამე შეჰკრა, იგი ხომ გახსნის კიდევაც? ხოლო თუ ღმერთი არ ამოძრავებს მნათობთ, როგორ-ღა მოქმედებენ ისინი და როგორ ღა ეწინააღმდეგებიან დაუსაბამოს და ყველაზე მეტად სრულყოფილს?.. განგების უარყოფა ღვთის წინააღმდეგ ამბოხებაა. ან იქნებ ისიც თქვან, რომ ღმერთიც ბედს ექვემდებარება და თავადაც ატარებს ბორკილებს? აი, როგორ იბნევიან ეს ჭკუის კოლოფები თავიანთ მოძღვრებაშივე“<sup>24</sup>.

როგორც ვხედავთ, გრიგოლ ღვთისმეტყველი ასტროლოგიურ შეხედულებას ადამიანის ბედის მნათობებისადმი დაქვემდებარებაზე განგების უარყოფად თვლის, ვინაიდან ყოველგვარი ფატალიზმი განგების უარყოფაა. ასე რომ, ძირითადი განსხვავება ასტროლოგიურ თვალსაზრისსა და ქრისტიანული ღვთისმეტყველების თვალსაზრისს შორის განგების უარყოფაა. მეორე მნიშვნელოვანი განსხვავებაა ის, რომ წარმართული ასტროლოგიური თეოლოგიისათვის დამახასიათებელია პანთეისტური შეხედულება ღმერთზე<sup>25</sup>, ხოლო ქრისტიანული ღვთისმეტყველება იცავს თეისტურ თვალსაზრისს.

როგორც აღინიშნა, არსებობს საკუთარი „ვეფხისტყაოსანში“ წარმართული ასტროლოგიური თეოლოგიისათვის დამახასიათებელი მზის კულტის დანახვისა და ამის საფუძველზე რუსთაველის „მზიურ წარმართად“ გამოცხადებისა. გავარკვიოთ თავდაპირველად ამ მზის კულტის არსი.

ძველ მსოფლიოში ფართოდ იყო გავრცელებული ქალღმერთი ასტროლოგიიდან მომდინარე მზის კულტი, რომელმაც განსაკუთრებით მოიღვა ფესვი რომის იმპერიაში. ჰერ კიდევ ეგვიპტელთათვის და ბაბილონელთათვის მზე სამეფო მნათობი იყო<sup>26</sup>. შემდეგ მან რომშიაც განაგრძო იმპერატორებისათვის სვის მინიჭება და სამეფო სიჭკველის მიცემა. იმპერატორი და მზე ერთი ბუნებისანი იყვნენ, შეიძლება ითქვას თანაარსნი<sup>27</sup>. ისინი ამავე დროს თანაბრად უძღვევლნი იყვნენ. საკულტო მზეს ერქვა Sol invictus — „უძღვეველი მზე“.

<sup>24</sup> Творения Григория Богослова, ч. V.

<sup>25</sup> F. C u m o n t, Astrology among the greeks and Romans, New York, 1960, გვ. 56.

<sup>26</sup> H. F r a n k f o r t, Kingship and the Gods, გვ. 148.

<sup>27</sup> F. C u m o n t, Astrology..., გვ. 55.

ასეთივე უძლეველი იყო იმპერატორი. 274 წელს მარკუს ავრელიუსმა ააგო Sol invictus-ის ტაძარი და დააფუძნა მისი კულტი, რომელშიაც შეერთდნენ რომაული კერპთაყვანისმცემლობა და სემიტურ-სირიული მზის თაყვანება. მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვით ქრისტიანი იმპერატორები კონსტანტინე და კონსტანციუსი არ ივიწყებდნენ თავიანთ წარმომავლობას Sol invictus-ისაგან<sup>28</sup>. მათ ქრისტიანობას ეს სრულიად არ უშლიდა ხელს.

მართალია, ვეფხისტყაოსანში მოხსენიებულია Sol invictus მთელი თავისი ატრიბუტებით („უმძლესი, მძლეთამძლე“, „ვინ მდაბალსა გაამაღლებ, მეფობასა მისცემ სვესა“ და ა. შ.). მაგრამ ეს არ კმარა იმის საბუთად, რომ ამის გამო რუსთაველი წარმართული ასტროლოგიური თეოლოგიის მიმდევრად გამოვაცხადოთ. ასევე შეუძლებელია ვეფხისტყაოსანში დანახვა ანტიკურობის მწუხრზე აღმოცენებული მეცნიერული პანთეიზმისა, რომელიც ამ დროს წარმართობის ზოგად კრეოდ იქცა და რომლისთვისაც ღვთაების უსასრულო ძალა ცხადდებოდა ბუნების ყველა ელემენტში, ვინაიდან, როგორც ზემოთ დავინახეთ, ვეფხისტყაოსანი იცნობს არა მხოლოდ ღვთის სამყაროსადმი იმანენტურობის იდეას, არამედ ტრანსცენდენტურობის იდეასაც. ეს უკანასკნელი კი საფუძველია ავტორის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური კრედოსი, რომელიც ყოველ ნაბიჯზე ამჟღავნებს ქრისტიანული თეიზმისა და კრეაციონიზმის ნიშნებს. თანაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ თეიზმი შეიცავს ღვთის სამყაროსადმი იმანენტურობის გაგებასაც. „ვეფხისტყაოსანში“ პანთეისტური იდეები ეჩვენებოდათ ისეთ მკვლევარებს, რომელთაც ავიწყდებოდათ, რომ პანთეიზმი ცალმხრივად გვაძლევს ღვთის სამყაროსადმი იმანენტურობის იდეას, ხოლო თეიზმი ათავსებს იმანენტურობას ტრანსცენდენტულობასთან. ასე რომ, პანთეიზმი თეისტური იმანენტურობის დოქტრინის გაცალმხრივებელი, გადაგვარებული ფორმაა, როგორც ამას გვეუბნება ს. ე. როლტი (Dionisios the Areopagite, by C. E. Rolt. გვ. 114). ასე რომ, მკვლევარნი აშკარად თვალს ხუჭავენ იმაზე, რომ ვეფხისტყაოსანში მოცემულია ღვთის ტრანსცენდენტული ასპექტიც. შეუძლებელია აგრეთვე დაშვება იმისა, რომ რუსთაველი ეკლექტიკურად აერთებს ქრისტიანული თეისტური ღვთისმეტყველების ელემენტებს წარმართული პანთეისტური ასტროლოგიური თეოლოგიის ელემენტებთან და ვერ ხედავს, თუ როგორ ეწინააღმდეგებიან ისინი ურთიერთს. ზოგი მკვლევარი თავისდა უნებლიეთ ამგვარ ეკლექტიკოსად გვისახავს რუსთაველს, როცა აცხადებს, რომ „მზე — ხატი ღმრთისა“ არის ასტროლოგიური დებულება (რასაკვირველია, მხოლოდ მოცემულ პუნქტში, ვინაიდან სხვა საკითხებთან დაკავშირებით იგი საკმაო საბუთიანობით უარყოფს რუსთაველის ეკლექტიკოსობას).

ზოგიერთი მეცნიერი 836-ე სტროფში მოხსენიებულ „მზე-ხატთან“ დაკავშირებით ამბობს, რომ ძნელია გარჩევა, თუ რომელი ხატი იგულისხმება აქ, ვინაიდან აქ დასაყრდენი წერტილი არ მოიპოვებაო. ჩვენი თვალსაზრისით, კი დასაყრდენი წერტილი სწორედ მოიპოვება ამ სტროფში და ეს გახლავთ ბოლო ტაეპი: „ბედსა ნუ მიცელი, მიაჭე, შეყრამდე ჩემად და მისად“.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 55.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ასტროლოგიური შეხედულება ბედზე უკიდურესად ფატალისტურია. „ასტროლოგიამ ჩამოაყალიბა ფატალიზმის პრინციპი, რომელიც არის დამანგრეველი ყოველგვარი მორალობისა და რელიგიისა. ფატალიზმი არის მართლაცდა ძირითადი პრინციპი, რომელსაც ასტროლოგია ნერგავდა მსოფლიოში“, — გვეუბნება პროფესორი კიუმონი, მსოფლიოში სახელგანთქმული სპეციალისტი კლასიკური რელიგიებისა და ასტროლოგიის ისტორიის დარგში<sup>29</sup>. მართალია, ასტროლოგიურ თეოლოგიას დასაშვებად მიაჩნდა საკრალური ცერემონიები, მსხვერპლშეწირვანი, ჰიმნები და ა. შ., მაგრამ ბედის შეცვლაზე, აუცილებლობით განსაზღვრული ხვედრისათვის თავის არიდებაზე გამორიცხული იყო ყოველგვარი ფიქრი. ასეთი განწყობილება ბატონობდა წარმართულ ანტიკურობაში. ბედის შეცვლა ლოცვის მეოხებით, სენეკას აზრით, მხოლოდ სულით დაბუნი ადამიანების ნუგეშია, ვინაიდან ფატუმს ვერაფერი შეეცლის (Quest. Nat. 11,35). სვეტონიუსის თქმითაც, იმპერატორი ტიბერიუსი იმდენად იყო დარწმუნებული ფატუმის ყოვლისმძლეობაში, რომ არაფრად აგდებდა რელიგიურ პრაქტიკას (Vita Tib. 69). იმავე აზრისა იყო ასტროლოგი ვეტიუს ვალენსი: „შეუძლებელია მსხვერპლშეწირვით დამარცხება იმისა, რაც დადგენილია და განსაზღვრული დასაბამიდან“<sup>30</sup>. აი, როგორია განწყობილება წარმართული ასტროლოგიური თეოლოგიისა. ამ თეოლოგიის მიმდევარი არასოდეს ათქმევინებდა ავთანდილს: „ბედსა ნუ მიცვლი, მიაჯე, შეყრამდე ჩემად და მისად“. ავთანდილის ლოცვები პოემაში სულით დაბუნი ადამიანის ილუზორული ნუგეში როდია, არამედ ღრმად მორწმუნე ადამიანის ნებელობითი მიმართვები ღვთაებისადმი, რომელიც უღობს ადამიანთა ბედს არა როგორც მკვდარ აუცილებლობას, ფატუმს, არამედ როგორც თავის საკუთარ, თავისუფალ გადაწყვეტილებას, განგებას (πρόγνῃς). მართალია, რუსთაველმა იცის, რომ „არვის ძალუძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა“, მაგრამ ამავე ღროს იცის, რომ „ნუ გეშის, ღმერთი უხვია. თუმცა სოფელი ძვირია“, ე. ი. რაც ხორციელს არ ძალუძს, ღმერთს ძალუძს. აი, ამგვარი განწყობილებაა უწინარეს ყოვლისა ავთანდილის მზისადმი მიმართვაში: ეს არის ერთი საყრდენი წერტილი.

ახლა დავუკვირდეთ, როგორი მზეა ეს მზე. ვახტანგ მეექვსე, თეიმურაზ ბაგრატიონი და კალისტრატე ცინცაძე სამართლიანად აღნიშნავენ, რომ ეს არის ლოგოსი, ქრისტე, რომელიც პავლე მოციქულის თქმით არის „ხატი ღმრთისა უხილავისა“ (1 კორ., 2,4). „უხილავი ღმერთი“ კი არის „მზიანი ღამე“, „ერთარსება ერთი“, „უქამო ქამი“, აპოფატურ ანტინომიაში წარმოდგენილი ქრისტიანული ღმერთი, ხოლო „ხატი ღმრთისა“ არის ქრისტეს საყოველთაოდ გავრცელებული ეპითეტი როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ ღვთისმეტყველებაში. ახლა გასარკვევი რჩება ერთი რამ, რატომ ემთხვევა ასე კონკრეტულად ქრისტე მზე-მნათობს, როგორ ხდება დაკავშირება ასტროლოგიური თეოლოგიის Sol invictus-ისა ლოგოსთან, ქრისტესთან?

ამთავითვე უნდა აღინიშნოს რომ ლოგოსი, როგორც სულიერი მზე. ფიზიკური მზის პირველსახე, ფიგურირებს ჭერ კიდევ ქრისტიანობამდელ რელიგიურ და ფილოსოფიურ მოძღვრებებში. ფილონ ალექსანდრიელი ხშირად უწოდებს ლოგოსს მზის პარადიგმას, ანუ პირველსახეს, მზის სულს, რომლის

<sup>29</sup> F. C u m o n t, Astrology.... გვ. 84.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 86.

გარეგანი გამოხატულებაა ფიზიკური მზე<sup>31</sup>. ფილონი ამბობს, რომ მოსე ღვთაებრივ ლოგოსს მზეს უწოდებდა, რამდენადაც იგი მზის პირველსახეა, იმ მზისა, რომელიც ცაზე ამოდის. სიტყვა „პირველსახეს“, *πρωγενεσ*-ს ფილონი ხმარობს სულიერი არსის მნიშვნელობით<sup>32</sup>. მართალია, ლოგოსის შესახებ მოძღვრება ძველ საბერძნეთში ჩამოყალიბდა, მაგრამ ღვთის სიტყვა, როგორც სამყაროს შემოქმედი არსი, ცნობილი იყო უფრო ძველ რელიგიურ და თეოსოფიურ მოძღვრებებშიც. მაგ., ძველ სპარსეთში ლოგოსის ანალოგიაა აპურა მაზდა, სამყაროს მორალური წესრიგის შემოქმედი და ბედის უფალი, რომელიც არის ამავე დროს მზის სული<sup>33</sup>, სულიერი მზე. ხოლო ეგვიპტეში ასეთივე არსებაა რა, რომელიც ძველი ეგვიპტური რელიგიის თვალსაზრისით არის იგივე, რაც ზეციური ლოგოსი<sup>34</sup>. ამრიგად ლოგოსი იგივე სულიერი მზეა, მზის სულია. უზენაესი ღვთაება, ერთი, შეუმეცნებელია, „უცნაურია და უთქმელი“, მაგრამ მისი არსება ცხადდება ლოგოსში, ძეში, რომლის ქვრეტა და შემეცნება ძალუძს ადამიანს. ეს არის ცეცხლი და ნათელი (სულიერი)<sup>35</sup>, რომელიც ცხადდება მზეში.

ახლა დავუბრუნდეთ ვეფხისტყაოსანს. პოემაში ერთი შეხედვით არის აუხსნელი წინააღმდეგობა. ერთი მხრივ, ცხადია რომ თეისტი ავტორის თვალსაზრისით ადამიანთა ბედი, მიჯნურთა შეყრა და გაყრა, მათი ბედნიერება თუ უბედობა დამოკიდებულია ღმერთზე (იოანე 5,22), რომელიც არის უცნაური, უთქმელი, არსთა მხადი, არსთა მხედი და ა. შ. პოემაში ერთგან ნათქვამია:

უთხრა დათმე, ნუ მოჰყვდები გულსა სრულად ნუ დასჭრი და  
ღმერთი მაგას მოწყალებს, თუცა ჭირმან არ დაგრიდა,  
თუმც უნდოდით გასაყრელად, პირველ ერთად არ შეგყრიდა. (914).  
ღმერთსამცა ესე რად ექმნა, ეგეთნი დაებადენით,  
არღა შეგყარნა, გაგყარნა, ხელი გქმნა ცრემლთა დაღენით. (930).

მეორეგან კი ეს ყოველივე დამოკიდებულია მზეზე (836, 837-ე სტროფები). როგორ ხდება, რომ პოემის ერთ თავში ავთანდილი ღვთისმოსავი გამოდის, ხოლო მეორე თავში მზის მოსავე? ნუთუ იგი ასე სწრაჟად შეიცვლიდა მსოფლმხედველობას? ან იქნებ რუსთაველი გულმავეიწყია, ავიწყდება თავისი გმირის თეისტობა და უეცრად სოლარისტ პანთეისტად წარმოგვიდგენს მას? მაგრამ ეს წინააღმდეგობა მთლიანად მოიხსნება თუ გავითვალისწინებთ, რომ **ეზოტერიული ქრისტიანობის ერთ-ერთი უმთავრესი დებულებაა ძე ღმერთის, ლოგოსის, ქრისტეს კავშირი მზე-მნათობთან, რამდენადაც ქრისტე არის მზის სული** (არა მეტაფორულად, არამედ კონკრეტულად)<sup>36</sup>, ქრისტესთან კი უშუალოდ არის დაკავშირებული განგება, ბედი, როგორც ზემოთ დავინახეთ. ასე რომ, უშუალოდ მას მიმართავს ავთანდილი „ბედსა ნუ მიცვლიო“. ამას არ ეწინააღმდეგება ის გარემოება, რომ ამ მზეს „ხატად ღმრთისად იტყვიან ფილოსოფოსნი წინანი“, ვინაიდან ძე ღმერთი, ერთი მხრივ, იდენტურია თავისი

<sup>31</sup> W. K e l b e r, Die Logoslehre, გვ. 130.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 131.

<sup>33</sup> H. B e k h, Aus der Welt der Mysterien, Baden, 1926, გვ. 51.

<sup>34</sup> The Dictionary of all Scriptures and Myths, გვ. 445.

<sup>35</sup> R. W a g n e r, Die Gnosis von Alexandria, Stuttgart, 1968, გვ. 53.

<sup>36</sup> R. F r i e l i n g, Gottes-Sohn und Sonnen-Geist, Die Christengemeinschaft, Monatschrift zur Religiösen Erneuerung, Stuttgart, März-April, 1950, გვ. 96—97.



ადრე ქრისტიანული ხელოვნების ცნობილი თანამედროვე მკვლევარი ე. ზაუსერი აღნიშნავს, რომ ადრეულ ქრისტიანულ სიმბოლიკაში ხშირად ფიგურირებს ქრისტე, როგორც ვარსკვლავთა სამყაროს უფალი, მზე, Sol invictus. „აღდგომილი ქრისტე გამოსახულია ხოლმე როგორც მზე, მისი ნათლის სიმბოლიკა მიუთითებს მსოფლიო მეუფებაზე, აღდგომილი მზე სიმართლისა ასრულებს სააღდგომო ლიტურგიას“<sup>40</sup>. მზის წარმართული კულტის აღორძინების იულიანესეული უნაყოფო ცდების შემდეგ იკონოგრაფიაში დამკვიდრდა ქრისტე, როგორც ზეციური ღმერთი მზის, ჰელიოსის, შიტრას მაგიერ<sup>41</sup>.

ასე რომ, ავთანდილი მიმართავს ლოგოსს, ქრისტეს, მზის სულს და სთხოვს მას: „ბედსა ნუ მიცვლი, მიაჯე შეყრამდის ჩემად და მისად“. სიტყვა „მიაჯე“ ამ შემთხვევაში ნიშნავს „სთხოვე ჩემს მაგიერად“. ვის წინაშე უნდა უაჯოს მზემ ავთანდილს? ცხადია მზიანი ღამის, ერთარსებისა ერთისა, მის უქამოსა ეამის წინაშე, ვინაიდან კაცობრიობისათვის მოაჯეობა (ιχθύς) უზენაესი ღვთაების წინაშე, შუამდგომლობა ერთ-ერთი უმთავრესი თვისებაა როგორც ქრისტიანობამდელი<sup>42</sup>, ასევე ქრისტიანული ლოგოსისა, ანუ ქრისტესი (იოანე XVI 23). როგორც ზემოთ დავინახეთ, ასტროლოგიის თვალსაზრისით წარმოუდგენელია მზე-მნათობის წარმოდგენა ასეთი მოაჯის როლში, ვინაიდან ასტროლოგიის თვალსაზრისით ყოველგვარი აჯა და თხოვნა უსარგებლოა, უქცეველ ფატუმს ვერაფერი შეეცვლის. თანაც, როგორც დავინახეთ, პანთეისტურ სოლარულ წარმართობას არ სწამს ტრანსცენდენტული ღმერთი, რომლის წინაშეც შეიძლება ჰყავდეს კაცობრიობას შუამდგომელი მზე-მნათობის სახით, ეზოტერული ქრისტიანობის თვალსაზრისით კი მზის სული შეიძლება იყოს ასეთი მოაჯე. ვფიქრობთ, რომ ასეთი მოაჯე შეიძლება იყოს მხოლოდ ქრისტიანული ლოგოსი, ქრისტე, ვინაიდან ქრისტიანობამდელ რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებებში, როგორც კელბერი აღნიშნავს, მართალია ფიგურირებს მოაჯე ლოგოსი, მაგრამ განგებაზე როგორც პიროვნული ღმერთის თავისუფალ გადაწყვეტილებაზე წარმოდგენა იმ სახით, როგორც იგი ჩამოყალიბდა ქრისტიანობაში, არსად არ გვხვდება ქრისტიანობამდე. ბედის შეცვლა, როგორც ღვთის თავისუფალი გადაწყვეტილების შედეგი, რომელიც შეიძლება აგვარიდოს შუამდგომელი ძის თხოვნამ ლოცვის შედეგად, ნაკლებად სავარაუდოა ქრისტიანობამდელ მოძღვრებებში, თუმცა ჩვენ დაბეჭითებით მაინც არ ვამტკიცებთ ამას, ვინაიდან საჭიროა კიდევ უფრო საფუძვლიანი შესწავლა ქრისტიანობამდელი მოაჯე ლოგოსის სპეციფიკისა. მიუხედავად ამისა, 836-ე სტროფის ქრისტიანულ შინაარსში ექვის შეტანა შეუძლებელია, რამდენადაც მასში ნახსენებია ეკლესიის მამათა ტერმინი „ერთარსება“, რაც განამტკიცებს ჩვენს ვარაუდს „მოაჯის“ ქრისტიანულად გაგებისას.

საინტერესოა, რომ ვეფხისტყაოსანში გვხვდება კიდევ ერთი „მოაჯე“, ეს არის მთვარე. ეს უაღრესად სიმპტომატური ამბავია, ვინაიდან სელაერი მთვარე ძველ ეგვიპტურ მისტერიებში იზიდას უკავშირდება<sup>43</sup>, ხოლო ქრისტიანო-

<sup>40</sup> Ekkart S a u s e r, Frühchristliche Kunst, München, 1966, გვ. 393.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 424.

<sup>42</sup> W. K e l b e r, Die Logoslehre, გვ. 127.

<sup>43</sup> H. B e k k, Aus der Welt der Mysterien, გვ. 58.

ბაში სულიერი მთვარე არის ღვთისმშობელი. წმინდა ნინოს ცნობილ დაუჯდომელში, რომელიც მიეწერება საბა ნინო წმინდელს, ღვთისმშობელი მოხსენიებულია, როგორც საღმრთო მთოვარე: „გიხაროდენ, საცნაურისა მზისა მეშვისა საღმრთოსა მთოვარისა გან მოფენილო ჩვენდა“...<sup>44</sup> „საცნაური მზე“ ამ შემთხვევაში ქრისტეა, ხოლო „საღმრთო მთოვარე“ ანუ სულიერი მთვარე — ღვთისმშობელი. ეზოტერულ ქრისტიანობაშიც აღნიშნულია ღვთისმშობლის, მარკამის საწყისის კონკრეტული კავშირი მთვარესთან<sup>45</sup>. ხოლო ღვთისმშობელი ქრისტიანული ავალსაზრისით ისეთივე მოაჩვენა უზენაესი ღვთაების წინაშე, ისეთივე მეოხია, როგორც ქრისტე. მაგ., „შიოს ცხოვრებაში“ გვხვდება ასეთი მიმართვა ღვთისმშობლისადმი: „შენ გვედრები დედაო ნათლისაო დიდებულო... მეოხებად ნუ დასცხრები წინაშე სამებისა წმინდისა ჩვენთვის“<sup>46</sup>. საინტერესოა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ მზესა და მთვარეს ევედრება ავთანდილი მოაჩვენებს, სხვა მნათობებს კი არა. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს სხვა მნათობებიც თავიანთი სულიერი ასპექტით უნდა წარმოვიდგინოთ, ვინაიდან ავთანდილი მათ მიმართავს როგორც ცოცხალ, გონიერ არსებებს. რომელი არსებებია ეს არსებები? ესენი არიან ღვთაებრივ-სულიერი იერარქიების არსებები, რომელნიც, ეზოტერული ქრისტიანობის მიხედვით არიან წარმმართველნი მნათობებისა. ეზოტერულ ქრისტიანობაში კონკრეტული სახელებიც კია ცნობილი მნათობთა მთავარანგელოზებისა, მაგ., მიქაელი (მზე), გაბრიელი (მთვარე), სამაელი (მარსი), რაფაელი (მერკური), ზაქარიელი (იუპიტერი), ანაელი (ვენერა), ორიფიელი (სატურნი)<sup>47</sup>. ჭერ კიდევ პავლე მოციქულის მიერ ათენში დაარსებულ ეზოტერულ სკოლაში დაიწყო მისმა მოწაფემ დიონისე არეოპაგელმა პერძნული ეთერული ასტრონომიის შერწყმა იერარქიების შესახებ ქრისტიანულ მოძღვრებასთან<sup>48</sup>, რაც საფუძვლად დაედო მთელი შემდგომი დროის ეზოტერულ ქრისტიანობას. ეს მოძღვრება პლანეტარულ სფეროებს უკავშირებდა იერარქიულ არსებებს, რამაც დანტეს პოემაშიც პოვა გამოძახილი. განსაკუთრებით განვითარდა ეს მოძღვრება შარტრის ქრისტიანულ-პლატონურ საღვთისმეტყველო სკოლაში (XIII), რომლის მესვეურნიც იყვნენ ბერნარდუს სილვესტრის და ალანუს აბ ინსულის<sup>49</sup>.

რუსთაველის ეპოქის საქართველოში დიდი ინტერესი არსებობდა როგორც პერძნული ეთერული ასტრონომიისადმი, ისე ასტროლოგიისადმი. თუმცა ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველივე ამას განიხილავდნენ ქრისტიანული თვალსაზრისით უწინარეს ყოვლისა. განსაკუთრებული კრიტიკის

<sup>44</sup> საქართველოს სამოთხე, გვ. 159.

<sup>45</sup> R. Steiner, Der Jahres Kreislauf als Atmungsvorgang der Erde, Dornach, 193. აგრ.: Geisteswissenschaftliche Erläuterungen zu Goethes Faust, ტ. 1, გვ. 19.

<sup>46</sup> საქართველოს სამოთხე, გვ. 252.

<sup>47</sup> R. Steiner, Esoterische Betrachtungen Karmischer Zusammenhänge, B. VI, 1966, გვ. 183.

<sup>48</sup> Sternkalender 1971-1972, Herausgegeben von der Mathematisch-Astronomischen Sektion am Goetheanum durch Suso Vetter, Dornach, 1971, გვ. 35. თანამედროვე ეზოტერული ქრისტიანობის ერთ-ერთი სფეროა სპირიტუალური ასტრონომია, რომელიც აღიარებს, რომ ადამიანის ცხოვრება, როგორც ფიზიკური, ისე სულიერი, ინტიმურადაა დაკავშირებული ვარსკვლავთა სამყაროსთან, მზესთან და პლანეტებთან, ცხადია, მათ სულიერ ასპექტთან. იხ. A. P. Shepherd, The Scientist of the Invisible, London, 1969.

<sup>49</sup> იქვე, გვ. 35. იხ. Alanus ab Insulis, der Anticlaudian, Stutt, 1966.

საგანი იყო წარმართული ასტროლოგიური მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისი, მაგრამ, მეორე მხრივ, იოანე პეტრიწი აღნიშნავს, რომ მზე, მთვარე და ვარსკვლავნი თავად ღვთის მადიდებელნი არიან. ვციხადებენ ღიღებას ღვთისას და ამდენად იმსახურებენ ჩვენს ყურადღებას. იოანე პეტრიწი ამასთან დაკავშირებით იმოწმებს ბიბლიას, დავითის ფსალმუნს: „ცანი დაუჭამებენ ღიღებასა ღმრთისასა“<sup>50</sup>.

ამ თვალსაზრისით პეტრიწის დამოკიდებულება ასტრონომიისა და ასტროლოგიისადმი გვაგონებს ორიგენეს დამოკიდებულებას. რომელიც ამავე ადგილს იმოწმებდა საღვთო წერილიდან, როდესაც ამბობდა, რომ მნათობები უსულო სხეულები როდი არიან, არამედ სულიერი არსებები და ამის გამო წინააღმდეგი იყო ასტროლოგიის მთლიანად უყუგდებისა<sup>51</sup>. მართალია, ქრისტიან ღვთისმეტყველთა შრომებში ვხვდებით ზოგად მითითებებს მნათობების ანგელოსებთან კავშირზე, მაგრამ კონკრეტულად მითითებები ამ ამბავთან დაკავშირებით გვხვდება მხოლოდ ეზოტერულ ქრისტიანობაში. უნდა ვიფიქროთ, რომ გელათის აკადემიაში არსებობდა ამგვარი ეზოტერული ცოდნა, რომელსაც რუსთაველიც უნდა ყოფილიყო ნაზიარები<sup>52</sup>. ზოგიერთი მკვლევარის შეცდომა 836-ე სტროფში ნახსენებ მზე-ხატთან დაკავშირებით გამოწვეულია კიდევ ერთი მიზეზით. დიონისე არეოპაგელი თავის შრომაში „საღმრთოთა სახელთათვის“ მზე-მნათობს უწოდებს „ხატს ღვთისას“ (4,4). მართალია, ქრისტიანული ღვთისმეტყველება მზე-მნათობსაც, სააქაოს მზესაც ხატად თვლის, მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ საიქიოს მზეც, ქრისტეც ხატია ღმრთისა უხილავისა, როგორც ზემოთ დავინახეთ, და 836, 837-ე სტროფების კონტექსტში სწორედ ეს სულიერი ხატი იგულისხმება, ვინაიდან ბედის შეცვლა, მოაჯეობა ქრისტიანი ავტორის თვალსაზრისით შეიძლება მხოლოდ ასეთ ხატზე იყოს დამოკიდებული და არა ფიზიკურ ხატზე, სააქაოს მზეზე. ამრიგად, ყველა ის მკვლევარი (მაგ. მ. გიგინეიშვილი და სხვ.).

<sup>50</sup> ი. პეტრიწი, შრომები, II, გვ. 212.

<sup>51</sup> Т. А. Гурьев, Астрология и религия, Москва, 1950, გვ. 53.

<sup>52</sup> მ. გიგინეიშვილმა სამართლიანად აღნიშნა, რომ ვეფხისტყაოსნის ზოგი ადგილის ახსნა შეუძლებელია ეზოტერული ქრისტიანობის გაუთვალისწინებლად. იხ. „მზიანი ღამე“ ვეფხისტყაოსნისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგი საკითხი, ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, III, გვ. 65. ეზოტერიზმის იგნორირებამ ზოგიერთი მკვლევარი მიიყვანა იმ დასკვნამდე, თითქოს ვეფხისტყაოსნის „ძალნი ზეციერი“ გულისხმობს მატერიალურ მნათობებს და არა ანგელოსთა იერარქიებს. ზემოთ ჩვენ დავინახეთ, თუ რაოდენ საფუძვლიანია ამგვარი მტკიცება. აქ უნდა დავსძინოთ, რომ შუა საუკუნეთა ადამიანებისათვის, განსაკუთრებით კი ვარსკვლავთმეტყველთათვის, მატერიალურ მნათობებს არ ჰქონდათ ის რეალობა და მნიშვნელობა, როგორც ამას დღეს აქვს ადგილი კომპერნიკანული მსოფლიო სურათის გაბატონების შემდეგ, ამიტომაც მიმართავს ავთანდილი მნათობებს, როგორც ცოცხალ სულიერ არსებებს. თუმცა უნდა ითქვას, რომ არც თანამედროვე მეცნიერების ზოგიერთი წარმომადგენლისათვისაა უცხო ეს თვალსაზრისი. აი, რას წერს, მაგალითად, XX საუკუნის ფრანგი ფიზიკოსი და ასტრონომი პიერ დიუემი: „გრძნობადი აღქმა საფუძვლად უდევს დაკვირვებით ასტრონომიას, რომელიც სწავლობს ვარსკვლავთა მიერ შემოხაზულ რთულ ტეხილებს... გეომეტრიული მსჯელობით კი გონება ქმნის ასტრონომიას, რომელსაც ხელეწიფება დადგენა ზუსტი ფიგურებისა და მუდმივი მიმართებებისა. ეს „ქვემარტივი ასტრონომია“ სკელის იმ არამყარ ტრაექტორიებს, რომელთაც დაკვირვებითი ასტრონომია მიაწერდა ვარსკვლავებს, უბრალო და მუდმივი ორბიტებით... წმინდა გონება კი სწვდება მესამე, უმაღლეს ასტრონომიას — ასტრონომიას თეოლოგიურს, ანუ ფილოსოფიურს. ზეციურ მოძრაობათა უქცევლობაში ეს ასტრონომია ხედავს დამამტკიცებელ საბუთს ღვთაებრივი სულებს არსებობისას, რომელნიც ერწყვიან ციურ სხეულებს“. იხ. Ф. Ф р а н к. Философия науки, Москва, 1965.

რომელიც აღიარებს რუსთაველის ქრისტიანობას და ამავე დროს 836, 837-ე სტროფებში მოხსენიებულ მზე-ხატს მზე-მნათობად თვლის, ამით ნებსით თუ უნებ-ლიეთ აცხადებს რუსთაველს ან არაქრისტიან მოაზროვნედ ან ეკლექტიკოსად.

სპეციალისტების აზრით, სახარებაში ქრისტესა და მისი 12 მოციქულის მოქმედებები შეესაბამებიან მზის გზას 12 ზოდიაქოში, რამდენადაც ქრისტე არის მზის სული<sup>53</sup>, ხოლო მოციქულები ზოდიაქალურ სულებს განასახიერებენ. შემთხვევითი როდია, რომ ქრისტეს შობა მზის ზამთრულ ნაბუნობას მოსდევს, ხოლო აღდგომის დღედ კვირაა მიჩნეულა, როგორც მზის დღე<sup>54</sup>. პირველ ქრისტიანობაში ქრისტეს კავშირი მზესთან თვალსაჩინო, აღიარებული ფაქტი იყო, შემდგომში კი ეს ყოველივე შემოინახა ეზოტერულმა ქრისტიანობამ (მანიქეიზმი, არტურისა და გრაალის მიმდინარეობა, კათარიზმი, ალბიგოელები, ტამპლიერები, როზენკროიციერები და ა. შ.)<sup>55</sup>. მსოფლიო საეკლესიო კრებებზე გამომუშავებული ეგზოტერული ქრისტიანობა კი არ ამახვილებდა ყურადღებას ამ ფაქტზე, სოლარული წარმართობის აღორძინების საფრთხის გამო. თუმცა ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ეზოტერულ და ეგზოტერულ ქრისტიანობას შორის განხეთქილება აშკარად იკვეთება უფრო დასავლეთის ქრისტიანობაში, განსაკუთრებით მერვე საეკლესიო კრების შემდეგ (869 წ.). რაც შეეხება აღმოსავლეთის ქრისტიანობას, როგორც ზემოთ დავინახეთ, აღმოსავლეთის ეკლესიის მამები საგანგებოდ საუბრობენ ფარულ მოძღვრებაზე, რომელიც მათ გააჩნიათ და რომელსაც ისინი გარკვეული მოსაზრებით საიდუმლოდ ინახავენ. მართლმადიდებლურ სამყაროში, განსაკუთრებით საქართველოში<sup>56</sup>, არასოდეს ჰქონია ადგილი ისეთ შემზარავ მოვლენებს. როგორც იყო ათასობით კათართა და ალბიგოელთა განადგურება, პროცესი ტამპლიერთა წინააღმდეგ, ინკვიზიციის კოცონები და ა. შ. რ. შტაინერი თავის ლექციაში „სამმაგი მზე და აღდგომილი ქრისტე“ აღნიშნავს, რომ შუა საუკუნეებში აღმოსავლურ ეკლესიაში თავად ბერები იყვნენ ეზოტერულ საიდუმლოებათა მცოდნენი<sup>57</sup>, ე. ი. ზოგი მონასტერი ამავე დროს იდუმალთმეტყველების ცენტრიც იყო. ასეთ ცენტრებში ფარული ცოდნა მაკროკოსმოსზე და მიკროკოსმოსზე, ღმერთზე და ადამიანის სულზე მხოლოდ რწმენის საგანი კი არ იყო, არამედ ინიციაციური შემეცნებისა. ასე რომ, აღმოსავლეთში იმ დროს არსებობდნენ მართლმადიდებელი ქრისტიანები, რომელნიც ამავე დროს ეზოტერულ ცოდნას იყვნენ ზიარებულნი. ეს მათ სრუ-

<sup>53</sup> H. B e k h, Die Kosmische Rhythmus In Markus-Evangelium, Stuttgart, 1960.

<sup>54</sup> O. R a h n, Krewzzug gegen den Gral, Stuttgart, 1964, გვ. 89.

<sup>55</sup> John C h a r p a n t i e r, Die Templer, Stuttgart, 1961, გვ. 150; აგრეთვე: H. R e i m a n n, Manichäismus. das Christentum der Freiheit, Basel, 1942.

<sup>56</sup> შესაძლოა ვინმემ შეგვნიშნოს, რომ ქართველ ღვთისმეტყველთა შრომებში ვხედებით მკაცრ პოლემიკას ეზოტერული ქრისტიანობის ისეთ მესვეურებთან, როგორნიც იყვნენ ორიგენე და მანესი, მაგრამ არ უნდა დაევიწყოთ, რომ ასეთ პირებს მაღალი საეკლესიო თანამდებობები ეკავათ და მხარს უჭერდნენ ოფიციალურ კურსს ბიზანტიური ღვთისმეტყველებისას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბიზანტიაში საქმე თითქმის არასოდეს მიდოდა პოლემიკაზე უფრო შორს. ასე რომ, ეზოტერიზმის მკაცრი დენის კვალს ვერ ვპოულობთ ვერც ბიზანტიური და ვერც ქართული ეკლესიის ისტორიაში.

<sup>57</sup> R. S t e i n e r, Das Sonnenmysterium und das Mysterium von Tod und Auferstehung, Exoterisches und esoterisches Christentum, Dornach, გვ. 190, 191. 1963.

ლიადაც არ უშლიდა ხელს ყოფილიყვნენ მკაცრი ორთოდოქსები, ვინაიდან ეზოტერული ცოდნით ხდებოდა შევსება და გაშუქება და არა უარყოფა ეგზოტერული ქრისტიანობისა, რომელიც უფრო ფართო მასებისათვის იყო გამიზნული. ასე რომ, რუსთაველიც უთუოდ ასეთი გაგების ქრისტიანი იყო.

თავად ღვთისმეტყველებაში ორი გზის არსებობა (კატათატიკისა და აპოფათიკისა) მიუთითებს ეგზოტერიზმსა და ეზოტერიზმზე. კატათატიკა არის ეგზოტერული ღვთისმეტყველება, რომელიც ეყრდნობა რაციონალურ, ცნებით განსაზღვრებებს ღვთაებისას და ამდენად არის თეორიული ცოდნა, რომელიც საფუძვლად უდევს დოგმატურ მოძღვრებას. აპოფათიკა კი არის ეზოტერული გზა მისტიკური ჰერეტიკისა, სულიერი ზიარებისა და საფუძვლად უდევს საიდუმლო ანუ ეზოტერულ ღვთისმეტყველებას. როდესაც საუბარია 836-ე სტროფის ეზოტერულობაზე, არასოდეს არ უნდა დავივიწყოთ მისი აპოფათური ხასიათი. ვინაიდან ამ შემთხვევაში აპოფათიკა და ეზოტერიზმი იდენტური გაგებებია. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ აპოფათიკას მიეყავართ, კერძოდ. საღვთისმეტყველო ეზოტერიზმისაკენ, თავად ეზოტერიზმი კი, როგორც ასეთი, უფრო ფართო გაგებაა. ამდენად დასაშვებია, რომ აპოფათური ანტინომია „მზიანი ღამე“ ამავე დროს იყოს მინიშნება ანტიკურ მისტიკურებში „შუალამის მზის“ ხილვაზე<sup>58</sup>. ვინაიდან ანტინომია „მზიანი ღამე“ აზრობრივი თვალსაზრისით გასვლაა მიწიერი, შექმნილი ინტელექტის ტყვეობიდან, ხოლო მისტიკურებში ინიციაციის შედეგად მიწიერი კავშირებისგან განთავისუფლებული სული კონკრეტულად ჰერეტს „შუალამის მზეს“<sup>59</sup>. ორივე შემთხვევაში დარღვევაა ფიზიკური პლანის ლოგიკისა: პირველ შემთხვევაში აზრისმიერი დარღვევაა, მეორე შემთხვევაში კი ფაქტიური. პირველ შემთხვევაში ცნებით ანტინომიასთან გვაქვს საქმე, მეორე შემთხვევაში კი ოკულტურ ფაქტთან, რაც ერთი და იმავე მოვლენის ორი მხარეა. ოღონდ „შუალამის მზე“ ხილვაა კონკრეტული პირისა, ძისა, მზის სულისა<sup>60</sup>, ხოლო „მზიანი ღამე“ არის აპოფათური მინიშნება სამივე პირის ერთობაზე, გამოუთქმელ ღვთაებაზე, რომლის ხატია ლოგოსი, მზის სული. მ. გიგინეიშვილის აზრით კი „მზიანი ღამე“ ქრისტეა.

იმის დასამტკიცებლად, რომ 836, 837-ე სტროფებში მოხსენიებული მზე სულიერი მზეა, არ კმარა იზოლირებულად განხილვა ამ სტროფებისა, საჭიროა მთელი თავის განხილვა, რომელსაც ჰქვია „წასვლა ავთანდილისა ტარიელის შეყრად მეორედ“. რას მოგვითხრობს ეს თავი? დასაწყისში მოთხრობილია თუ ვით მიემართება ავთანდილი ტარიელთან შესახვედრად. ამის გამო მას მოუხდა თავისი მიჯნურის დატოვება და დიდ სასოწარკვეთილებაშია ჩაყარდ-

<sup>58</sup> მ. გიგინეიშვილი. „მზიანი ღამე“ ეფესისტყაოსნისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგი საკითხი, გვ. 46. ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის საკითხები, III.

<sup>59</sup> ანასთან უნდა აღვნიშნოს, რომ შუალამის მზის ჰერეტაზე უფრო მაღალი საფეხურია მისი სიენა. იხ. R. S l e i n e r, Das Sonnenmysterium, გვ. 184.

<sup>60</sup> აღსანიშნავია, რომ ნოვალისი თავის „ღამის ჰიმნებში“ პირდაპირ უწოდებდა ქრისტეს «Du Liebliche Sonne der Naclit» — „სიყვარულით სავსე მზეო ღამისა“. იხ. N o v a l i s, Hymnen an die Naclit, Leipzig, გვ. 9. „მზიანი ღამე“ გვხვდება ბიბლიაშიც: „იხილო შემდგომად მესამე საყვირისა აღმობრწყინდეს მყის მზე და ღამე და მოვარე სამგზის დღესა შინა. ეზდრა III, თავისი 5, 4.

წილი. მისი მდგომარეობა პოეტის მიერ შედარებულია ვარდის მდგომარეობასთან, რომელიც უმზეოდ ჰკნება. ცხადია, ეს პოეტური მეტაფორა არ არის შემთხვევითი. როგორც ვარდს ფიზიკური მზე აძლევს ფერს და ახარებს, ასევე მიწნურს სულიერი მზე აძლევს სვეს, ბედნიერებას. ეს არის მეტაფორული მნიშვნელობა სულიერ მზეზე. ამავე დროს ეს მზე მისთვის თინათინია, ისევე როგორც რუსთაველისათვის პროლოგში სულთა ლხენის მომცემი, ენის, გულისა და ხელოვნების მომცემი არის ღმერთი და ამავდროს თამარი (რ, 10). შემდეგ ნათქვამია ავთანდილზე:

წამ-წამ მობრუნდის, იაჯდის მისთვის მზისავე მზობასა,  
უქვრეტდის, თვალნი ვერ მოხსნნის, თუ მოხსნნის მიჰხდის ცნობასა (831).

ერთი შეხედვით, გაუგებარია, რად სჭირდებოდა ცხენით მიმავალ ავთანდილს მობრუნება, შემობრუნება. მხოლოდ იმისთვის, რომ ეთხოვა „მზისავე მზობა“ და ექვრიტა მზისათვის? ან როგორი შემობრუნებაა ეს, ცხენით უკან დაბრუნება თუ თავად მხედრის უნაგირზე შემობრუნება? რა საჭიროა ასეთი შემობრუნება სხეულისა, მხოლოდ იმიტომ, რომ კაცმა იაჯოს მზისავე მზობა? ან როგორ ხდება, რომ ფიზიკურ მზეზე მიშტერებული კაცი თავს კარგად გრძნობს, ხოლო თუ მოაცილებს თვალს, „მიჰხდის ცნობასა“? აშკარა შეუსაბამობაა. ეს „მობრუნება“ შემთხვევით რომ არ არის ამ სტროფში, იმიტომ ირკვევა, რომ შემდეგ სტროფში (832) იგი განმეორებულია:

ზოგჯერ დაბრუნდის, იქვრეტდის ღონედ პატიყთა თმენისად,  
რა გაემართის, არ იცის, მას თუ არბევდის ცხენი სად.

აქ კიდევ უფრო გარკვევითაა ნათქვამი შემდეგი: მობრუნება, დაბრუნება ავთანდილს სჭირდებოდა იმისთვის, რომ ექვრიტა, რათა მისცემოდა ძალა ტანჯვის მოთმენისა. ასეთ რამეს კი ფიზიკურ მზეზე მიშტერება ნამდვილად ვერ მისცემს ადამიანს, პირიქით, დიდხანს მზეზე მიშტერების შედეგად შეიძლება თვალთ დაუბნელდეს კაცს და ცნობაც დაკარგოს. აქ კი პირიქითაა ნათქვამი: „უქვრეტდის, თვალნი ვერ მოხსნნის, თუ მოხსნნის მიჰხდის ცნობასა“, „იქვრეტდის ღონედ პატიყთა თმენისად“. ერთი შეხედვით, გაუგებარი სიტუაციაა. მაგრამ აქ ყველაფერი ნათელი გახდება, თუ დავუშვებთ, რომ საუბარია არა ფიზიკური მზის ჰერეტიკაზე, არამედ სულიერი მზის ჰერეტიკაზე, მედიტატიურ სულიერ ჩაღრმავებაზე, ერთგვარ შინაგან, ჰერეტიკულ ლოცვაზე სულიერი მზისადმი, რაც იძლევა „ღონეს პატიყთა თმენისას“. ამგვარი დაშვების შედეგად გასაგები ხდება „მობრუნების“ მნიშვნელობაც. ეს მობრუნება ფიზიკური შემობრუნების მნიშვნელობით კი არ უნდა გავიგოთ, არამედ სულიერად. ეს არის ფიზიკურ-გრძნობადი სამყაროსათვის ზურგის შექცევა და მიბრუნება სულიერი სამყაროსაკენ, რომელშიაც არის სულიერი მზე. სულიერი მზის ჰერეტიკა შეუძლებელია ამ „მობრუნების“ გარეშე. ამ „მობრუნებას“ შორეულად ეხმიანება სიტყვა „მოქცევა“ *conversio*, რაც ნიშნავს აგრეთვე „მობრუნებას“. „მოქცევა“ სარწმუნოებისადმი ნიშნავს სულიერი მზერის მიპყრობას სულიერ სამყაროზე, მაშინ როდესაც მანამდე ეს მზერა ფიზიკურ სამყაროზე იყო მიპყრობილი. იოანეს სახარებაში არის ერთი სცენა, რომლის მიხედვითაც ცხადი ხდება ამ მობრუნების მნიშვნელობა. ქრისტეს ჯვარცმისა და საფლავად დადების შემდეგ მარიამ მაგდალინელი ეძებს მის გვამს იმ ბაღში, სადაც იყო საფლავი, და ამ დროს შეეყრება აღდგომილ მაცხოვარს, რომელიც მას თავდაპირველად მებაღე ჰგონია. მაცხოვარი დაუძახებს მას: მარიამ! და ამ დროს:

„მიიხილა გარე მარია (ე. ი. შემობრუნდა და იხილა) და ჰრქუა ებრაელებს: რაბბუნნი!“ ე. ი. ვიდრე მარია არ შემობრუნდა, მან ვერ იცნო სულიერი მზე, ქრისტე, რომელიც ზეგრძნობადად მოეწვინა მას აღდგომილ სულიერ სხეულში (იოანე XX, 14). ასე განმარტავს ამ ადგილს ეზოტერული ქრისტიანობა. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ლათინურ სახარებაში ამ ადგილას ნახმარია სიტყვა *conversio* (*Novum Testamentum, Secundum Jonnem*), რაც ნიშნავს ფიზიკურად „მობრუნებასაც“ და სულიერ „მიქცევასაც“. თუ განვიხილავთ ამ ადგილს პნევმატიკური თვალსაზრისით, რომელსაც ორიგენე ძირეულად თვლიდა, ცხადია მივხვდებით, რომ აქ მართო ფიზიკური შემობრუნება არ იგულისხმება.

ერთი მხრივ, ვეფხისტყაოსნის ამ თავში ნათქვამია, რომ ავთანდილისათვის მზის ჰერეტიკა იმდენად აუცილებელი იყო, რომ თუ იგი თვალს მოხსნიდა მზეს, ცნობამიხდოდა ეცემოდა. მეორე მხრივ კი იქვე ნათქვამია, რომ „ღამე აღხენდის, დღე სჭიდის, ელის ჩასვლასა მზისასა“ (840). აუხსნელი წინააღმდეგობა! თუ ფიზიკურ მზეზე ესოდენ დიდ იმედს ამყარებდა, თუ მისი ჰერეტიკოლონი იკრებდა, თუ უმისოდ ვერ ძლებდა, მაშინ რაღას ელოდა მის ჩასვლას, რატომ სჭიდა დღე და აღხენდა ღამე? მაგრამ საქმეც ის არის, რომ აქ სულიერი მზე იგულისხმება, რომლის ჰერეტიკა ღამით უფრო ძალუძს ადამიანს. აქ იგულისხმება „სიყვარულით აღსავსე მზე ღამისა“, ნოვალისის გამოთქმა რომ ვიხმაროთ. აი, რატომ არის ამ თავში ნახსენები „მზიანი ღამე“.

აქ ნათქვამია, რომ ავთანდილი ამ მობრუნებისას, ჰერეტიკისას, „იაჯდა“, ე. ი. ლოცულობდა, ევედრებოდა. ვის ევედრებოდა? ცხადია, მზიან ღამეს, ერთარსება ერთს, უყამო ჟამს და მის ხატს, სულიერ მზეს, ქრისტეს; უფრო სწორედ, ევედრებოდა ქრისტეს, რათა მას ეაჯა მზიანი ღამის, ერთარსება ერთის, უყამო ჟამის წინაშე მიჯნურთა ბედისათვის. აი, ეს იქნებოდა მზისავე მზობა, ე. ი. მზის ჰერეტიკის მზეობა. ამიტომ არის ნათქვამი ამ თავის დასაწყისში, რომ ავთანდილი „იაჯდის მისთვის მზისავე მზობასა“, „უკვრეტდის თვალნი ვერ მოხსნის“, ე. ი. ნათელხილვით სულიერად ჰერეტიკა სულიერ მზეს, „იკვრეტდის ღონედ პატიყთა თმენისად“, ე. ი. ეს მედიტაციური ჰერეტიკა და ლოცვა აძლევდა მას „ღონეს პატიყთა თმენისას“.

„მზიან ღამესთან“ დაკავშირებით უნდა ითქვას კიდევ შემდეგი. მართალია, ასეთი გამოთქმა სიტყვასიტყვით თითქმის არსად გვხვდება, გარდა პეტრე ლარაძის ცნობილი შაირისა დავით აღმაშენებლის შესახებ, მაგრამ ამ შაირზეც რუსთაველის გავლენა თვალსაჩინოა. მაგრამ „მზიანი ღამის“ შინაარსობრივად ანალოგიური გამოთქმები კი ჰარბად გვხვდება სასულიერო ლიტერატურაში. „მზიანი ღამე“, როგორც ზემოთ ითქვა, აპოფატური ანტინომიაა, რომელიც მიუთითებს გამოუთქმელ სამება-ერთარსებაზე. ამავე დროს ამ გამოთქმაში იგულისხმება მისტიკური გამოცდილება საღვთო ბნელში ნათლის ჰერეტიკისა, რომელსაც ახსენებს დიონისე არეოპაგელი და რომელიც უაღრესად კონკრეტული განცდა იყო ქრისტიანი მისტიკოსებისათვის და არა ცარიელი, ზოგადი ცნება. აი, რას ამბობს მაგალითად წმ. სიმეონ ახალი თეოლოგოსი ამის შესახებ: „მე ხშირად ვხედავდი ხოლმე ნათელს, სრული სულიერი სიმშვიდისა და მყუდროების ჟამს... შენ გამოუთქმელო, უხილავო, უცნაურო მამოძრავებელო ყოვლისა, რომელიც აღავსებ ყოველივეს, ჟამიდან ჟამზე შე-

ცხადებოდი დღისითაც და ღამითაც... შენ მეცხადებოდი, როგორც მეორე მზე, ჰო, გამოუთქმელი და ღვთაებრივი გულმოწყალება“<sup>61</sup>.

ახლა ვნახოთ „მზიანი ღამის“ ანალოგიური გამოთქმები ქართულ სასულიერო და საერო პოეზიაში, რომელნიც მართალია სიტყუასიტყვით არ ემთხვევიან „მზიან ღამეს“, მაგრამ იმავე შინაარსისანი არიან. უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ჰიმნოგრაფიაში ქარბად არის მსგავსი გამოთქმები, რომელნიც ემყარებიან იოანეს სახარებას („ნათელი იგი ბნელსა შინა ჩანს“... 1,9):

რომელმან განჰკვეთე, ქრისტე, პირშო სიბნელისა მის  
ნათლითა, რამთა გადიდონ მხოლოდ... (ძლისპირნი, გვ. 114).

მსგავსი გამოთქმები ხშირია აგრეთვე ოდებში:

უკუნთა მთენი, მზე მთოვარ მთენი  
მნათობჰყოფს ყოველ ქვეყანიერსა (გვ. ოზ.).  
ესძებნეთ ქნა რისთა? დღე ბნელ ქნარისთა  
მითუე ნათლითა დღე ქმნად ღამისა (გვ. პე).

ვინ აშენე ბრმათ, ვინა შენებრ მათ  
თვალთ შეუდგამი ნათელი ბნელი (გვ. რთ).  
უციოთა სწამა, მისგან იწამა  
ღამე დღის ფერად გაბრწყინებულად (გვ. რლა).  
რომელმან ღამე დღე ჰყო — ვსტქვა-ღამე  
ჰფენს უუქსა მზეებრ გათენებულად“ (გვ. რლბ).

ასევეა დავით გურამიშვილთანაც:

ვაქოთ, ვადიდოთ ვინაო?  
ღმერთი მაღალთა შინაო,  
ვინაე შეამყო ქვეყანა  
ღამე დღედ განაბრწყინაო (დავითიანი, დ-ნარი 1).

რაც შეეხება ქრისტეს, იგი ყველგან იხსენიება, როგორც მზე, მაგრამ არსად როგორც „მზიანი ღამე“, პირიქით, ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ იგი უბინდო მზეა:

რომლისა ქემან, უბინდოდ მზემან  
ლაშა-ყე გიმზო წარმართებულად (გვ. რლგ).

თუმცა შესაძლოა ეს მზე ღამითაც იხილვებოდეს, როგორც ზემოთ დავინახეთ. ასე რომ, მ. გიგინეიშვილის მტკიცება, თითქოს „მზიანი ღამე“ ქრისტეს ნიშნავდეს, მცდარია. ვეფხისტყაოსანში სულიერ მზეს, მზე-ხატს, ეწოდება აგრეთვე „სამყაროს მზე“, „სახე მზე“ და „ერთი მზე“. დავუკვირდეთ ჭერ „სამყაროს მზეს“:

ხმელთა მზეო, სამყაროსა მზისა ეტლთა გარდამსმელო (1007).

სიტყვა „სამყარო“, როგორც ზემოთ დავინახეთ, ნიშნავს უხილავ ცას, უზეშთაეს ცას, უძრავ ცას ანუ სულიერ ცას. „სამყაროს მზე“ არის სულიერი ცის მზე ანუ სულიერი მზე. ეს მით უფრო თვალსაჩინოა ამ ტაეპში, სადაც „სამყაროს მზე“ დაპირისპირებულია „ხმელთა მზესთან“ ანუ ფიზიკურ, ხილულ მზესთან, რომელსაც რუსთაველი უწოდებს აგრეთვე „სოფლის მზეს“ (1270). „სამყაროს მზე“, როგორც სულიერი მზე, გვხვდება ოდებშიც (შავთელისა და ჩახრუხადის):

<sup>61</sup> V. L o s s k y, დასახ. ნაშრომი, გვ. 226.

მზე დაუვალი, მყის დაუვალი,  
 არს შეიდი წნათი მას ზედ მოწამედ  
 წმინდად აქეს სული დასთა დასული,  
 სამყაროს ნათლად, არა თუ ღამედ (გვ. მთ).  
 ეგრეთ ინახის, შორით ინახის  
 ვით მზე — სამყარო მანათობელი (გვ. ლ).

ამავე დროს ეს სამყარო ღვთის სამკვიდრებელია:

ღვთის სამ-მზისა, ვინ ზესთ სამ ზისა  
 ეთერთ, სამყაროთ და ღრუბელთასა.

305-ე სტროფში კი ნახსენებია „სახე ერთი მზე“ მსგავსი მნიშვნელობით. საერთოდ ეს სტროფი ნამდვილი გასაღებია 836, 837-ე სტროფებისა:

მაგრა ღმერთმან მოწყალემან მით სახითა ერთით მზითა  
 ორი მისი მოწყალემა ღღესუა მომცა ამა გზითა  
 პირველ შეპყრის მოყვარულთა ჩემით რათმე მიზეზითა  
 კელა ნუთუმცა სრულად დამწეა ცეცხლთა ცხელთა ანაგზითა.

836, 837-ე სტროფებში ავთანდილი ევედრებოდა სულიერ მზეს, რათა მას ეაჯა ერთარსება ერთის წინაშე ავთანდილისა და თინათინის ბედთან დაკავშირებით, რათა ეს ბედი არ შეცვლილიყო, არ გამრუდებულიყო. გამოიჩვენა, რომ ღმერთს ამ მზის მეშვეობით ძალუძს ბედის შეცვლა ან არ შეცვლა ადამიანთათვის. 305-ე სტროფიც იმავეს გვეუბნება, კერძოდ, რომ მოყვარეთა შეყრა ან არ შეყრა, წყალობა ღმერთზეა დამოკიდებული, მაგრამ ყოველივე ამას ღმერთი ახორციელებს „სახე მზის“ ანუ „ერთი მზის“ მეშვეობით. „სახე“ იგივეა, რაც „ხატი“. ასე რომ, 305-ე სტროფი კიდევ ერთხელ ნათელყოფს 836, 837-ე სტროფების შინაარსს. მათში ნახსენები მზე-ხატის მნიშვნელობას.

რაც შეეხება „ნესტანის წერილში“ ნახსენებ მზეს, არც ეს არის „მზე — მნათობი“ მატერიალური გაგებით, ვინაიდან ნესტანს მისი ნახვის იმედი აქვს სიკვდილის შემდეგ. ეს არის არა ფიზიკური „მზე-მნათობი“, არამედ სულიერი სფერო მზისა, რომელიც ეზოტერული ქრისტიანული ასტროსოფიის (და არა ასტროლოგიის) თანახმად არის ერთ-ერთი საფეხური ადამიანთა სულეების ღვთაებისაკენ ზეალსელისა<sup>62</sup>.

<sup>62</sup> R. Steiner, *Supersensible man*, 1961, გვ. 57. ასტროსოფიის შესახებ იხ. I. Vander Meulen, () *планетных сферax планова «Рая» в свете астрософии*, изд. Mycarer, M. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ რუსთველოლოგთა შრომებში არ არის გათვალისწინებული ასტროსოფიის როლი ეფესისტყაოსანში. მკვლევარნი ხშირად იხილვენ ასტროლოგიურ წარმოდგენებს და უკავშირებენ მას რუსთაველის მსოფლმხედველობას, მაგრამ არავენ აქცევს ყურადღებას ასტროსოფიას: ამიტომაც ძნელდება გარკვევა ეფესისტყაოსნის ზოვ ადგილში, განსაკუთრებით ნესტანის წერილში.

ასტროსოფია თეოსოფიისა და ეზოტერიზმის განუყოფელი ნაწილია. ვანდერ მოილენის თქმით, იგი არის „სიბრძნე, რომელიც მიიღწევა მისტერიალური გზით, როდესაც სულიერ-მშეინვიერად აღზევდებიან მიწიერ სფეროზე, აღზევდებიან იმ კავშირებზე, მიმართებებსა და ინტერესებზე, რომელნიც პლანეტა მიწის ვიწრო სფეროს უკავშირდებიან. ამის შედეგად ადამიანი მონაწილეობას ღებულობს ზენა პლანეტურ სფეროთა (სულიერ სფეროთა) იღუმალ ყოფაში. დანტეს „სამოთხეში“ მოცემულია ეს სფეროები 7 ცის სახით. რაც შეეხება ასტროლოგიას, იგი სხვა თვალსაზრისზე დგას. მისთვის დედამიწა ცენტრია, იგი იკვლევს და იმეცნებს სხვა პლანეტებისა და თანაჯარსკვლაველების მოქმედებას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ირეკლებიან მიწის სფეროში... მისი ამოსაყალი წერტილია დედამიწა. მოკლედ რომ ითქვას, ასტროსოფია არის განხილვა ეარსკვლავეთისა ზეციური, სულიერი თვალსაზრისით, ასტროლო-

სულიერ მზესთან დაკავშირების ოკულტურ პრაქტიკაზე<sup>63</sup> მიუთითებს აგრეთვე ვეფხისტყაოსნის შემდეგი სტროფი:

ვთქვი: უჯამოდ არ წესია მოყვანა და მზისა ხმობა,  
 მომყვანელი გაშმაგდების და წაუვა ერთობ ცნობა,  
 ხმობა უნდა ეამიერად, სააჯოსა უოელსა თხრობა,  
 რად არ ეიცი ამა მზისა საუბრისა უჯამობა? (1142).

ამას ამბობს ფატმანი, როდესაც ნესტანს ადარებს სულიერ მზეს. ცხადია, ამ სტროფში ფიზიკური მზე არ იგულისხმება. გინაიდან შეუძლებელია მისი „მოყვანა“, მისთვის „სააჯოს თხრობა“, წარმოუდგენელია აგრეთვე, რომ მისმა „უჯამოდ მოყვანამ“ კაცი გააშმაგოს. ცხადია, აქ იგივე მზე იგულისხმება, რომელსაც 836-ე სტროფში აეთანდლილი სთხოვს, ბედსა ნუ მიცვლი, მიაჯეო. ამ უმნიშვნელოვანესი სტროფის ანალიზს ჩვენ სხვა დროს შევეცდებით, ამჯერად კი ვიკმაროთ მითითება იმ კავშირზე, რომელიც არსებობს ამ სტროფსა და 836, 837-ე სტროფებს შორის. ამრიგად, აქედანაც ჩანს, რომ ვეფხისტყაოსანში უეჭველია სულიერი მზის პლანის არსებობა.

მოცემული ნაშრომის ფარგლებში ამჯერად შეუძლებელია ვრცლად განხილვა სულიერი მზის ყველა ასპექტისა ვეფხისტყაოსანში: შეუძლებელია უფრო ფართოდ ჩვენება იმისა, თუ როგორ არის დაკავშირებული სულიერი მზე ვეფხისტყაოსნის სიუჟეტთან და კომპოზიციასთან, გმირთა სახეებთან, როგორ უნდა განვასხვავოთ მზის მეტაფორული ასპექტი მისი კონკრეტული არსობრივი ასპექტისაგან და ა. შ. ყოველივე ამის განხილვას ჩვენ სხვა დროისათვის შევეცდებით. ამჯერად კი გადავხედოთ ინგლისურ თარგმანებს. 836-ე სტროფი საკმაოდ ადეკვატურად უთარგმნია მ. უორდროპს. არ არის სწორად თარგმნილი „ერთარსებისა ერთისა“ და „უჯამო ეამისა“, რითაც იკარგება აპოფატური ანტინომიურობა სტროფისა. „ერთარსება ერთს“ მ. უორდროპი თარგმნის როგორც: „Who is one in unity of being“ (გვ. 190), უნდა იყოს „of one substance“<sup>64</sup>. „უჯამო ეამი“ თარგმნილია როგორც „Everlasting“ (მარადიული), რითაც აგრეთვე იკარგება ანტინომია. უნდა იყოს „Timeless Time“. „მიაჯე“ კი თარგმნილია როგორც „hear my prayer“ „ისმინე ჩემი ლოცვა“, რითაც იკარგება ძირითადი ნიუანსი. უნდა იყოს „pray for me“ ან „ask for me“. არასწორად არის თარგმნილი 831-ე სტროფის „იაჯდის მისთვის მზისავე მზობასა“: „he prayed, that he might find his sun-like one in sun-like beauty“ (გვ. 189), რაც დაახლოებით შემდეგს ნიშნავს: „იგი ლოცულობდა, რათა ეპოვნა თავისი მზის მსგავსი (მიჯნური) მზისებრ მშვენებაში“. როგორც ვხედავთ, ყოველად შეუსაბამო ფრაზაა. 832-ე სტროფშიც არასწორადაა თარგმნილი „იქვრეტდის ღონედ პატრეთა თმენისად“. „ქვრეტა“ თარგმნილია სიტყვით „to look“, რაც ფიზიკურ ყურებას ნიშნავს, უნდა იყოს „to contemplate“. სწო-

გია კი მიწიერი თვალსაზრისით. ასტროლოგიის მზე — მნათობი ერთი ასპექტია მზისა... ასტროლოგიის მზის ცა, ანუ მზის სულიერი სფერო კი — მეორე ასპექტი. რომელი თვალსაზრისი განაპირობებს რუსთაველის მიმართებას მნათობებისადმი? თუ ასტროლოგიის თვალსაზრისით განვიხილავთ მნათობთაღმი ჰიმნს და ნესტანის წერილს, უნდა გვახსოვდეს, რომ აუცილებელია მათი განხილვა ასტროლოგიის თვალსაზრისითაც. განსაკუთრებით კი ეს ეხება მზეს.

<sup>63</sup> ასტროლოგიური პრაქტიკა ძველთაგანვე განუყოფელია ოკულტური პრაქტიკისაგან, ოკულტური შემეცნების გზისაგან. -ხ. W. P. Rigg, *Astrology of the Mysteries*, London, 25. 19.

<sup>64</sup> H. A. Wolfson, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 327.

რად არის თარგმნილი „სამყაროს მზე“. „the sun of the firmament“, ოღონდ მთარგმნელს ვერ გაუგია თუ რას ნიშნავს „მზისა ეტლთა გარდამსმელო“ და უთარგმნია ისე, თითქოს ხმელთა მზე სამყაროს მზეს გზას უბნევს. „გარდამსმელი“ კი ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ნიშნავს „ამრეკლავს“, „განმამეორებელს“. 305-ე სტროფი კი საერთოდ არ არის მ. უორდროპისეულ თარგმანში<sup>65</sup>. 1142 სტროფს უორდროპი კარგად თარგმნის, ერთადერთი სერიოზული შეცდომაა „მომყვანელის“ „captor“-ად თარგმნა (გვ. 253). „captor“ ნიშნავს „დაპყერს“, რისი თქმაც ნამდვილად არ შეიძლება ისეთ ადამიანზე, ვინც უხმობს სულიერ მზეს, რადგან სულიერი მზის „დაპყერა“ შეუძლებელია.

ვ. ურუშაძეს თავის თარგმანში მთლიანად გადაუსხვაფერებია 836-ე სტროფი. მის ნაცვლად ვხვდებით ასეთ სტროფს: „იგი ამბობდა: „ო, მზეო, რომელიც, კეშმარიტად ხარ ხატი ყოვლისშემძლე(?) ღვთისა, ჩვენს მიღმა მყოფი ბრწყინვალეებისა(?) ღვთაებისა, რომელიც დროის გარეშეა, მარადიულია, ღმერთო, რომელსაც გმორჩილებს მთელი ზეცა, ნუ უკუაგდებ ჩემს ლოცვებს, გთხოვ, გვედრები, ნუ გასწირავ ჩემს ცხოვრებას, მისდამი ამაო ლტოლვაში(?)“ (გვ. 124). როგორც ვხედავთ, კომენტარები ზედმეტია. 837-ე სტროფში დაშვებულია უხეში შეცდომა (როგორც ჩანს, ზოგიერთი რუსთველოლოგის გაელენით) და ნათქვამია მზეზე, რომ მას მიმართავენ როგორც ღმერთს თილოსოფოსნი წინანი (გვ. 125). დედანში კი ნათქვამია „ვის ხატად ღმრთისად გიტყვიან“... ამის შედეგად უცხოელმა მკითხველმა რუსთველი შეიძლება ჩათვალოს სოლარულ წარმართად. „სამყაროს მზე“ ვ. ურუშაძის მიერ თარგმნილია არასწორად, როგორც „ჩვენი ცის მზე“ „sun from our heavens“ (გვ. 146), უნდა იყოს, როგორც ეტყვიტ, „Sun of the firmament“. აღსანიშნავია, რომ 305-ე სტროფი ვ. ურუშაძის თარგმანშიც გამოტოვებულია. 1142-ე სტროფიც სრულიად გადასხვაფერებულია ვ. ურუშაძის მიერ: „მე ვიფიქრე: ვინც შეეცდება, რომ მზე ამოიყვანოს შუალამისას, შეშლილია ექვგარეშე და სრულიად წართმეული აქვს ჰკუა-გონება“(1). სხვა არა იყოს რა „მზიანი ღამის“ სტროფის ავტორს არ უნდა მივაწეროთ ასეთი ნათქვამი, მაგრამ ვ. ურუშაძე, როგორც ჩანს, „მზიან ღამესაც“ უარყოფს, მისეულ 836-ე სტროფში ხომ საერთოდ გამოტოვებულია ეს გამოთქმა!

ახლა ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე გამოვიტანოთ გარკვეული დასკვნები.

<sup>65</sup> როგორც ზემოთ აღინიშნა, მ. უორდროპი თარგმნისას უმთავრესად ეყრდნობოდა „ვეფხისტყაოსნის“ დ. ჩუბინიშვილისეულ 1846 წლის გამოცემას, მაგრამ განცვიფრებას იწვევს ის ფაქტი, რომ სწორედ ამ გარემოცვაში ვხვდებით 305-ე სტროფი (გვ. 41), ოღონდ პირველ ტაბი ასე იკითხება: „მაგრა ღმერთმან მოწყალემან მით ცნობითა ერთი მზითა“ და არა „სახითა“. ასეთი ვარიანტი კიდევ უფრო უმაგრებს მხარს ჩვენს დებულებას, რომ აქ ლოგოსი იგულისხმება, ვინაიდან ლოგოსი სწორედ ცნობაა ღვთისა და არა მხოლოდ ხატი. ეს სტროფი ვხვდებით აგრეთვე დ. ჩუბინიშვილისეულ 1860 წლის გამოცემაში. მაგრამ არსებობს მე-19 და მე-20 საუკუნეების ზოგი გამოცემა, სადაც 305 სტროფი საერთოდ არ გვხვდება, ასე მაგ., 1888 წლის გ. ქართველიშვილისეულ 1903 წლის გამოცემაში და სხვ. ძნელი სათქმელია, თუ რა მოსაზრებით გამოტოვა მ. უორდროპმა ეს სტროფი, მაგრამ უნდა ითქვას რომ ეს უმნიშვნელოვანესი სტროფია და უნდა აღდგეს ვეფხისტყაოსნის ყველანაირ გამოცემებში, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ ხელნაწერში „გარდამსმელოს“ ნაცვლად იკითხება „გარდამრთმელო“, რაც უფრო სავარაუდოა და უფრო რუსთველისეულია. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ფაქტზე ჩვენ მიგვიითია მ. კარბელაშვილმა, რისთვისაც მას მადლობას მოვასხენებთ.

როგორც აღინიშნა, 836-ე სტროფში ნახსენები „ერთარსება“ არის ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში და ქართულ სასულიერო მწერლობაში გავრცელებული ტერმინი, რომელიც *implicite* გულისხმობს „სამებას“. სამების პირთა ერთარსებობას, ხოლო „ერთი“ არის ქრისტიანული გაგების „ერთი“, რომელიც გულისხმობს ღვთის ერთბუნებოვნებას. „ერთარსება ერთი“ ქმნის ტრინიტარულ ანტინომიზმს, რაც დამახასიათებელია ქრისტიანული აპოფატური ღვთისმეტყველებისათვის, კერძოდ აღმოსავლური ეკლესიის მამების ნააზრევისათვის. ნეოპლატონიზმის თვალსაზრისით კი „ერთარსების“ ხმარება სიტყვა „ერთთან“ ყოვლად უსარგებლო ტავტოლოგიაა. იგი არაერთარ ანტინომიას არ ქმნის და ამდენად გამორიცხებულია მისი ხმარება ნეოპლატონიზმის თვალსაზრისით მოცემულ სტროფში, რომელიც აპოფატური ანტინომიზმის პრინციპზეა აგებული. „მზიანი ღამე“, „ერთარსება ერთი“, „უყამო ყამი“ აპოფატური ანტინომიებია, მათ არავითარი საერთო არა აქვთ კატაფატიკასთან, ვინაიდან ეს უკანასკნელი ინტელექტუალური, ცნებითი განსაზღვრების ძიებაა, ხოლო აპოფატია ნეგაციებისა და ანტინომიების გზით განთავისუფლებაა ამავე განსაზღვრებებისაგან, ინტელექტისა და ლოგიკის შეზღუდულობისაგან და უფრო მეტად ენათესავენ პოეტურ-მხატვრულ მეთოდს. კატაფატიკა ინტელექტუალური თეოლოგიაა, აპოფატია კი მისტიკური თეოლოგიაა. ეს არის გზა სპირიტუალური ქვრეტისაკენ, უშუალო მისტიკური გამოცდილებისაკენ.

836, 837-ე სტროფებში ნახსენები „მზე—ხატი ღმრთისა“ არის არა ფიზიკური მზე—მნათობი, არამედ მზის სული, ქრისტე. ლოგოსი, ძე, რომელიც არის „ხატი ღმრთისა უხილავისა“ ანუ მზიანი ღამისა, ერთარსებისა ერთისა, უყამო ყამისა. იგია ამავე დროს „მოაჯე“ უხილავი, უცნაური, უთქმელი ღვთაების წინაშე. „მზიანი ღამე“ არის ქრისტიანული ღმერთის აღმნიშვნელი აპოფატური ანტინომია. ამავე დროს იგი მიუთითებს ქრისტიანი მისტიკოსების მიერ „ღამით მზის ხილვაზე“ და ანტიკურ მისტიკურებში „შუაღამის მზის ხილვაზე“. „მზიანი ღამე“ ერთდროულად შეიცავს საღვთისმეტყველო და ეზოტერულ-ოკულტურ მნიშვნელობას.

ამრიგად, „მზიანი ღამე“, „ერთარსება ერთი“. „უყამო ყამი“ და „მზე—ხატი ღმრთისა“ ქრისტიანული გაგებებია, ისინი ვეფხისტყაოსანშიც ქრისტიანული თვალსაზრისით არიან ნახმარნი და გვიდასტურებენ მისი ავტორის ქრისტიანულ მსოფლმხედველობას.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)

ნესტან ლულავა

ვეფხისტყაოსნის „არსთა მხელი“

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ცალკეული გამოთქმა თუ ეპითეტი გენეტიკურად ძველ ქართულ სასულიერო მწერლობას უკავშირდება. მაგრამ ეს ეპითეტები თუ ხატოვანი სიტყვა-თქმანი კარგავენ თავიანთი პირველწყაროს ელფერს და ნაწარმოების იდეურ-შინაარსობრივი მიზანდასახულობის გამოხატველ ორიგინალურ სახეებად წარმოგვიდგება. მაგალითად, როგორც ცნობილია, რუსთაველის პოემის ზოგიერთი ეპითეტი ძველი ქართული სასულიერო პოეზიიდან იღებს სათავეს და მათი ახსნა მხოლოდ ძველი პოეზიის გათვალისწინების შედეგად არის შესაძლებელი.

პირველ რიგში აქ აღსანიშნავია ღვთაების გამოხატვის მრავალფეროვანი ლექსიკა. მართლაც, „ვეფხისტყაოსანში“ უზენაესი არსება სხვადასხვა ეპითეტითაა გადმოცემული. „ვეფხისტყაოსნის“ ღმერთი არის შემოქმედი, უკვდავი, უფალი უფლებათა, უზესთაესი ნათელი, ერთარსება ერთი, უქამო ქამი, მზიანი ღამე, უცნაური, უთქმელი, უოფილი, მყოფი, უხილავი, საფსება ყოველთა, მწყობრთა მწყობი, შეუცვლელი, ცხოველი, ყოველთა დამბადებელი, მოწყალე. პოემაში ღმერთი განსაზღვრულია აგრეთვე როგორც „არსთა მხელი“.

შოთა რუსთაველის პოემაში სიტყვას „მხელი“ სულ ოთხჯერ ვხვდებით:

1. როსტევან მეფისაგან გაპარულ ავთანდილს გამოქვაბულში მხოლოდ ასმათი დახვდა. ტარიელი ავთანდილის წასვლისთანავე სანადიროდ გაჭრილა და არ დაბრუნებულა. ძმაღნაფიცის უპირობით გულნატკენი და შეწუხებული ავთანდილი მის საძებრად მიეშურება და ღმერთს მიმართავს:

„... ღმერთო, რა შეგცოდე შენ, უფალსა, არსთა მხელსა,  
რად გამყარე მოყვარეთა, რად შემასწარ ამა ბელსა?  
ერთი ორთა მგონებელი ვარ საქმესა წარსაწყმედსა,  
მოკვადე, თავი არ მეწყალვის, სისხლი ჩემი ჩემსა ქედსა!“ (851)<sup>1</sup>.

ამ სტროფში ავთანდილი ღმერთს, „ვეფხისტყაოსნის“ უზენაეს არსებას, ახასიათებს როგორც „არსთა მხელს“.

2. თინათინი უცხო მოყმის გაუჩინარებით შეწუხებულ მამას ეუბნება:

„ჰე მეფეო, რად ემღურვი ანუ ღმერთსა ანუ ბელსა?  
რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხელსა?  
ბოროტიჲცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?“ (112,2—4).

თინათინი ღმერთს „ტკბილად მხელს“ უწოდებს.

3. ფატმანის მიერ ზანგი მონებისაგან განთავისუფლებული ნესტან-დარეჯანი თავის მხსნელს საკუთარ თავგადასაყვალს უმაღლავს, არ უამბობს:

<sup>1</sup> „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი მოგვყავს 1966 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით.

„... შენ ჩემთვის, დედაო, ხარ უმჯობესი დედისა,  
რას აქნევ ჩემსა ამბავსა, ზღაპარი არის ყბედისა!  
ღარიბი ვინმე, შემსწრობი ვარ უბედოსა ბედისა;  
თუ რაცა მკითხო, ძალიმცა გიგმია არსთა მხედისა!“ (1129).

უბედური ბედის მომსწრეს ნურაფერს მკითხავ, თორემ „არსთა მხედის“, ე. ი. უფლის, ღმერთის ძალის მგმობი იქნებიო.

4. და ბოლოს, მელიქ სურხავის სასახლეში მიყვანილ ნესტანს ხმა რომ ვერ ამოაღებინეს, მეფემ მზეთუნახავი ქალი ასე დაახასიათა:

„ანუ არის ბრძენი ვინმე, მაღალი და მაღლად მხედი,  
არცა ლხინი ლხინად ჴრანს, არცა ჳირი ჴედა-ზედი;  
ვით ჴღაპარი, ასრე ესმის უბედობა, თუნდა ბედი,  
სხვაგან არის, სხვაგან ჴრინავს, გონება უც ვითა ტრედი“ (1172).

აქ ნესტან-დარეჯანი დახასიათებულია როგორც ბრძენი, მაღლად მხედველი. „მაღლად მხედი“ თეოლოგიურ-ფილოსოფიური ტერმინია, რომელიც გულისხმობს სულიერი, პნევმატური (πνευματ, πyx) სიღრმეებას წვდომას, და მისი ამოსავალი არის ეზოტერული ქრისტიანული მოძღვრება.

როგორ უნდა გავიგოთ „არსთა მხედი“, „ტკბილად მხედი“ და „მაღლად მხედი“?

ვახტანგ მეექვსე „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარებში სიტყვას „მხედი“ განუმარტავდ ტოვებს. როგორც ჩანს. მწიგნობარ მეფეს იგი ჩვეულებრივ გასაგებ სიტყვად მიაჩნდა.

სულხან-საბა ორბელიანის „ქართულ ლექსიკონში“ ვხვდებით შემდეგ სიტყვებს: „მხედავი — ხედვის მოქმედი; მხედველი — თვალთ სქვრეტდეს; ყოველთა მხედველი (ღმრთაება); ხედვა — არს თვალის ჩენა, გინა საქმე საცნაური, გინა მეცნიერება; ხედი-ხედვად საცნაურსა საქმესა ეწოდების; ხედვად უწოდებენ ფილასოფოსნი მეცნეერებასა“<sup>2</sup>.

თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ ეს სიტყვა შემდეგნაირად არის განმარტებული: „არსთა, ე. ი. ყოველთა დაბადებულთა არსთა მხედველი არის ღმერთი უფალი და გულისა და გონებისა მჩხრეკელი. ყოველივე არსთა ბუნებაცა და ვითარებაცა უწყის მან და საქმენი მათ ყოველთა“<sup>3</sup>.

ვ. ბერიძე 851-ე სტროფის პირველ ტაეპს ასე განმარტავს: „ამბობს (იგულისხმება ავთანდილი. — ნ. ს.): ღმერთო, რა შეგცოდე შენ, უფალსა, არსებაო მხედველსა“<sup>4</sup>.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა ლექსიკონებში სიტყვა „მხედი“ განმარტებულია როგორც მხედველი, შემხედველი; ყოველივე არსებულის, ყველა არსებობის მხედველი (იუსტ. აბულაძე, ნ. ნათაძე).

ზოგიერთი მკვლევრის მიხედვით, „არსთა მხედი“ პოემაში გამოყენებულია ღმრთეების ზრუნვისა და განგების სრული მნიშვნელობით. „არსთა მხედი“ არის არსებათა მომვლელი, არსთათვის მზრუნველი ღმერთი. იგი არის განგება. რამეთუ ღმერთი, რომელიც „არსთა მხედია“, არის სახიერი, ყოვლად ქე-

<sup>2</sup> ს.ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, I, თბილისი, 1966, გვ. 549; II, თბილისი, 1966, გვ. 418.

<sup>3</sup> თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გ. იპედაშვილის რედაქციით, თბილისი, 1960, გვ. 136.

<sup>4</sup> ვ. ბერიძე, ვეფხისტყაოსნის კომენტარი, ს. ცაიშვილის რედ., თბილისი, 1974, გვ. 249.

თილი, ამიტომ ზრუნავს იგი ყველა ქმნილებისათვის, იცავს და ინახავს ყოველივეს, შემწეობას აღმოუჩენს ყველას, მართავს და განაგებს ყოველადობას და თვითვე ქმნილებას. ამიტომ არის „არსთა მხედი“ ღმერთი კეთილად მხედი, „ტკბილად მხედი“, როგორადაც გვაცნობს თინათინი ღმერთს მამასთან საუბარში: „რად დასწამებ სიმწარესა ყოველთათვის ტკბილად მხედსა?“ (112,3) „ტკბილად მხედი“ ღმერთი არის კეთილად მომპყრობი, კეთილად მზრუნველი ღმერთი და იგი არის განგება, რომელსაც არ შეიძლება დაეწამოს, რომ იგი — ეს სახიერება და თვითსახიერება — რაიმე სიმწარეს ქმნიდეს.

ცნება „ტკბილი“ ქართულ ბიბლიასა და ქართულ სასულიერო მწერლობაში ღმერთის სახელად იხმარება. „ტკბილად მხედი“ არის ღმერთი კეთილი, ანუ, ეფრემ მცირის სიტყვით, სახიერი, რომელიც ყოველთა მიმართ ზრუნავს და ეს ზრუნვა მის განგებაშია.

მაშასადამე, „მხედს“ „ვეფხისტყაოსანში“ აქვს მხედველის მნიშვნელობა, მაგრამ ეს უბრალო შემხედველი ან დამნახველი კი არ არის, არამედ სულიერი განჭვრეტის უნარის მქონეა, შინაგანი ხედვის შემძლებელი.

როგორ უნდა გავიგოთ მოცემულ კონტექსტებში „არსი“?

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, არსი არის მყოფი: „მყოფი ზოგადი სახელი არს ყოელთა მყოფთა. ხოლო ესე მყოფი განიყოფების არსებისა მიმართ და შემთხვევითისა. არსება უკვე არს თავით თვისით მყოფი და არა მოქნენ სხვისა შემტკიცებისა მიმართ (ესე იგი არს თავსა შორის თვისსა მყოფი); ხოლო შემთხვევითი არს არსებისა შინა ხილული, ვერ შემძლებელი თავსა შორის თვისსა ყოფისა, არამედ სხვისა შორის მქონებელი ყოფისა († ორნივე ესე მყოფი არს: აცა მყოფი არს, მაგრამ უგვარო)“<sup>5</sup>.

ვასტანგ შეექვსე „ვეფხისტყაოსნის“ განმარტებებში პოემის პირველი სტროფის შესახებ ამბობს: „ღმერთმან შექმნა ქუეყანა: ქუეყანასა მისცა ძალი თვისით ძლიერებით და ზეციდამ სული ცხოველი მოჰბერა რომელნიც მყოფნი ვართ“<sup>6</sup>. აქ ჩვენთვის საინტერესო სიტყვა „არსი“ მყოფად არის განმარტებული და აღამიანებს გულისხმობს.

ილია აბულაძე ძველი ქართული სასულიერო პროზის გათვალისწინებით „არსს“ განმარტავს არსებულად, მყოფად<sup>7</sup>.

ქართულ სასულიერო პოეზიაშიც „არსი“ არის მყოფი, არსებული, რომელიც ღმერთის მიერ არის შექმნილი:

„აჲ ესერა მდგომარე არს თქუნ შორის  
ყოველთა არსთა სიბრძნით დამბადებელი,  
ოვლადადებდა ერთა წინამორბედი“<sup>8</sup>.

„გამოუთქუმელი ღმერთი, ღმრთისა მამისა სიტყუაჲ დაუსაბამოჲ, ყოველთა არსთა არსებისა დაბადებულთა დაწყებისა დასაბამი“<sup>9</sup>.

„თვთმნათობი ნათელი დაუბადებელი, დაბადებულთა სიბრძნით დამბადებელი, არსება მხოლოე უცვალბებელი, ყოველთა არსთა არსებისა მიზეზი, უფალი უფლებათა მფლობელი, მთავარი მთავრობათა ზეცისათა“<sup>10</sup>.

5 ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, I, გვ. 64, 535.

6 „ვეფხისტყაოსნ-ს“ ვასტანგისეული გამოც., აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, გვ. სპშ.

7 ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1974, გვ. 10.

8 გ. მთაწმიდელი, გალობანი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, ს. ყუბანეიშვილის რედ., 1946, გვ. 352.

9 S—425. პიქაელ მოღრეკილის პიმნოგრაფიული კრებული, გვ. 474 (V—237), სტრ. 5—6.

10 იქვე, გვ. 146 (V—73), სტრ. 14—16.

„ღმრთეებაჲ სამებისაჲ მოგუესწაჲ ჩუენ, მართლადმსაარებელთა, და აღვიარებთ მას ყოველთა არსთა არსებისა მიზეზად“<sup>11</sup>.

„დაუსაბამოჲ ღმერთი გარეშეუწერელი, ყოველთა არსთა არსებისა მიზეზი, სამებაჲ ერთარსებით დიდებული მართლადმსაარებით ვიცანთ მორწმუნეთა“<sup>12</sup>.

„არსთა მფლობელმან და შემოქმედმან ღმერთმან განხრწნილთა უვნებლად დაგლახაკენ რა შეაცვთაჲ და ჩულებრ ტკრთული ქორცითა“<sup>13</sup>.

„სდევდ დიდებასა ნუ ყოფად ნუ ყოველსა მარადის არსსა და ნუ საგონებელსა, რამეთუ რამე სარგებელი ყოფად არს, ლომ კნინ თუ იყოს და ლომ მგონებელ იყოს, რომელ არს სახე ცუდად მზუაობრობისა“<sup>14</sup>.

„დიდ არს, რომელმან დაუტევნეს ღმრთისათვის მონაგებნი და, უპოვარებითა რაჲ ქორცთა აჩრდილი სცვალოს უკუდაეთა დასთად, იგი მოიგოს — დაუვსები ნათელი, არსთა თუალი და წყარო და მქცევი მათი“<sup>15</sup>.

ყველა ამ ნაწყვეტში „არსი“ არსებულს, მყოფს ნიშნავს, რომელთა დასაბამი, საწყისი ღმერთისგან მოდის, რომელთა მიზეზი შემოქმედი ღმერთია.

ი. პეტრიწის „სათნოებათა კიბეში“ არის ერთი იამბიკო, რომელშიც „არსი“ „უმყოფოდ“ არის განსაზღვრული.

„სოფლით სიელტოლა სრულთა არს ქეშმარიტად, რომელთა ესე აჩრდილი მოეჭულოს — უმყოფო არსი, სიზმარი ნაკსოვნები, აროდეს მდგომი, ცულადი და წარმავალი, მქონებელთა და უქონებელთა სწორი“<sup>16</sup>.

არსი ღმერთის მიერაა შექმნილი, ყოველი არსის არსებობის მიზეზი ღმერთია, ქრისტიანული ღმერთი, რომელიც არის ერთარსება, სამება. ქრისტიანული ღმერთი არის არსთა მფლობელი და შემოქმედი, არსთა მფლობელი ღმერთი არის ამავე დროს უფალი უფლებათა, მთავარი მთავრობათა ზეცისათა; ქრისტიანული ღმერთი არის ყოველი არსის სიბრძნით დამბადებელი, გამოუთქმელი. იგი არის არსის „მარადის მხედი“, ე. ი. მარადეამს მხედველი თვალთაც და სულიერი მქვერცთელიც. როგორც იოანე პეტრიწი ამბობს, ამ არსთა „თუალი და წყარო“ ღმერთია, რასაკვირველია, ქრისტიანული ღმერთი — სამება.

საინტერესო მოსაზრებას ვხვდებით დავით აღმაშენებლის „ვალობანი სინანულისანში“ არსის შესახებ. „ხატსა თვისსა მამსგავსე და საკრველად გრძნობადისა და გონიერისა მყოფობისად დამაწესე შენებრ არსთა სიტყუებისა ჩემ

11 იქვე, გვ. 19, (R—10). სტრ. 31—32.

12 იქვე, გვ. 443, (R—222), სტრ. 21—22.

13 იოანე დამასკელის საგალობელი, S—91, გვ. 56.

14 ვერემ მცირე. ასეულნი იამბიკონი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 366—367.

15 ი. პეტრიწი, სათნოებათა კიბე, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბილისი, 1968, გვ. 209.

16 ი. პეტრიწი, სათნოებათა კიბე, გვ. 169.

შორისცა შეკრებითა, ხოლო მე უმაღლო გექმენ“<sup>17</sup>. ღმერთმა ადამიანი რომ შექმნა, „ხატსა თვისსა ამსგავსა“ იგი, მასში შეაზავა ოთხი ელემენტის წყალობით გრძნობადი და გონიერიც. ადამიანი შუამავალია ზეცასა და მიწას შორის, მისი საშუალებით ხორციელდება კავშირი იდეალურისა მატერიალურთან. დავით აღმაშენებელი ამბობს, რომ ადამიანი უმაღლო ექმნა ღმერთს, რადგან მან ცნობადი ხის ნაყოფი იგემა. ამით იგი დასცილდა თავის პირველ ხატს და ბოროტებას დაუდო სათავე. ადამიანში წარმოდგენილია გრძნობადი სამყაროს ყოველი არსი: უსულო ნივთი თავისი ოთხი ელემენტით (ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი), მცენარე, ცხოველი. მასში ეს გრძნობადნი არსნი არა მხოლოდ გაერთიანდნენ, არამედ ზეგრძნობად სულიერ არსებებს დაუკავშირდნენ ადამიანისავე საშუალებით. ზეგრძნობადი სულიერი არსებანი, ღვთაებრივი არსნი კი ანგელოზები არიან, რომელთა ბუნება უხილავი და უკვდავია. ადამიანსა და ზეგრძნობად არსთ, ე. ი. ანგელოზებს, აკავშირებთ გონება, სიტყვიერება. საეკლესიო წოდების წარმომადგენლები ადამიანის ღვთის ხატისადმი მსგავსებაში ხედავდნენ ადამიანის სრულ უპირატესობას სოფლის ყოველ არსთან მიმართებით. ადამიანი თავისებურად ღვთაების მსგავსი მეუფეა. ამიტომ ამბობს დავით აღმაშენებელი ზემოთ მოყვანილ სიტყვებს. ქრისტიანული თეოლოგიის მიხედვით, „სიტყუებით“ აგვირგვინებს ადამიანი გრძნობადი სამყაროს იერარქიას და უერთდება „ზესთა სოფლის არსთ“, ე. ი. ანგელოზებს.

მაშასადამე, დავით აღმაშენებლის „არსი“ გამაერთიანებელია გრძნობადისა და გონიერისა, იგი შეიძლება იყოს ამქვეყნიურიც და ზესთა არსიც.

„არსის“ ნამდვილი მნიშვნელობის დადგენაში გვეხმარება თვით „ვეფხისტყაოსანი“. არის თუ არა პოემაში „არსი“ ყველა კონტექსტში ერთი და იმავე მნიშვნელობით ნახმარი და როგორია იგი.

საკითხის გასარკვევად ერთი გარემოებასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება, თუმცა მას გადამწყვეტი მნიშვნელობა დასკვნების გამოსატანად არ ენიჭება. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებში პროლოგს წინ უძღვის ნართაული სტროფი, რომელშიც ვკითხულობთ: „ვეფხობთ ვეფხისტყაოსნობით, არსსა შეიქს ხორც-არსულად“. როგორც ვნახეთ, ქრისტიანულ თეოლოგიაში „არსის“ მნიშვნელობა ფართოა. იგი უპირველეს ყოვლისა უხილავ, არახორციელ არსებებს მოიცავს, ხოლო შემდეგ ხორციელად არსებულთაც, ხილულ არსებებსაც. ნართაული სტროფის ავტორი კი სწორედ იმას უსაყვედურებს რუსთაველს, რომ ხორცი გახდა არსად, ხოლო ანგელოზები — ბიბლოურ-თეოლოგიური არსნი — უგულვებელყო<sup>18</sup>. თუმცა ამ სტროფს დასკვნების გამოსატანად ვერ დავეყრდნობით.

ახლა უშუალოდ ტექსტს შევეხებით.

1. ამჟამად არავინ დავობს იმაზე, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირველ სტროფში გამოთქმულია კრეაციონისტული შეხედულება სამყაროს შექმნის შესახებ.

<sup>17</sup> დავით აღმაშენებელი, გალობანი სინანულისანი, გალობა I; ტექსტი მოგვყავს ლ. გრიგოლაშვილის სადისერტაციო ნაშრომიდან: „ქართული ჰიმნოგრაფიის ისტორიიდან (დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“)“, თბილისი, 1972, გვ. 272.

<sup>18</sup> ამ საკითხს ეხება შ. ონიანის ნარკვევი: „ვეფხისტყაოსნის ერთი ნართაული სტროფის შესახებ“, შოთა რუსთაველი, საიუბ. კრ., ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტ. გამოც., 1966, გვ. 330.

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,  
ზეგარდმო არსნი სულითა ყენა ზეცით მონაბერითა,  
ჩენ, კაცთა მოგეცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერათა,  
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“ (1).

„ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველებაში“ „ზეგარდმო არსნი“ ორგვარადაა განმარტებული და ორივე განმარტების მიხედვით „არსნი“ ანგელოზებთანაა დაკავშირებული. თუმცა ამ კომენტართა სისწორეში თვით ავტორიც არ არის დარწმუნებული.

ა. გაწერელიას აზრით, „არსნი“ უთუოდ ანგელოზებს გულისხმობს: მკვლევარი იმოწმებს იოანე მტბევიარის საგალობელს: „რომელმან სიბრძნით დაჰბადნა ცანი მაღალნი ძალითურთ და შექმნა ქუეყანა ყოვლითურთ მკვდრითურთ“. ამ ნაწყევტს მოსდევს კომენტარი: „აქაც, საგალობელში, ასახულია ღმერთის („რომელმან“) მიერ ჯერ ცათა და ანგელოზთა („ძალითურთ“ ანგელოზებს ნიშნავს, „ძალნი“ — ანგელოსებს), შემდეგ კი — ქვეყნის შექმნა (მღრ. რუსთაველი: „ჩენ კაცთა მოგეცა ქვეყანა“). „ზეცის ძალთ“ იცნობს ჩახრუხაძე: XVIII, 101,1. „ვთქვი შიშით მკრთალმან: საღმრთომან ძალმან მობერა სიონს ბრძნად მეცნიერსა“. „საღმრთო ძალი“ რომ აქ ანგელოზია, ამას ადასტურებს მეორე ტაეპის სიტყვა „მობერა“. ყოველივე ამის შემდეგ აბსოლუტურად ნათელი უნდა იყოს, რომ რუსთაველის „ზეგარდმნო არსნი სულითა“ ანგელოზებია და იგი ღმერთმან „ყენა ზეცით მონაბერითა“. ორივე გამოთქმა ტიპიური ფსევდოდოქტრინისურია!<sup>19</sup> თუ ტექსტში „ზეგარდმნოს“ წავიკითხავთ<sup>20</sup>, რასაკვირველია, იგი განსაზღვრებად უნდა იქნეს მიიხეული სიტყვისათვის „არსნი“. „ზეგარდმნო არსნი“, მართლაც, სხვა რამ არ შეიძლება იყოს, თუ არა ანგელოზი, ზეციური არსება, მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ხელნაწერების მიხედვით, პოემის პირველ სტროფში ყველგან წერია „ზეგარდმო არსნი“, სადაც „ზეგარდმო“. როგორც ეს აღნიშნულია რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში<sup>21</sup>, მოცემულ კონტექსტში ზმნიზებად უნდა გავიგოთ, რომელიც აღნიშნავს მოქმედების მიმართულებას ზევიდან ქვევით და ნიშნავს ზემოდან, რაც მრავალჯერ დასტურდება სასულიერო მწერლობის ამა თუ იმ ძეგლში. მხოლოდ ძველ ქართულ სასულიერო თხზულებებში გვხვდება არა ზეგარდმო, როგორც ეს პოემაშია, არამედ შეუკუმშავი ფორმით „ზეგარდამო“.

„ვეფხისტყაოსნის“ შემდგომ კი ხშირია „ზეგარდმოს“ ხმარებაც. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს: „და ძალი მაღლისა ზეგარდამო გფარვიდა და გაგრილობდა შენ, რომელმან გვშევე სიტყუაჲ ღმრთისაჲ და მან დამაგნა მამასა განდგომილნი“<sup>22</sup>. „ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო, რომელნი უხუეებით განჰფინენ ნიქთაგან სულისა წმიდისათა, სახიერ, რომლისათვისცა უტყუნი ღმრთისმეტყუელებენ და სულელთა მიერ ჰრცხუნენა ბრძენთა სოფლისათა; სიღრმესა სიბრძნეთა შენთასა, მქსნელო, რომლითაცა აღიესნეს ზეგარდამო საღმრთო-

<sup>19</sup> ა. გაწერელია, რუსთაველის მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნების ზოგიერთი საკითხი, „ციცკარი“, 1970, № 8, გვ. 116.

<sup>20</sup> ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში მსგავსი ფორმა ჩვენ არ შეგვხვედრია.

<sup>21</sup> ზ. გამსახურდია, ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე, „მაინე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 2.

<sup>22</sup> S—425, გვ. 12, (V—6), სტრ. 25—27.

ნი შენნი ქადაგნი“<sup>23</sup> „რომელი ზეცით მამამან ქადაგებითა და სულმან წმიდამან ზეგარდამო მოსლვითა გწამა, კურთხეულ ხარ შენ, უფალო“<sup>24</sup>. მოცემულ კონტექსტებში „ზეგარდამო“ ზმნიზედაა და აღნიშნავს მიმართულებას ზევიდან ქვევით.

ასევე ანგელოზებს გულისხმობს „არსში“ რ. თვარაძე. იგი აღნიშნავს, რომ „არსნი“ ციური არსებანია<sup>25</sup>.

ზ. გამსახურდია „არსში“ ხედავს როგორც ზეციურ არსებებს, ანგელოზებს, ასევე მიწიერ არსებებს. სიტყვა „არსნი“ მხოლოდ ზენა იერარქიებს არ გულისხმობს, არამედ ყოველ არსს. „ხოლო სიტყვა „მონაბერმა“ არ უნდა გვაფიქრებინოს. რომ მაინცდამაინც იგულისხმება მხოლოდ კაცისათვის სულის შთაბერვა (დაბად. 2,7), ვინაიდან „საღმრთონი მობერვანი“ დიონისე არეოპაგელთან სწორედ იერარქიებთან დეკავშირებითაა ნახმარი. ასე რომ, აქ იგულისხმება არა მხოლოდ ზენა არსნი ან მხოლოდ არსნი ამა ქვეყნისა. არამედ ყველა არსნი. აქ რომ მხოლოდ იერარქიებზე ყოფილიყო საუბარი, იქნებოდა „ზესთა არსნი“. რაც შეეხება სიტყვას „ზეგარდამო“, პოემაშიც და ძველი ქართული ლიტერატურის სხვა ძეგლებშიც იგი მეტწილად იხმარება მიმართულების მნიშვნელობით, მისი სხვაგვარი ხმარება თითქოს არსად დასტურდება... ე. ი. შეიქმნენ ჯერ ზენა არსნი, შემდეგ კი ქვენა არსნი“<sup>26</sup>.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფის „არსნი“ არ უნდა იყოს მხოლოდ ზენა არსნი, ან მხოლოდ ამქვეყნიური არსებანი, იგი უპირველეს ყოვლისა არის არსნი ამა ქვეყნისანი და უნდა გულისხმობდეს ანგელოზებსაც, ზენა არსებებს, რამდენადაც მათი შემოქმედიც ღმერთია.

2. ტარიელის უშედევო ძებნით გადაქანცული ავთანდილი ამბობს:

„ყოვლნი არსნი ცათ ქვეშეთნი ერთობ სრულად მომიღლიან,  
მაგრა საქმე მის კარისა ვერასადა შემიგნია“ (189, 1—2).

„ყოვლნი არსნი ცათ ქვეშეთნი“ გულისხმობს ამქვეყნიურ არსს, დედამიწაზე მყოფთ. მასში არ შეიძლება ზეციური ძალები, უხილავი სამყაროს არსნი ვიგულისხმოთ. მაშასადამე. მოცემულ სტროფში „არსნი“ არის ამქვეყნიური არსებანი.

3. ავთანდილმა ვაჭართა ქარავეანი დალუპვას გადაარჩინა. ვაჭრები ავთანდილს უხდიან მადლობას. პასუხად ავთანდილი ამბობს:

„... მადლი ღმერთია, შემოქმედსა, არსთა მხადსა,  
ვისგან ძალნი ზეციერი ვანაგებენ აქა ქმნადსა,  
იგი იქმან ყველაყასა, იღუმალსა, ზოგსა ცხადსა.  
ხაშს ყოვლისა დაჯერება. ბრძენი სჯერა მოწვენადსა“ (1038).

აქ უზენაესი არსება, ღმერთი, იწოდება შემოქმედად და არსთა მხადად. რას უნდა ნიშნავდეს „არსთა მხადი?“ ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში ბიბლიის მიხედვით არის განმარტებული: „ხადა — ღმერთს მოუწოდა, გინა უაღრესსა“: „და „ხადილი — უაღრესთ მოწოდება“<sup>27</sup>.

<sup>23</sup> იქვე. გვ. 110. (V --55), სტრ. 13—16.

<sup>24</sup> იქვე. გვ. 186 (V --63), სტრ. 16.

<sup>25</sup> რ. თვარაძე, არეოპაგელი და რუსთაველი. „ციცქარი“, 1971, № 8, გვ. 143.

<sup>26</sup> ზ. გამსახურდია, „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე, „შაქნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 2, გვ. 42.

<sup>27</sup> ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, II, გვ. 410—411.

თეიმურაზ ბაგრატიონი „არსთა მხადის“ ნაცვლად კითხულობს „არსთა მხედს“ და განმარტავს: „არსთა მხედი — ყოველთა არსთა ხედავს ღმერთი მარადის და განაგებს“<sup>28</sup>. ცხადია, ეს განმარტება მოცემული შემთხვევის გასაანალიზებლად არ გამოდგება. ა. შანიძე ამ შესიტყვებას შემდეგნაირად ხსნის: „მხადი — მომყვანი, არსთა მხადი — არსებათა სიცოცხლედ მომყვანი, ქვეყნად გამჩენი“<sup>29</sup>. ვ. ბერიძე „არსთა მხადს“ არსთა გამჩენად მიიჩნევს<sup>30</sup>. ნ. ნათაძე „არსთა მხადის“ გაგების ორგვარ ინტერპრეტაციას გვთავაზობს: „1. მხადი — შემქმნელი. იგულისხმება: არსებობაში მომყვანი, ამგვარად, არსთა მხადი იგივეა, რაც შემოქმედი ღმერთი. 2. მხადი — მომწოდებელი; ღმერთი ყოველივე არსებულს — იერარქიულად დანაწილებული სამყაროს ყოველ საფეხურზე მდგომ არსებებს — თავისკენ მოუწოდებს. ყოველივე მისკენ, ღმერთისაკენ, მიისწრაფვის. ამ მოძღვრებას შეიცავს დიონისე არეოპოგელის შრომები, რომლებითაც რუსთაველი, საერთოდ უხვად სარგებლობს“<sup>31</sup>.

„ვეფხისტყაოსნის“ უკანასკნელი გამოცემის<sup>32</sup> ლექსიკონის მიხედვით, რომელშიც გაზიარებულია ა. შანიძის განმარტება, მხადი მომყვანს ნიშნავს, არსთა მხადი — არსებათა სიცოცხლედ მომყვანი, ქვეყნად გამჩენი.

„ვეფხისტყაოსნის“ „არსთა მხადი“ არსთა გამჩენს, არსთა შემქმნელს, არსთა მომწოდებელს უნდა ნიშნავდეს. ამ შემთხვევაშიც „არსი“ უპირველეს ყოვლისა ამქვეყნიური არსებანია, რომელნიც ღმერთის მიერაა შექმნილი, და ზენა არსნიც შეიძლება იგულისხმებოდეს იმდენად, რამდენადაც ანველოზებიც შესაქმნის შედეგია.

4. ვ. ქართუხუცესი უსენი ქეითის დროს მელიქ სურჩავს ასე მიმართავს:

..... ჰე მალალო ხელმწიფეო,  
ზეით შუქთა მომფენელო, მარჩენელო არსთა, მზეო!- (1156, 1—2).

რუსთაველი მეფეს „არსთა მარჩენელს“ უწოდებს. მარჩენელი ძველ ქართულში ჭირისაგან დაშხსნელს, გადამრჩენს ნიშნავს. აქ აშკარად ჩანს, რომ მეფე ყოფილა არსთა დამხსნელი, გადამრჩენელი, ხოლო მიწიერი მეფე შეიძლება მხოლოდ მიწიერ არსთა გადამრჩენ-მხსნელი იყოს. ასე რომ, მოცემულ კონტექსტში არსთა მარჩენელი უნდა ნიშნავდეს მიწიერ არსთა მარჩენელს, გადაპრჩენს.

5. გულანშაროს სამეფოდან გაპარული ნესტან-დარეჯანი ქაჯებმა შეიპყრეს, მაგრამ მისი ვინაობა ვერ დაადგინეს. ამიტომ როშაქმა მონებზე უბრძანა:

ნუ კითხავთ, აწ თურე არ-სათქმელია,  
ამისი საქმე უცხოა, საამბობლადუა ძნელია;  
ბედი მეფისა ჩვენისა არსთაგან სანატრელია,  
მით რომე ღმერთი მას მისცემს, რაც უფრო საკვირველია“ (1220).

28 თ. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, განმარტება..., გვ. 196.

29 ვეფხისტყაოსანი, „ჩვენი საუნჯე“, 111, „ნაკადული“, 1960, ლექსიკონი შეადგინა ა. შანიძემ. გვ. 317.

30 ვ. ბ ე რ ი ძ ე. ვეფხისტყაოსნის კომენტარი, გვ. 289—290.

31 ვეფხისტყაოსანი, ნ. ნათაძის რედ., 1974, კომენტარები, გვ. 535.

32 ქართული პოეზია, 11, ვეფხისტყაოსანი, „ნაკადული“, 1974, გვ. 434.

ე. ი. ჩვენი მეფის ბედი ყოველი არსისაგან, ამქვეყნიური არსებისაგან სანატრელიაო. ამ სტროფშიც „არსი“ არის ამქვეყნიური არსებანი.

განსილული მაგალითებით დაერწმუნდით, რომ „არსნი“ არ შეიძლება მხოლოდ ზეციური არსებანი, ანგელოზები იყოს. იგი გულისხმობს მიწიერ, ამქვეყნიურ არსთ, მყოფთ, რასაკვირველია, ზენა არსებებთან, ანგელოზებთან ერთად.

რადგანაც სამყაროს შემოქმედი არის ღმერთი, რასაკვირველია, იგი ხედავს თავის შექმნილ არსთ, როგორც ზეციურს, ასევე ამქვეყნიურს, მას აქვს განუყოფელი სამყაროს არსთა სულიერი ჰერეტიკის უნარი.

მაშასადამე. „არსთა მხედი“ არის ქრისტიანული ღმერთი და იგი არის ხილული და არახილული სამყაროსა და მათ არსთა მჰერეტელი და მხედველი სულიერად.

მხედი და მხედველი ღმერთის ატრიბუტად იხმარება ქართულ სასულიერო პოეზიაშიც.

„გნებაეს, გამოხუალ, არსსა ვით ჰხედავ, მარადის მხედი,  
უწყით, მუნ აღვალს, საგზოდ, ვინ აქა თუ ოდესცა ამას ჰყოფ“<sup>33</sup>.

ღმერთი არსის მარადუამს მხედველია, შინაგანი მხილველი, სულიერად განმჰერეტი, სადაც არ უნდა იყოს არსი, ან როგორც არ უნდა იყოს. ღმერთი არსის სულიერი სიღრმეების ჩამჰვდომია. „იხილა მხედველმან გონებათამან ღმერთმან წინადაწარვე სიწმიდე სულისაჲ შენისაჲ, ამისთვისცა ნათელ გარდაფენილიყო გონებაჲ შენი და აღგავსო სიბრძნითა მით საღუთოთა და მეტყუელებაჲ დაფარულთა საიდუმლოთაჲ მოგანიჲ“<sup>34</sup>. ყოვლისმხილველი ღმერთი წვდება სულის სიწმიდეს, რომელიც ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანებისათვის ძნელად აღსაქმელია.

ღმერთი ყოვლისმხილველია, მაგრამ თვითონ უხილავია. ყოვლისმხილველობა ღმერთის ერთ-ერთი თვისებაა, რომელიც მას განასხვავებს მის მიერ შექმნილი არსებებისაგან. ღმერთი ამქვეყნიური და იმქვეყნიური მოვლენების მხილველია:

„სიკეთედ ჰგონებდ წესსა საცნობელთასა,  
რომელთა-იგი ღირსად იცნობებოდის.  
ხედვათა მიერ ტკბილთა გონებისათა,  
ხოლო კელთაგან გალობით მოწერილსა  
უშუშრ ჰყოფს საცნობელთა უწესობებაჲ“<sup>35</sup>.

საღმრთო ხილვა იხსნის ადამიანებსაც ამქვეყნიური ცოდვებისაგან:

„ღღეს გონებისა ფრთითა თავ-განწირულთა,  
ამაღლებულნი ნათელთაგან სოფლისათა,  
სიდიდისა მას ნათლისა მოვიწინეთ,  
აღუფრინდეთ ზეცად ხილვითა მით საღმრთოთა,  
მკსნელ, ამხმელი ცოდეთა სოფლისათა!“<sup>36</sup>.

<sup>33</sup> ი. ბეტრიჭი. სათნოებათა კიბე, გვ. 167.

<sup>34</sup> ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი კრებული ალაპებიოურთ, საეკლესიო ნუზეუშის გამოც. ტფილისი, 1901, გვ. 2:1—212.

<sup>35</sup> ეფრემ მცირე, ასეულნი იამბიკონი, 24, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 376.

<sup>36</sup> გ. მთაწმიდელი, ვალობანი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 352.

ღმერთი სიწმიდით ავრცობს სულის სახედველს: „შენ ხარ ქრისტე ღმერთი ჩემი, რომელმან კორცნი განსწმიდენ გულის სიტყუათაგან, და განაერცენ სულისა სახედველნი სიწმიდით, და განადიდეს სიპართლეს მოლოდებითა ნიჭთაჲთა, და იყავ ღვთისა სათნოდ და ქელთ დასხმითა სნეულთა ზედა მსგავს იქმენ ღვთისა, კაცთ მოყუარეო“<sup>37</sup>.

ღმერთი, ცხადია, ყოვლისმხილველია, სულიერი ქვრეტის უნარით არის მოსილი; მაგრამ სულიერ ქვრეტას, აღხილვას ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანებიც მიესწრაფვიან. სულიერი შინაგანი ხილვის შესახებ ქართველი ჰიმნოგრაფები გვესაუბრებიან. იოანე ქონქოზის ძე ქრისტეს ნათლიანების საგალობელში იოანე ნათლისმცემელს მიმართავს: „რომელმან შინაგანნი სახედველნი საღმრთოჲთა ხილვითა წმიდა ჰყვენი, წინამორბედო, შენგან ნათელსღებულსა დღეს მოსწრაფედ შეუდგა ჰაბო და მისთვის სიკუდილი დაითმინა“<sup>38</sup>.

დავით აღმაშენებელი ქრისტიანულ ღმერთს შესთხოვს, რომ შეაძლებინოს მას, მოკვდავ ხელმწიფეს, სულიერი სიღრმეების წვდომა: „მარტო, სრულ, სამ-მზეო, ერთცისკროვნებაო, განმინათლე მხედველობითი სულისაჲ, რაჲთა გიხილო ნათელი ნათლითა უფლისაჲთა სულითა ღმრთისაჲთა ძე გამოგვბრწყინვო მაშინ დაუსრულებელთა საუკუნეთა“<sup>39</sup>. „არაჲ უხილაეს მზესა ქალწული დედაჲ თვნიერ შენსა, არცა ჩემოდენ ბრალეულსა ნათელი მისი, გარნა მე შეხითა ოხითა, დედოფალო, ვესაჲ ხილვად ნათელსა ძისა შენისასა და ნათელსა ზეშთა საუკუნეთასა“<sup>40</sup>.

მ. გიგინეიშვილი აღნიშნავს, რომ 'ხეგრძნობადი განცდის გამომხატველი გარკვეული ტერმინები შეინიშნება ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შრომებში: „საღმრთოჲ ხილვაჲ“, „საღმრთოთა ხედვათა მიმართ აღპყრობილებაჲ“, „ზეშთა სოფლისაჲ და თვალითა მიხედვაჲ“, „განღმრთობილთა გონებათა შეერთებაჲ ნათელსა მას ზეშთა ღმერთთაჲსა“<sup>41</sup>. „ხოლო საცნაური რაჲ იგი მისი ნათელთ-მოცემაჲ უვნებელსა და უნივთოსა გონებასა შევიწყნაროთ და ზეშთა-გონებისა შეერთებითა ზეშთასაჩინოთა მათ შარაჲანდედთა უცნაურითა და ხეტარითა მოფენითა უსაღმრთოესსა მას მსგავსებასა მივიწინეთ ზეშთაცათა მათ გონებათასა“<sup>42</sup>. „საღმრთო ხილვის“ გვერდით ფსევდო-დიონისე არეოპაგელი „აღხილვასაც“ ხმარობს, ხოლო ძველ ქართულ სასულიერო და საერო მწერლობაში „აღხილვის“ პარალელურად „აღმართ ხედვაც“ გვხვდება.

ეფრემ მცირეს „ასეულ იამბიკონში“ ხედვა განსჯის, განხილვის მნიშვნელობით იხმარება:

„საქმე უფროჲს სათნო გიხნს გინათუ ხედვაჲ,  
ხედვა სრულთა საქმე არს საქმე მრავალთაჲ,

37 II. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, Москва — Ленинград, 1940, გვ. 150.

38 S—425, გვ. 177 (R—89), სტრ. 31—32.

39 დავით აღმაშენებელი, გალობანი სინანულისანი, ლ. გრიგოლაშვილის დასახ. შრომიდან, გვ. 278.

40 იქვე.

41 მ. გიგინეიშვილი, „მზიანი ღამე“ ვეფხისტყაოსნისა და ქრისტიანული მსოფლ-მხედველობის ზოგი საკითხი, კრ. ძველი ქართული მწერლობის საკითხები, III, თბილისი, 1968, გვ. 50.

42 პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ს. ენუქაშვილის რედ., თბილისი, 1961, გვ. 9.

ორნივე ესე მარჯულ და საყუარელ,  
ხოლო შენ მას შეეყავე, რომლისათვისცა  
უმეტეს გაქუნდეს სურვილი გონებითა“<sup>43</sup>.

ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შრომის — „საეკლესიოჲსა მღღელთმთავე-რობისათვის“ — მიხედვით, „ხედვა“ თეორიაა, განსჯა და განხილვაა. ასე რომ, მხედველი და მხელი განმსჯელიც არის.

„ვეფხისტყაოსნის“ „არსთა მხედი“ ნიშნავს ქრისტიანულ ღმერთს, რომელიც შინაგანად ხედავს ყოველივეს, რაც არსებობს ზეცასა და დედამიწაზე, ე. ი. „არსთა მხედი“ არის ხილული და ადამიანთათვის უხილავი სამყაროს მხედველი, სულიერად განმკვერეტი. იგი არის აგრეთვე „ტკბილად“, კეთილად მხედველი. ამ შინაგან ხედვასა და კეთილობაში განგება არ ერევა. „ღვთის-მეტყველებაში“ აღნიშნულია, რომ „არსთა მხედი“ არის ქრისტიანული ღმერთი და ამდენად იგი არის განგება. მართალია, „არსთა მხედი“ ქრისტიანული ღმერთია, მაგრამ იგი განგება არ უნდა იყოს<sup>44</sup>. „ვეფხისტყაოსნის“ ღმერთი და განგება სხვადასხვა ცნებებია. „არსთა მხედი“ ყველას კეთილად ეპყრობა, ყველაზე ზრუნავს და სიკეთით აღსაესება, მაგრამ იგი განგებად პოემაში არ იწოდება. შოთა რუსთაველი ამ ორ ცნებას არ აიგივებს. ღმერთი „ვეფხისტყაოსანში“ არის უზუნაესი არსება, განგება კი ღვთის, ამ უზუნაესი არსების, ნებაა. ადამიანთათვის წინასწარ გადაწყვეტილი, რომლის არსებობის შესახებ ზოგადად, მართალია, იცის ადამიანმა, მაგრამ კონკრეტულად რაში მდგომარეობს ღვთის ნება, განგება, მისთვის უცნობი რჩება. განგება მოდის ღვთისაგან, ის არის ღმერთის ზრუნვა, მისი შემწეობა და მფარველობა კერძო პირის მიმართ, ამიტომ ღვთისა და განგების ცნებათა აღრევა არ შეიძლება. შოთა რუსთაველი სავსებით გასაგებად აღაპარაკებს ავთანდილს ანდერძში:

„არას გარგებს სიმძიმელი, უსარგებლო ცრემლთა დენა;  
არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა;  
წესი არის მამაციისა მოქირვება, ქირთა თმენა,  
არვის ძალ-უც სორციელსა განგებისა გარდავენა“ (786).

ე. ი. არაფერს მოგიტანს სიმძიმელი და უსარგებლოდ ცრემლთა დერა, რადგან ზეცაში გადაწყვეტილი მომავალი საქმე უეჭველად უნდა შესრულდეს, არ შეიძლება, რომ ის არ მოხდეს, ეს არის ღვთის ნება; მამაცმა უნდა მოითმინოს ყოველგვარი ქირი, რომელიც მოდის ზეციდან, ღვთის ნებით, რადგან ხორციელთაგან არავის, — ხორციელი კი არის ადამიანი, — მისი აცილება, ღვთის ნების, განგებულის, ღვთის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქმის გარდუვალად, არ ძალუძს.

ამას გარდა, თვით იმ სტროფში, სადაც ღმერთი „მხედად“ არის მოხსენიებული, ჩანს, რომ განგება და ღმერთი იგივეობრივი ცნებები არ არის. 112-ე სტროფში ღმერთი არის კეთილი შემოქმედი, რომელიც ბოროტს არ წარმოშობს და თუ ბოროტი არსებობს სამყაროში, მას არა აქვს ღვთისაგან საწყისი,

<sup>43</sup> ე ფ რ ე მ მ ც ი რ ე, ასეულნი იამბიკონი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 1946, გვ. 365.

<sup>44</sup> ღმერთის, უზუნაესი არსების და განგების იდენტურობის შესახებ აღრე თაეისი მოსაზრება წარმოადგინა მ. გოგიბერიძემ ნარკვევაში: „უზუნაესი არსების ცნება „ვეფხისტყაოსანში“, რომელიც პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“, 1941, № 5. მკვლევარს „ვეფხისტყაოსნის“ უზუნაეს არსებად მიაჩნია ღმერთი, რომელიც გონებისა და განგების სინთეზს წარმოადგენს.

დასაბამი, ამდენად იგი წარმავალია, ხანმოკლეა, რაც არაერთხელ აქვს გამოთქმული შოთა რუსთაველს პოემაში. ამიტომ არ უნდა დავემდუროთ არც ღმერთს და არც ბედს, არც ერთს არ დაეწამოთ „სიმწარე“. შემოქმედი ღმერთი არის „ტკბილად მხედი“ ღმერთი, სიკეთის შემოქმედი და მთესველი, იგი არ ქმნის ბოროტს. ბედი კი ხშირად არის ავისმოქმედი, როგორც გვაუწყებს ნესტანი: „ბედი უბედო ჩემზედა მიწყვი ავისა მქმნელია“ (1163.2). ბედი ხშირად იცვლება, დამოკიდებულია იგი ღვთის ნებაზე, განგებაზე, ამას ამბობს ავთანდილი ტარიელთან საუბრისას:

„არ თუ იცი, უგანგებოდ არა კაცი არ მოყვდების?  
ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხედების“ (893, 2, 4).

ე. ი. როგორც არ უნდა ეცადო, თუ ღმერთს არ უნდა, თუ ღმერთს არა აქვს განგებული და განსაზღვრული წინასწარ, ის საქმე არ მოხდება: თუ იქნება ღვთის, უზენაესი არსების ნება, მაშინ ბედის ცდაც გამარჯვებით დაგვირგვინდება.

ტარიელის ამაო ძებნით შეწუხებული ავთანდილი ამბობს:

„ულმრთოდ ვერას ვერ მოვანევ, ცრემლი ცუდად შედინების,  
განგებასა ვერვინ შესცელის, არ-საქმნელი არ იქმნების“ (188, 3—4).

აქედანაც აშკარად ჩანს, რომ უზენაესი არსება ღმერთია, რომლის განგებას, გადაწყვეტილებას ვერავინ ძეხორციელი ვერ შეცვლის. თუ ისევ თვით ღმერთმა არ შეცვალა.

განგებისა და ღმერთის სხვადასხვაობა „ვეფხისტყაოსანში“ სხვაგანაც დასტურდება.

მაშასადამე, ღმერთისა და განგების ცნებები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ღმერთი არის უზენაესი არსება, განგება კი მისი ნება, გადაწყვეტილება.

„ვეფხისტყაოსნის“ ღმერთი არის „არსთა მხედი“, პირველ ყოვლისა ამა ქვეყნის არსთა, ე. ი. ადამიანთა შინაგანად მხილველი, სულიერი განმკურნელი, მათი განმსჯელი, არსთა, რომელნიც მის მიერაა შექმნილი. და რადგანაც ზენა არსნიც. ანგელოზებიც. ღვთის შემოქმედების ნაყოფია, ამიტომ რუსთაველი ზენა არსთა სულიერ მკურნელსაც გულისხმობს მასში. იგი არის „ტკბილად მხედი“ ღმერთი, ქრისტიანული ღმერთი, — წმიდა სამება, — შემოქმედი ღმერთი, კეთილი. სახიერი ღმერთი, განსხვავებით ძველი აღთქმის ღვთისაგან, რომელიც დამსჯელია და შეუბრალებელი. განგება მასში იქედნად იგულისხმება, რამდენადაც იგი გამომდინარეობს ღვთისაგან. განგების მიხედვით ღმერთს შეუძლია ადამიანებს წინასწარ განუსაზღვროს მომავალი, ხოლო ამ უკანასკნელის შეცვლა შეუძლებელია ღვთის შემწეობის გარეშე.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
ისტორიის ინსტიტუტმა)

## გორის ღარშია

## ვეფხისტყაოსნის ნაკაშიძისეული ხელნაწერის ტიპის რედაქციის თავისებურებანი და მისი შექმნის დრო

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებში, — პოემის როგორც ძირითად ნაწილში, ისე გაგრძელებებში, — ერთმანეთთან განსაკუთრებულ მსგავსებასა და სხეებისაგან განმასხვავებელ გარკვეულ რედაქციულ თავისებურებებს ამჟღავნებს მ. ხაკაშიძისეული K (S—4499), რ. დათეშიძისეული O (K—205) და ა. ქავთარაძისეული G' (Q—796) ხელნაწერები<sup>2</sup>.

K და O ერთი პირის მიერ არის გადაწერილი<sup>3</sup>. ამ ფაქტსა და ამ ნუსხათა ტექსტების განსაკუთრებულ სიახლოვეზე ადრე მიუთითეს ს. კაკაბაძემ და იუსტ. აბულაძემ. ს. კაკაბაძე წერდა: „უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერები K და O გადაწერილი არიან ერთი და იმავე პირის მიერ ერთი და იმავე დედნიდან“. ეს „ორი ხელნაწერი თითქმის ასოგამოუკლებელივ მისდევს ერთმანეთს“<sup>4</sup>. იუსტ. აბულაძე O-ს შესახებ აღნიშნავდა: O-ს „ქალაქის ფილიგრანი სრულიად იგივეა, რაც F და K-ების... იგი, როგორც ხელით, ისე შედგენილობით, ძალიან გვაგონებს K ხელნაწერს და უნდა იყოს გადაწერილი ან ერთი და იმავე პირის, ან სხვა იმავე სკოლის წარმომადგენლის ხელით. ეს არის K ხელნაწერის პირი“<sup>5</sup>. ესვე გამეორებულია შემდეგაც: „ეგევე ითქმის O ხელნაწერის შესახებაც, რომელიც, როგორც ზემორე აღვნიშნეთ,... K პირს წარმოადგენს“<sup>6</sup>.

სტროფული შედგენილობის მხრივ K, O და G' ხელნაწერთა შორის ზოგიერთი მსგავსება აღნიშნა ს. ცაიშვილმა<sup>7</sup>.

ამ ხელნაწერთა ტექსტების იდენტურობას არაერთხელ უსვამს ხაზს ც. კარბელაშვილი. K და O-ს შესახებ იგი წერს: „ნაირკითხვათა განხილვისას ეს ორი ნუსხა უნდა განვიხილოთ ერთად, როგორც ერთი ხელნაწერი, იმდენად იდენტური არიან; მცირეოდენი შინაგანი განსხვავებანი აიხსნება დედნის ურგო ამოკითხვით ან მექანიკური შეცდომით, რაც საერთო სტილზე გავლენას არ ახდენს“<sup>8</sup>. „G' ხელნაწერი ვარიანტების მიხედვით KO-ს იდენტურია (თითქმის ასლი)“<sup>9</sup>.

ც. კარბელაშვილის დაკვირვებაზე დაყრდნობით G' არ ასახულა ვეფხისტყაოსნის 1966 წლის ვარიანტებიან გამოცემაში. წინასიტყვაობაში ა. შანიძე წერს: „ამ გამოცემის ვარიანტებში არ არის გათვალისწინებული F'G'L'Q' რადკანაც, როგორც ც. კარბელაშვილმა გამოარკვია, ერთი მათგანი, G', იმეორებს, ემნიშვნელო გადახვევების გარდა, KO-ს ტექსტს, დანარჩენი სამა (F'L'Q') კი — G ხელნაწერისას. ოღონდ GKO ხელნაწერებს თავში აკლია ცოტა და მხოლოდ ამ ნაკლის ფარგლებშია გამოყენებული მათი ტექსტის შემცველი F'G'L'Q' ხელნაწერები“<sup>10</sup>.

რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ისიც არის აღნიშნული, რომ KOG' ხელნაწერები დამოუკიდებელ რედაქციას ქმნის. მაგალითად, K და O ხელნაწერების შესახებ ს. კაკაბაძე წერდა: „ორივე ხელნაწერი დაწერილია მე-17 საუკუნეში... ერთი და იგივე პირის ხელით. ტექსტი ორივე ხელნაწერისა საერთოდ მისდევს ერთი მეორეს და ერთი და იგივე კატეგორიისაა. ასე რომ ჩვენ აქ გვაქვს საჭმე პოემის ერთ ცალკე რედაქციასთან“<sup>11</sup>. ამასვე აღნიშნავს იუსტ. აბულაძე: „ეს ორი ხელნაწერი ავსებენ ერთი მეორეს ხარვეზებს და ამნაირად იძლევიან სრულსა და სწორ წარმოდგენას იმ განსაკუთრებულ [ი] რედაქციის შესახებ, რომლის პირსაც ისინი წარმოადგენენ“<sup>12</sup>.

KOG'-ს ცალკე რედაქციულ ჯგუფად გამოყოფს ც. კარბელაშვილი<sup>13</sup>. ეს ხელნაწერები ასევე ცალკე რედაქციად არის წარმოდგენილი ერთ-ერთ სქემაზე ს. ცაიშვილის წიგნში „ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია“ (ტ I, სტემა № 2, გვ. 289).

ამ ავტორთა შრომებში მოყვანილი და გაანალიზებულია KOG'-ის თავისებურებათა მხოლოდ ცალკეული შემთხვევები. არ მოგვეპოვება და საჭიროა კი გვეჩვენოს ისეთი ნაშრომი<sup>14</sup>, სადაც ნაჩვენები იქნება ხელნაწერთა ამ ჯგუფის თავისებურებათა მასშტაბი.

წინამდებარე ნარკვევის მიზანია, აღნუსხული იქნეს ის ძირითადი რედაქციული ნიშნები, რითაც KOG' ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებიდან გამოიყოფა.

KOG' ხელნაწერები გარკვეულ თავისებურებებს ამჟღავნებს მთელი ვეფხისტყაოსნის მანძილზე როგორც სტროფული შედგენილობის, ისე სათაურების ადგილისა და საერთო ტექსტის წაკითხვების მხრივ.

ვეფხისტყაოსნის ძირითად ტექსტში KOG' უმატებს ორ სტროფს<sup>15</sup>: 379<sup>2</sup> („მოახსენა ვჰპოვე ვინმე...“) და 1322<sup>2</sup> („ჰკითხავს გინახავს იგი მზე...“) სტროფებს (უკანასკნელი K-ში მიწერილია). ხატაელთა ამბაეში უმატებს 7 სტროფს (სტრ. 1812<sup>1</sup>—1812<sup>7</sup>), ხვარაზმელთა ამბის შემდეგ — 18 სტროფისაგან შემდგარ ტარიელის ახალ ანდერძს (სტრ. 2024<sup>1</sup>—2024<sup>18</sup>). სხვა ხელნაწერები ამ სტროფებს არ იცნობს.

KOG' გამოირჩევა სტროფული თანმიმდევრობის მხრივაც. მაგალითად, ამ ხელნაწერებში ერთმანეთს ეხაცვლებიან 1598(1404) და 1599(1405) სტროფები. 1490(1304) სტროფი გადასკულია 1488(1302) სტროფის წინ.

მხოლოდ KOG'-შია სათაური 382(281), 651(508), 667(522), 704(553), 1758(1557), 1789(1586) და 1908 სტროფების წინ.

KOG'-ში გადასმულია მეორე და მესამე სტრიქონები 443(326), 525(391), 1722(1525) და 1890 სტროფებში, მესამე და მეოთხე სტრიქონები — 1376(1191) სტროფში.

ხელნაწერთა უმრავლესობის, მათ შორის,  
F და JT-ის წაკითხვები:<sup>16</sup>

102(73) დ. ერთგან  
139(94) გ. დახოცნა

KOG'-ის წაკითხვები:  
მხეტთა  
დაცვივდეს

<sup>11</sup> K და O დასაწყისში ნაკლულია. K-ს აკლია: 1—15(12), 34(26) — 48(36), 62(45) — 92(67), 105(75) — 118(82) სტროფები. O-ს აკლია (აღდგენილია): 49(37) — 68(51), 118(82) — 125(88), 164(113) — 220 (154), 240(169) — 297(213) სტროფები.

141(95) ბ. უქვრიტა	უყურა
224(157) დ. არ მოებრუნდე მომიგლოვე	აქა სამ წელ არ მოვიდე
310(223) გ. ხმას//კელა//დიდსა	მათ
312(225) ა. რითა; ფერიტა	ეითა; შავით
332(241) გ. ჩემითა	ადელილად(-ათ K)
დ. ადელილად	ფიცხლაღვე
387(286) დ. არ-საპურებია//მკლავ-მაგრებია	გულმაგრებია
442(325) ბ. ჰგეანდა იგი	ამეტებდა
446(329) ბ. ფაზარი სხდა კუბო დგა	ფაზარია სხედ კუბო
457(338) გ. ურჩ	უარ
491(362) ბ. ცხელისა//ხელისა	მწველისა
536(402) ბ. ვარსკელავთა	ლაშქართა
569(430) გ. მოზიდვიდესა	მოგზავნიდესა
628(486) გ. აწ	შენ
641(499) ა. შემოსტკერიტნა	შემოსტირნა
642 <sup>1</sup> ბ. შეუპყრა	შეუყრა
ტ45 დ. სხედლა//არცა	რადლა
664(519) გ. გარდმოსწვიმდა	გარდმოღერიდა
718(570) ბ. კელავ//მართ	მათ
866(707) გ. ქვეით	შორით
867(708) დ. მალვა მწადს	ეიშიშვი
868(709) ა. მესმა თქვენი ნაუზარი ვაეიგონე	კელაცა ჰკადრა ვაეიგონე შენ ამბავი
გ. დააგვანე	დავადარნე
886(722) ბ. შეიტანეს	შეიყვანეს
891(725) ა. წევს	ტირს
893(727) ა. იტყვის გულო	გულსა ეტყვის
911(745) ბ. რად	ეით (თვით G')
927(760) დ. ვაზირისა ცრემლმან ცხელმან ლაწენი	ეით ფრინველთა მხარნი ჩემნი მაგ
თეთრნი (ეარდი T) აახეწნა	სიტყვამან დამილეწნა
929(762) დ. ეითა (მან რა JT)	ამან
955(784) დ. კელავ (— JT)	ხამს
962(790) ბ. უმტკიეცისი	უმჯობესი
976 ა. მრავალი	ყოველნი
987(812) გ. მონა	ყმა
991(815) გ. ესეგვარსა ნუოდის იქ (ნუოდეს იქ ამას იქით T)	არვის მართებს სამძიმარი
995(819) დ. ვაზირი	ვაზრა
1012(835) ბ. ეთხზნა	ზღვა
1027(850) ბ. სასჯელი	სახელი
1028(851) გ. გაუღებულსა	მოსურვებულსა
1035(856) გ. ღმრთისა სწორნი//მეფე ჩვენი//დიღე-ბულნი	ჩემი მზრდელი
1038(859) ბ. გავადრო//გავადარო//დავიქარდო	დავადარო
1062(881) გ. მოთმენა	მოსმენა
1068(887) ბ. სიტყუითა//საქმითა	ქტევიტა
1099(918) დ. ბრალი	გაყრა
1106(925) დ. გაუგონნეს//გაუთაენეს	გაუსრულეს
1121(939) ა. გამეტადდეს	გადიადდეს
1125(943) გ. ალამნი//ელეანი	ნადენი
1145(962) დ. წვრილსა	ჩემსა
1147(964) დ. უშენოდ	რაზომცა
1158(975) გ. მიუზნობს	მიიმღერს
1166(983) გ. სარო	ალვა
1188(1005) ბ. საქებარითა	შვენეირითა

1196(1013) დ. დაუღებელი	თქვეს უთქმელია
1231((1047) დ. მისად//მისი	სრული
1243(1059) ა. საქმე	სიტყვა
1256(1072) დ. მისთა მკერეტელთა; მზედ//მზებრ	ვინმე ეაქარი(-რნი G); ძლიე
1294(1110) დ. მამიციადე მოგანახვებ//მოგახსენოს მო- იციადე	მოგანახვებ მამიციადე
1296(1112) ბ. ქეითა//წითელ	ტურფად (-ფა K)
1303(1118) ა. ლომი: მოყმე	მოყმე; უხვი
1322(1137) დ. ლვარმან	ლაწვთა
1343(1158) დ. ზედა რადმცა	რადმცა ზედა
1359(1174) ა. ტურფა	მთვარე
1381(1196) ა. მონათა	ხადუმთა
1386(1201) გ. ლომსა	ცხენსა
1399(1214) ა. სრულად	ცისა
1419(1234) დ. ლაწვსა	ჩარეცხს (ჩარცხის K)
1421(1236) დ. მსგავსი	წონა
1424(1239) ა. ფიცხლა ებიჯა	ებიჯა ფიცხლა
ბ. მეფისა ზღვათ იქით	ზღვას იქით მეფისა
1442(1257) ა. შეეკაზმა	მოემზადა
ბ. მხიარული	თვალად ტურფა
გ. ფატმან ნახა გაუკვირდა	გაუკვირდა დაინახა
1444(1259) დ. უხმო	უთხრა
1454(1269) გ. მიზეზი	ამბავი:
1470(1284) ა. მემართლების	მენიშნების
1473(1287) დ. არ ეგების	ნუ წამოვა
1483(1297) ბ. დადაგულისად	დაკარგულისად
გ. დაკარგულისად	დადაგულისად
1510(1323) ა. გულია	ვალთა
1511(1324) ბ. თმითა//სრულად	ვითა

1513(1325)—1587(1394) სტროფები O-ს აკლია (აღდგენილია).

1593(1400) ა. არ ვარგა	არა ხამს
1595(1402) ა. მეტი	უფრო
1608(1414) დ. ნობსა: ბუკთა	ბუკსა: ქოსთა
1629(1433) გ. იარა	იახლა
1637(1441) გ. აგვესენ	აგრევე (აგრეთვე K)
1642(1446) ა. მშობელი//იმედი	მოყვარე
1657(1461) გ. სარანგთა	მუნ ხასთა
1677(1481) ა. ჩემგან	ქადრე
1697(1501) ა. ქადრა მადლი	მადლი ქადრა
1725(1528) ბ. მდაბლად	მძიმედ
1758(1557) გ. არცა ნათლისა	ჩუქებისა ლალისა
1759(1558) დ. ათასი//ხუთასი	ცხრაასი
1760(1559) ბ. ძვირფასისა	არაბული
1777(1576) გ. გელმისო (გელისო F) საომრად (სალა- მად I') და თავი შენ (— F) მას ალაშე და სხვა.	გაყრასა გვილამის თვალთა წყარო სდის სალაშე

ვეფხისტყაოსნის გაგრძელებებში:

1791(1590) გ. ვარდი; ლალი	ლალი: ვარდი
1792(1591) ბ. ცრემლი	წყალი
1817(1612) გ. დაუმუნვებით	დაყოვნებით
1818(1613) გ. ნაცარსა	ნაზარსა
1831(1626) გ. რისხვა	წყრომა + J'
1832(1627) ა. მხურვალის	მტირალმან

1840(1635) გ. დამოსა და	ტანს დამოსა
1874 გ. და დაახშევს	ზედა დაახშევს
1877 დ. შუაღთა	მშვილდთა
1883 გ. თქვენ	აწ
1889 ბ. წესისა//წესია	გვირგვინი
დ. მიინდობს	მბრუნავი
1890 დ. მე ამის	ლალსა ბრძნად
1902 გ. გამეხებული//აკიდებული	ვახარებული
1909 გ. მათი აბჯარი//მათ მრავლად მოკუეეს//მო- კუეეს მათ მრავლად	მათ მოიხმარონ
დ. აეთანდილს ფრიდონს სურვილი უთქს ჩვენ- თვის ჟვალთა	ჩვენთვის ფრიდონ და აეთანდილ შე- ქნან სისხლისა
1910 დ. აეთანდილს წვრილად აცნობა	წვრილად აცნობა ძმადღიესა
1916 ა. თანა	გვერცა
1925 ბ. კარგთა	მათთა (მათდა G)
1929 ა. და	აწ
გ. ზელისა	ხლებისა
1940 ა. სვამ დამწვენ გლახ ცეცხლი	ვსვამ და ცეცხლი მწვენს
1945 დ. მიდგეს შორით	უოველთავე
1947 ა. ხმა ბუკთა	ბუკთა ხმა
1975 დ. ასრე//ესრე	ადრე
1982 ბ. მწყრომელნი	მსწრომელნი
1985 ა. მრგვლიე სპანი ზედ//ჯარი ზედან	გარე ჯარსა
1997 ბ. იყო	შენცა
2000 დ. გონიერო//შვენიერო	შენ მეცნიერო
2013 დ. ძნელსა	ბრძენსა
2018 ა. მოყვრითა//მოყვისითა	მოყვითა
2036 გ. ატლასა შინა დახვედეს	ატლას არ შეინახვედეს
2039 დ. სრულობით	სულობით
2046 დ. წითლობს	წითლობს
2064 ბ. რაეის//არეის	რასთვის
2067 დ. ამ სოფელსა//სოფლისაგან; წიგნი//სიტყვა	საწუთროსა; წინა
2068 ბ. სოფლისა შევენებითა	პირველნი შევენებანი და სხვა.

ნანუქასეული აეთანდილის ანდერძის (სტრ. 2070—2078, 2050—2056) 2050 სტროფის შემდეგ K-ს აკლია, OG' ხელნაწერები ამ ანდერძს არ იცნობს. ეს უკანასკნელი ასეთი სტროფული შედგენილობით მთავრდება; 2069, 2069<sup>1-2</sup>, 2109—2114. შემდეგ აკლია.

სათაურებში:

694(548), 0 აქა; შვილის მოსვლა	+ მოსვლა (მოსლვა G); შვილისა საქორწილოდ ინდოეთს
1269(1085), 0 წიგნი	+ სააშვიკო
1946, 0 ხუარაზმს წასულა და დიდი ომი	წასულა და ხუარაზმთ ომი
2025, 0 აქა	+ კიდეც

KOG' ხელნაწერებში, მცირე გამონაკლისის გარდა, სათაურები იწყება სიტყვით „აქა“. და სხვა.

KOG' ზოგჯერ გამოიყოფა იმ სტროფებშიც, რომლებიც მხოლოდ KOG'-სა და JT-შია:

JT-ს წაკითხვები:

KOG'-ის წაკითხვები:

294 <sup>1</sup> დ. მტერად მიგრაცხენითა	შეგვრა მტერად ცხენითა (O-ს აკლია)
642 <sup>1</sup> ბ. შეუპყრა	შეუყრა
791 <sup>2</sup> ა. ფრიდონ	კაცნი

791 <sup>3</sup> ბ. საროსა	შორსა
1185 <sup>2</sup> ა. ექიდრე	ექითხე
1204 <sup>2</sup> ბ. რას; და	არ; —
1322 <sup>1</sup> გ. სამისოდ	სამუნოდ
1450 <sup>4</sup> დ. გვანისა	გვირისა და სხვა.

KOG'-ისათვის სპეციფიკურად უნდა ჩაითვალოს ის ვარიანტებიც, როდესაც მას ემთხვევა გვიანდელი R' და T' ხელნაწერები<sup>17</sup>:

- 114(80) გ. ვერა ჰგავს ტყუვილად OG'T' (K-ს აკლია).
- 130(87) დ. თავი] დაწვან KOG'T'.
- 137(93) ა. მოიწურნა] მოიხონა KOG'T'.
- 151(102) ა. მივიდა] მიუღვა KOG'T'.
- 163(117) გ. მინეტარნეს] გამაზარნეს KOG'R'T'.
- ღ. გამაზარნეს] უკუმეარნეს (-რეს T) KOG'T', მინეტარნეს R'.
- 962(790) დ. შერთეა] წესია KOG'R'; მწყობისა] ცნობისა KOG'R'.
- 1451(1266) გ.კაცი ყველაი] ყოვლი (ყოველი G') სულდგმული KOG'R'.
- 1469(1283) დ. დამვედრეს] მივლია KOG'R'.
- 1811(1607) დ. მზე] მხნე KOG'J'R'. და სხვა.

იმ სტროფებში, რომლებიც K-ს აკლია, აქა- იქ გამოიყოფა OG', ხოლო, რომლებიც O-ს აკლია, — K. მაგალითები: ამჟამად მხოლოდ O-ში დასტურდება<sup>18</sup> 7<sup>1</sup> სტროფი („შენ გვედრები მაღალო...“). 69-ე სტროფში OG'-ში ერთმანეთს ენაცვლებიან მეორე და მესამე სტრიქონები.

**ხელნაწერთა უმრავლესობის  
წაკითხვები:**

**OG'-ის წაკითხვები:**

1 ა. ნათქვამია იგ	ეგრე ნათქვამი
გ. საერთა არ ახსენებს სამებასა ერთ-არსულად	სასმენელი შევნიერი გათარგმნული მით ქართულად
2 <sup>2</sup> ა. გვირგვინი	მეფობა O (არ იცნ. G')
7 ბ. ძალი მომეც	მომეც ძალი O (არ იცნ. G')
21 გ. საუბარი გაასრულოს	გააგრძელოს არ ამრგველოს
47(35) ა. საქმესა	+ და
69 გ. იზახოდეს	იმღეროდნენ
77(58) გ. სოგრატ ექითხოთ	ექითხოთ სოგრატ
107(76) ბ. მინდორი სისხლთა	სისხლსა ველთა
110(78) დ. მაშერალნი ორნივე	ორნივე გარდახდეს
2111 გ. მეტად	დიდად და სხვა.

იმ სტროფებში, რომლებიც O-ს აკლია (აღდგენილია), აღსანიშნავია შემდეგი: K-ში ერთმანეთს ენაცვლებიან 1554(1362) და 1555(1363) სტროფები. მხოლოდ K-შია სათაური 201(138) სტროფის წინ. 1561(1369) სტროფის მეორე სტრიქონი K-ში ბოლოს არის გადასმული.

**ხელნაწერთა უმრავლესობის  
წაკითხვები:**

**K-ს წაკითხვები:**

291(208) დ. კიდენით	დადენით
1515 დ. გულითა არს ღმერთისა	ადიდებს ღმერთსა გულ
1517 ა. ღრუბელი ცროდეს ბროლისა	ქვეყანა ღრუბელი ცროდეს
1520(1332) გ. იგონებდა	უკუღმავე
1521(1333) დ. მომახულითა	გამოწვდილითა (თავიდან „მომახული- თა“ ყოფილა)
1523(1335) გ. ჰგვანან	დგანან

1527(1338) გ. წამალი	ამბაეი
1528 დ. ნახა; გამოულო	რიდე; გამოიქცა
1531(1342) ა. ტირს ხმითა	ხმითა შით
ბ. აფრთხოვს; ბროლისა	აქროვს; გიშრისა
1544(1352) გ. ლალსა	ვარდსა
1549(1357) დ. ქირთა ლხენით	ცრემლთა დენით
1562(1370) ბ. აბჯარი	ზარდახშა (თავიდან ყოფილა „აბჯარ-სა“)
გ. ხრმალი ჩინასა	ჩინასა ხმალი
1570(1378) დ. შეიყარნეს	საშინელი და სხვა.

მართალია, აქა-იქ არის შემთხვევები K და OG'-ს შორის განსხვავებისა, მაგრამ იგი იმდენად მცირეა, რომ, ვფიქრობთ, ამ მაგალითთა უმრავლესობაში KOG' თავის დროზე ერთად იყო.

აი ეს არის ძირითადად ის თავისებურებანი<sup>19</sup>, რომლითაც KOG' წარმოგვიდგება როგორც ორიგინალური რედაქციის დამცველი ხელნაწერები.

როდის შეიქმნა ეს რედაქციული თავისებურებანი, ეს სტროფები, ეს ვარიანტები?

ამ ხელნაწერთა რედაქციული წარმოშობის დასადგენად ს. კაკაბაძე ერთ დროს იშველიებდა ვეფხისტყაოსნის პროლოგის ჩანართ სტროფებს:

შენ შექმენ დავით მაღალი, თვით მეფე დავითიანად,  
გონება დიდად მოწყალე, მართ ერთობ გულ-მოწყლიანად,  
მნათობთა ყოვლთა მხედველთა, ეითა მთა სანათიანად,  
უმისოდ მზეცა ვერ ნათობს, ვერც ლომი არს ნაკეთიანად (21).  
გვირგვინი, ტახტი, პორფირი ღმრთისგან გაქვს, სკიპტრა პირველი,  
ერთგულთა დიდად მოწყალე, ორგულთა რისხვით მჭირველი.  
შენდა სამონოდ მეფენი მოვლენ, სხვაგნისა მირ-ველი,  
ხამს, თუმცა პაპი პრომისა რომ შენთვის იყოს მჭირველი (22).

ამ სტროფების მიხედვით იგი KO ხელნაწერებს მე-14 საუკუნის ხელნაწერის პირად თვლიდა. მკვლევარი წერდა: „პოემის შესავალში ხელნაწერი O წარმოადგენს წართაულ ტაეპებს დავით მეფის შესხმით. ეს დავით მეფე, ჩვენის აზრით, უფრო უნდა იყოს მე-14 საუკუნის ნახევარში მცხოვრები საქართველოს მეფე დავითი, გიორგი ბრწყინვალის შვილი. ხოლო თუ ეს ასეა, ჩვენ მაშინ დასახელებულ [ი] ორი ხელნაწერის (K და O) სახით მივიღებთ წარმორჩენილად ვეფხისტყაოსნის მე-14 საუკუნის ხელნაწერს — არხიგეტს. რადგანაც ხსენებული ორი ხელნაწერი თითქმის ასოგამოუკლებლივ მისდევს ერთმანეთს, ამიტომ მათი დახმარებით ჩვენ საშუალება გვეძლევა სრული სისწორით წარმოვიდგინოთ. პოემის მე-14 საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერი — არხიგეტი“<sup>22</sup>.

როგორც აღაე კ. კეკელიძემ შენიშნა, ამ სტროფებიდან სრულებითაც არ ჩანს, რომელ დავით მეფეზეა საუბარი. თანაც, აქ შეიმჩნევა პერიფრაზი თეიმურაზ პიოველის ლექსისა „თამარის სახე დავით გარეჯას“<sup>21</sup>.

ჩვენს მხრივ უნდა დავუმატოთ, რომ ეს სტროფები არ არის მხოლოდ O-ს კუთვნილი. ისინი მოიპოვებიან აგრეთვე I-სა და F'L'Q' ხელნაწერებში<sup>22</sup> და არსაიდან ჩანს, რომ ისინი O-ს პროტოგრაფისა თუ არქეტეპის რედაქტორს ეკუთვნოდეს.

საერთოდ, რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში KOG' ერთ-ერთ ძველ რედაქციის დამცველ ნუსხებადაა მიჩნეული. ამ დასკვნის საფუძველია სტრო-

ფული შედგენილობის მხრივ მათი სიმოკლე და ამ მხრივ EFIRZ ხელნაწერებთან მსგავსება.

ეს უთუოდ საყურადღებო და ანგარიშგასაწევი საბუთით შემუშავებული შეხედულება ზოგჯერ უყოყმანოდ ვრცელდება მთელ ხელნაწერზე, მის ყველა მონაცემზე. უპირველესად ამის გამოა, რომ, არც ისე იშვიათად, KOG'-ის თავისებურებანი დედნისეულად არის ჩათვლილი. მაგალითად, მ. მახათაძის ახრით, ხატაელთა ამბავი სრული, დედნისეული სახით KO-შია დაცული. კერძოდ, ხატაელთა ამბის ავტორს მიაწერს 1812<sup>1</sup>—1812<sup>7</sup> სტროფებს, რომლებიც მხოლოდ KOG'-ში დასტურდება. იგი წერს: „ვეფქრობთ,... რომ ინდოხატაელთა გაგრძელება კ. ჭიჭინაძისა და საიუბილეო გამოცემებში (იგულისხმება პირველი, 1927 წლის საიუბილეო და მისგან მომდინარე გამოცემები. — ბ. დ.) წარმოდგენილია რედაქციულად შემოკლებული სახით, ხოლო მისი ავტენტური, სრული სახე წარმოდგენილია ხელნაწერებში K, 0“<sup>23</sup>.

KOG' ხელნაწერების თავისებურებათა შექმნის დროის განსაზღვრისათვის უტყუარ საბუთს იძლევა იოსებ თბილელის მიერ შეთხზული ტარიელისა და ნესტანის ანდერძი (სტრ. 2063<sup>1</sup>—2063<sup>34</sup>), რომლის დედანი დაცულია იოსებ თბილელისავე გადაწერილ ვეფხისტყაოსნის ე. წ. ზაზასეულ ნუსხაში, D-ში. ეს ანდერძი შესულია პოემის მთელ რიგ ხელნაწერებში, მათ შორის KOG'-შიაც. KOG' ამ ანდერძშიაც ერთად არის და, რაც მთავარია, წაკითხვებით აქაც ისევე გამოიყოფა, როგორც პოემის სხვა ნაწილებში. მაგალითები:

**D-ს წაკითხვები:**

- 2063<sup>1,0</sup> აქა კიდევ სხვა ანდერძი და სოფლის გმობა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა ტფილელის იოსების ნათქვამი დ. ძვრისანი
- 2063<sup>2</sup> გ. როსტევეანს უნდა
- 2063<sup>3</sup> გ. წაუხვეენ
- 2063<sup>5</sup> დ. დადნა
- 2063<sup>6</sup> ა. გამწირა
- 2063<sup>8</sup> დ. მგოდებდით
- 2063<sup>9</sup> დ. ვის მართლ მქვრეტლად გაქვს
- 2063<sup>13</sup> ბ. რამაზ  
გ. ძეთ ჩემთ რამე
- 2063<sup>15</sup> ა. წელულები  
გ. რჯანი
- 2063<sup>17</sup> დ. როგორც მე იკითხე მექნას
- 2063<sup>21</sup> დ. მიულე
- 2063<sup>30</sup> დ. წამებულთა
- 2063<sup>34</sup> ბ. მზებისა

**KOG'-ის წაკითხვები:**

- აქა კიდევ სხვა ანდერძი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისაგან სოფლის გამო
- თქმისანი
- როსტენს უნდოდა
- წაეართვი
- დანა
- გამწარა
- მგოდებით
- მართლად უქვრეტლეთ
- რამომ
- ძეთა ჩემთა
- წვეულმან
- ქარნი
- როგორც მე მექნას (-ქმნ-ც') კითხე
- ვასწი
- წამებულთა
- გზნებისა
- და სხვა.

ცხადია, KOG'-ის მთელი თავისებურებანი ამ დანართ ეპიზოდსა და პოემის სხვა ნაწილებში ერთდროულად, ერთი და იმავე რედაქტორის მიერ არის შექმნილი და შექმნილია მას შემდეგ, რაც დაიწერა და KOG'-ის პროტოგრაფში შევიდა ეს ანდერძი.

იოსებ თბილელის ამ ანდერძის დაწერის ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. არც ის ვიცით, იგი KOG'-ში უშუალოდ D-დან, თუ რომელიმე ადრინდელი ან გვიანდელი ნუსხიდან შევიდა. ერთი ცხადია: D გადაწერილია მე-17

საუკუნის 60-იან წლებში<sup>24</sup> და ეს ანდერძიც ამ ახლო ხანში უნდა იყოს შეთხზული<sup>25</sup>.

KOG'-ის თავისებურებათა შექმნის უგვიანესი თარიღის დასადგენად გამოდგება თვით K-სა და O-ს გადაწერის თარიღი. ეს ხელნაწერები ორივე უთარილოა. ქაღალდისა და ხელის მიხედვით მიღებულია, რომ ისინი მე-17 საუკუნის ბოლოს უნდა იყოს გადაწერილი. ამას კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის F ნუსხა. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, F, K და O ერთი და იმავე ხელით არის შესრულებული. ს. კაკაბაძისა<sup>26</sup> და იუსტ. აბულაძის<sup>27</sup> თანახმად, F-ისა და K-ს ჰვირნიშანი ერთია. F თარიღიანია; გადაწერილია 1688 წელს. K და O-ც ამ ახლო ხანში უნდა იყოს გადაწერილი.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ KOG' ხელნაწერთა ჯგუფის რედაქციული თავისებურებანი შექმნილია მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში, უფრო 70—90-იან წლებში.

### შენიშვნები

1. წაკითხულია მოხსენებად ლიტერატურათმცოდნეობის რესპუბლიკურ საკოორდინაციო საბჭოს VII სამეცნიერო სესიაზე 1973 წლის 26 დეკემბერს (თეზისები, გვ. 24).

2. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები ყველგან, მათ შორის დამოწმებულ ლიტერატურაშიც, დასახელებული გვაქვს „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ (თბ., 1960—1953 წწ.) ლიტერების მიხედვით.

ამ ხელნაწერთა მოპოვებისა და აღწერილობათა შესახებ იხ.: K-ს შესახებ: გაზ. „ივერია“, 10.IX.1888 წ., № 189, გვ. 1; ე. თაყაიშვილი, Описание..., II, 1908, გვ. 564—565 (გადაბეჭდილია მისსავე კრებულში: რჩეული ნაშრომები, I, 1968, გვ. 25—26); მ. ი. ივ. ე. მოგონებები, „მნათობი“, 1958, № 7, გვ. 168 (რჩეული ნაშრომები, I, გვ. 319); ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, გვ. 304—305; ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S) კოლექცია, V, თბ., 1967, გვ. 310—311; ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, II, თბ., 1970, გვ. 35—36.

O-ს შესახებ: ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, I, 1953, გვ. 378—380; ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფულ შედგენილობა, გვ. 306; ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, II, გვ. 71—72.

G'-ის შესახებ: ხელნაწერთა ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ახალი (Q) კოლექცია, II, თბ., 1958, გვ. 227; ს. ყუბანეიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა, გვ. 316; ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, II, გვ. 43—44.

3. რასაკვირველია, მხედველობაში არა გვაქვს ამ ნუსხათა აღდგენილი ნაწილები.

4. ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის მეორე გამოცემა, თბ., 1927, გვ. XI; აგრეთვე გვ. V.

5. ვეფხისტყაოსანი, იუსტ. აბულაძის მეორე გამოცემა, თბ., 1926, გვ. XVII (გადაბეჭდილია კრებულში: იუსტ. აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები, კრებული შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ი. მეგრელიძემ, თბ., 1967, გვ. 144).

6. ვეფხისტყაოსანი, 1926, გვ. XXIV; რუსთველოლოგიური ნაშრომები, გვ. 152.

7. ს. ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები, თბ., 1963, გვ. 43—44, 86—89, 130—133 (მცირეოდენი დამატებით გადაბეჭდილია მისსავე წიგნში: ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, 1970, გვ. 188—189, 230—233, 271—274, 289—290).

8. ც. კარბელაშვილი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორიის საკითხები, ხელნაწერთა შრომა, დატულია რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, გვ. 56.

9. ც. კარბელაშვილი, ვეფხისტყაოსნის მზეხათუნისეული რედაქციის ხელნაწერთა პროლოგისათვის, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, № 2, გვ. 44—45.

10. ვეფხისტყაოსანი. ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, I, შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი და ვარიანტები, თბ., 1966, გვ. 019.

11. ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო, „საისტორიო მოამბე“, I, 1924, გვ. 126 (დაყოფა ჩვენია. — ბ. დ.).

12. ვეფხისტყაოსანი, 1926, გვ. XCVI, რუსთველოლოგიური ნაშრომები, გვ. 145 (დაყოფა ჩვენია. — ბ. დ.).

13. ე. კარბელაშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კლასიფიკაციის ზოგიერთი საკითხი, წიგნში: შოთა რუსთველი, საიუბილეო კრებული, თბ., 1966, გვ. 339—350 და სხვა.

14. სკანდალი გვექონდეს აგრეთვე ისეთი ნაშრომიც, სადაც დეტალურად იქნება ნაჩვენები ამ ხელნაწერთა ურთიერთმიმართება. ამ თემაზე ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა შესწავლას ვერჩვენა, რომ K და O-ს საერთო პროტოგრაფი აქვს: შესაძლებელია, O უშუალოდ K-საგან მომდინარეობდეს, ხოლო G' გადაწერილი იყოს O-საგან. მაგრამ, ცხადია, ამ საკითხის გადასწავლად პოემის დანართები სრულებითაც არ არის საკმარისი; იგი მთლიანი ვეფხისტყაოსნის მიხედვით უნდა იქნეს შესწავლილი და გადაკრილი.

15. სტროფთა ნუმერაციაც აღებულია „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტების“ წიგნიდან, სადაც დიდი ციფრი აღნიშნავენ ვეფხისტყაოსნის ვრცელი გამოცემის სტროფთა სათვალავს (ვეფხისტყაოსანი, ჩანართი და დანართი ტექსტებით, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და საძიებელი დაურთო ს. უბანკიშვილმა, თბ., 1956), ხოლო მცირე, ფრჩხილებში მოთავსებული ციფრი — ვეფხისტყაოსნის 1937 წლის საიუბილეო და მისგან მომდინარე გამოცენათა (1951, 1953, 1957 წწ.) სტროფთა სათვალავს.

16. იმის გამო, რომ ვეფხისტყაოსნის გაგრძელებებში KOG'-თან ყველაზე უფრო ახლო არის H ხელნაწერი, შესაძარებლად ძირითადად მას მივმართავთ, რომელსაც მოტანილ წაკითხვებში, მცირე გამოჩაკლისის გარდა, მი'ყვება სხვა ხელნაწერებიც.

17. R'-ისა და T'-ის KOG'-თან მიმართება ცალკე შესწავლას მოითხოვს.

18. პროლოგში O საგარ რამდენადაც განსხვავებულია G' (მ. კარბელაშვილი, ვეფხისტყაოსნი: მზებნათუნისეული რედაქციის ხელნაწერთა პროლოგისათვის, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, № 2, გვ. 44—45).

19. მხედველობაში არ ყოფილა მიღებული ორთოგრაფიული, გრამატიკული და სხვა აპგეოო ხასიათის წაკითხვები.

20. ვეფხისტყაოსანი, 1927, გვ. XI.

21. ე. კეკელიძე, კიდევ ვეფხისტყაოსნის გარშემო, „მნათობი“, 1927, № 5—6, გვ. 173—174 (გადაბეჭდილია ავტორისავე კრებულებში: ეტიუდები, IX, 1963, გვ. 236—233, რუსთველოლოგიური ნარკვევები, 1971, გვ. 46—47).

22. ამ ნუსხებთან ახლო მდგომი K, G და R ნაკლულია.

23. მ. მახათაძე, რუსთველოლოგიური საკითხები, თბ., 1966, გვ. 270, აგრეთვე გვ. 295—296.

24. გ. ლეონიძე, ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი, ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935, გვ. 30—33 (გადაბეჭდილია ავტორისავე კრებულში: ძიებანი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1949, გვ. 317—321).

25. K ნუსხისა და KOG'-სეული ტარიელის ანდერძის (სტრ. 2024<sup>1-18</sup>) დასათარილებლად იოსებ თბილელისეული ტარიელის ანდერძი პ. ინგოროყვასთან კამათის დროს მოხმობილი აქვს ს. ცაიშვილს.

იმის გამო, რომ KOG'-ისეულ ტარიელის ანდერძში ტარიელი ანდერძს უტოვებს თავის შვილს სარიდანს, ხოლო ვეფხისტყაოსნის გაგრძელებათა გაგრძელებაში „ომანიანში“ მთავარი მოქმედი გმირია ამ სარიდანის ძე ომანი, პ. ინგოროყვა ფიქრობდა, რომ ტარიელის ეს ანდერძი შეთხზულია „ომანიანზე“ ადრე, 1600 წლამდე (პ. ინგოროყვა, რუსთველიანი, 1926, გვ. 22—24; გადაბეჭდილია: მისივე, თხზულებათა კრებული, I, თბ., 1963, გვ. 25—26).

ს. ცაიშვილმა მიუთითა, რომ სახელი „სარიდანი“ იხსენიება იოსებ თბილელისეულ ტარიელის ანდერძში (ჩვენი მხრივ უნდა დავეუბნოთ, რომ ეს სახელი იხსენიება აგრეთვე GQ'U' ხელნაწერებში ტარიელისა და ნესტანის გარდაცვალების ამბავშიაც, სტრ. 2069, 2). მასი აზრით, რაც ჩვენაც სარწმუნოდ გვეჩვენება, „სარიდანი“ პირველად უნდა ეხსენებინა „ომანიანის“ ავტორს და აქედან უნდა აედო იოსებ თბილელს (ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია, I, გვ. 247—249).

პ. ინგოროყვას ამ საბუთის გაბათილების შემდეგ, ეყრდნობა რა იმ ფაქტს, რომ K-ში შესულია იოსებ თბილელის ტარიელის ანდერძი, ს. ცაიშვილი თელის, რომ „K-ს დასასრული ძირითადში ზაზასული ხელნაწერის მიხედვითაა ჩამოყალიბებული“; რომ „აგო დასასრულით ამავე (D-ს. — ბ. დ.) ჭგუფის ხელნაწერებში შედის და თავის მხრივ უმატებს 18 სტროფისაგან შემდგარ ანდერძს“ (გვ. 246—247). აქედან გამომდინარე, მკვლევარი ასევე არის, რომ K „ხელნაწერი და მისი სპეციფიკური ანდერძი (სტრ. 2024<sup>1-18</sup>. — ბ. დ.) 1660-იანი წლების შემდეგ ჩანს ჩამოყალიბებული“ (იქვე. გვ. 246).

ეს საბუთი საყვებით გამოსადეგია ამ ხელნაწერის დასათარიღებლად, მაგრამ იგი იმ სახით, როგორც მოყვანილია, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს KOG'-ისეული ტარიელის ანდერძის (სტრ. 2024<sup>1-18</sup>) შეთხზვის დროის განსაზღვრისათვის, როცა ცნობილი არ არის, რომ იგი ეკუთვნის K-ს გადაწერს, ან მის რედაქტორს. ეგვე ითქმის K-სა და მის მიმდევარ OG'-ის სხვა საერთო თავისებურებათა შესახებ.

საქმე ის არის, რომ K-ს დასასრული D-ს მიხედვით ჩამოყალიბებული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ KOG'-ში შესულია იოსებ თბილელის ერთი ანდერძი, ამ ხელნაწერთა რედაქციული სახე ამით არ შეცვლილა. ხელნაწერთა ეს ჭგუფი D-სა და მის მიმდევარ ნუსხათაგან განსხვავებულია და თავის ძირითად რედაქციულ ჭგუფს მიჰყვება როგორც ამ ანდერძის წინა, ისე მომდევნო ეპიზოდებშიაც. ანალოგიური ვითარება არის AU ხელნაწერებში.

მეორეც, K და მისი მიმყოლი ხელნაწერები ბოლოს D-საგან რომც მომდინარეობდეს, არ გამოირიყვანს იმის შესაძლებლობას, რომ რომელიმე რედაქციას ამა თუ იმ ხელნაწერში სხვა რედაქციის ნუსხებიდან შექანიყურად დამატებოდა ესა თუ ის ეპიზოდი. როგორც ვთქვით, ასეა შესული K-სა და KOG'-ში იოსებ თბილელის ანდერძები და თავისთავად დაუშეზბელი არ არის, რომელიმე D-ზე ძველი, შემდგომ დაკარგული ნუსხიდან ასევე დამატებოდა KOG'-ის პროტოგრაფს ამაჟამად მხოლოდ ამ ნუსხებისათვის ცნობილი ტარიელის ანდერძი (სტრ. 2024<sup>1-18</sup>). ჭერ-ჭერობით ერთადერთი, რითაც იოსებ თბილელის ხსენებული ანდერძი უტყუარ საბუთს იძლევა KOG'-ის სპეციფიკური ანდერძისა და სხვა მის თავისებურებათა დასათარიღებლად, ის არის, რომ ხელნაწერთა ეს ჭგუფი იოსებ თბილელის ამ ანდერძშიაც ისეთ-სავე თავისებურებებს ამჟღავნებს, რასაც მთელი ვეფხისტყაოსნის მანძილზე, ამ ანდერძის წინა და მომდევნო ეპიზოდებში.

26. ვეფხისტყაოსანი, 1913, გვ. 11.

27. ვეფხისტყაოსანი, 1926, გვ. X, XVII (რუსთველოლოგიური ნაშრომები, გვ. 138, 144).

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
ისტორიის ინსტიტუტმა)

ვივი ახალაღიანი

## ფოლკლორი „ქართლის ცხოვრებაში“

(XII—XVII სს.)

„ქართლის ცხოვრება“ დღემდე არსებული ყველა ნუსხის თანახმად შეიცავს თორმეტ საისტორიო ძეგლს, რომლებიც გარკვეული თანმიმდევრობით მოგვითხრობენ ქართველი ხალხის ისტორიას დასაბამიდან XVIII საუკუნის დამდეგამდე<sup>1</sup>.

„ქართლის ცხოვრება“, ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლი, ადრევე გახდა მეცნიერული კვლევის საგანი და მისი ბევრი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხი შესწავლილია სათანადოდ. ჩვენ ეს ძეგლი ზეპირსიტყვიერების კვალის გამოვლენის ასპექტით გვაინტერესებს. ჩვენი მიზანია გავარკვიოთ, რა ხალხურ წყაროებს ემყარებიან მემატიანენი საქართველოს ისტორიის (XII—XVII სს.) მოთხრობისას.

„ქართლის ცხოვრებაში“ ფიქსირებული ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ტრადიციების კვლევას არ შეიძლება არ ჰქონდეს მნიშვნელობა როგორც ძველი ქართული მწერლობის განვითარების გზის, ისე ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ამასთან ამგვარმა კვლევამ შეიძლება ისტორიის ბევრ საკითხს მეტი ნათელი მოჰფინოს.

ძველი ისტორიის საკითხების გაშუქებისას საყურადღებო ორიენტირს იძლევა ზეპირშემოქმედება<sup>2</sup>.

გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი აკად. ნ. ბერძენიშვილი მიუთითებდა: „ქართული ისტორიოგრაფიული შემოქმედება ისევე ძველია, როგორც ქართული საზოგადოება. ქართულ ხალხურ ზეპირთქმულებებში უძველესი ისტორიული აზროვნების არაერთი ელემენტი შეინიშნება. უცხო დამპყრობლებთან („სპარსელებთან“) ტომთა ბრძოლის ეპიკური გადმოცემანი იყო, შეიძლება ვამტკიცოთ. ერთ-ერთი ისტორიული წყარო, რომლის ნიადაგზე შეიქმნა მხატვრულ-ისტორიული მოთხრობა კავკასიის მკვიდრთა საერთო ბრძოლისა, XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულებაში რომ ასახა“<sup>3</sup>.

ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებათა ფოლკლორთან მიმართებაში შესწავლამ გამოავლინა, რომ დასახელებულ ისტორიკოსთა თხზულებებში, განსაკუთრებით მატიანეს საწყის ნაწილში, მეტწილად შერჩენილია მხოლოდ ძირითადი ქარგა ისტორიისა და მოთხრობა ისტორიულ პირთა შესახებ გახვეულია ლეგენდებისა და ზღაპრების საბურველში.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ვახტანგიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 07.

<sup>2</sup> ი. ჯავახიშვილი, აი ისტორია, თბ. სრული კრებული, ტ. IV, გვ. 29.

<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი, ქართული ისტორიოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი III, 1966, გვ. 328.

„ქართლის ცხოვრების“ ფოლკლორთან მიმართებას ეხებიან მკვლევარები: პროფ. ა. ხახანაშვილი, აკად. ი. ჯავახიშვილი, აკად. კ. კეკელიძე, პროფესორები: მ. ჩიქოვანი, ქს. სიხარულიძე, ე. ვირსალაძე, ა. ლლონტი, რ. ბარამიძე, დოც. ვ. მაცაბერიძე და სხვ. მათ „ქართლის ცხოვრების“ ზეპირსიტყვიერებასთან დამოკიდებულება სხვა ასპექტში აქვთ განხილული. „ქართლის ცხოვრების“ ფოლკლორთან ურთიერთობა მონოგრაფიულად დღემდე არაა შესწავლილი.

1. ცნობები საწესჩვეულებო პოეზიისა და მუსიკალური ტრადიციის შესახებ. „ქართლის ცხოვრების“ ავტორებს საკმაოდ საფუძვლიანად შეუსწავლიათ ხალხის ცხოვრება, მათი წეს-ჩვეულებანი. ამის გამო მათ ქრონიკებში არაიშვიათად ვხვდებით ჩვენი ყოფის სურათებს.

მემატრიანეები ძვირფას ცნობებს გვაწვდიან საწესჩვეულებო პოეზიისა და ქართული ხალხური მუსიკალური კულტურის დასახასიათებლად. ირკვევა, რომ თამარისდროინდელ საქართველოში დიდად განვითარებული მუსიკალური ფოლკლორი არსებობდა. თამარის ისტორიკოსთა თხზულებებში მოგვეპოვება პირველი ცნობები საქორწილო ლხინზე. „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორი მოგვითხრობს: „ვითარ იყო ხუედრი და რიგი ულუმპიანობისა და შერეანდოდობისა მათისა, ეგრეთ იქმნა ქორწილა სახედაუდებელი და იგაემიუწვდომელი; სიმრავლენი სახეობათანი, ძლუნობანი და ნიჭებანი თუალთა და მარგალიტთანი. ოქროქედლითა და უქვდელთანი, სიმდიდრეთა და ლართა კერულთა და უკერელთანი, მსვეფსამდი სიხარული, შუება, ძლუნობანი, გაცემანი“<sup>4</sup>. ისტორიკოსი, რომელიც „თამარის მეორე ქმრის ამბავს“ გადმოსცემს, ენაწყლიანად უმატებს: „იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა, სახიობათა მჭურეტელნი იყო რანშთა სიმრავლე“<sup>5</sup>.

„ქართლის ცხოვრების“ ქრონიკების ავტორები ცნობებს გვაწვდიან შრომის პოეზიის შესახებ. თამარის მეორე ისტორიკოსის — ბასილი ეზოსმოდერის თხზულებაში პირველად გვხვდება ცნობა სამიწათმოქმედო შრომის ამსახველი ლექსებისა და სიმღერების არსებობაზე. მემატრიანე წერს: „ყრმანი მემროწლენი, განპებასა შინა ორნატთასა, თამარის ქებათა მელექსეობდიან“<sup>6</sup>. ისტორიკოსის ამ ცნობას საგანგებოდ მიაქცია ყურადღება პროფ. მ. ჩიქოვანმა.

„მროწლე“ ნიშნავდა „ჯოგს ზროხათა“ ანუ „ნახირს“. განპება სულხანსაბას განმარტებით, „ესე არს ფრინველი რა ფრენით ჰაერთა განაპობს, გინა ნავი, ანუ თევზი, ანუ კაცი და ცხოველი შესვლითა წყალს განაპობს. „ორნატი“ — საჩხველთა მიერ გაკუთალული კვალი არა რასა ეწოდების ფერხთა დანაჩნეთა კიდე“. მაშასადამე, ისტორიკოსის ცნობით, როგორც განმარტავს პროფ. მ. ჩიქოვანი, „ყმანი მენახირენი — მეჯოგენი ხენაში კვალის გავლები-სას ლექსობდნენ. ამის მიხედვით ირკვევა, რომ მხენელ-მთესველნი ველზე მუშაობის დროს (ასევე მწყემსებიც) სიმღერებს ასრულებდნენ და ლექსებს წარმოთქვამდნენ. შრომის სიმღერები და ლექსები კი, როგორც საერთოდ ცნობილია, უხსოვარი დროიდან თან სდევდა ადამიანის სამეურნეო მოღვაწეობას. ეს სიმღერები, ლექსობანი, — დასჩენს პროფ. მიხ. ჩიქოვანი, — უთუოდ, პირდაპირ თუ არა, წინამორბედნი მაინც იყვნენ ჩვენი დროის გუთნურისა და თოზნურ-ნადურისა“<sup>7</sup>.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილას რედაქციით, თბ., 1959, გვ. 37.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 47.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 146.

<sup>7</sup> ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, თბ., 1960, გვ. 76—77.

„ქართლის ცხოვრება“ ქართული ხალხური საკრავების შესახებაც გვაწვდის ცნობებს. სიმებიანი საკრავებიდან ხშირად გვხვდება ჩანგი, ებანი. სასულე, ჩასაბერი საკრავებიდან დასახელებულია ორღანო, საყვირი, ბუკი, ქარანა, ნესტვი, ოხრი და სხვ.; დასარტყმელი საკრავებიდან — დაბდაფი, ღუმბული, ქოსი, წინწილი და სხვ.

თამარის ისტორიკოსთა ცნობები ექვემოტანლად ადასტურებს, რომ შუა საუკუნეების საქართველოში ფართოდ გავრცელებული ყოფილა როგორც სიტყვიერი, ისე მუსიკალური წარმართული ფოლკლორი. მას ქრისტიანობისათვის ძლიერი პეტოქეობის გაწევა შეეძლო. ამის გამო ქრისტიანული ეკლესია ილაშქრებდა წარმართული პოეზიის წინააღმდეგ. ეკლესიის მესვეურთა აპოზიციის მიუხედავად, საერო-წარმართული პოეზია იკაფავდა გზას და თვით კანონიკურ საგალობლებზე ახდენდა გავლენას.

2. **ფოლკლორული ლექსები „ქართლის ცხოვრებაში“.** „ქართლის ცხოვრების“ მემკვიდრეანი არა მარტო ცნობებს გვაწვდის ხალხური შემოქმედების ცალკეულ ქანრებზე, არამედ ხალხურ სიტყვიერებას ხშირად მიმართავენ როგორც ისტორიულ წყაროს.

უზვალაა გამოყენებული ზეპირი წყაროები „ისტორიანისა და აზმანის“ ტექსტში. თავისთავად ცხადია, რომ ისეთი ხანგრძლივი და ვრცელი ისტორიის აღმწერელს, როგორც არის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, არ შეეძლო ყოველი მოთხრობილის თვითმხილველი ყოფილიყო. ამიტომ იგი იძულებული იქნებოდა თავის თხზულებაში ზეპირი წყაროებიც შეეტანა. თამარ მეფის ისტორიკოსი ასედაც მოქცეულა. იგი თანამედროვეთა ზეპირი ცნობებითაც სარგებლობდა. თვითონვე აცხადებს: „აწ მე, რომელი გინა თუ მიხილავს, გინა თუ ბრძენთა და გონიერთა კაცთაგან მასმიან, გარდავსცე ისტორიასა და ვასილოღრაფსა, რომელ არს „მითხრობა მეფეთა“<sup>8</sup>.

„ისტორიანისა და აზმანის“ ტექსტს შემოუნახავს ოთხსტრიქონიანი შაირი. მე-12 საუკუნის მიწურულის მემკვიდრე არ იცნობს ქების ავტორს. იგი წერს: „მეფე გიორგი იყო „გორვასლიანი, აღმასრულებელი ვახტანგის ნეტარებათა და მისებრ მპყრობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. ამისთვის ესევითარად დალექსავს მლექსავი ვინმე და იტყვს:

შენ ვახტანგ, სანატრელი ხარ შენთვის ღმრთის მაქებარისა,  
ცნამცა შენი მტერთა ძლევა, თვთ მზეებრ მაშუებარისა,  
მუსულმანთ ამწყუედელისა, ქრისტიანთ მშენებარისა,  
და ეინ დაგბადა მანვე უწყის ბადება შენებარისა“<sup>9</sup>.

ლექსა მიძღვნილია გიორგი III-დმი, რომელსაც პოეტი ვახტანგ გორვასლის მსგავს გმირად სახავს, „მუსულმანთ ამწყუედელსა“ და ქრისტიანთ მაშუენებელს უწოდებს.

პროფ. მ. ჩიქოვანის მოსაზრებით, აქ „საქმე გვაქვს ზეპირსიტყვიერებით გავრცელებულ სახობო ნაწარმოების ფიქსაციასთან მე-13 საუკუნის დასაწყისში და „მლექსავი ვინმე“ მწერალზე. ინდივიდუალურ პოეტზე არ მიუთითებს. აქ იგულისხმება უსახელო პოეტი. მაშასადამე, „მლექსავი ვინმე“

<sup>8</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, ვვ. 2.

<sup>9</sup> ისტორიანი და აზმანი, კ. კეკელიძის გამოცემა, თბ., 1941, გვ. 56.

ხალხურ პოეტს, მგოსან-მომღერალს უნდა გულისხმობდეს, რომელსაც ხოტბა შეუთხზავს<sup>10</sup>.

მკვლევარი პ. ინგოროყვა ფიქრობს, რომ იგი ნაწყვეტია რომელიღაც დარჩენილი სახოტბო თხზულებისა, რომელიც თითქოს შეიცავდა იმავე ტიპის ხოტბას, როგორსაც წარმოადგენს ხოტბა-პოემა აბდულმესიანი (რუსთ. კრ., გვ. 71).

ბოლო დროს პროფ. ი. ლოლაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ვინმე მღექსავე გიორგი მესამის (1156—1184) უცნობი პოეტია და ნაწარმოებიც არა-ხალხური. მკვლევარი წერს: „ღექსს აშკარად ეტყობა პოეტის ხელი. ხელოვნური სარიტმო სიტყვები („მაქებარისა“, „მაშვებარისა“, „მშენებარისა“ და „შენებარისა“), „მცა“-ნაწილაკიანი წინადადების კონსტრუქცია („ცნამცა შენი მტერთა ძღევა“) და საერთოდ ტექსტის შინაარსობლივი ბუნდოვანება არ გვაძლევს უფლებას ის ხალხური პოეზიის ნიმუშად მივიჩნიოთ“<sup>11</sup>.

ფიქრობთ, „მღექსავე ვინმე“ სახალხო მთქმელს უნდა გულისხმობდეს. საგულისხმოა, რომ სხვა ლექსებიცაა შეტანილი ამ ისტორიულ ძეგლში, მაგრამ მისი ავტორები მოხსენებულნი არიან. მაგალითად, ტექსტში ჩართულია თამარ მეფის „იამბიკო სავედრებელი ქართველთა შამქორს გამარჯვებისათვის“, ლექსები არსენ იყალთოელისა და იოანე ჭიმჭიმელისა. აქ პირდაპირაა ნათქვამი: „არსენი იტყვს იყალთოელი“, „იოანე იტყვს ჭიმჭიმელი“. ისიც საგულისხმოა, რომ ეს ლექსები მძიმეა და ხელოვნური, ხასიათდება რიტორიკული ენაწყულიანობით, ხოლო „ვინმე მღექსავეს“ შაირის სიტყვიერი ფაქტურა მსუბუქია და სადა, არაა უცხო ქართული ხალხური ლექსის ბუნებისათვის. ეს თვისება „ისტორიანისა და აზმანის“ ტექსტში ჩართულ სხვა ზემოთ მოტანილ ლექსებს არ გააჩნია. ჩვენ მნიშვნელობას არ ვაძლევთ იმას, თუ როდის ჩაურთეს „ისტორიანსა და აზმანს“ თამარ მეფის იამბიკო და არსენ იყალთოელის და იოანე ჭიმჭიმელის ლექსები. ეს ოთხსტრიქონიანი სახოტბო ლექსი ფოლკლორული წარმოშობის უნდა იყოს. რომელიც, შესაძლებელია, გიორგი მეფის სიტყვებში ზეპირად ვრცელდებოდა და ისტორიკოსმაც გამოიყენა მეფის მოღვაწეობის შესაფასებლად.

ზეპირსიტყვიერების პოპულარობის თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა ქაშთაღმწერლის ისტორიაში (XIII—XIV სს.) დაცული მონღოლური ლექსის ფრაგმენტი. მემატთანე, როგორც მწერალი, იმდენად გატაცებულია ხალხური პოეზიით, რომ მონღოლური ლექსის ნიმუშიც კი მოჰყავს. ერთი დამარცხების შემდეგ, — ამბობს ის. — აბაღა მონღოლმა „იხილა თათარი ვინმე ლტოლვილი“ და დაუწყა მას გამოკითხვა, თუ როგორ ეჭირათ თავი მის მთავრებს. ხოლო მან ყოველივე ლექსთა მიერ შეწყობითა წარმოუთხრა ენითა მათითა, თვითოეულისა მთავრისა ვედრება. ალიყანისათვის თქვა: „ვითარცა მალლით მომავალი შევარდენი მოუქდა“. და მანგუ დემურ ვერძსა მიაძსგავსა, სირმონის შვილი ებაგან მხტომელსა ვეფხვსა, და იასბულა მოზუერსა, ბულა კამბენსა, და თავუნი დედალსა თხასა, ხოლო ქართველთა მეფისათვის ესრეთ

<sup>10</sup> პ. ჩიქოვანი, ხალხური სიტყვიერების შესწავლის პრობლემა XIX საუკუნეში, „ლიტერატურული ძიებანი“, VI, 1950, გვ. 224; მისივე: ქართული ფოლკლორისტიკა ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე, წიგნში: ქართული საბჭოთა მწერლობის საკითხები, თბ., 1967, გვ. 229.

<sup>11</sup> ი. ლოლაშვილი, ფრაგმენტები, არმოღწეული ძეგლები და უცნობი ავტორები, წიგნში: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1966, გვ. 229.

თქუა ენითა მათითა: „თენგრი მეთუ ქაურქურბა, ბულარ მეთუ ბუირლაჯი“, ესე იგი არს, ვითარმედ: „ვითა ღმერთი გრგვნიდეს, ვითა აქლემი ბულრაობდეს“<sup>12</sup>.

მ. მითოლოგიის საკითხები. „ქართლის ცხოვრების“ ავტორები იყენებენ როგორც ეროვნული, ისე მეზობელი ხალხების (ბერძნები, რომაელები, ირანელები) მითოლოგიურ სიუჟეტებსა და სახეებს.

„ისტორიანისა და აზმანის“ ავტორი კარგად იცნობს ბერძნულ-რომაულსა და ირანულ მითოლოგიას. იგი მხატვრული შედარებისათვის საეკლესიო თუ საისტორიო მწერლობის ნიმუშების გვერდით არაერთხელ მიმართავს ზღაპრულ-ლიტერატურულსა და ისტორიულ-მითოლოგიურ პერსონაჟებს. „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორი თხზულების დასაწყისიდანვე ოპერირებს მითოლოგიური სახეებით. გიორგი მესამის შესახებ ამბობს, რომ იგი არის „მზე მნათობთა შორის; ალექსანდრე და ქაიხოსრო მპყრობელთა შორის; სამბსონ და ნებროთ გმირთა შორის; სპანდიარ, თაჰამთა და სიაოშ გოლიათთა შორის; სოლომონ, სოკრატ და პლატონ ბრძენთა შორის“<sup>13</sup>. ისტორიკოსი იქვე დასძენს: გიორგი მეფეო იყო „მონადირე“ არტემისა სახედ, რომელი ითქმის „მთაფოლო“, რომელ არს ღმერთი მონადირე“<sup>14</sup>.

ამავე ძეგლში ყურადღებას იქცევს ერთი ადგილი. სულიანისა და ათაბაგის მოულოდნელად თავდასხმისას ამირსპასალარნი და დიუგებულნი ეუბნებიან გიორგი მესამეს: „მეფეო! ოდესმე ალექსანდრეც იძლივა დედაკაცისა მიერ და ეგრეთვე სამბსონ დალილასაგან და სოლომონ სიბილასაგან“. აქ სიბილად ნაგულისხმევია საბაჲ ქვეყნის ლეგენდარული დედოფალი, რომლის სახელი ძველს ბერძნულ-რომაულ მითოლოგიას და ისტორიაში მეტად პოპულარულია. რომის იმპერიაში სიბილა აპოლონის რელიგიასთან და კულტთან იყო დაკავშირებული<sup>15</sup>.

ცნობები სიბილას შესახებ „ისტორიანისა და აზმანში“ შეხულია ამარტოლის ხრონოგრაფის ქარაული თარგმანიდან, რომელიც შესრულებულია მე-12 საუკუნის დამდეგს არსენ იყალთოელის მიერ. ხრონოგრაფში ვკითხულობთ: „ალექსანდრე მეფეო! სოფელი დაიპყარ და დედაკაცის მიერ შეპყრობილ იქმენ“<sup>16</sup>. „ეგრე მეორემანცა დალილა სიტყვთა საცთურისათა შეაცდუნა მართალი“, ე. ი. სამსონი<sup>17</sup>. „და დედოფალსა საბაჲსა, რომელსა სიბილად სახელსდებენ ელენი ესმა რა სახელი სოლომონისი, მოვიდა იერუსალმდ“<sup>18</sup>.

თამარის მხატვრული სახის შესაქმნელად მემათიანე იშველიებს ოლიმპოს პანთეონის წევრებს: კრონოსს, ზევსს, აფროდიტეს, ერმის, აპოლონს, არეას. იგი წერს: „შჯდთა მათ სარტყელთა ცისათა და მნათეთა სფეროსათა, რომელ არიან: კრონოს, ზევს და აფროდიტე, ერმი, აპოლონ და არეა — ამათ შეასხა სფერო მიწიერი ხუთთა მათ საგრძნოს ცნობათათა შჯდმყოფელად თანდარ-

12 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 281.

13 იქვე, გვ. 3.

14 იქვე, გვ. 6.

15 კ. კეკელიძე, ცნობები სიბილასა და მისი წიგნების შესახებ ძველ ქართულ ლიტერატურაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1945, გვ. 130—150.

16 გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფი, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1920, 10—29.

17 იქვე, 70, 18—19.

18 იქვე, 91, 24—25.

თვითა სულისათა და გონებისათა. და ოდესმა რომელიმე აღებაძვის ზენასა მნათსა ქუენა მნათი, გინათუ შეუენებითა უცხოთა და უსახოთა, გინათუ სიბრძნის-მპყრობელობითა, გინათუ მზებერ უხუებითა და მომფენობითა მართალთა ზედა და ცოდვილთა ზედა<sup>19</sup>. თამარის შესახებ ერთ ადგილას შენიშნავს: „დაჯდა ცხებული ღმრთისა თამარ მეფე საყდართა მათ ცამდი აღმართებულთა შეუენებითა მით აფროდიტიანითა და სიუხვთა მით მზებერთა აპოლონიანითა, სატროფო საჭურეტი დაბნედამდის და გაჭრამდის ყოველთა გამცდელ — მხედთა და შეპყრობამდის წყალ-ჯავართა მით უმსგავსოთა სახითა მით ღმრთივ-ქმნულითა“<sup>20</sup>. თამარ მეფესო. — განაგრძობს მემატთანე. — „მოესთულო სურნელება და შეება სამოთხისა. მოეფუტკრა ვარდბუტკობა, ყუავილ-მცენარეობა, ასფოდელ-ნარგისობა ილვისოს-ველის ნამორჩებთა“<sup>21</sup>.

„ისტორიანისა და აზმანის“ ტექსტში იქ, სადაც საუბარია თამარისათვის საქმროს არჩევაზე, ბიბლიური და სპარსული წარმოშობის თხზულებათა მრავალ პერსონაჟთა შორის მოხსენიებულნი არიან მითიური აერსონაჟები პელოპი, იპოდომი, ონომასი, პლუტონი, პერსევსი, პერსეფონე<sup>22</sup>. მითოლოგიური სახეებია მოხმობილი აგრეთვე დავით სოსლანის დასახასიათებლად. მითოლოგიური სახეების გამოყენებით ამკობს ისტორიკოსი მზიური თამარის მეუღლეს, რომელსაც ისეთ კარგ მსროლელად თვლის, თითქოს ის კენტავროსისაგან იყოს გაწვრთნილი: „მაშინ აღიჭურა და შეიჭურა მეფე, შეჯდა ზერდაგსა“. „ამირპირმან მოყმემან, ამღებელმან პოროლთამან, შეირტყა მშვლდ-კაპარქი, მოსიმახოს უცთომელმან მსროლელმან და ვითარ განსწავლილმან კენტავროსისაგან“<sup>23</sup>. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს დახასიათება გამოძახილია დავით აღმაშენებლის ისტორიის შემდეგი სიტყვებისა: „ვინ ჰგავნ კორციელი ანუ ვინ იხილა ესეოდენ განმარჯუებული ნადირობასა შინა. მოსიმახოს ვინმე ითქმის ებრაელი მოისრობისა და კეთილ-მმართველობისათვის აღექსანდრეს სპათა შორის მჭდომად, და აქილევი კენტავროსისაგან განსწავლულად მოისრობისა ელინთა შორის“.

ასე რომ, „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორი იცნობს აღმოსავლეთის მითოლოგიურ სამყაროსაც. მაგალითად, მემატთანე ირანელთა შესახებ ამბობს, რომ მათ „ძებნეს ცეცხლითა განლეულნი ძუალნი ზოროასტროსისნი, რომელი იყო პირველ[ი] მეფე და ვარსკულავთ-მრიცხველი სპარსთა შორის, რომელთათვის ითქუა ესრეთ: „ვიდრემდის გაქუნდეს ესე, არა მოაკლდეს მეფობა სპარსთა“ (გვ. 11). მემატთანეს ეს ადგილიც გიორგი ამარტოლის ქართული თარგმანიდან აქვს ამოღებული.

მემატთანეს საგანგებოდ აინტერესებს აღმოსავლური ვარსკულავთმრიცხველობა და ცეცხლთაყვანისმცემლობა, როგორც ეს ჩანს მისი მეორე ციტატიდან. ის შენიშნავს: „აწ თქუას სიტყუამან ესეცა საძნაური და საბრალო. ვინათგან სიბრძნედ და მეცნიერობად ნათესავთა აგარიანთისა აქუს საქმე გრძნებისა და მოგუობისა განსწავლილთა იუნიტანისაგან, რომელ ნებროთ იხილა კიდესა ზღვასა კვროისა-ზე და დარიოსისა. შემდგომითი შემდგომად არიან

<sup>19</sup> ქართლის ცხოვრება. ტ. II, გვ. 27—28.

<sup>20</sup> იქვე. გვ. 32.

<sup>21</sup> იქვე. გვ. 64—65.

<sup>22</sup> იქვე. გვ. 35—36.

<sup>23</sup> იქვე. გვ. 69.

მხიბაენი, მწამლველნი, უარისმყოფელნი ღმრთისანი“<sup>24</sup>. ეს ცნობა მემატიანეს ამოღებული აქვს აპოკრიფიდან, რომელსაც ეწოდება „თარგმანი დაბადებისათვის ცისა და ქუეყანისა და ადამისათვის“. ქართულად კი — „ნებროთის წიგნი“. ეს აპოკრიფი, რომელიც ქართულადაცაა ნათარგმნი, საფიქრებელია ლეონტი მროველის მიერ, წარმოადგენს Compendium-ს ან შემოკლებულ გამოცემას მთელი ბიბლიური ისტორიისას ქვეყნის გაჩენიდან ღვთისმშობლის მიძინებამდე<sup>25</sup>.

მითიური პერსონაჟები ქამთაალმწერლის ისტორიაშიც გვხვდებიან. ქამთაალმწერელი იცნობს ბერძნულ ენას, ბერძნულ მითოლოგიას და მწერლობას. მის შრომაში დასახელებულია ისტორიკოსი იოსებ ფლაბიუსი (იოსიპოსი), აქიტოფელი, მოსიმანოს ებრაელი, ასტუვაგი, კვიროსი, ხრიზმოსი აპოლონის დედოფლისა, პრიამოსი, ალამემნონი და მისი ცოლი ელენე, მენელეოსი<sup>26</sup>, ანტიპატროს და კასანდროს<sup>27</sup>, მიდოსი და ანტიპატროს<sup>28</sup>. აქვე მოხსენიებულია ძველ ბერძენთა „თორმეტნი ზოდიაქნი ანუ ეტლნი“.

ა. გ მ ი რ ი ს უ მ ა ნ კ ო დ ჩ ა ს ა ხ ვ ი ს მ ო ტ ი ვ ი. „ქართლის ცხოვრებაში“ ყურადღებას იპყრობს გმირის უმანკოდ ჩასახვის მოტივი. იგი თემურ-ლენგის სახელთანაა დაკავშირებული. მატიანეში ვკითხულობთ: „უამსა შინა გამოჩნდა მძლავრი ლანგ-თემურ, პირველად ქუეყანასა თურქეთისასა. რამეთუ ეწოდა სახელად თემური და მკელობელ იყო. და სპარსთა ენათა მიერ მკელობელსა ლანგ ეწოდების. ხოლო ესე ლანგ-თემურ გუარტომობია იყო ჩინყის სამარყანელი. ამისთჳ უწოდდენ ჩინყიზად.“

რამეთუ პირველთა ქამთა შინა იყო ვინმე ქუეყანასა თურქთასა ასული ერთი მდიდრისა რომლისამე, მუნ მკვდრთაგანისა კაცისა. და იყო ქალი ესე მდიდარ ფრიად, საჭურჭლეთა და მონათა სიმრავლითა გარდარეულ. და უფლებდა რომელსამე ელსა და სპათა ზედა. ესრეთ განაგებდა ელსა და სპათა თვსთა ქალი ესე, და არა ესუა ქმარი. ხოლო იქმნა მის ზედა კელოვნება რამე ბელიარისა, და მიდგომილება ანტესებრივი, და აგრეთვე ქალი იგი მიდგომილ იქმნა თვნიერ ქმრისადა დაწინდებისა. ხოლო საცნაურ იქმნა მიდგომილება იგი მისი ყოველთა მიერ. და მაცნობელთა საქმისა ამის სპათა მისთა მიერ, ფრიად შემძნობელ. განსაქიქებელ და საკიცხელ უჩნდათ, რამეთუ დიდად წარჩინებულ იყო მკვდრთა მის ადგილისათა. ხოლო ვერღარა თავს ადევს სირცხვილი იგი მისი სპათა და მონათა მისთა. დღესა ერთსა შეკრბეს ვანად მისსა. მიუვლინეს და ეტყოდეს: „ვინათჳნ მთავარ და უფალ ქმნილ ხარ ჩუენ ზედა, რასათვის ჰყავ საქმე ესე, და შეამთხვიე თავსა შენსა ესევეითარი სირცხვილი“. ხოლო მან უარ-ყო ფრიად და ეტყოდა მათ: „უკეთუ სარწმუნო ხართ სიტყუათა ჩემთა, ესე უწყოდეთ. რამეთუ მე კაცთაგან არ მიდგომილ ვარ, და უკეთუ არა სარწმუნო გიჩნსთ, დაადგინეთ სრასა ამას ჩემსა მსტოვარნი, და მათ ცნან, თუ ვინ მოვალს ჩემდა, და მით გულ-სავესე იქმნეთ“. და მათ ჰყვეს ეგრეთ, განაწესნეს მცველნი და განმსტრობელთა საქმისა მის იხილეს მსგავსი ნათლისა მზაკუარება მთავრისა მის ბნელისა. რომელი კელოვნებათა თვსთა მიერ რეცა

<sup>24</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 76.

<sup>25</sup> კ. კეკელიძე, ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები, თბილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, გვ. 20—21.

<sup>26</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 205.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 266.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 268.

ნათლად შეიცვლების, და უფროსლა ნებისმყოფელთა თვსთა ზედა ესრეთ მოქმედებს. ხოლო მცველთა მათ იხილეს ნათლისა სახე იგი, რომელი მივიდა ქალისა მის თანა, და მსგავსმან განისუენა მსგავსისა თანა. და ეგრეთვე ღამე ყოველ მოქმედებდა და აუწყეს მცველთა ცხადად ხილული იგი მათ მიერ, მაშინდა სარწმუნო იქმნნეს საქმესა მას<sup>29</sup>.

გმირის უმანკოდ ჩასახვის მოტივი გავრცელებულა მსოფლიო მითოლოგიაში. აფრიკული თქმულებით, ქალწული მცენარეს შეეხო, რის შედეგად გაჩნდა ღვთაება გეითრი-ეიბები<sup>30</sup>. ამერიკის ინდიელთა თქმულება მოგვითხრობს, რომ ქალწულმა ჩაყლაპა ზღვის წყალი თუ კენჭი და შვა ღმერთგმირი ელი<sup>31</sup>. ბერძნული მითოლოგიით, პერსევსი აკრისიას ქალიშვილს დანაეს შეეძინა ზევისსაგან ოქროს წვიმის შეფრქვევით<sup>32</sup>. ფილოსოფოსი პლატონი, როგორც მის მოწაფეებს სწამდათ, გაჩნდა ღმერთ აპოლონისაგან, რომელმაც გაანაყოფიერა მისი ღედა პერიქტონი მანამ, სანამ ის ცოლქმრულ ცხოვრებას დაიწყებდა თავის ქმართან. იგივეს მოგვითხრობენ ალექსანდრე მაკედონელის დაბადების შესახებ<sup>33</sup>.

ინდოელთა თქმულება ღმერთ ბუდას დაბადების შესახებ მოგვითხრობს, რომ ღედაკაცმა მაიამ სიზმარი ნახა, როგორ შევიდა მის სხეულში თეთრი სპილო. მისგან მან მუცლად ილო ნაყოფი და შვა ბუდა<sup>34</sup>. რომაული ლეგენდით, ქალწულ რეას ღვთაება მარსისაგან შეეძინა რომული და რემი<sup>35</sup>. ფართოდა ცნობილი ლეგენდა ქრისტეს უბიწო ჩასახვასა და დაბადებაზე<sup>36</sup>. იგივე მოტივია ფიქსირებული ღვთისმშობლის შესახებ აპოკრიფებში<sup>37</sup>.

ეს მითური მოტივი მეტწილად მზის თაყვანისცემას უკავშირდება. მზეს თაყვანს სცემდნენ, როგორც ტომის წინაპარსა და მფარველს.

გმირის უმანკოდ ჩასახვის მოტივი გვხვდება ქართულ ხალხურ საისტორიო ციკლებში<sup>38</sup>, ამირანის ეპოსში და ჯადოსნურ ზღაპრებში<sup>39</sup>.

**4. ქრისტიანული ლეგენდები.** „ქართლის ცხოვრებაში“ ჩართულია ქრისტიანული შინაარსის მოკლე ზეპირი მოთხრობები.

ა. ლეგენდა ღვთისმშობელზე. უამთააღმწერელი (XIV) მოგვითხრობს, რომ ერთმა სპარსელმა მოკლა ჩაღატა ნონი და ლერწმოვანში დაიმალა. მონღოლებმა მკვლელობა იქ მყოფ ქართველებს დააბრალეს და მოინდომეს მათი გაჟლეტა. ამ დროს მკვლელს გამოცხადებია ღვთისმშობელი მშვენიერი ღედაკაცის სახით და უთქვამს: „წარვედ და თქუ, რამეთუ შენ მოჰკალ კაცი იგი, და

<sup>29</sup> ახალი ქართლის ცხოვრების მეორე ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 446—447.

<sup>30</sup> Ланг. Мифология. 1901, გვ. 103.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 110.

<sup>32</sup> ს. კაუხჩიშვილი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1961, გვ. 442—443.

<sup>33</sup> ი. კრიველიძე, წიგნი ბიბლიაზე, თბ., 1966, გვ. 268.

<sup>34</sup> იქვე, გვ. 268.

<sup>35</sup> Фрезер. Фольклор в ветхом завете, გვ. 254.

<sup>36</sup> А. древис. миф о христе, გვ. 78—97.

<sup>37</sup> კ. კვიციანიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960, გვ. 442—443;

ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 23—26.

<sup>38</sup> ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949, გვ. 221.

<sup>39</sup> იხ.: „ზღაპარი ივანე ცისკრისა“, თ. რაზიკაშვილი, ხალხური ზღაპრები, ტ. I, გვ. 83; „დათვკაცა“, ქართული ხალხური ზღაპრები, მ. ჩიქოვანის რედაქციითა და წინასიტყვიანობით, გვ. 85; „დათვიაშვილი“, იქვე, გვ. 88 და მრავალი სხე.

განარინე ურიცხვ სული სიკუდილისაგან“. მკვლელი გამოვიდა ლერწმოვანი-დან და ყველაფერი აღიარა. ჟამთააღმწერელი დასძენს: „ესრეთ იქსნა ერი თვისი ყოვლად-წმინდამან ღმრთის მშობელმან და განარინა უმსჯავროსა სიკუდილისაგან, ვითარ ოდესმე იქსნა ქალაქი იგი კონსტანტინოპოლი, რაჟამს-იგი ბარბაროზთა მძვნვარედ გარე მოიცივეს მკედართმთავრობასა სარვაროსისასა და მძვნვარედ აღდგომასა ხალან მთავრისასა. ვითარ დაინთქნეს ზღუად მბრძოლნი ქალაქისა მის მისდა მინდობილისანი. რამეთუ აღდულნა ზღუა და განდნა ძიეთი ნავისა და დაინთქნეს ზღუად შეწევნითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისათა“<sup>40</sup>. იმავე ღვთისმშობლის მეოხებით მსწრაფ და ანაზღუელად განიკურნა საწინელი სენისაგან დავით მეფის ძე გიორგი: „შეედვა საღმობა მუცლისა ძესა მისსა პირმშოსა გიორგის, რომელი სიკეთე-აღმატებულებითა სავსე იყო. განგრძელდა საღმობა ესეზომ, რომელ კნინდა მკუდარ საგონებელ იყო, და იღვა უქმრად, უძრავად, სულთა აღმომფშვინველი, და მითცა ძლით. ამას მწუხნარებლასა და უღონოებასა რა მოეცვა მეფე და ყოველნი მკვდრნი საქართველოსანი, მოექსენა მეფესა ღმანისისა ღმრთისმშობელი, და წარვიდა წინა-შე მისსა, და თვთ წარმოაჩინა, ვითარ ყოველი უქამურითა ფერკითა მოჰყვებოდეს და მოეგებოდეს, მკურვალითა ცრემლითა წყალობად მათდა აღძრვიდეს. მაშინ შეისმინა ვედრება მათი წმიდათა უწმიდესისა ღმრთისმშობელმან, და მყის შეხებასავე თანა, და პირსა ზედა შეხებასა, თუალნი აახუნა მსწრაფლ და ვითარცა უვნებელი წამოჯდა. იხილეს ესე მეფემან და ყოველთა მკვდრთა საქართველოსათა, განკვრდეს ანაზღათსა ამას საკვრეველებასა ზედა ყოვლად-წმიდისასა და აღიდებდეს ყოველნი ღმერთსა“<sup>41</sup>.

ჟამთააღმწერლის ისტორიაში ვრცელი მოთხრობაა მოცემული ლაშა გიორგის შვილის, დავითის ზღვაში გადაგდებისა და ღვთისმშობლის დახმარებით მისი გადარჩენის შესახებ<sup>42</sup>. ამგვარი სასწაულმოქმედებანი ავტორს არაერთი აქვს აღწერილი.

ბ. გაღმოცემა დიმიტრი II-ზე. ჟამთააღმწერელს მოაქვს გაღმოცემა, ვითომც პატარა დიმიტრი II, „ნოიხისა ვისიმე ცოლმან აღიყვანა და შვილად მიიყვანა, რამეთუ იყო უშვილო, ხოლო თქმულ არს ესეცა, ვითარმეც მიირქვა რომელ ყრმა დიმიტრი წიაღთა, მეყსეულად საშო განელო დედაკაცსა და მუცლად ილო და შვიც ყრმა წული და ამის ძალითა კეთილსა უყოფდა ნოინის ცოლი გვანცას და ყრმასაო“.

როგორც ვხედავთ, ჟამთააღმწერელი, რომელიც მონღოლთა ბატონობის დროის საქართველოს ისტორიას მოგვითხრობს (XIII—XIV სს.). წერილობითი წყაროების პარალელურად იყენებს ქრისტიანულ ლეგენდებს. მატიაზეში ხშირად გვხვდება ასეთი გამოთქმები: „იტყვან“, „სიტყუაყა იყო“, „თქმულ არს“ და სხვ. ეს გამოთქმანი ზეპირ წყაროებზე მიუთითებენ. ჟამთააღმწერლის ისტორიაში ფიქსირებული დაუჭერებელი, ზღაპრული ამბები უნდა იყოს გაღმძახილი ზეპირად გავრცელებული ლეგენდებისა. აქ ეს ლეგენდები გახვეულია ქრისტიანული რელიგიის სამოსელში. გამოყენებულია ღვთისმშობლის სასწაულმოქმედების საპროპაგანდოდ. ისტორიაში ზღაპრული და ლეგენდური ამბების ასეთი სიჭარბე არ შეიძლება ავხსნათ ავტორის მხოლოდ ცრუმორ-

<sup>40</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 210—211.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 255—256.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 201—202.

წმუნეობით ან გულუბრყვილობით. სხვა ხალხების XIII—XIV საუკუნეების ისტორიკოსთა თხზულებებშიც საკმაოდ მოიპოვება ასეთი „გულუბრყვილობა“. სასწაულებრივი ამბების შემოტანას მატთანეში მხატვრული და პოლიტიკური ამოცანა აქვს: ლეგენდების გამოყენებით ისტორიკოსი ცდილობს მატთანეს მხატვრული ელფერი მისცეს, აიცილოს ერთფეროვნება და სქემატურობა, ზემოქმედება მოახდინოს მკითხველზე და დაარწმუნოს იგი მომხდარი ამბის უტყუარობაში. მატთანეში ჩართული ლეგენდები კომპოზიციურად დასრულებული და დამოუკიდებელი მოთხრობებია და ორგანულად უკავშირდებიან მატთანის ძირითად თხრობას.

გ. ადგილმონაცვლე ხატები. ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტში, რომელიც შეიცავს XIV—XVII საუკუნეების ისტორიას და უცნობ ავტორს ეკუთვნის<sup>43</sup>, გამოყენებულია ხატის ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლების ლეგენდა. იგი დამპყრობთა შემოსევასთანაა დაკავშირებული. მემატთანე მოგვითხრობს: „მაშინ ოდეს მოვიდა უზუნასან მძლავრითა ლაშქრითა და წარიყვანეს ხატი იგი აწყურისა ღმრთისმშობელი ქუეყანასა მას უცხოთესლთასა, ესევეთარი რისხეა ღმრთისა მოავლინა: არცა შობა დედაკაცმან, არცა პირუტყვმან, არცა ჰყო ხემან ნაყოფი, არცა მიწამან აღმოაცენა. და იქმნა დიდი გამოძიება მათ შორის უცხოთსა ამისთვის საქმისა...“. „უბრძნესთა კაცთა მის ქუეყანისათა ესრეთ თქუეს: „ოდეს-იგი საქართველოს ვილაშქრეთ, მაშინ ერთისა დიდისა საყდრიდალმენ ფიცარი ერთი, შემკული მრავლითა პატივითა, ვიხილეთ და წარმოვიღეთ, და მგზავრობასა მას ჩუენსა უცხო სასწაული ვიხილეთ მისგან, რამეთუ მწუხრსა ჩავასვენით უღრმესსა ადგილსა ზარგისასა და, ვითარცა განთენდის, აღმოვიდის სიღრმისაგან და მალლადმჯდომარე იხილვებოდის და ვითარცა მზე ბრწყინეოდის. და საქმე ესე უეჭველად მისგან იქმნა ქუეყანასა ჩუენსა და, თუ გნებავს განრინება კირისა მისგან, იგი მოვიძიოთ და ქუეყანასა მათსა განუტეოთ“. „მაშინ მოიძიეს წმიდა ესე ხატი და, კპოვეს რა, ესრეთ განიზრახეს: „მოვედით და დავაკრათ კიცუსა უკედსა და, უკეთუ წარვიდეს მართლიად გზასა თვისსა, უწოდეთ, რამეთუ ამისგან არს ესე ყოველი; და უკეთუ მიიქციოს სხვთ-კერძო, მაშინ შეხდომით რამე იქმნა და არა ამისგან“.

და ვითარცა დაკრეს კიცუსა მას ზედა წმიდა ესე ხატი, ესრეთ მართლიად წარმოემართა გზასა სამცხედ მომყვანებელსა, ვითარმცა საჩინო მკედარი და აღვრითა მპყრობელი და მმართველი“...

„და შეკრბეს ყოველნი და მივიდეს და იხილეს ხატი ესე ყოველადწმიდისა ღმრთისმშობელისა ბრწყინვალედ მჯდომარე კიცუსა ზედა, და სიმრავლე ცხენებისა გარემოს მისსა, განკვრდეს უცხოთსა მას ზედა საკვრველსა და აღიდეს ღმერთი და ყოველად წმიდა ღმრთისმშობელი“<sup>44</sup>.

ამ ლეგენდაშიც, ისე როგორც ზემოთ განხილულ ლეგენდებში, საქმე გვაქვს დამოუკიდებელ, ერთ მთლიან დასრულებულ ამბავთან — მოთხრობასთან, რომელიც მატთანის მთლიან თხრობაში ქრისტიანული იდეების პროპაგანდის მიზნით არის ჩართული.

ხატის მიერ ადგილმონაცვლების ლეგენდა, წმინდა ადგილის ამორჩევის მიზნით, დღემდე ცოცხლობს. ეს ლეგენდა ლეონტი მროველსაც აქვს გამოყე-

<sup>43</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 07. 024 — 030.

<sup>44</sup> იქვე, გვ. 480—481.

ნებული „ნინოს ცხოვრებაში“, კერძოდ მირიანის თავგადასავალში. მროველი მას თხოვის, მცხეთისა და ბოდბის საყდრების აშენებას უკავშირებს<sup>45</sup>. იგივე ლეგენდა პროფ. მ. ჩიქოვანს აქვს ჩაწერილი ლეჩხუმში 1935 წელს და მურში წმ. მაქსიმეს ეკლესიის აშენების ამბავს მოგვითხრობს<sup>46</sup>. მსგავსი ლეგენდა ჩვენც ჩავიწერეთ 1972 წელს ქვემო ქართლის ფოლკლორულ ექსპედიციაში ჟოფნისას. თეთრი წყაროს რაიონის სოფ. ქსოვრეთში მცხოვრებმა 84 წლის გლეხმა მ. ჩოხელმა მოგვითხრო: „ვიყავი გუდამაყარში და მიამბეს, რომ ფასანაურში იყო ლომისის ხატი, სადაც უამრავი ხალხი დადიოდა სალოცავად, ერო: დღეს ეს ხატი აფრინდა, ფასანაურიდან და კლდეში ავიდა ისეთ უდაბურ ადგილზე, რომ ხალხი ვერ უდგებოდა. შემდეგ გზა გააკეთეს. დიდი კლდე იყო. ის დაანგრის და ბილიკი გაიყვანეს, ავიდნენ იქ, სადაც ხატი დაბრძანდა, ახლა იქ მიდის ხალხი სალოცავად. კლდის სახელი არ მახსოვს, ფასანაურიდან 3—4 კილომეტრითაა დაშორებული“<sup>47</sup>.

ქრისტიანული ხატები ზოგჯერ წვრილი ჯაჭვით ანუ ძეწკვით არიან დაბმული. ი.უ ძეწკვი არა, ხატი აიშეებს და მის მახლობლად მდებარე ხატ-ჯვრებს დალეწავს და მოსპობს. ვახუშტი ბატონიშვილი თავის ვეოგრაფიაში წერს: „ხოლო რაჭა-ლეჩხუმის სამკრით არს ლაშხეთი, და ლეჩხუმის სამკრით და ოდიშის აღმოსავლით არს ეცერი. აქა არს ეკლესია სვეტიად წოდებული, სახიზარი სვეტის-ცხოვლის სამკაულ-საუნჯისა, რომელსა შინა იტყვიან სვეტის-ცხოვლის კანკლის ყოფასა, დღესაცა, რომელი მიიღო გორგასალ ინდოეთიდან, წითლის იაგუნდისა ქმნილი. არამედ საჩინოდ არიან აწცა ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლისანი და მოვოქვილნი ქვითა, მრავალნი და პატიოსანნი, დიდნი და მცირენი, რომელთა ზედა აქუსთ სასოება და პატივსცემენ. არამედ უმჯობესი ხატი უბიათ ძეწკვითა ოქროსათი და იტყვიან: „უკეთუ აუშეათ, დალეწავს ყოველსავე იქა მყოფსა ხატ-ჯვარსა“. და ესოდენ უგუნურ არიან თვსოა უცნობელობითა! არამედ თუ შევიდეს მუნ სასუკუდინო ანუ ტყვე, ვერა რაისალა უყოფენ, გარნა განუტევენ თავისუფლად. კვალად აღმოქმელსა ანუ მფიცარს მას ზედა დაერწმუნებიან ფრიად“<sup>48</sup>. პროფ. მ. ჩიქოვანის შენიშვნით, „მთავარი ხატი მიჯაჭვული, დაბმული ოქროს ძეწკვით, თუ აიშეებს სხვა ხატებს აენებს! მეტად საყურადღებო სიმბოლოა, რაც უთუოდ ძველს მითოლოგიასთანაა დაკავშირებული“<sup>49</sup>.

დ. ლეგენდა ანისის ალბაზე. „ქართლის ცხოვრების“ ჩანართში დაცულია ლეგენდა დავით აღმაშენებლის მიერ ქ. ანისის ალბაზე. ამ ლეგენდას მყარი ისტორიული საფუძველი აქვს<sup>50</sup>. ისტორიული ცნობით, როდესაც დავით აღმაშენებელმა ალაგმა თურქები, აღადგინა და გააძლიერა ქვეყანა, შეუდგა გარეშე ქვეყნების დაპყრობას. 1123 წელს მან თურქებისაგან შევიწროებულ ადგილობრივ მცხოვრებთა მოთხოვნით აიღო სომხეთის დედაქალაქი

45 ქართლის ცხოვრება, ანასეული ნუსხა, გვ. 76—78.

46 მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, II, თბ., 1965, გვ. 18.

47 ჩამწერი გ. ახელუდიანი.

48 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 173.

49 მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, I, 1959, გვ. 239.

50 ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური საგმირო საისტორიო სატყვიერება, თბ., 1949, გვ. 20—21. 122.

ანისი და „სოფელნი და ქვეყანანი მიმდგომნი ანისისანი“<sup>51</sup>. აქ დავით აღმაშენებელმა აღადგინა თურქეთისაგან მეჩეთად ქცეული ეკლესიები<sup>52</sup>.

ლეგენდის მიხედვით, დავით აღმაშენებელმა „დაიპყრნა არტასლანიანნი და ამოსყუდნა იგინი, რომელთა დიდი საყდარი ანისისა მისგითად მოეკაზმათ და ქრისტიანთა სისხლითა იგი საყდარი და ქალაქი მოერწყოთ. იძუქაფა ღმრთის მოყვარემან დავით აღმაშენებელმან მოლათა და დარიმანთა სისხლითა ახლადვე მან მორწყო და საყდარი იგი ახლად მონათლა, რომელი აღეშენა ბერძენთა ასულს დედოფალსა კატრონიტეს და იქვე ესაფლაფა. მაშინ მოვიდა თვთ მეფე დავით და კათოლიკონი, ეპისკოპოზნი და ერთობილი ლაშქარი საფლავსა ზედა, და ახლად წესი აღუგეს“. მეფემ სამჯერ ჩასძახა დედოფალს საფლავში: „გიხაროდენ შენ, წმინდაო დედოფალო, რამეთუ იქსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ხელთაგან. ამასა ზედან მკუღრისა ძულათა საფლავით ქმა გამოსცეს და ღმერთსა მადლობა მისცა. განუკვრდა მეფესა და ერთობილთ(თა) ერთა“<sup>53</sup>. მართებულად შენიშნავს პროფ. ქს. სიხარულიძე: „ეს ლეგენდა ზეპირსიტყვიერებისადმი ისტორიული და პოლიტიკური ინტერესის მაჩვენებელია“<sup>54</sup>.

ხელნაწერთა კრებული, სადაც ის საისტორიო წყაროა შესული, რომელიც აღნიშნულ ლეგენდას შეიცავს, მისი გამოქვეყნების ე. თაყაიშვილის მოსაზრებით, XVIII საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის<sup>55</sup>. აკად. ი. ჭავჭავაძის აღნიშნული აქვს, რომ საისტორიო წყარო, რომელშიც მოყვანილი ლეგენდაა შესული, სხვადასხვა ძველი თხზულებიდან ამოკრებილ ცნობებს შეიცავს<sup>56</sup>. პროფ. ქს. სიხარულიძეს ეს ლეგენდა XVIII საუკუნის მეორე ნახევარზე აღრინდელი თხზულებიდან ამოღებულად მიაჩნია. მისი აზრით, ძველი ძეგლების მიხედვით, დასტურდება ამ ლეგენდის ისეთი პატრიოტული ფუნქცია, როგორც მას გააჩნდა უფრო გვიან, ხალხური შემოქმედების გატაცების ხანაში<sup>57</sup>.

ლეგენდა ქ. ანისის აღებაზე უდავოდ ფოლკლორული ხასიათისაა. ამ ლეგენდის გამოყენებით ავტორმა გააცოცხლა ისტორიის გარკვეული მონაკვეთი და მატრიანის თბრობა ფოლკლორული ნაკადით გაამდიდრა. მემატრიანენი ასეთი დაუჭერებელი, სასწაულებრივი ეპიზოდების შემოტანით ერთგვარად ითვალისწინებდნენ შუა საუკუნეების მორწმუნეთა ფსიქოლოგიას, მათ მსოფლმხედველობას. ისტორიკოსებს კიდევაც სჭეროდათ ამგვარი სასწაულების უტყუარობა და მკითხველებსაც არწმუნებდნენ მასში. აქ არაფერია საკვირველი, თუ გავიხსენებთ, რომ უწინ მრავალი მოარული მოთხრობა იყო გავრცელებული სასწაულებზე. ძველად და შუა საუკუნეებში „სასწაული“ საერთოდ ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა.

51 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 344—345.

52 ი. ჭავჭავაძის შვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, თბ., 1965, გვ. 208.

53 ეს ჩანართი მოიპოვება მხოლოდ D ნუსხაში: გამოყენებული აქვს ეახუშტის უკრიტკოდ და „მოკლე ცნობების“ ავტორს (ე. თაყაიშვილი, „ძველი საქართველო“, ტ. II, 55—56); იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ახალი მასალები „ქართლის ცხოვრების“ ნუსხათა შეწველისათვის: ქუთაისის პედაგოგიკური შრომები, VIII, 1949, გვ. 4—6.

54 ქს. სიხარულიძე, დასახ. შრ., გვ. 20—21.

55 ე. თაყაიშვილი, „ძველი საქართველო“, ტ. II, განყ. III, 62—63.

56 ი. ჭავჭავაძის შვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, 1965, გვ. 208.

57 ქს. სიხარულიძე, დასახ. შრ., გვ. 21. ეს ლეგენდა პოლიტიკურ-აღმზრდელობითი დანიშნულებით გამოიყენა ი. გოგებაშვილმა („ბუნების კარი“, თბ., 1985, გვ. 368).

ე. ჩვენება. „ქართლის ცხოვრებაში“ ჩვენების მოტივით შუამთის ეკლესიის აშენების ამბავია გადმოცემული. ისტორიკოსი ბერი ეგნატაშვილი, რომელიც XIV—XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიას მოგვითხრობს, წერს: „ლევან დაიპყრა კახეთი და მოიყვანა ცოლად ასული გურიელისა თინათინ. ამა თინათინისასა იტყვან, სიყრმესა შინა ნახა ჩუენება ესე: „შეგირთავს მთავარი ვინმე და მისვლასა შენსა ადგილსა ერთსა“. უჩუენა ადგილი ნიშანი და რქუა ესრეთ: „და მუნ იქმნება შინდი თეთრი ერთი. და უშენე მონასტერი ერთი დედასა ღმრთისასა“. ხოლო რაჟამს მოიყვანეს შუამთას და ჩამოაკდინეს განსასვენებელად, და რაჟამს იხილა თინათინ ადგილი იგი, იყო ყოველივე ნიშნული ჩუენებისა და შინდი თეთრიცა. რაჟამს იქორწინეს, შემდგომად აღაშენა ეკლესია შუამთისა და დაადგინა მოძღუართ-მოძღუარი და შუა ორი ძე: ალექსანდრე და ვახტანგ. და ჩიიცვალა თინათინ და დაემარხა ეკლესიასა თვისსა შენებულსა“<sup>58</sup>.

ჩვენების მოტივი ხშირად გვხვდება ხალხურ დიდაქტიკურ ლეგენდებსა და ფანტასტიკურ ზღაპრებში. ამ მოტივს მხატვრული ფუნქცია აკისრია. მისი მიზანია ნაწარმოების პერსონაჟის მოქმედების განვითარების ჩვენება. ჩვენება, სიზმრის მსგავსად, წარმართავს გმირის მოქმედებას. ხალხურ ზღაპრებში მორწმუნეების თუ სიზმრის სახით ზილული მოხუცები დამრიგებლისა და მრჩეველის როლს ასრულებენ. ბევრ ლეგენდაში ამგვარი ზილული მოხუცები წინასწარმეტყველებენ ქვეყნის ბედს, ან კიდევ მათი რჩევა-დარიგების მიხედვით გმირები ქვეყანას იხსნიან განსაცდელისაგან. ასეთია, მაგალითად, ხორეშანას შესახებ პატრიოტული ლეგენდა, რომელიც საქართველოში შაჰ-აბასის შემოჭრაზე მოგვითხრობს<sup>59</sup>.

ხალხურ მოთხრობებში უფრო ხშირად ჩვენება კი არა სიზმარი გვხვდება<sup>60</sup>, მაგრამ ჩვენება ყოველთვის სიზმრის ფუნქციითაა გამოყენებული. ჩვენება ხშირად გვხვდება როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის წიგნებში.

პროფ. რ. ბარამიძის დაკვირვებით, „ჩვენებებს“ გარკვეული ადგილი უკავია აგიოგრაფიული ძეგლის კომპოზიციაში. „ჩვენება მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს სიუჟეტის განვითარებაში. რიგ შემთხვევაში მასში კონცენტრირებულია მომავალში გასაშლელი ამბავი“<sup>61</sup>. მკვლევრის მართებული შენიშვნით, „სასწაული, სიზმარი და ჩვენება იმდენად უცილობელი კომპონენტებია აგიოგრაფიული ძეგლისა, რომ იმათ გარეშე გაუმართლებელი იქნება პერსონაჟის მოქმედება, აუხსნელი რჩევა ნაწარმოების იდეური შინაარსი და, საერთოდ, აგიოგრაფიული ძეგლი დაკარგავს მხატვრულ ძალას, რადგანაც ისინი არიან გმირის მოქმედების ფსიქოლოგიური მოტივირების ძირითადი საშუალებები“<sup>62</sup>.

<sup>58</sup> ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრების პირველი ტექსტი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბ., 1959, გვ. 353.

<sup>59</sup> ქს. სიხარულიძე, ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება, თბ., 1966, გვ. 136; ქართული საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, თბ., 1949, გვ. 142—143.

<sup>60</sup> იხ. „უშილო კაცი“, რჩეული ქართული ზღაპრები, 1953, ელ. ვირსალაძის რედაქციით, 1952, ტ. II, გვ. 40 და მრავალი სხვ.

<sup>61</sup> რ. ბარამიძე, კომპოზიციის საკითხი ქართულ აგიოგრაფიულ თხზულებებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მომამე“, 1954, ტ. XV, № 9, გვ. 637—640.

<sup>62</sup> რ. ბარამიძე, მოტივირების ხერხები ძველ ქართულ მხატვრულ პროზაში, ძველი ქართული მწერლობის სტილის საკითხები (V—XIII სს.), თბ., 1965, გვ. 71.

ჩვენების მოტივი აგიოგრაფიული თხზულებებიდან კი არ გადასულა ზალხში, არამედ, პირობით, იგი ქრისტიანულმა ლიტერატურამ ზალხური ეპოსიდან შეითვისა და გადაამუშავა. „ქართლის ცხოვრებაშიც“ ჩვენება ზალხური ეპოსიდანაა შესული და გამოყენებულია მსოფლმხედველობითი დანიშნულებით. ამავე დროს იგი ნაწარმოების ორგანული ელემენტია და მხატვრული კომპონენტის ფუნქციას ასრულებს.

6. **მემატიანეთა სტილი.** „ქართლის ცხოვრებაზე“ ზეპირსიტყვიერების გავლენა ამბის თხრობის სტილშიც შეინიშნება. მათიანეთა სტილი ზეპირსიტყვიერების ეპიკურ ნიმუშებთან მსგავსებას ავლენს უშუალობისა და ლაკონიურობის მხრივ. მათთვის უცხოა ორნამენტულობა, მეტაფორათა და სხვა გამომსახველობითი ხერხების ჭარბად გამოყენება და თვითმიზნურობა. ამ მხრივ მხოლოდ თამარის პირველი ისტორიკოსია გამონაკლისი. „ისტორიანისა და აზმანის“ ავტორს უსარგებლია იოანე პეტრიწის შრომებით: ისტორიკოსი უხვად სარგებლობს როგორც პეტრიწის ლექსიკით, ისე მისი აზრებით. ამის გამო მისი ენა სოფერ ხელოვნურია, რიტორიკულია. ამისდა მიუხედავად, იგი არაა მოკლებული ქართული ზალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელ ნიშანთვისებებს: ლაკონიურობას, სიმკვეთრესა და სინათლეს.

მართებულად აღნიშნავს პროფ. რ. ბარამიძე: „ქართველი მემატიანეები ამბავს უღარესად დინამიკურად და მიმზიდველად ავითარებენ. მათი ხატოვანი აზროვნება, მკვეთრი და ნათელი მეტყველება, წინადადებათა ბუნებრივი და ელასტიკური კონსტრუქციები ზალხური ძეგლებისათვის ნიშანდობლივ მსუბუქ საკითხავს ხდიან მათიანეებს“<sup>63</sup>.

მემატიანეთა სტილი ყურადღებას იპყრობს აგრეთვე პირდაპირი მეტყველებით, ავტორისეული თხრობით. ამ მხრივაც კი მემატიანეთა სტილი ზალხური სიტყვიერების გავლენაშია მოქცეული. პირდაპირმა მეტყველებამ შეინარჩუნა ზალხური მეტყველების მხატვრული სისტემა. „მემატიანეთა პირდაპირი მეტყველება, - - აღნიშნავს პროფ. რ. ბარამიძე“, — მსგავსად ზალხური სიტყვიერების ძეგლებისა, ყურადღებას იპყრობს თავისი სიცოცხლისუნარიანი კონკრეტულობითა და ბუნებრივობით“<sup>64</sup>.

აშკარა ფოლკლორული იერი გადაჰკრავს ეპიზოდს, რომელშიც აღწერილია სვიმონ მეფის შეხვედრა ვინმე კოლიბაურელ დედაკაცთან. „წარმოემართა მეფე სვიმონ და წარვიდა ბრძოლად მამია დადიანისა, მაშინ დაიბანაკა კოლიბაურს. მაშინ ერთმან ვინმე დედაკაცმან კოლიბაურელმან მიართუა მეფესა სვიმონს შვილი თვისი და ფრიად ევედრა დედაკაცი იგი, რათამცა იახლოს და წარიყვანოს შვილი მისი. ხოლო მეფემან სვიმონ არა იახლა იგი და უბრძანა: „დედაო, ესე არა უწყი, რომე კაცითა მთვრალი ვარო“. და რაჟამს ოტებული მხოლოდ წარმოვიდა, მივიდა მუნვე კოლიბაურს. მაშინ დედაკაცი იგი სთოქნოდა ახოსა, და იხილა დედაკაცმან მან მეფე სვიმონ მომავალი მარტო უკაცოდ, მიეგება დედაკაცი იგი და იცნა მეფე სვიმონ. და სცნა დედაკაცმან მან დამარცხება მეფისა სვიმონისა, მაშინ მოაჯსენა:—**ველმწიფეო, კაცისაგან რომ მთვრალი იყავ, ვეჭობ ახლა კი გამოგფხიზლებიაო**“<sup>65</sup>.

მკითხველი უთუოდ ადვილად შეამჩნევს, რომ მეფე სვიმონის თავგადასავალი წმინდა ზალხური სტილითაა გადმოცემული.

<sup>63</sup> რ. ბარამიძე, ქართული საისტორიო პროზა, თბ., 1971, გვ. 70.

<sup>64</sup> იქვე, გვ. 71.

<sup>65</sup> „ქართლის ცხოვრება“, ტ. II, 534; იხ. აგრეთვე გვ. 277.

ხალხის ცხოვრების ღრმა ცოდნა, მასთან სიახლოვე საკმაოდ დამარწმუნებლადაა გამოვლენილი აგრეთვე მემატიანის თხრობაში, სადაც იგი გატაცებით, სადა და უბრალო ენით გვესაუბრება კავთისხეველ დედაკაცთან მეფე სვიმონის შეხვედრის შესახებ<sup>66</sup>. ამ ეპიზოდში შესანიშნავადაა ნაჩვენები უბრალო, მშრომელი ქართველი ქალის სატკივარი — სიყვარული თავისი მიწისადმი. აქ მემატიანე ემყარება არა რაიმე წერილობითს წყაროს, არამედ გადმოცემას. ამავე დროს ეს ეპიზოდი გვხიბლავს სისადავითა და ბუნებრიობით. თხრობის ასეთი მანერა მემატიანის მეტყველებას ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშებთან აახლოებს.

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტში გამოყენებულია ანდაზები და ხატოვანი თქმები. მაგალითად, „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესი არსო“ (გვ. 416), „ყორღანაძე ქარაფინდა ხელი ჰკრეს და გადაფრინდა“ (გვ. 516), „ვაიმე ბატონის სვიმონის საქონელო“ (გვ. 515) და სხვ. ერთი სიტყვით, უდავო ფაქტია მატიანეთა ენაზე ქართული ხალხური პოეტური ენის ზემოქმედება.

განხილული მასალა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ხალხური შემოქმედება საკმაოდ ღიშითაა წარმოდგენილი. მემატიანენი უხვად დასესხებიან ხალხურ სიტყვიერებას — ხალხურ მოთხრობათა სიუჟეტებს, გადმოცემებს, მითებსა და ლეგენდებს და ისინი ადაპტირებული სახით შეუტანიან ქრონიკებში.

<sup>66</sup> იქვე, გვ. 534—535.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
ისტორიის ინსტიტუტმა)

## რუსუდან კავილაძე

## 2. თაყაიშვილი და ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის პრინციპები

მე-19 ს-ის პირველ ნახევარში მ. ბროსეს, დავით და ნიკო ჩუბინაშვილების, ალ. ცაგარელის, ნ. მარის, თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილის და სხვა ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდი ცდისა და მეცადინეობის შედეგად საფუძველი ჩაეყარა ქართული ხელნაწერების შეგროვების, მათი თავმოყრისა და წერილობითი მასალის სისტემატიზაციის საქმეს.

მარი ბროსე იყო პირველი მეცნიერი, რომელმაც გამოსცა ძველ ქართულ ხელნაწერთა კატალოგი<sup>1</sup> 1838 წ. და თვითონვე თარგმნა იგი ფრანგულ ენაზე. 1844 წელს მისივე თაოსნობით დ. ჩუბინაშვილმა შეადგინა პეტერბურგის სააზიო მუზეუმის კატალოგი, რომელიც ფრანგულად გამოქვეყნდა ქართული ტექსტის გარეშე<sup>2</sup>. 1845 წელს ნ. ჩუბინაშვილმა იმოგზაურა იერუსალიმში და შეადგინა ჯერის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა<sup>3</sup>. 1867 წ. ვ. ლანგლუა აქვეყნებს ათონის ქართულ ხელნაწერთა კატალოგის ფრანგულ თარგმანს<sup>4</sup>. რომელიც ილარიონის ათონის კატალოგის ქართული ტექსტის თარგმანს წარმოადგენდა; ამ კატალოგის ქართული ტექსტი კი პირველად ალ. ცაგარელმა გამოაქვეყნა თავის „Сведения“-ში<sup>5</sup>.

ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა აღნუსხვისა და შესწავლის მიზნით ალ. ცაგარელი 1876-78 წლებში საგანგებოდ მოგზაურობს სამეგრელოში, გურიასა და საქართველოს სხვა კუთხეებში. ამ მოგზაურობამ ცხადად დაანახა მეცნიერს, რამდენი რამ იყო ჯერ კიდევ გამოუვლენელი, შეუსწავლელი და უცნობი ქართული მეცნიერებისათვის; რამდენი რამ იყო საჭირო იმისათვის, რომ დაწერილიყო ქართული ლიტერატურის ისტორია. როგორც იგი წერდა: „В настоящее время история грузинской литературы находится в периоде, так сказать, библиографическом или статистическом, в фазисе тщательного собирания, разработки и классификации литературного материала, и только современем может явиться возможность цельного, стройного и систематического обзора памятников грузинской письменности и литературы“<sup>6</sup>. ამისთვის კი პირველ რიგში აუცილებელი იყო

<sup>1</sup> Catalogue des livres géorgiens tant imprimés que manuscrits anciens et modernes, 1839.

<sup>2</sup> Catalogue des manuscrits géorgiens conservés dans le Musée Asiatique de l'Académie des Sciences, 1844.

<sup>3</sup> А. А. Цагарели, Сведения о памятниках грузинской письменности, СПб, вып. III, 1894, стр. 44.

<sup>4</sup> А. А. Цагарели, Сведения..., вып. I, 1886, стр. IV.

<sup>5</sup> А. А. Цагарели, Сведения..., вып. I, прилож. I, стр. 1—16.

<sup>6</sup> А. А. Цагарели, Сведения..., вып. II, СПб, 1889, стр. III—IV.

ყველა არსებული ქართული ხელნაწერის გაცნობა, აღწერა და კატალოგიზაცია.

1882 წელს ალ. ცაგარელი ეცნობა პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერებს<sup>7</sup>, ხოლო 1883 წელს მას საშუალება ეძლევა იმოგზაუროს ათონსა და სინას მთაზე იქ დატულ ქართულ ხელნაწერთა გასაცნობად და შესასწავლად. ამ ძეგლთა გაცნობამ სულ სხვა კუთხიდან დაანახა მეცნიერს ქართული ლიტერატურის ადგილი ქრისტიანულ მწერლობაში<sup>8</sup>.

ალ. ცაგარელმა ნ. ჩუბინაშვილის იერუსალიმში მოგზაურობის 38 წლის შემდეგ მოიხილა წმინდა ადგილები და მას ბევრი რამ აღარ დახვდა იქიდან, რაც თავის დროზე ნახა ჩუბინაშვილმა. ამდენად, ნ. ჩუბინაშვილის კატალოგი, მიუხედავად სიძველისა, მაინც საინტერესო და ახალი ცნობების შემცველი იყო ალ. ცაგარელისათვის. რიგ შემთხვევაში ის ავსებს ალ. ცაგარლის ცნობებს, რასაც საგანგებოდ აღნიშნავს თვით ალ. ცაგარელი თავის „Сведения“-ს III წიგნში<sup>9</sup>.

ალ. ცაგარლის შემდეგ 1898 წელს ათონზე მიემგზავრება ნ. მარი. მისი მოგზაურობის მიზანი იყო იქ დატული ქართული ხელნაწერების გაცნობა ქართული, სომხური და სირიული ლიტერატურული ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით. ასეთი ხელნაწერების მოპოვების იმედი ნ. მარს ჰქონდა ეჩმიადინსა და თბილისის წიგნთსაცავებში, მაგრამ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდების გაცნობის შემდეგ, ეს იმედები გაუქარწყლდა. სხვათა შორის, ნ. მარი ამის თაობაზე აღნიშნავდა, — შესაძლოა ეს იმიტომაც მოხდა, რომ ამ ორ უმდიდრეს ფონდს, როგორცაა საეკლესიო მუზეუმის და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავი, ჯერ კიდევ არა აქვთ სრული კატალოგი<sup>10</sup>.

ათონის კოლექცია ნ. მარს წესრიგში არ დახვდა. ალ. ცაგარლის მიერ შედგენილი კატალოგის ნომრები არეულა იყო. ნ. მარი აღნიშნავდა, რომ ეს კატალოგი ძალიან სასარგებლოა ივერიის მონასტრის ქართულ ხელნაწერთა შესახებ საერთო წარმოდგენის შესაქმნელად, მაგრამ „не полная и не совсем совершенна в частности“<sup>11</sup>. მისი აზრით, ალ. ცაგარლის კატალოგში მოთავსებული აღწერილობა, არათუ არ იძლეოდა სრულ წარმოდგენას ხელნაწერთა შედგენილობის შესახებ, არამედ არასწორად გადმოსცემდა ხელნაწერთა ტექსტს და უძველესი (X—XI სს.) ხელნაწერის ტექსტის გადმოწერისას ახალ ორთოგრაფიას იყენებდა<sup>12</sup>.

ნ. მარს მოუხდა ამ ხელნაწერების შევსება. ხელახალი შესწავლა და შემჩნეული შეცდომების გასწორება. ამ შეცდომების მიუხედავად ალ. ცაგარლის „Сведения о памятниках грузинской письменности“ და „Памятники грузинской старины в святой земле и на Синае“<sup>13</sup> თავის დროზე ერთად-

<sup>7</sup> უფრო ვრცელი და მოგვიანო ცნობა ამ ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა შესახებ ეკუთვნის ალ. ხახანაშვილს, „მოამბე“, 1898, № 1.

<sup>8</sup> А. А. Цагарели, Сведения..., вып. I, СПб., 1886, стр. II—III.

<sup>9</sup> А. А. Цагарели, Сведения, вып. III, СПб., 1894, стр. VIII.

<sup>10</sup> Н. Я. Марр, Предварительный отчет о работах на Синае, веденных в сотрудничестве с И. А. Джаваховым, и в Иерусалиме, в поездку 1902 г. (апрель-ноябрь).

<sup>11</sup> Н. Я. Марр, из поездки на Афон, ЖМНП, 1889, № 3, стр. 2.

<sup>12</sup> იქვე.

<sup>13</sup> А. А. Цагарели, Памятники грузинской старины в святой земле и на Синае, ППС, т. IV, СПб., 1888.

ერთ წყაროს წარმოდგენდა უცხოეთში დასულ ქართულ ხელნაწერთა შესახებ.

ათონის ხელნაწერთა გაცნობის შემდეგ ნ. მარი ეცნობა სინას მთის ქართულ ხელნაწერებს. სინას მთაზე დასულ ქართულ ხელნაწერთა მნიშვნელობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამ ხელნაწერთა დასრულებული აღწერილობა, რომელიც ნ. მარმა გააკეთა ივ. ჭავჭავაძისთან ერთად 1902 წელს<sup>14</sup>. სინას მთის ხელნაწერთა აღწერის შემდეგ ნ. მარი მიემგზავრება იერუსალიმში. აქ იგი მუშაობს იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობაზე. დროის სიმციროს გამო ნ. მარი შერჩევით აღწერდა ხელნაწერებს, რის შედეგად აღწერილობა მოკლე გამოვიდა. ხელნაწერთა შერჩევა ხდებოდა, ცხადია, ნ. მარის სამეცნიერო ინტერესების შესაბამისად<sup>15</sup>. როგორც პროფ. ე. მეტრეველი აღნიშნავს, მიუხედავად სიმოკლისა და აღწერილობის „შერჩევითი“ ხასიათისა, ნ. მარის ნაშრომს გარკვეული უპირატესობა აქვს არა მარტო ნ. ჩუბინაშვილის და ალ. ცაგარლის აღწერილობებთან, არამედ რ. ბლეიკის კატალოგთანაც<sup>16</sup>. სიმოკლის მიუხედავად, ნ. მარის აღწერილობაში დასახელებულ კატალოგებთან შედარებით, თითოეული ხელნაწერის აღწერილობა უფრო სრულადაა წარმოდგენილი, ზედმიწევნითაა განსაზღვრული მისი რაობა, მოხმობილია ისტორიული ხასიათის ანდერძ-მინაწერები, რომლებიც არა ჩანს სხვათა აღწერილობაში. ნ. მარის აღწერილობას ფილოლოგიური თვალსაზრისითაც აქვს უპირატესობა ამ კატალოგების წინაშე<sup>17</sup>.

საქართველოში გვიან დაიწყო მუშაობა ქართულ ხელნაწერთა აღწერილობასა და კატალოგიზაციაზე. ადრე მთელი ყურადღება გადატანილი იყო ხელნაწერთა შეგროვებასა და თავმოყრაზე, კატალოგიზაციის საქმეებს ყველა გრძნობდა, მაგრამ ამ სამუშაოს შემსრულებლები არა ჩანდნენ — არც ამ საქმის კვალიფიციტრებული სპეციალისტები მოიპოვებოდნენ იმ დროს საქართველოში და არც საგნობრივ-ბიბლიოგრაფიული მუშაობა იყო სათანადო მეცნიერულ დონეზე.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და საეკლესიო მუზეუმი ხელნაწერთა მდიდარ ფონდებს ფლობდა. ამ ფონდებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს საქართველოს ისტორიისა და კულტურის შესწავლისათვის. აღწერილობების და თუნდაც მოკლე კატალოგების უქონლობა ხელს უშლიდა მკვლევართ ამ დიდი და დაუფასებელი სიმდიდრის შესწავლაში.

როგორც ცნობილია, კატალოგის, განსაკუთრებით კი სამეცნიერო კატალოგის მთავარი ამოცანაა მისცეს სრული მეცნიერული აღწერა ხელნაწერებისა, აჩვენოს თითოეული მათგანის მეცნიერული ღირებულება და ამით სპეციალისტთა ფართო წრეებს შეუქმნას საშუალება ისარგებლოს ამ მდიდარი მასალით. ეს ამოცანა კარგად ჰქონდა შეგნებული წერა-კითხვის გამავრცე-

<sup>14</sup> Н. Я. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, Москва-Ленинград, 1940 г., ив. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947.

<sup>15</sup> ნ. მარი, იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა, დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა, 1955, გვ. 7.

<sup>16</sup> იქვე.

<sup>17</sup> იქვე.

ლებელი საზოგადოების გამგეობას. ჭერ კიდეც 1886 წელს მან განიზრახა ვრცელი სამეცნიერო კატალოგის შედგენა და საგანგებო კომისიაც შეიქმნა ამ საკითხთან დაკავშირებით. კომისიაში შედიოდნენ დ. ბაქრაძე, თ. უორდანი, ნ. მთვარელიშვილი და პ. კარბელაშვილი. „კომისია შეუდგა კიდეც თავისი მოვალეობის აღსრულებას და რამდენიმე ხელნაწერი განიხილა, მაგრამ რადგან ამგვარი კატალოგის შედგენა დიდ დროს მოითხოვდა და კატალოგი კი აუცილებლად საჭირო იყო, ამისთვის საზოგადოების გამგეობამ ჭერ-ჭერობით გადასწყვიტა მოკლე კატალოგის შედგენა საზოგადოების წევრთა სახელმძღვანელოდ, რომლის დამზადება იქისრა საზოგადოების საქმეთა მწარმოებელმა ნ. მთვარელიშვილმა“<sup>18</sup>.

ნ. მთვარელიშვილის კატალოგს მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ვუწოდოთ კატალოგი, რადგან ფაქტიურად ეს არის ხელნაწერთა და ნაბეჭდ წიგნთა ნუსხა. კატალოგში შედის 7 განყოფილება, აღწერილია 1039 ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი. ხელნაწერთა აღწერის თვალსაზრისით ეს იყო პირველდაწყებითი მარტივი სქემა, სადაც მოცემული იყო ხელნაწერის სათაური, თხზულების ავტორი, თარიღი და სისრულე ხელნაწერისა.

ხელნაწერთა ფონდების უფრო ღრმად და ახლოს შესწავლის შედეგად საჭირო გახდა ხელნაწერთა აღსაწერი სქემის გაზრდა-გაფართოება, საჭირო იყო დაწერილებითი ცნობების მოტანა ფასეულ და განსაკუთრებით კი უნიკალურ ხელნაწერებზე.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ვრცელი კატალოგის შედგენა თავს იღუა ე. თაყაიშვილმა. თუ როგორ ემზადებოდა იგი ამისთვის, რა სიძნელების და დაბრკოლებების გადალახვა მოუხდა ამ საქმის განხორციელების დროს, კარგად ჩანს ე. თაყაიშვილისა და ნ. მარის მიმოწერიდან<sup>19</sup>. სხვა მასალებთან ერთად ჩვენ უხვად ესარგებლობთ ამ წერილებითაც<sup>20</sup>.

ზემოთ დასახელებულ კატალოგებში წარმოდგენილ აღწერილობათა ფორმის გაცნობის შემდეგ ე. თაყაიშვილმა შეიმუშავა საკუთარი გეგმა ქართულ ხელნაწერთა აღწერისა და წარუდგინა იგი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას, რომლის დასტურითა და ნებართვით შეუდგა იგი ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის გამოსაცემად მომზადების საქმეს. „გეგმა, რომელიც ამ გამგეობას წარუდგინე, — წერს ე. თაყაიშვილი, — მე თვითონ არ გამომიგონია. მე გავსინჯე ყველა კატალოგი, რომელთანაც ხელი მიმიწვდებოდა, დავეკითხე სხვებს, მკოდნე პირებს და მეცნიერებს, რომელთაც აღუწერიათ და განზრახვა აქვთ აღწერონ სხვა ქალაქებში გაბნეული ქართული ხელნაწერები, მივიღე მათგან ისეთის კატალოგის ნიმუშები, რომელზეც ხელი არ მიმიწვდებოდა“<sup>21</sup>.

კატალოგის შედგენის გეგმა მან წინასწარ შეუთანხმა ნ. მარს, რადგან ფიქრობდა, რომ ორივეს ერთნაირი გეგმა უნდა ჰქონოდათ. ნ. მარი ამ დროს

<sup>18</sup> კატალოგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნთ-საცუისა, პირველი ნაწილი, ქართული განყოფილება, შედგენილი საქმეთ-მწარმოებლის ნ. მთვარელიშვილისაგან, ტფილისი, 1887, გვ. 1—11.

<sup>19</sup> წერილები დატულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, ე. თაყაიშვილისა და ნ. მარის ბირად საარქივო ფონდებში.

<sup>20</sup> წერილების გამოქვეყნების დროს დატული არის ავტორისეული სტილი და მართლწერა.

<sup>21</sup> ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, პასუხად ბ-ნ თ. უორდანიას, „ივერია“, 1891, № 131.

პეტერბურგში დაცულ ქართულ ხელნაწერთა კატალოგის შედგენაზე მე-  
შაობდა.

„ჩერ მოვაწყობთ რეთიც შეიძლება ბიბლიოთეკას, — წერს ექვთიმე  
ნ. მარს, — და მერმე შევადგენთ ვრცელ კატალოგს (კატალოგის შედგენა  
ჩემს ამხანაგებს თუცა ჩეროვნათ არ ესმით, მაგრამ ამაში მე დავიყოლიებ  
მათ ნებაზე) და როცა შეიძლება გვექნება, მივყოფთ ხელს საუკეთესო მასა-  
ლების გამოცემას. ეხლა შენ მომწერე შენი პლანი კატალოგის შედგენის  
(ერთნაირი პლანი გვექონდეს საჭიროა) და აგრეთვე, ის თუ რა ენაზე დავბეჭ-  
დოთ კატალოგი, მივყვეთ პატრიოტობას და გამოვსცეთ მარტო ქართულად,  
თუ რუსულად დავბეჭდოთ. მეცნიერების საანტერესოდ, რასაკვირველია რუ-  
სულად სჯობს, მაგრამ აქ არ დამეთანხმებიან და თავის ხარჯით არ გამოსცე-  
მენ. მე კი ჩერ ქართულად ვადგენ“<sup>22</sup>.

მართლაც, ვიდრე ერთიანი ვრცელი კატალოგის ბეჭდვას დაიწყებდა,  
ე. თაყაიშვილმა გადაწყვიტა გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე ნაწილ-ნაწილ  
გამოეჭვეყნებინა ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. აღწერილობის ნაკვე-  
თებად გამოცემა ე. თაყაიშვილმა იმ მიზნით განიზრახა, რომ ამ გზით უფრო  
სწრაფად და დროულად მიეწოდებინა ფართო საზოგადოებისათვის აღწერი-  
ლი მასალა. იგი ნ. მარს სწერს, რომ „ივერიაში“ პირველ რიგში დაბეჭდაეს  
ახალ შემოწირულ ხელნაწერებს, შემდეგ კი ძველებს და სთხოვს აცნობოს  
თავისი აზრი ამ აღწერილობის შესახებ<sup>23</sup>.

ხელნაწერთა აღწერილობის გამოქვეყნება ე. თაყაიშვილმა დაიწყო 1890  
წელს; სულ დაიბეჭდა ოცამდე ხელნაწერის აღწერილობა „ივერიის“ ნომ-  
რებში<sup>24</sup>. როგორც ე. თაყაიშვილისა და ნ. მარსის ამ პერიოდის მიმოწერიდან  
ჩანს, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა „ივერიაში“ უადგილობის გამო  
იბეჭდებოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტ. აღწერილობის ფორმა ასეთი იყო: I. გარეგანი  
აღწერილობა: დარგი, ხელი, ზომა (სანტიმეტრობით) მასალა, მელანი, სა-  
თაურები სინგურით, პაგინაცია, ფურცელთა რაოდენობა, ყდა, სისრულე  
ხელნაწერის. II. შინაგანი აღწერილობა: შედგენილობა (დაწერილებითი და  
ხასიათება) დასაწყისი, დასასრული, მინაწერები.

ე. თაყაიშვილი კარგად გრძნობდა, რომ ხელნაწერთა ამგვარი აღწერი-  
ლობა უფრო გარეგნული იყო, ვიდრე მეცნიერული, მაგრამ მისივე თქმით:  
„გარეგანი აღწერას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ყველა ახალს კატალოგ-  
ში და გარეგანი აღწერა მიუცილებლად საჭირო არის შინაგანს აღწერასთან;  
ხელნაწერზე რომ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ, მისი გარეგანი მდგომარე-  
ობაც უნდა ვიცოდეთ და შინაგანი ღირსებაც. გარეგანი მდგომარეობა ხელ-  
ნაწერის ისტორიაა და მის თავგადასავალს მოგვითხრობს, ხშირად სიყალბე და  
სისწორე ხელნაწერისა იცნობება გარეგანის აღწერილობით, რომელიც სრუ-  
ლად უნდა უჩვენებდეს, თუ რა მასალისაგან შედგება ხელნაწერი“<sup>25</sup>. ამით  
ე. თაყაიშვილს სულაც არ უნდა თქვას ის, რომ შინაგანი აღწერილობას არ  
დაეთმოს მეტი ყურადღება, „არ აღინიშნოს რა ღირსებისაა ხელნაწერი, ე-

<sup>22</sup> ნ. მარსის პირადი საარქივო ფონდი, № 34, 1889.

<sup>23</sup> ნ. მარსის პირადი საარქივო ფონდი, № 37, 1890.

<sup>24</sup> ე. თაყაიშვილი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, „ივერია“, 1890, № 3, 4, 6, 8, 9, 11, 13, 14, 15, 20, 28, 29, 46, 57, 58.

<sup>25</sup> ე. თაყაიშვილი, პასუხად ბ-ნ ეორდანიას, „ივერია“, 1891, № 131.

რიანტს წარმოადგენს ტექსტი თუ არა, რა ახალს ცნობებს გვაძლევს, ან რომელს დროს ეკუთვნის<sup>26</sup>. ყველა ეს პუნქტი, რომელიც ე. თაყაიშვილმა შინაგანი აღწერილობის აუცილებელ ატრიბუტად მოიტანა, მეცნიერული კატალოგის შემადგენელი ნაწილია. მაგრამ ე. თაყაიშვილი არ გამოჰკიდებია მყვირალა და პრეტენზიულ სათაურებს და თავისი აღწერილობისათვის (რომელიც მან შემდეგში გამოაქვეყნა ორ ტომად რუსულ ენაზე) „სამეცნიერო“ აღწერილობა არ უწოდებია.

ნ. მარის საშუალებით ე. თაყაიშვილი პარალელურად ვ. როზენტანაც იყო დაკავშირებული. „Записки“-ში<sup>27</sup> მონაწილეობა მას საქირო და სასარგებლო საქმედ მიაჩნდა. ერთ-ერთ წერილში იგი ნ. მარს სწერს, რომ „Записки“-სათვის ამზადებს „ქართლის მოქცევის“ ხელნაწერის და პარხლის სახარების აღწერილობას. საპასუხო წერილში ნ. მარი აცნობებს, რომ როზენტი თანახმა არის გამოაქვეყნოს მისი მასალები და სთხოვს დასაბეჭდად პირველი ნომრისთვის შედარებით საინტერესო მასალა შეარჩიოს. ამასთანავე აწვდის მას ხელნაწერთა აღწერის სქემას: „აღწერის ფორმა ეცადე ერთი მეორეს წააგავდეს, სრული, მაგრამ მოკრილი და მოკლე იყოს. ძალიან მომწონს ამ მხრით ბერლინის ბიბლიოთეკის კატალოგები, სხვათაშორის სომხური. მოვიყვან ამ ფორმას, რომელზედაც ყველა ხელნაწერები აღწერილი არიან: ნომერი ხელნაწერის კატალოგში, ნომერი ხელნაწერის წიგნთსაცავში. პაგინაცია (როგორი), რვეულთა ან ფურცელთა ან გვერდთა რაოდენობა. ფორმატი (1ა თუ 8<sup>0</sup> თუ 4<sup>0</sup> და სხვ.). ფრჩხილებში ტექსტის (და არა ხელნაწერის) სიდიდე, ვთქვათ 12.5×8 см. რაც (12,5) ტექსტის სიმაღლეს აღნიშნავს და (8) — სტრიქონების სიგრძეს. სტრიქონების რიცხვი (შვათა რიცხვი, ვთქვათ 21—25. ან 18—22) თითო გვერდზე. ქაღალდი, ეტრატა (სისქე, ფერი, გასანთლულობა). აკინძულობა (переплет — ტყავის, ხის თუ ოქროით და სხვა). მღვთმარეობა (შევსებულია თუ გაახლებულია, აკლია თუ არა რამე, სად აკლია). — ასონი, ხელი ხუცური თუ მხედრული, თუ ასომთავრული თუ სტრიქონული, მხედრულია: მრგვლოვანი (ნაბეჭდს გავს, მხოლოდ ჩვიდმეტ საუკუნემდე წერდენ), ყვავისფრჩხილოვანი თუ შვათაგანი სულბოლონდელი, შაგირდული ხელია, შეკაზმულობა (украшения палеографические): წითელი მელანი, ესე იგი კინოვარი, მხატვრობა — ქორონიკონი. გადამწერი, ვის ეკუთვნება. — სათაური თხზულების (როგორი და რომელ გვერდზე). ავტორი, მთარგმნელი. — შემდეგ მოყვება თვით თხზულების აღწერა, რომლის პლანი თვით თხზულების ხასიათზე და შემდგენელის მოხერხებულობაზეა დამოკიდებული. არც წვადი დაიწვეს და არც შამფური, არც აღწერილობა გამოდგეს არაფრის მიმცემი და არც ნამეტარ ვრცლად (ეს სრულებით არ არის საქირო) იყოს, ოღონდ კაცს შეეძლოს მიხედვს, თუ რა თხზულება და ვისი თხზულება აქვს ხელში და სხვა. თვით თხზულების აწერის შემდეგ დასაწყისი თხზულების ოთხი სტრიქონი და დასასრული იმდენივე. შემდეგ მიწერილობანი, დედანიც და (თუ საინტერესოა) თარგმანი. შემდეგ შენი მოსაზრებანი ან დატაზე, ან ავტორზე, ან რომელიმე ადგილზე თხზულების“<sup>28</sup>.

<sup>26</sup> იქვე.

<sup>27</sup> Записки Восточного Отделения Императорского Русского Археологического Общества, С-Петербург.

<sup>28</sup> ე. თაყაიშვილის პირადი საარქივო ფონდი, 1198/7, 1890.

წერილი დათარიღებულია 1890 წლის 10 მარტით. წერილიდან ჩანს, რომ ნ. მარს აღწერის ფორმა მიუწოდებია ექვთიმესათვის „Записки“-ში გამო-საქვეყნებელ ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის ნიმუშად. აღწერის ამ ფორმას ინსტრუქციის სახე არა აქვს. ე. თაყაიშვილს შეეძლო საკუთარი შე-ხედულებისამებრ გაეერცო ან შეემოკლებინა იგი, როგორც ამას საჭიროდ ჩათვლიდა აღწერის დროს. ნ. მარის მიერ ბერლინის წიგნთსაცავების კატა-ლოგებიდან შერჩეული აღწერის ეს ფორმა, ან როგორც ჩვენ პირობითად ვუწოდებთ მას „ინსტრუქცია“ აღწერილობისა, ყველაზე სრული და ვრცელი იყო ხელნაწერთა აღწერის იქამდე არსებულ ფორმათა შორის.

ნ. მარის აღწერის ფორმა ინსტრუქციის სახით ჩვენ ასე წარმოგვიდგება: I. გარეგანი (ტექნიკური) აღწერილობა: ხელნაწერის ნომერი, პაგინაცია, ფურ-ცელთა რაოდენობა, ზომა (ფორმატი), სტრიქონთა რაოდენობა გვერდზე, ყდა (აკინძულობა), მდგომარეობა (დაცულობა), ხელი — მელანი, მხატვრობა, ქორონიკონი, გადამწერი, ვის კუთვნიება ხელნაწერი (დამკვეთი). II. შინა-განი აღწერილობა ანუ შინაარსის გახსნა და ხელნაწერის ისტორია: სათაური, ავტორი, მთარგმნელი, შინაარსი, თვით თხზულების აღწერა, დასაწყისი, და-სასრული, მინაწერები, აღმწერლის მოსახრება თარიღზე. ავტორზე (თუ არაა ისინი ხელნაწერებში).

როგორც ვხედავთ, ამ ინსტრუქციის მიხედვით იხსნება ხელნაწერის ში-ნაარსი, მისი ისტორია, ვის კუთვნიება ხელნაწერი; მინაწერები საშუალებას აძლევს აღმწერელს გაარკვიოს ისტორიული გარემო, რომელშიც იქმნებოდა ხელნაწერი და მისთ. სწორედ ნ. მარის მიერ მოწოდებული აღწერის ეს ფორმა დაუდო საფუძვლად ე. თაყაიშვილმა თავისი ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის ორტომეულს. 1891 წლის 13 მარტით დათარიღებულ წერილ-ში ე. თაყაიშვილი აცნობებს ნ. მარს, რომ დიდი წინააღმდეგობის შემდეგ მან მოიპოვა უფლება ვრცელი კატალოგის შედგენისა და გამოცემის და რომ კატალოგის ბეჭდვას შეუდგება მომავალი წლის სექტემბერში. იქვე დასძენს: „რაც შარშან მომწერე (გულისხმობს აღწერილობის ნ. მარისეულ ფორმას. — რ. კ.), თუ რამე გაქვს დასამატებელი კატალოგის შედგენის პროგრამისა და აღწერილობის შესახებ. მაცნობე, საჭიროა, რომ ქართული ხელნაწერების აღწერილობა ყველა ერთ გეგმაზე იყოს დამყარებული“<sup>29</sup>.

ასე მზადდებოდა და მუშავდებოდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო-გადოების ქართულ ხელნაწერთა ის კატალოგი, რომლის I ტომმა პეტერბურ-გის მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდო — ოქროს მედალი დაიმსა-ხურა.

თავდაპირველად ე. თაყაიშვილმა ხელნაწერთა აღწერილობისათვის სის-ტემატური პრინციპი აირჩია. ე. ი. ხელნაწერთა აღწერას შეუდგა ბიბლიოთე-კაში დაცული ნუსხების მიხედვით. ასე აღწერა მან პირველი 30 ნომერი, 31 ნომრიდან კი თაყაიშვილმა სისტემატური პრინციპი შეცვალა თემატუ-რით. ეს მართლაც გამართლებული აღმოჩნდა, ვინაიდან აღწერის პროცესში ერთგვაროვანი ხელნაწერები ბუნებრივად დალაგდა ერთად<sup>30</sup>.

<sup>29</sup> ნ. მარის პირადი საარქივო ფონდი, № 41, 1891.

<sup>30</sup> Е. С. Т а к а й ш в и л и, Описание рукописей библиотеки «Общества распростра-нения грамотности среди грузинского населения», Тифлис, т. I, вып. 4, 1904, стр. IV.

ე. თაყაიშვილის აღწერილობა იმით გამოირჩევა სხვათა აღწერილობათაგან, რომ გარდა ხელნაწერების „შინაჯანი“ და „გარეჯანი“ აღწერილობისა, კატალოგი შეიცავს მრავალ ძეგლთა პუბლიკაციას. ე. თაყაიშვილის „Описание“ დაწერილებითია. მასში სრულადაა წარმოდგენილი ხელნაწერთა ანდერძ-შინაწერები, სხვადასხვა ხასიათის შენიშვნები. ქართულად მოტანილ ტექსტებთან ერთად მოცემულია პარალელური რუსული თარგმანი, მოხმობილია ვრცელი ამონაწერები ხელნაწერის დასაწყისიდან და ბოლოდან, აგრეთვე ცნობები ძეგლის ავტორის, გადამწერის, დამკვეთისა და ამკინძავის შესახებ. უხვადაა წარმოდგენილი აღწერილობაში თვით აღმწერლის დაკვირვებები. მთელ რიგ შემთხვევაში გამოკვლევები და მისთ. ერთი სიტყვით, ე. თაყაიშვილი ცდილობდა მთლიანად ამოეწურა ის ისტორიულ-ლიტერატურული მასალა, რომელიც შეეძლო მოეცა აღსაწერ ხელნაწერს მისი სრული ტექსტის გამოცემის გარეშე<sup>31</sup>.

თავისი აღწერილობის ამოცანად, ზემოხსენებულის გარდა, მას მიაჩნდა აგრეთვე ის, რომ აღწერილობას დახმარება უნდა გაეწია სპეციალისტისათვის ბეჭდვის დროს ხელნაწერთა შერჩევის საქმეში, რომ მას ხელთა ჰქონოდა გამოსაცემი ტექსტის ნუსხათა შორის უკეთესი ვარიანტი. მისი აზრით, როცა სპეციალისტი გაეცნობოდა ასეთ ნუსხებს. მეცნიერული კვლევა სათანადო საფუძველზე დადგებოდა.

ე. თაყაიშვილმა თავისი აღწერილობით სწორედ ეს საფუძველი შეამზადა. მისი „Описание“-ს გამოსვლას დიდი ინტერესით და სიხარულით შეეგებნენ ქართველი მეცნიერები.

ნ. მარი თავიდანვე აქტიურ მონაწილეობას იღებდა ე. თაყაიშვილის ვრცელი კატალოგის მომზადების საქმეში, ხოლო როცა „Описание“ ცალკე წიგნად გამოქვეყნდა, მან საგანგებო რეცენზია უძღვნა ამ შრომას, რომელიც მისი აზრით, აღწერილობა კი არა ნამდვილი გამოკვლევა იყო. იგი წერდა: „Автор „Описания“ главное внимание обращает на содержание, а не на установленное в последнее время шаблоны внешнего описания. Что касается выполнения, то имя Е. С. Такайшвили, автора „Описания“, представляет достаточную гарантию тщательности работы“<sup>32</sup>. ნ. მარის დასკვნით ე. თაყაიშვილის აღწერილობა არის: 1. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქართულ ხელნაწერთა კოლექციის ზედმიწევნითი და დეტალური აღწერის პირველი და ბრწყინვალე ცდა.

2. ფაქტობრივი მასალით მდიდარი ეს აღწერილობა გამსჭვალულია ჭანსალი სკეპტიციზმით და გაცილებით მეტს გვაძლევს, ვიდრე სათაურში გვპირდება; ხელნაწერთა აღწერილობას ენაცვლება უცნობი ტექსტის მეცნიერული გამოცემა და რუსული თარგმანები, ანდა ტექსტობრივი გამოკვლევები, ძვირფასი მასალა მომავალი გამოცემისათვის, აგრეთვე ისტორიულ-ლიტერატურული მონოგრაფიები ცალკეულ ძეგლთა შესახებ.

3. ე. თაყაიშვილის აღწერილობა ერთდროულად არის კატალოგიც, გამოცემულ ტექსტთა ბიბლიოთეკაც და ლიტერატურის ისტორიაც. ერთი სიტყ-

<sup>31</sup> Е. С. Такайшвили, Описание рукописей библиотеки «Общества распространения грамотности среди грузинского населения», Тифлис, т. 1, вып. 4, 1904, стр. 11.

<sup>32</sup> Н. Я. Марр, Отзыв о сочинении Е. С. Такайшвили: Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», т. 1, вып. 1—4, Тифлис, 1902—1904, СПб., 1908, стр. 177.

ვით, ეს თავისებური აღწერილობა ქართულ ხელნაწერებისა იშვიათი და ძვირფასი შენახენია რუსული ორიენტალისტური მეცნიერებისათვის<sup>33</sup>.

რაც შეეხება ე. თაყაიშვილის აღწერილობის უარყოფით მხარეებს და იმ ხარვეზებს, რომლებიც შეიმჩნევა წიგნში, ნ. მარის აზრით ისინი განაპირობა იმდროინდელმა ქართველოლოგიის დაბალმა დონემ, რომელიც მემკვიდრეობით მიიღო ე. თაყაიშვილმა.

ასეთივე დიდ შეფასებას აძლევდა ე. თაყაიშვილის აღწერილობას ივ. ჯავახიშვილი. ყველაზე ფასეული ამ აღწერილობაში, სხვა ღირსებათა გვერდით, ივ. ჯავახიშვილის აზრით იყო ის, რომ ე. თაყაიშვილმა თავის აღწერილობაში „ქართლის ცხოვრების“ ყველა ძირითადი ხელნაწერის ვრცელი გამოკვლევა მოათავსა. რუსეთში გამოქვეყნებულ რეცენზიაში იგი საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ: „Описание“ составлено прекрасно, тщательно, подробно и дает массу совершенно новых сведений... В описании мы имеем много ценных данных, дающих неопровержимые выводы в области исторических и историко-литературных интересов“<sup>34</sup>.

ალ. ბარამიძის აზრით „ე. თაყაიშვილის აღწერილობათა ორტომეული სანიმუშო იყო თავის დროისათვის და შესანიშნავია დღევანდელი პირობებისათვისაც კი“<sup>35</sup>. მისი აზრით, ეს არაა აღწერილობა ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით.

ე. თაყაიშვილის აღწერილობამ საფუძველი ჩაუყარა ქართულ ისტორიოგრაფიას, ქართული ლიტერატურისა და ფილოსოფიის მეცნიერულ კვლევას. ამ აუცილებელი საფეხურის გარეშე (ქართული ხელნაწერებისა და პირველწყაროების აღწერისა და გამოკვლევის გარეშე) ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა საქართველოში ნამდვილი მეცნიერული კვლევის წარმოება.

„Описание“-ს II ტომის გამოსვლის შემდეგ ე. თაყაიშვილმა შეწყვიტა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობაზე მუშაობა. მისი ორტომეულის გამოქვეყნების შემდეგ ამ საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობაზე კარგა ხანს აღარავის უმუშავია<sup>36</sup>.

Р. Я. КАВИЛАДЗЕ

## Е. С. ТАКАЙШВИЛИ И ПРИНЦИПЫ ОПИСАНИЯ ГРУЗИНСКИХ РУКОПИСЕЙ

Резюме

В статье дается краткий обзор предварительной работы, проведенной видными грузинскими учеными и общественными деятелями (А. А. Цагарелли, Н. Я. Марр, И. А. Джавахишвили, Ф. Д. Жордания и др.) с целью собирания, систематизации и каталогизации грузинского рукописного наследия.

<sup>33</sup> Н. Я. Марр, Отзыв о сочинении Е. С. Такайшвили..., СПб, 1908, стр. 189—190.

<sup>34</sup> И. А. Джавахов, ВВ, т. XI, 1904, стр. 347.

<sup>35</sup> ალ. ბარამიძე, ექვთიმე თაყაიშვილი—ქართულ მეცნიერობის მკვლევარი; ე. თაყაიშვილი, რჩეული ნაშრომები, ტ. I, 1968, გვ. 7—8.

<sup>36</sup> კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, მ. ჯანაშვილის პირად საარქივო ფონდში № 50 ხელნაწერის სახითაა დატული წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 384 ქართული ხელნაწერის აღწერილობა, რომელიც 1939 წელს შეუდგენია მ. ჯანაშვილს, მაგრამ არ გამოქვეყნებია, ხოლო 1905 წელს გამოიტა დ. კარიჭაშვილის მიერ შედგენილი მოკლე კატალოგი.

Рукописные собрания, хранившиеся как в Грузии (в «Обществе распространения грамотности» и в Церковном Музее), так и за ее пределами (на Афоне, Синае и в Иерусалиме), имеют исключительную ценность для изучения истории и культуры Грузии. Однако отсутствие каталогов этих собраний не позволяло получить полного представления о грузинских рукописях и по-настоящему определить их научное значение.

В труде изложена история каталогизации грузинских рукописей; особо подчеркнута роль Е. С. Такайшвили в этом деле. Наряду с другими источниками привлекается также и материал, связанный с этим вопросом, из переписки Н. Я. Марра и Е. С. Такайшвили. Из этой же переписки явствует тесное сотрудничество ученых, их согласованность в вопросах составления общих форм и принципов описания рукописей.

В статье приводится оценка „Описания рукописей“ «Общества распространения грамотности» (1904—1909 гг.) Е. С. Такайшвили и указывается на огромное значение этого издания в деле становления и развития грузинской историографии и филологии.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

---

## მ ზ ი ა ი ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი

## ხოსროვი საადის შესახებ

(„შამს ო თოღრა“ მიხედვით)

მოკამედ ბაყერ ხოსროვის ისტორიული რომანი „შამს ო თოღრა“ პირველი მხატვრული ნაწარმოებია, სადაც ერთ-ერთ მთავარ გმირად გამოყვანილია საადი შირაზელი. პოეტის მხატვრული სახის შექმნისას ავტორი ემყარება „ფარს-ნამეს“, საადის მხატვრულ მემკვიდრეობასა და ზეპირ გადმოცემებს.

ბუნებრივია, იბადება კითხვა: რა ფუნქციას ასრულებს საადი რომანში? ნაწარმოების პერსონაჟები საადისაგან იღებენ რჩევა-დარიგებას, განსაცდელის უამს ხელმძღვანელობენ მისი ბრძნული გამოწვევებით, მიჯნურები მღერიან მის ყაზალებს, მისი მიბაძვით თხზავენ ლექსებს: საადი აქორწინებს გმირებს, ნათლავს და სახელს ურჩევს ახალშობილებს. მისი ხელშეწყობით მონღოლი ამირას ოჯახი ეზიარება ისლამის რჯულს. საადის სარეკომენდაციო ბარათებით რომანის გმირები უშაშრად მოგზაურობენ მონღოლთა ურდოში, ეგვიპტესა თუ სირიაში. ფარსში საადი გაცილებით მეტი ავტორიტეტით სარგებლობს, ვიდრე აბეშ ხათუნი ან მონღოლთა ნებისმიერი ამირა.

პირველად საადი იხსენიება რომანის დასაწყისში, როცა მოხუცი ხორამი მონღოლების წინააღმდეგ ამხედრებულ ახალგაზრდა შამსს რჩევა-დარიგებას აძლევს და საბუთად საადის სიტყვებს იშველიებს: „ვინც ფოლადმკლავს შეეხო, მან თავისი ვერცხლის მკლავი დაიზიახაო“.

ხოსროვისთან საადის სრული სახელწოდებაა შეიხ მუშრიფედდინ მოსლეჰ, თახალოსი საადი: <sup>1</sup> شیخ مشرف الدین مصلح متخلص بسعدی

რ. ალიევის მიხედვით პოეტის ზუსტი სახელწოდებაა აბუ-აბდალლაჰ მუშრიფედდინ იბნ მუსლიჰადდინ საადი შირაზი და არა მუსლიჰადდინ საადი, როგორც ზოლო დრომდე მიაჩნდათ<sup>2</sup>. როგორც ვხედავთ, რ. ალიევი მხარს უჭერს ხოსროვის წაკითხვას.

რომანის პირველსავე გვერდებზე მოტანილია ამონაწერი „ფარს-ნამედან“. სადაც ნათქვამია, რომ პოეტს სენაკი აუშენეს დიდმა ვეზირმა შამს ედ-დინ ჯუვეინიმ და მისმა ძმამ ბაღდადის ვალიმ ალა ედ-დინ ათა მალიქ იბნ მოკამედ ჯუვეინიმ. აქვე ხოსროვი იმეორებს წყაროთა ჩვენებას იმის თაობაზე, რომ მან საადი დაირქვა ათაბაგ საად პირველის პატივსაცემად. ავტორი მხარს უჭერს ტრადიციულ შეხედულებას, რომ შეიხ საადიმ ოცდაათი წელი შირაზში დაჰყო და აქ მიიღო სწავლა-განათლება. შემდეგ მოგზაურობამ გაიტაცა. მეორე ოცდაათი წელი ქვეყნების გაცნობას მოაწოდებდა. როცა გამოცდილება შეიძინა და

<sup>1</sup> شمس و طغراء، تالیق: محمد باقر میرزا خسروی با مقدمه: مرحوم رشید  
. ۳۷، ۱۹۶۲، جلد ۱، یاسمی، შემდეგში: შამს ო თოღრა.

<sup>2</sup> Мушрифаддин Саади, Гулистан, Розовый сад, Подготовка текста, вступительная статья и примечания Рустама Алиева, М., 1957, გვ. 5; შდრ. შეიხ მუსლიჰ-ედ-დინ საადი შირაზელი (Гулистан, перев. Е. Бертельса, предисловие С. Ф. Ольденбурга, Берлин, 1922); შდრ. მუსლიჰადდინ საადი (Классики таджикской литературы, Саади, Сталинабад, 1954).

ცოდნის საგანძური გაიმდიდრა, სამშობლოს ძოაშერა<sup>3</sup>. რომანის მიხედვით საადი თორმეტი წლის წინ დაბრუნებულა შირაზში<sup>4</sup>. მკვლევარები საადის დაბრუნების თარიღად დაახლოებით 1255 წელს ასახელებენ<sup>5</sup>. ხოსროვისთანაც თითქმის იგივე (1255/56) წელი ივარაუდება. რომანის მიხედვით საადის ამ დროისათვის დაწერილი აქვს „ბუსთანი“. ი. ალიზადეს აზრით, საადი დაახლ. 1255 წ. დაბრუნდა შირაზში, შეიხ აბუ აბდალლაჰ ჰაფიფის მონასტრის მახლობლად განმარტოვდა და იქ დაწერა „ბუსთანი“ (დაამთავრა 1257 წ.)<sup>6</sup>.

ს. ოლდენბურგი თვლის, რომ შირაზში დაბრუნების შემდეგ საადი იწყებს „ბუსთანისა“ (1257) და „გოლესთანის“ (1258) წერას<sup>7</sup>. რ. ალიევის მიხედვით, 1250 წელს საადიმ მიატოვა ზეტიალი და დამასკოში დამკვიდრდა. აქ შეუდგარგი „ბუსთანის“ წერას და მასზე მუშაობდა 1255 წლამდე, შირაზში დაბრუნებამდე<sup>8</sup>. რ. ალიევის შეხედულება ემთხვევა ხოსროვის შეხედულებას. როგორც აღვნიშნეთ, 1255--56 წლამდე, ფარსში დაბრუნებამდე, „შამს ო თოლრას“ ავტორის აზრით, საადის მზადა აქვს „ბუსთანის“ ნუსხები, რომელსაც ახალგაზრდა შამსს უსახსოვრებს.

ს. ოლდენბურგის ვარაუდით, საადის უნდა სცოდნოდა თურქული და მონღოლური ენები<sup>9</sup>. „შამს ო თოლრას“ მიხედვით საადი დაუფლებულია ბერძნულ ენასაც<sup>10</sup>.

ხოსროვი იმოწმებს არა მარტო ციტატებს საადის შემოქმედებიდან, იგი აგრეთვე აგვიწერს დიდი პოეტის ცხოვრების ცალკეულ მომენტებს. რომანის უკანასკნელ თავს ეწოდება: საქმეთა დასასრული და შეიხ საადის სიკვდილი<sup>11</sup>. შამსი და თოლრელი ინახულებენ ავადმყოფ საადის. პოეტი ცდილობს გაამხნევოს მისი უღონობით შეწუხებული მამა-შვილი. იგი წარმოთქვამს ლექსს, სადაც გატარებულია აზრი, რომ წელთა დინების შეჩერება არაეის ძალეში<sup>12</sup>. ნაწარმოები მთავრდება დიდი პოეტის გარდაცვალებით. ხოსროვი იცავს ტრადიციულ შეხედულებას, საადის გარდაცვალების თარიღად 691 წ. (1292 წ.) შავალის (სექტემბერი) თვესა და პარასკევ ღამეს ასახელებს<sup>13</sup>.

საადის „ქოლიათი“ ხოსროვისათვის პირველხარისხოვანი ლიტერატურული წყაროს მნიშვნელობას ასრულებს. მის მიერ დამოწმებული ციტატებიდან ზოგი ბეითი თუ სიტყვა მ. ფორულის გამოცემის ვარიანტულ სახესხვაობებს ემთხვევა<sup>14</sup>. ზოგი გამოთქმა თუ ფრაზა ფორულისეულ გამოცემაში საერთოდ არ გვხვდება (არც ძირითად ტექსტში და არც ვარიანტებს შორის), ზოგი კი

<sup>3</sup> შამს ო თოლრა, ტ. I, გვ. 37.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> Классики таджикской литературы, გვ. 6.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 8.

<sup>7</sup> Шейх Муслих-эд-дин Саади Ширазский, Гулистан, გვ. 12.

<sup>8</sup> Мушрифаддин Саади, Гулистан, Розовый сад, გვ. 15.

<sup>9</sup> Шейх Муслих-эд-дин Саади Ширазский, Гулистан, გვ. 10.

<sup>10</sup> შამს ო თოლრა, ტ. 2, გვ. 27.

<sup>11</sup> შამს ო თოლრა, ტ. 3, გვ. 336.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 339.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 340. შტრ. Классики таджикской литературы, გვ. 107.

<sup>14</sup> ۱۳۲. گلایات سعدی با اهتمام جناب آقای محمد علی فروغی، طهران، ۱۳۲. შემდეგში: ფორულის გამოცემა, შტრ. შამს ო თოლრა, ტ. 2, გვ. 33. ფორულის გამოცემა, გვ. 12. (غزلیات سعدی). შტრ. შამს ო თოლრა, ტ. 3, გვ. 48.

იძლევა ვარიანტულ სხვაობას. მაგ., ბეითში: შენი სახელი ახსენეს და ბრძენებ-  
მა გაიგეს — ორივემ დაიწყო ცეკვა მსმენელმა და მთქმელმა<sup>15</sup>. ხოსროვისთან  
م (სახელი) შეცვლილია სიტყვით ذكر (მოხსენიება), ხოლო სიტყვა „ბრძე-  
ნები“ (عارفان) „მიჭნურებით“ (عاشقان)<sup>16</sup>. სტრიქონში: ბატონმა პატივი  
დამდე და გამომიგზავნე სიმდიდრე (ქონება)<sup>17</sup>, ხოსროვისთან خواجه (ბატონი)  
შეცვლილია სიტყვით چون (რადგანაც, ვინაიდან)<sup>18</sup>.

ყაზალის ამ სტრიქონში: ბედის მწუხარებას განვიცდი თუ მეგობრის  
განშორებას<sup>19</sup>, სიტყვა „განშორების“ საბადლოდ ხოსროვის ტექსტშია جفاي  
(ღალატი, ტანჯვა)<sup>20</sup>. ყაზალში: კეთილისმსურველნი მე მარიგებენ<sup>21</sup>, ფორუღი-  
სეული ნიკხოვაჰან-ის ნაცვლად ხოსროვისთან არის دوست دارانم (კეთი-  
ლისმსურველნი)<sup>22</sup>, რაც შინაარსობრივად ემთხვევა ფორუღისეულ ტექსტში  
დაცულ სიტყვას. ყაზალში, რომელიც ამ ბეითით იწყება: ადამიანის პატიოს-  
ნება მის გულკეთილობაშია და გულკეთილობა — ღვთის თაყვანისცემაში, ვი-  
საც ეს ორი არა აქვს, მის ყოფნას არყოფნა სჯობს<sup>23</sup>, ხოსროვისთან -ის  
მაგიერ გვაქვს مرد (ყატი, ადამიანი), ხოლო კ-ს ნაცვლად ز<sup>24</sup>; ყაზალის ამ  
სტრიქონებში: იმ სუფრაზე, სადაც მასპინძელს აქვს განზრახვა (ჩანაფიქრი)<sup>25</sup>,  
ფორუღისეული بر آن ساحت ხოსროვისთან შეცვლილია در آن وثاق (სად-  
გომში); ხოლო منظور-ის მაგიერ კი გვაქვს محبوب (მიჭნური)<sup>26</sup>. ყაზალში,  
რომელიც ასე იწყება: თავს თუ შეეწირავ მას<sup>27</sup>, ხოსროვისთან وفات (სიკვდი-  
ლი)-ის მაგიერ გვაქვს هواش (სურვილი მისადმი)<sup>28</sup>. ყაზალში, რომლის ბეი-  
თის მეორე ნაწილია: თუ იქნება იმედი შეერთებისა (განშორება) ისე ძნელი  
აღარ არის<sup>29</sup>, همچنان (იმგვარად)-ის ნაცვლად „შამს ო თოღრაში“ დასტურ-  
დება اينقدر (ამდენად)<sup>30</sup>. ყაზალში, რომელიც ამ ბეითით იწყება: მეგო-  
ბარმა ხამს, რასაც მეგობარი აკეთებს, ის აირჩიოს თავის სურვილად<sup>31</sup> که هرچه  
ის ნაცვლად „შამს ო თოღრაშია“ چه هر آن<sup>32</sup>.

„გოლესთანის“ ამ სტრიქონში: მშვიერი მწვალებელი ცარიელ სახლში  
სუფრასთან ქკუას ძალას არ ატანს, რომ რამაზანზე იფიქროს<sup>33</sup> بر (ზე, თან)

<sup>15</sup> ფორუღის გამოცემა გვ. 190. (غزليات سعدی).

<sup>16</sup> შამს ო თოღრა, ტ. I, გვ. 268.

<sup>17</sup> ფორუღის გამოცემა, გვ. 72. (رسائل نشر).

<sup>18</sup> შამს ო თოღრა, ტ. I, გვ. 109.

<sup>19</sup> ფორუღის გამოცემა, გვ. 222. (غزليات سعدی).

<sup>20</sup> შამს ო თოღრა, ტ. I, გვ. 131.

<sup>21</sup> ფორუღის გამოცემა, გვ. 41. (غزليات سعدی).

<sup>22</sup> შამს ო თოღრა, ტ. I, გვ. 234.

<sup>23</sup> ფორუღის გამოცემა, გვ. 126. (غزليات).

<sup>24</sup> შამს ო თოღრა, ტ. I, გვ. 389.

<sup>25</sup> ფორუღის გამოცემა, გვ. 192. (غزليات سعدی).

<sup>26</sup> შამს ო თოღრა, ტ. I, გვ. 211.

<sup>27</sup> ფორუღის გამოცემა, გვ. 309. (غزليات سعدی).

<sup>28</sup> შამს ო თოღრა, ტ. I, გვ. 111.

<sup>29</sup> ფორუღის გამოცემა, გვ. 64. (غزليات سعدی).

<sup>30</sup> შამს ო თოღრა, ტ. 3, გვ. 125.

<sup>31</sup> ფორუღის გამოცემა, 127. (غزليات سعدی).

<sup>32</sup> შამს ო თოღრა, ტ. 2, გვ. 96.

<sup>33</sup> ფორუღის გამოცემა, გვ. 53. (گلستان سعدی).

წინდებულის ნაცვლად ხოსროვის ტექსტშია *پر* (სავსე)<sup>34</sup>.

ყითაში: ნუ ენდობი ამ ქვეყანას. ცვალებადია, მიედინება, როგორც ნიაღვარი, მოხუცი არ გაყმაწვილდება. მისი სიბერეც დიდხანს არ დარჩება<sup>35</sup> *در زیر* (ქვემოთ, ძირს)-ის ნაცვლად „შამს ო თოღრაშია“ *در پیش* (წინ), *پیش* (მისი მოხუცებულობა, სიბერე)-ს მაგიერ *پیش* (მისი ეფი), ხოლო *در* (დიდხანს) შეცვლილია სიტყვით *پیش* (მეტად ამიერიდან, მეტ ხანს)<sup>36</sup>.

ლექსში, რომელიც ამ სტრიქონით იწყება: ცნობა (ამბავი, მიმართვა) სამართლიანი ბატონისა (შუქი სახელმწიფოსი და რელიგიისა)<sup>37</sup>, *صاحب عادل* (სამართლიანი ბატონის) ნაცვლად ხოსროვის უწერია *صاحب دیوان* — საკებ დივანი<sup>38</sup>, ხოლო იმავე ლექსის მეორე ბეითში, რომელიც ასე იწყება: მოვიდა და გაზარდა საადის პატივისცემა<sup>39</sup>, *حرمت* (პატივისცემა)-ის საბადლოდ „შამს ო თოღრაშია“ *دولت* (ქონება)<sup>40</sup>. ამავე ლექსის ბოლო ბეითში: იმ ქვეყნად მასთან შეხვედრის იმედზე ხელი მაქვს ჩაქნეული, ვინაიდან პასუხი უნდა აგოს (მან) ხალხის შევიწროების ვამო<sup>41</sup> *طعم بریدم* (იმედი გადაწურული მაქვს, ხელი მაქვს ჩაქნეული)-ის მაგიერ ხოსროვის ტექსტშია *طعم ندارم*<sup>42</sup>.

ყითაში, რომლის დასაწყისია: ჩემი ძმის მდგომარეობის შესახებ დარწმუნებული ვარ, რომ შენ არაფერი იცი<sup>43</sup>, ხოსროვისთან ჩამატებულია ერთი ბეითი: უკიდურესი სილატაკის გამო მას შარვალი არა აქვს<sup>44</sup>.

რომანში შეტანილია რამდენიმე ლექსი, რომელიც ხოსროვის საადის ხელიდან გამოსულად ნიაჩნია. ჩვენთვის ხელმისაწვდომ საადის გამოცემებში ეს ლექსები არ დასტურდება<sup>45</sup>.

ამრიგად, ხოსროვის რომანში წარმოდგენილი მასალა საადის შემოქმედებიდან საინტერესოა ტექსტოლოგიური თვალსაზრისითაც და ვფიქრობთ, მხედველობაშია მისაღები საადის ქოლიათის ახალი აკადემიური გამოცემის დროს.

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, ხოსროვის ხელთ ჰქონია საადის ქოლიათის უფველესი ნუსხა, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ ფაქტს, თუ რა დიდ სიფრთხილესა და გულისყურს იჩენდა „შამს ო თოღრას“ ავტორი დიდი პოეტის მხატვრულ სახეზე მუშაობისას.

<sup>34</sup> შამს ო თოღრა, ტ. I, გვ. 381.

<sup>35</sup> ფორულის გამოცემა, გვ. 178 (გაწყობილება *قطعات*).

<sup>36</sup> შამს ო თოღრა, ტ. 3, გვ. 339.

<sup>37</sup> ფორულის გამოცემა, გვ. 73. (*رسائل نشر*).

<sup>38</sup> შამს ო თოღრა, ტ. I, გვ. 110.

<sup>39</sup> ფორულის გამოცემა, იქვე, გვ. 73.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 110.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 73.

<sup>42</sup> შამს ო თოღრა, ტ. I, გვ. 110.

<sup>43</sup> ფორულის გამოცემა, გვ. 76—77. (*رسائل نشر*).

<sup>44</sup> შამს ო თოღრა, 1910—1911, ტ. 3, გვ. 3.

<sup>45</sup> შამს ო თოღრა, ტ. I, გვ. 113; ტ. I, გვ. 201; ტ. 2, გვ. 133.

## შ ა ლ ვ ა ბ ა ბ ა ს კ ი რ ი ა

## უცხო წარმოშობის ლექსიკა იუნუს ემრეს ნაწარმოებებში

დიდი თურქი პოეტის იუნუს ემრეს ნაწარმოებები („დივანი“ და „მესნევი“) ძველ ანატოლიურ თურქულზე შექმნილი ერთ-ერთი ადრეული ლიტერატურული ძეგლებია. ეს გარემოება მათ ენის ისტორიის შესწავლისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. მიუხედავად ამისა, ეს ნაწარმოებები ენობრივად ნაკლებად არის შესწავლილი. ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი მიზეზი ის არის, რომ დღემდე არ არსებობს იუნუს ემრეს ნაწარმოებების კრიტიკული გამოცემა.

წინამდებარე წერილში ვცადეთ ი. ემრეს არათურქული ლექსიკის დაბასიათება<sup>1</sup>. ამ ლექსიკის დიდი ნაწილი არაბული სიტყვებია<sup>2</sup>, რომლებიც ძირითადად რელიგიურ ცნებებს გამოხატავს. პოეტი ხმარობს ყურანის ცალკეულ გამონათქვამებსაც. არაბული ლექსიკა უმთავრესად ისლამის მიღების შემდეგაა შესული თურქულ ენებში. მათი დიდი ნაწილი დამკვიდრებული ჩანს ძვ. ან. თურქულში, ხოლო ნაწილი კვლავ უცხო სიტყვების (Fremdwörter) იერს ატარებს.

არაბული სიტყვები თურქულში შედიოდა როგორც საკუთრივ არაბულიდან, ასევე სპარსულის გზით. ძვ. ან. თურქულში დამკვიდრებულ არაბულ ლექსიკას ძირითადად ფონეტიკური ან სემანტიკური ცვლილება არ განუცდია. არის სოგი გამონაკლისი: sokak 'ქუჩა' < არაბ. سوق; zukāk 'ქუჩა, შუკა'. beğid, რომელსაც ი. ემრესთან „სწრაფი, სწრაფად“ მნიშვნელობები აქვს, არაბული სიტყვაა, < არაბ. بجد biğidd 'გულმოდგინებით, მონდომებით' (მდრ. ქართ. ბეჯით-ი)<sup>3</sup>. თანამედროვე თურქულში beğid-ს „მნიშვნელოვანი, საჭირო, გადაუდებელი“ მნიშვნელობები აქვს. beles 'უფასო, მუქთა', ჩვენი აზრით, მომდინარეობს არაბული بلس bilāy'-ს (უარაფრო) სასაუბრო ფორმიდან بلس balāš ('მუქთად, უფასოდ') და სამეტყველო გზით უნდა იყოს თურქულში შესული. იხმარება ცნობილ ანდაზაში: beles atyn dişine bakılmaz — „ნაჩუქარ ცხენს კბილებს არ უსინჯავენ“. სალიტირატურო ენის თვალსაზრისით heleš ამჟამად ეარგონულ სიტყვად ითვლება<sup>4</sup>. ი. ემრესთან temyiz

<sup>1</sup> ვსარგებლო დით ა. გრდფინარლას 1943 წლის გამოცემით. A. G ö l p i n a r l ı, Yunus Emre Divanı, Metinler, Sözlük, Açılama, 6. 1-2, Istanbul, 1943.

<sup>2</sup> არაბულად მიჩნეული სიტყვების ერთი ნაწილი ეტიმოლოგიურად შეიძლება სხვა ენებს უკავშირდებოდეს: მაგ. iblis ჰებრაქნ. יבליל — სატანას სახელი, მაგრამ ამგვარმა სიტყვებმა თურქულში დადასტურებული ელუადობა და მნიშვნელობა არაბულ ენაში მიიღეს.

<sup>3</sup> გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951, გვ. 38.

<sup>4</sup> F. Devellioğlu, Türk Argo Sözlüğü, Beşinci Basım, Ankara, 1970, გვ. 80. ვფიქრობთ, იგივე სიტყვაა ქართ. ბელეშა 'უხეირო, უშნო, უსუფთაო' მნიშვნელობის შემდეგი განვითარებათ: უსასყადლო, მუქთა, უხეირო, უშნო და ბოლოს — უსუფთაო.

'გარჩევას, გარკვევას' ნიშნავს < არაბ. تمييز *tainyiz* „id“. შემდგომ ვან 'წმინდა, სუფთას' მნიშვნელობები მიიღო.

ი. ემრე იყენებს ზოგიერთ ისეთ არაბულ სიტყვას, რომელიც ენაში აღარ იხმარება. ასე მაგ.: *merdul* 'უკუგდებული, დაწუნებული', *mutrib* 'მუსიკოსი, დამკვრელი (შდრ. ქართ. მუტრიბ-ი), *mūdam* 'ნიადაგ, მუღამ' (შდრ. ქართ. მუღამ). ზოგიერთი არაბული ლექსიკური ელემენტი, რომელიც ამჟამად მარტო მხ. რიცხვის ფორმით იხმარება, გვხვდება მრ. ფორმითაც; მათი მრ. რიცხვი ახლა იწარმოება მოდელით: არაბ. მხ. რიცხვის ფორმა + მრავლობითობის მაწარმოებელი თურქული სუფიქსი *-lar, -ler*. *ahbār = haberler* 'ამბები'; *ku-sur = kasyrlar* 'სასახლეები, კოშკები'; *ahzan = hüzünler* 'დარდები' და სხვ.

არაბულის შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანია ირანული ენებიდან შეთვისებული ლექსიკა. ეს სიტყვები სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროს განეკუთვნება: სავაჭრო, საყოფაცხოვრებო, ადამიანის სხვადასხვა თვისების აღმნიშვნელი და სხვ. მათი უმრავლესობა ახალი სპარსული სიტყვებია. რიგ შემთხვევებში საშუალო, სოლდური და ახალი სპარსულის სიტყვები ფორმით ერთმანეთს ემთხვევა, რის გამოც ძნელია მათი დიფერენცირება.

ი. ემრეს ნაწარმოებებში არის შემდეგი საშუალო სპარსული სიტყვები: *kamū* 'მთელი, ყველა' (< ძვ. თურქ. *kamuy*, აგრეთვე *kamyk, kamaγ*) < საშ. სპარს. *hamāk* „id“<sup>5</sup>. განსაზღვრებითი ნაცვალსახელის ფუნქციით *kamu* სალოტ. ენაში არქაიზმია. ენის რეფორმის შედეგად *kamu* 'საერთო-სახალხო' მნიშვნელობით იქნა აღდგენილი: *kamu maly* „საერთო-სახალხო საკუთრება“. *esen* 'ჯანმრთელი' < საშ. სპარს. *āsān* 'მსუბუქი, იოლი'<sup>6</sup>, თანამედროვე ენაში ნაკლებ აქტიურ სიტყვად იქცა. *esen* 'მართალი, სწორი, „ჯანმრთელის“ მნიშვნელობით გაზიანთეფსა და ყარსში დასტურდება (SDD II, 549).

ი. ემრესთან ვხვდებით რამდენიმე სოლდურ სიტყვასაც: *uḥmak* 'სამოთხე' < *wšlm'x* „id“, *lamu* 'ჯოჯობეთი' < *tymw (lamu)* „id“<sup>7</sup> *uḥmak* თავისი ფორმით ემთხვევა „ფრენა“ ზმნის ინფინიტივს. ძვ. თურქ. ძეგლებში *uḥ* — ზმნა ნიშნავდა როგორც ფრენას, ასევე სიკვდილს (DTC 613). იმდროინდელ წარმოდგენათა მიხედვით, ადამიანის სიკვდილის შემდეგ სული ტოვებდა სხეულს და საიქიოს მიფრინავდა. *uḥmak* 'სამოთხის' დაკავშირება ამ ზმნასთან ხალხური გააზრებაა. დროთა განმავლობაში *uḥmak lamu*-ს წყვილი არაბ. *ḡennet-ḡehennem* -თან შედარებით ენის პერიფერიული ლექსიკის კუთვნილებად იქცა. *uḥmak* მ. ა. ალაყაის განმარტებით ლექსიკონში არქაიზმადღა მიჩნეული<sup>8</sup>. *čeri* 'ჯარი, ლაშქარი' (შდრ. ქართ. ჯარ-ი) < ძვ. თურქ. *čerik*, რომელსაც ი. ემრესთან 'მეომრის, ჯარისკაცის' მნიშვნელობა აქვს, ინდურ-ირანულ სამყაროს უკავშირდება; ძველ თურქულ ლექსიკონში იგი სანსკრიტულ სიტყვადღა მიჩნეული (გვ. 144). სამწერლობო ძეგლებში *čeri*-ს 'ლაშ-

<sup>5</sup> A. von Gabain. *Alltürkische Grammatik*, Leipzig, 1950, გვ. 326.

<sup>6</sup> W. Bang. „*Türkologische Briefe aus dem Berliner Ungarischen Institut*“, V, Berlin, 1925, გვ. 394.

<sup>7</sup> G. Doerfer. *Türkische und mongolische Elemente im Neupersischen*, Bd II, Wiesbaden, 1965, გვ. 12, 569.

<sup>8</sup> M. A. Aḡakay. *Türkçe Sözlük*. Ankara, 1969, გვ. 753.

ჭრისა და 'ომის' მნიშვნელობა აქვს. დროთა განმავლობაში მისი ძირითადი მნიშვნელობის — 'ლაშქრის' აღსანიშნავად ენაში არაბ. asker დამკვიდრდა. თანამედროვე თურქულში çerî არქაიზმია. სოლდურ ენობრივ სამყაროს უკაე-ში იდება xatun 'ქალბატონი, ქალი'<sup>9</sup> < სოლდ. xwatēn 'დედოყალი, ქალბატონი'<sup>10</sup>. თანამედროვე თურქულში hatun-ის მნიშვნელობებია: 1. ქალი, 2. ქალბატონი, 3. ისტ. ხაყანის ცოლი. ზემოჩამოთვლილი სოლდური სიტყვები შუა აზიის თურქულ ენებს აქვთ ნასესხები და გვხვდება ქვ. თურქ. ძეგლებში. სოლდურია აგრეთვე ayaz 'დასაწყისი, დაწყება' < სოლდ. 'y'z „id“<sup>11</sup> (რთული ზმნის ayaz etmek 'დაწყების' სახელადი ნაწილი). ayaz სპარსული გზით არის ძვ. ან. თურქულში შესული.

ირანულ ნასესხობად ითვლება თურქულ ენებში ფართოდ გავრცელებული სიტყვა axšam, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა „საღამო“. ე. სეეორთიანი სამართლიანად შენიშნავს, რომ axšam ძველი ნასესხობაა; ყოველ შემთხვევაში უფრო ადრეული. ვიდრე მაჰმუდ ქაშლარის „დივანი“ (XI ს.), სადაც ეს სიტყვაა დადასტურებული (ЭСЯ 207). უფრო სარწმუნოდ მივვაჩნია ამ სიტყვის სოლდურ 'ყაჩ' 'ღამე'-სთან დაკავშირება. ხმოვნების თვალსაზრისით სრული შესაბამისობაა სოლდურთან: ანლაუტში თურქულის მოკლე a ხმოვანი სოლდურ პროთეტულ a-ს ეფარდება, ინლაუტში კი თურქული მოკლე a სოლდურ მოკლე a ხმოვანს უდრის. ანატოლიის ზოგიერთ დიალექტში ეს სიტყვა დადასტურებულია გრძელი ხმოვნებით: ašāni (\*ayšām). ჩვენი აზრით, ეს ლოკალური მოვლენაა და არ შეიძლება ასახავდეს ირანულ ვითარებას; ხმოვნის სიგრძე აქ შენაცვლებითი დაგრძელების შედეგადაა მიღებული.

kej 'ბეერი, ძალიან, ძლიერ' მ. რიასიანენის აზრით მომდინარეობს საკა ენიდან, შუალედური რგოლია სოლდური: < სოლდ. kãbã < საკა kãde (Vers. 246). Kej უმთავრესად XVII ს-მდე იხმარებოდა (TSö IV, 2458--68). გამოთქმულია მოსაზრება, რომ ton, რომელსაც ბეერ საშ. თურქ. ძეგლსა და ენაში 'ტანსაცმლის, მოსასხამის' მნიშვნელობა აქვს, საკა ენიდან მომდინარეობს (საკა thana „id“)<sup>12</sup>.

ახალ სპარსულ ლექსიკას ძვ. ან. თურქულში ძირითადად ცვლილება არ განუცდია. არის მცირეოდენი გამონაკლისი: çeste 'ექვსსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი' დისიმილაციის გზით მიღებულია სპარს. شستا çestâ (< شستار çesšar-ისაგან). bağa 'სარკმელი', რომელიც d-ს ჩავარდნით სპარს. باد bād -დან 'შუქუმი, პატარა სარკმელი' არის მიღებული<sup>13</sup>. ზოგიერთ მაგალითში d იკარგვის აუსლაუტში. danyšman 'ბრძენი' < دانشند dānešman „id“. ჩვენი აზრით, ასევე სპარსულიდან მომდინარეობს arzuman 'სურვილი, ნდობა' < آرزومند arzumand 'მსურველი'<sup>14</sup>. arzuman სპორა-

<sup>9</sup> შლრ. „ვეფხისტყაოსნის“ ხათუნ-ი, ფატმან-ხათუნ. ქართულში სპარსულიდან შემოსული სიტყვა ჩანს.

<sup>10</sup> K. Menges, The Turkic Languages and Peoples, Wiesbaden, 1968, გვ. 170.

<sup>11</sup> В. А. Липшиц, Согдийские слова в таджикском языке, Изв. отд. общ. наук, № 1', Сталинабад, 1957, გვ. 34.

<sup>12</sup> A. von Gabain, დასახ. შრ., გვ. 342.

<sup>13</sup> I. A. Vullers, Lexicon persico-latinum etymologicum, t. 1, Bonnae ad Rhenum, 1855, გვ. 156.

<sup>14</sup> ე. სეეორთანს სემანტიკური სხვაობის გამო (სპარს. 'მსურველი', თურქ. 'სურვილი') საეტიმოლოგიურად მიჩნია arzuman-ის სპარს. آرزومند-იდან მომდინარეობა. მისი აზრით, arzuman იშლება

დულად XVI—XVII სს. ძეგლებში გვხვდება (TSö I, 242). ქირშეპირში arzu-  
man 'ძლიერი სურვილის' მნიშვნელობით არის ფიქსირებული (SDD I, 118).

ვხვდებით სემანტიკური ცვლილებების შემთხვევებსაც: xasta 'ავადმყოფი' < სპარს. خسته xāste 1. დაღლილი, 2. დაჭრილი. Karpuz 'საზამთრო' უკავშირდება სპარსულ خربزه xārboze// خربوزه xār būze-ს 'ნესვი'<sup>15</sup>. bay, რომელიც მომდინარეობს باغ bāy-ისაგან 'ბაღი, მტილი', ი. ემრესთანაც იგივე მნიშვნელობით დასტურდება. შემდეგ უკვე საკუთრივ თურქულის ლექსიკურ სისტემაში მოხდა მისი მნიშვნელობის დაეწროება და ამჟამად bay ეწოდება ვენახს, ზოგადად ბაღის ცნების აღმნიშვნელი კი თანამედროვე თურქულში არის bayçe, რომელიც განმსესხებელ ენაში باغ-ის კნინობითი ფორმაა და შინაარსიც შესაბამისი აქვს — „პატარა ბაღი“.

ზოგიერთი სპარსული ნასესხობა თანამედროვე თურქულისაგან განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება. pul < پول pūl 'ფული, თევზის ქერცლი' TSö-ში XIII—XIV სს. ძეგლებიდან ამოკრებილი ორი მაგალითითაა ილუსტრირებული და ახჩის მესამედს, ფულის წვრილ ერთეულს ნიშნავს (V, 3201). მის მნიშვნელობას კარგად უჩვენებს XV ს. ძეგლებში დადასტურებული იდიომატური გამოთქმები: pula sajmamak, pula almamak 'არაფრად მიჩნევა'. დროთა განმავლობაში pul-მა დაკარგა ფულის ერთეულის მნიშვნელობა და ამჟამად 'მეტალის ბრჭყვიალა ფირფიტას, თევზის ქერცლს'<sup>16</sup>, საფოსტო მარკას' ნიშნავს.

pare 'ნაჭერი, ნაწილი, ნატეხი, ნაგლეჯი' < پاره pāre „id“, ი. ემრესთან რთული ზმნის pare kylmak-ის 'გახევა, გაგლეჯის' (შდრ. სპარს. پاره کردن pāre kār-dān) სახელადი ნაწილია. აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვა TSö-ში XVI ს-ის ძეგლის ერთი მაგალითითაა დამოწმებული (V, 317c). თანამედროვე ენაში ამ სიტყვამ ზოგადად ფულის მნიშვნელობა შეიძინა. pare-ს ისტორიულ მნიშვნელობას თურქულში ამჟამად აღნიშნავს parça, რომელიც განმსესხებელ ენაში — სპარსულში — پاره-ს კნინობითი ფორმაა. para პირველად ჰიჯრის 1045 წ. (1635—1636) მოუჭრიათ. სამი ახჩა ერთ ფარას უდრიდა. ხოლო ფარა უფრო დიდი ერთეულის — ყურუმის — 1/40 ნაწილს შეადგენდა<sup>17</sup>. ამ უკანასკნელთან მიმართებაში განაპირობა ახალი მონეტის სახელობაც: 'რალა-ცის ნაწილი'.

სპარსული ნასესხობების გარდა, დივანში დადასტურებული რამდენიმე სიტყვა, ჩვენი აზრით, სპარსული კალკია: gül jüzü — 'ვარდსახა' (گل وای — گل 'ვარდი' და رو 'სახე'; gülç jüzü 'შხესახა' (گل وای — 'შხე' და رو 'სახე'; aj jüz 'მთვარესახე, პირმთვარისა' — ماه وای —

arzu სურვალი arzu-مان გამაძლიერებელ-გამაღივებელ (усилительно-увеличительный) აუქსაფ. იხ. მისი: Аффиксы именного словообразования в азербайджанском языке. М., 1966. გვ. 198.

<sup>15</sup> სპარს. xarbūza (სიტყვისათვის 'სახედრის კარბი'). აკრთვე ფალაური xarbuzak (შდრ. მეგრ., იმერ. ხაბურზაკ-ი). ამ სიტყვას ეტიმოლოგია იხ.: P. Horn, Grundriss der neupersischen Etymologie. Strassburg, 1893. გვ. 105.

<sup>16</sup> შდრ. სპარს. پول, არაბ. فلس, შრ. فلس, რომლებიც, როგორც 'წვრილ თოვტა-ი', ისევე 'თევზის ქერცლს' აღნიშნავენ.

<sup>17</sup> M. Z. Pakalın, Osmanlı Deyimleri ve Terimleri Sözlüğü, II, 1953, İstanbul, 1953. გვ. 752—3. შდრ. თურქულიდან მეგრულში, აჭარულსა და გურულში ფულას მნიშვნელობით დასტურებული ფარა.

‘შთვარე’ და رو ‘სახე’; jüzün sujy ‘პატივი, ღირსება’ (სიტყვასიტყვით ‘პირის წყალი’) (أبرو—آب ‘წყალი’ და رو ‘სახე’; სპარსული სუფიური ტერმინების კალკებია აგრეთვე: žan kulayy ‘სულისყური’ — گوش جان, gönl kulayy ‘გულისყური’ — گوش قلب თურქულ ენასა და ლიტერატურაზე ძლიერ გავლენას ახდენდა სპარსული ლიტერატურა, განსაკუთრებით კი პოეზია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ი. ემრეს შემოქმედებაზე დიდი გავლენა იქონია ჯელალ ედ-დინ რუმის პოეზიამ, მაშინ თურქი პოეტის ნაწარმოებებში სპარსული კალკების არსებობა უფრო გასაგები გახდება.

ღივანში ვხვდებით ძვ. თურქ. პერიოდში ნასესხებ ორ ჩინურ სიტყვას: biti ‘სადეთო წერილი, წიგნი’ < pjet ‘საწერი ფუნჯი’ (DTC 103). biti უმთავრესად XVIII ს-მდე იხმარებოდა და წერილს ნიშნავდა (TSö 1, 515—17). სამწერლობო ძეგლებში მდივნის, მწერლის მნიშვნელობით სპორადულად bilikçi-ც დასტურდება. biti და bilik, რომელთა ძირითადი მნიშვნელობაა ‘წერილი, წიგნი’, ამჟამადაც ცოცხლობს ანატოლიის დიალექტებში: კონიის რაიონში bili-ზმნა ‘წერას’, ხოლო bitiči ‘მწერალს’ ნიშნავს (SDD III, 211). ასევე ჩინური სიტყვაა sin ‘საფლავი’, მომდინარეობს სიტყვიდან ts’in „id“ (Räs. 422). ძვ. ან. თურქულის შემდგომ ენობრივ პერიოდში sin არაბული ეკვივალენტებით შეიცვალა იგი ამჟამად პერიფერიული ლექსიკის კუთვნილება. Sin საფლავის მნიშვნელობით ახლაც აქტიური სიტყვაა ანატოლიის თურქულ დიალექტებში (SDD III, 1229).

მონღოლების შემოსევის შემდეგ თურქულ ენებში დარჩა რიგი მონღოლური სამხედრო, სამოხელეო თუ სხვა შინაარსის ტერმინი. ამგვარი სიტყვაა ი. ემრესთან დადასტურებული nöker ‘მსახური’ < მონღ. nökür „id“<sup>15</sup>. ამ მნიშვნელობით nöker XV ს-მდე იხმარებოდა (TSö, IV, 2902). მსახურის მნიშვნელობით ენაში ამჟამად არაბ.-თურქ. lizmetçi იხმარება. ა. ჯაფეროღლეს სამხრეთ-აღმოსავლეთ დიალექტებში nöker მსახური მამაკაცის მნიშვნელობით აქვს ჩაწერილი<sup>16</sup>.

ღივანში დასტურდება რამდენიმე ბერძნული სიტყვა: körfez ‘ყურე’, kirmit ‘კრამიტი’, synyr ‘საზღვარი’, papaz ‘მღვდელი’, poiraz ‘ჩრდილოეთის ქარი, ბორიო’, širik ‘მარცვლეულის სარწყავი ერთეული’ < χοιρινή χοιρινή „id“. შემოჩამოთვლილი სიტყვები მცირე აზიაში ბერძნულ მოსახლეობასთან უშუალო კონტაქტების შედეგადაა თურქულში დამკვიდრებული.

სომხური სიტყვა hax ‘ჯვარი’ სპარსულის გზით არის თურქულში შესული. ვხვდებით სიტყვების ერთ ჯგუფს, რომლის წარმომავლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა: არის მოსაზრება, რომ paşa ‘ფაშა, მეთაური’ მომდინარეობს სპარსული پادشاه pādesāh-ისაგან. მეორე მოსაზრების თანახმად, paşa თურქული სიტყვა და მიღებულია ხაჩ აყა ‘მთავარი ალა, ბატონი’-საგან<sup>17</sup>. ასეთივე სიტყვაა çalab ‘ღმერთი, უფალი’, რომლის შესახებაც დიდძალი ლიტერატურა

<sup>15</sup> Б. Я. Владимирцов, Монгольское nökür, ДАН СССР, В, 1923, гл. 287-8. შტრ. სპარს. نوکر noukar ‘მსახური’ < ქართ. სოქარი. „ხოქარა“ ხ. ჩუბინაშვილის განმარტებით იყო „ქაქარბოჯაიკურე, მოსკემე“. ასევე აღ „ხოქარა“ მალაზას გაყიდველს ეწოდება.

<sup>16</sup> A. Caferoğlu, Güney-doğu illerimiz ağzlarından toplamalar, İstanbul, 1945, გვ. 305.

<sup>17</sup> H. W. Brands, Studien zum Wortbestand der Türksprachen, Leiden, 1973, гл. 66-7,

არსებობს<sup>21</sup>. ი. ემრეს ხმარობს ამ სიტყვას როგორც დამოუკიდებლად, ასევე შესიტყვებაში: *çalab laury* 'უფალი ღმერთი'.

სიტყვათა ერთი რიგის წარმომავლობა გაურკვეველი რჩება. მაგ.: *kerpiç* 'აგური', *saksy* 'ქოთანი' და სხვ.

დივანში ვხვდებით *küt*-ს, რომელიც საპყარს, ხელ-ფეხწართმეულს ნიშნავს. მ. რიასიანენი *küt*-ს უკავშირებს თურქულ *güdük*-ს 'უკუდო' და თურქ-მენულ *kütek*-ს 'ბლაგვი, ჩლუნგი' (Vers. 312). ვ. აბაევი გამოთქვამს ვარაუდს, რომ ქართული კუტ-ი, მეგრული კუტა (მოკლე), დაკუნტუა (დაკუნტეა), ქართული კუნტვა და ქართველური ენებიდან ოსურში შესული *ku'i* 'დაკუნტული' სიტყვებისათვის ამოსავალი არის ირანული ენების \**ku(n)ta* 'მოკლე'<sup>22</sup>. თურქულშიც ეს სიტყვა სპარსულიდან ჩანს შესული (ამ მოსაზრების სასარგებლოდ *küt*-ის გავრცელების არეალიც უნდა მეტყველებდეს — თურქ., აზერბ.). ჩვენი აზრით, ამ სიტყვის ამოსავალი არის სპარსული *kond//kund* 'ბლაგვი, ჩლუნგი' (შდრ. პრაკრიტული *kuṅṭha „id“*)<sup>23</sup>. *küt*-ის ი. ემრესთან დადასტურებული მნიშვნელობით თანამედროვე თურქულში *kötürüm* იხმარება, *küt* კი უმთავრესად 'მოკლე და მსხვილს, კოტიტას' ნიშნავს<sup>24</sup>. *küt* 'საპყარის, კუტის' მნიშვნელობით ამჟამადაც ბევრ თურქულ დიალექტში იხმარება (SDD II, 1017).

*köprü* 'ხიდი' დადასტურებულია XI ს-ის ცნობილი ლექსიკოგრაფის მაჰმუდ ქაშლარის „დივანში“. *köprü*-ს *köp* და *rü* მორფემებად დაშლა (პ. ვამბერი, კ. მენგესი, მ. მანსუროღლუ), ვფიქრობთ, ნაკლებად დამაჯერებელია, რადგანაც აუხსნელი რჩება შემადგენელი ნაწილების სემანტიკა. კ. მენგესი ამ სიტყვის ამოსავალ ფორმად მიიჩნევს *köprüg*-ს; *köprüg* (მ. ქაშლარი) > *köprü* > ყარაყალპაკური *köpür* (ყირგიზ. *köpürö*)<sup>25</sup>. უფრო სარწმუნო ჩანს მოსაზრება (ვ. რადლოვი, ვ. ეგოროვი) მისი ბერძნული *κῆρυξ*-დან (ხიდი) მომდინარეობის შესახებ. ბერძნულთან ფონეტიკურად ახლო დგას ყარაყალპაკურის და ყირგიზულის ფორმები. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ *köprü* შუა აზიის რომელიმე ირანული ენის (საკა?) გზით არის შესული თურქულ ენებში.

*omuz* 'მხარი' დივანში ფუძეშეკუმშული ფორმით დასტურდება: *omzunda* 'მის მხარეზე'. *omuz*-ის ბერძნულიდან მომდინარეობის (თ. ცენკერი, ლ. ბუდაგოვი, თ. თექინი) საპირისპიროდ ზოგიერთი თურქოლოგი მრავლობითობისა და მრჩობლობითობის არქაული -z მორფემის შესახებ მსჯელობისას განიხილავს *omuz*-საც (ЭСТЯ 455). ვფიქრობთ, უფრო დამაჯერებელია ის მოსაზრება, რომ ეს სიტყვა ბერძნულიდან მომდინარეობს:

<sup>21</sup> W. Barthold, *Çelebi, İslam Ansiklopedisi*, 3 c., İstanbul, გვ. 369-70.

<sup>22</sup> В. И. Абаев, *Историко-этимологический словарь осетинского языка*, т. I, М.—Л., 1938, გვ. 613.

<sup>23</sup> P. Ногин, *დასახ.*, შრ. გვ. 13.

<sup>24</sup> ქართულში კუტი თურქულადან შემოსული ჩანს. საბას თქმით: „ესე კუტი თათართა ენაა, ვითა ვითარე ით შექოულათ, ქართულად ს ა პ ყ ა რ ი ა“. თურქულში *küt parmak* მოკლე და მსხვილ, კოტიტა თიხს ნიშნავს. ჩვენი აზრით, „კოტატა“ შემდეგნაირადაა მიღებული: \**კუტითა* > \**კუტითა* > \**კუტ-ტა* > *კოტატა*. *küt*-ის თავდაპირველი მნიშვნელობიდან არის განვითარებული თურქ. და აზერბ. ენების დიალექტებში დადასტურებულია მნიშვნელობა: „თონეში ჩაყარნილი ცომის ნაჭრის“ SDD II, 1017 და *Ашагъджъдан диллини диллекгеложя лугъта*, Бакы, 1961, გვ. 277. შდრ. ქართ. კუტ-ი, 'კუტი' ბერი.

<sup>25</sup> K. H. Menges, *Qaraqalpaq Grammar*, New York, 1947, გვ. 50.

omuz თურქულ ძეგლებში საკმაოდ გვიან ჩნდება და თავდაპირველად *çigin*. ის პარალელურად იხმარება. ეს უკანასკნელი კი უფრო ადრეა დადასტურებული<sup>26</sup>. omuz-სა და მის შესატყვისად მიჩნეულ სიტყვებს შორის (ყირგიზ. omrau 'წინა ნაწილი, ცხენის მკერდი' — ვ. რადლოვი; ჩუვაშური emer, emrâ, òmrâ 'ცხენისა და სხვა ცხოველთა მკერდი' — ვ. რადლოვი, ნ. დმიტრიევი, აგრეთვე ბაშკირული omrao 'ბექის ძვალი') სემანტიკური სხვაობაა.

omuz თურქული ენების დასავლურ არეალში დასტურდება (ЭСТЯ 454). *âmdz* 'მხრის' მნიშვნელობით არის როგორც ძველ, ასევე ახალ ბერძნულში. ბერძნული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში იგი ძირეულ ბერძნულ სიტყვადაა მიჩნეული<sup>27</sup>. შესატყვისები ეძებნება ლათინური *umerus* 'მხარი, ბეჭი' (\**umesos*), გუთური *ams* (გერმანული ენების \**amsa-*), სომხ. *us*<sup>28</sup> და აგრეთვე რუმინული *umar* ესპანური და პორტუგალიური (*h*)*ombro* 'მხრის' სახით. ბერძნ. *ἀμωδ* /*ἀμωδ*/ თურქულში კანონზომიერად omuz-ში გადავიდოდა თურქულში, მცირერიცხოვანი გამონაკლისების გარდა, მეორე მარცვალში *o* და *ö* ფონემები არ გვხვდება. ამ პოზიციაში ნასესხები ლექსემების (*o*) ხმოვნის, როგორც წესი, (*u*)-ში გადადის. აუსლაუტში (*s*) მოგვეცემა შესაბამის მქდერ (*z*)-ს (შდრ. *κόρυς* > *körfez*, *πάππας* > *papaz* და სხვ.) აზერბაიჯანულში მხარს აღნიშნავს *çijn*, თურქმენულში კი omuz და *çigin* სინონიმებია. ეს უკანასკნელი *çin*, *çin* ფორმებით ახლაც იხმარება ანატოლიის თითქმის ყველა დიალექტში (SDD I, 348, 353). მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სიტყვები ენის ძირითად ლექსიკურ ფონის მიეკუთვნება და ნაკლებად იცვლება, ნასესხობები ამ რიგის ლექსემებშიც დასტურდება. რამდენიმე თურქ. ენაში სპარსული ნასესხობებია: *kāllā* 'თაყ', *lab* 'ტუჩი' და სხვ. სავარაუდოა, რომ თურქულში omuz მცირე აზიაში ბერძნულენოვან მოსახლეობასთან ადრეული კონტაქტების დროს არის დამკვიდრებული. თუ თურქ ტომებს შორის მრავალსაუკუნოვან ინტენსიურ კონტაქტებისა და მიგრაციების ფაქტს გავითვალისწინებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოგანხილული სიტყვა ანატოლიური თურქულის გზით არის სხვა ენებში შესული.

არათურქული ლექსიკის თვალსაზრისით დივანსა და მესნევის შორის თვალსაჩინო სხვაობაა. ჩვენი გამოანგარიშებით, მესნევიში არაბულ-სპარსული ლექსიკის ხვედრითი წონა თითქმის ერთნახევარჯერ მეტია, ვიდრე დივანში. აღსანიშნავია, რომ ბერძნული სიტყვები, *çalab*, *hac* და სხვ. მესნევიში არ დასტურდება. ეს განსხვავება, ვფიქრობთ, პირველ რიგში ამ ნაწარმოებთა თაყსებურებებით აიხსნება: მესნევი არაბულ-სპარსული პოეზიის ტრადიციულ მიძყვება. იგი უფრო განსწავლული აუდიტორიისათვის იყო გამიზნული. დივანში ი. ემრე სუფიური იღებების პოპულარიზაციას ესწრაფვის, საუბრობს ხალხისთვის გასაგები, სადა ენით. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შემდეგ გარემოებაც: განსხვავებით მესნევისაგან, რომელიც კომპოზიციურად ეს

<sup>26</sup> T. Tekin, „Omuz“ kelimesi hakkında, Türk Dili, 1960, Mayıs, 104, გვ. 402.

<sup>27</sup> W. Prellwitz, Etymologisches Wörterbuch der Griechischen Sprache, Göttingen, 1892, 369; E. Boissac, Dictionnaire étymologique de la langue grecque, Paris, 1938, გვ. 1092.

<sup>28</sup> A. Ernout, A. Meillet, Dictionnaire etymologique de la langue Latin, Paris, 1932, გვ. 1080.

მთლიანობას წარმოადგენს და ინტერპოლაციებისათვის შეუვალა, მოგვიანო ჩამატება-ჩანართები ყველაზე მეტად დივანშია მოსალოდნელი.

მკვლევრები ხშირად ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ი. ემრე მოღვაწეობდა ე. წ. „წმინდა“ თურქული ენის ეპოქაში და ამით ხსნიან მის ნაწარმოებებში არათურქული ლექსიკის სიმცირეს. არანაკლებ მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტიც: არაბულ-სპარსული ჭარბად არ შექრილა არც შემდეგი საუკუნეების აშულ პოეტთა (ფირ სულთან აბდალი — XV ს., კარაჯაოღლანი — XVII ს. და სხვ.) ენაში, რაც ხალხურ მეტყველებასთან სიახლოვით აიხსნება. ასეთია ენობრივი საფუძველი იმ მიმდინარეობის პოეტებისა, რომლის მამამთავრადაც იუნუს ემრეს მიიჩნევენ.

### შ ე მ რ კ ლ ე ბ ა ნ ი

ДТС—Древнетюркский словарь, Л., 1969.

ЭСТЯ—Э. В. Севортян, Этимологический словарь тюркских языков, М., 1974.

Räs. (Vers.)—M. Räsänen, Versuch eines etymologischen Wörterbuchs der Türkspachen, Helsinki, 1969.

SDD—Türkiyede Halk Ağzından Söz Derleme Dergisi, Istanbul, ტ. 1, 1939; ტ.2, 1941; ტ. 3, 1947.

TSö—XIII. yüzyıldan beri Türkiye Türkçesiyle yazılmış kitaplardan toplanan tanıklarıyla Tarama Sözlüğü, Ankara, ტ. 1, 1963; ტ. IV, 1969; ტ. V, 1971.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ს. ყაუხჩიშვილმა)

ლიანა ქლუბი

სიტყვაწარმოება ბესარიონ ბაბაშვილის თხზულებებში

ბესიკი სიტყვაწარმოების უბადლო ოსტატია. როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, შოთა რუსთაველის შემდეგ პოეზიაში ბესიკი პირველია, რომელიც უხვად იყენებს ქართული ენის სიტყვაწარმოების მრავალგვარ შესაძლებლობებს<sup>1</sup>. ბესიკთან ბევრი სიტყვა უმართებულოდაც არის ნაწარმოები, რადგანაც რითმის სრულყოფისათვის იგი არ ერიდება სიტყვის ფორმის შეცვლასაც კი, კვეცს სიტყვებს, ანალოგიით ურთავს დაბოლოებებს. ეს ითქმის სახელებზეც და ზმნებზეც.

ნაშრომში შევეხებით ბესიკის თხზულებებში დადასტურებულ სიტყვაწარმოების ზოგიერთ შემთხვევას.

ენებითი გვარის მიმღეობათა უკუთქმითი ფორმები სუფიქსის გარეშე არის წარმოდგენილი: *გ ა ნ უ ძ ლ ო მ ო* (6, გვ. 137); *შ ე უ წ ყ ნ ა რ ე ბ ს ა* (31, გვ. 162); *მ ო უ გ ო ნ ე ბ ი* (3, გვ. 30); *უ ს მ ე ნ ნ ი* (6, გვ. 80).

ზემოდასახელებულ ყველა შემთხვევაში უსუფიქსობას ლექსის რითმა მოითხოვს. მაგალითად: *განვლი კარებსა... მე აქ მიტევებ შეუწყნარებსა*. მაღალ გვართო ტომო... ბრძოლაღმი *გ ა ნ უ ძ ლ ო მ ო* და ა. შ.

ზოგჯერ მიმღეობაში უარყოფა აღწერილად არის გადმოცემული: *ა რ მ ა ზ მ უ რ ი* (11, გვ. 125); *ა რ ა მ გ ო დ ნ ი* (34, გვ. 129); *ა რ დ ა მ ტ ი რ ე ბ ი* (58, გვ. 158); *ა რ ძ ლ ე უ ლ ი* (53, გვ. 133); *ა რ გ ა ქ ც ე უ ლ ი* (53, გვ. 133). ამგვარი წარმოება ცნობილია „ვეფხისტყაოსნიდან“: *ა რ გ ა შ ე ე ბ უ ლ ი* (214,2); *ა რ გ ა ტ ე ხ ა* (706,1);

ზოგჯერ წარსული დროის მიმღეობის ესა თუ ის სუფიქსი ებ თემის-ნიშნის ფუძეს დაერთვის: *შ ო ვ ე ბ უ ლ ი* (2, გვ. 65); *დ ა დ გ ი ნ ე ბ უ ლ ი* (17, გვ. 200)

ძველ ქართულში ამ უკანასკნელი სიტყვის მოქმედებითი და ვნებითი გვარების საწყისები განსხვავებული იყო: მოქმედებითი გვარის საწყისი იყო *დ ა დ გ ი ნ ე ბ ა*, ვნებითისა *დ ა დ გ ო მ ა*<sup>2</sup>. როგორც ზემოდასახელებული მაგალითიდან ჩანს, ბესიკთან მიმღეობის საწარმოებლად მოქმედებითი გვარის საწყისის ფუძეა გამოყენებული.

ხშირად დასტურდება მიმღეობათა ნა პრეფიქსიანი ფორმებიც: *შ ე ნ ა წ ო ხ ე ბ ი* (5, გვ. 31); *დ ა ნ ა მ ა ლ ე ბ ს ა* (2, გვ. 32); *შ ე ნ ა ძ ა ლ ე ბ ი* (5, გვ. 30); *ნ ა ბ ნ ე დ ი* (63, გვ. 159); *წ ა მ ო ნ ა ლ ე ბ ი* (41, გვ. 155); *გ ა ნ ა ხ ლ ე ჩ თ ა* (41, გვ. 131); ძველი ქართულის *შ თ ე ბ ა* ფუძისაგან ნაწარმოები *დ ა ნ ა შ თ ო მ ი* (14, გვ. 132).

აქვე უნდა აღინიშნოს რითმის სრულყოფის მიზნით შეცვლილი ნა პრეფიქსიანი ფორმები: *ნ ა ს ვ ე ლ ე* (34, გვ. 147); *ნ ა ძ ვ ე ლ ე* (34, გვ. 147); შდრ. სპასპეტო. ჰზრიად ვრცელე... ვით მე არ განვიგრძელე აღსავსე ლელე, ობლის ცრემლით *ნ ა ს ვ ე ლ ე*, მიმრავალწელე იგ სიმაღლით *ნ ა ძ ვ ე ლ ე* / ნაცვლად ფორმებისა *ნასველები*, *ნაძველები*.

„ნა პრეფიქსი ზოგჯერ არ არის საკმარისი მიმღეობის საწარმოებლად

<sup>1</sup> ვ. თ. ფურია, ლექსიკონი, ბესიკი, თხზულებანი, 1962, გვ. 286.

<sup>2</sup> ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, 1971, გვ. 253.

და ფორმას ბოლოში არ სუფიქსი ერთვის პირდაპირ ფუძეზე“...<sup>3</sup>. მაგალითად: ნ ა ქ მ ა რ ი (66, გვ. 159). გვხვდება ამავე ფუძისაგან ნაწარმოები განსხვავებული ფორმის მიმღობაც ნ ა ქ მ ი (34, გვ. 105) ნაქმნის, შექმნილის მნიშვნელობით დასახელებული მაგალითებიდან ნათელია, რომ ბესიკთან გარკვეული ადგილი უკავია მიმღობათა ნ ა პრეფიქსით წარმოებას, რაც დღეს ფართოდ არ გამოიყენება.

გვხვდება ლექსწყობის მიზნით შეცვლილი მიმღობა შენ ა პ ი რ ა ნ ო (შეპირებული): ე ა თუ სხვა გქონდენ შენ ა პ ი რ ა ნ ო (შდრ. ტ ი რ ა ნ ო, 5, გვ. 75).

ასევე ლექსწყობის საჭიროებით არის შენარჩუნებული ე ბ თემის ნიშანი ნ ა პრეფიქსიან მიმღობაში — ნ ა ქ ო ნ ე ბ ი (6, გვ. 29): ... ისარი მტყორცა დასამონები, / სრულად მიმიღო ყოვლი ღონები, / მითხრა: „იფიქრე გულს ნ ა ქ ო ნ ე ბ ი“.

იშვიათად დასტურდება ძველი მ ო - ე დ მაწარმოებლებით გაფორმებული მიმღობებიც: მ ო რ ბ ე დ ს ა (33, გვ. 121); მ ო ა მ ბ ე დ ი ა (20, გვ. 84).

მოქმედებითი გვარის მიმღობა მ წ ვ ე ლ ი შერითმულია წინა სიტყვასთან დ ი ა, რის შედეგადაც მიღებულია ფორმა მ წ ვ ე ლ ა დ ი ა (45, გვ. 131).

მიმღობა დ ა მ დ ა გ ე (დამდაგველი) შერითმულია სიტყვასთან ნ ა რ გ ის ი და მიღებულია ფორმა დ ა მ დ ა გ ის ი (2, გვ. 35). საინტერესოა ის გარემოება, რომ დ ა მ დ ა გ ის ი დასტურდება აგრეთვე ა. ჰავეკავაძის პოეზიაში<sup>4</sup> („აჩვენა თვისი დამდაგისი შორქმნის ალები“). თუმცა ბესიკი სხვა შემთხვევაში დ ა მ დ ა გ ე ს ა ც ხმარობს: ძოწ-ლალ-ბაგეო, დ ა მ დ ა გ ე ო, სულთწამარებო (4, გვ. 35).

იშვიათად მომავალი დროის მიმღობებშიც უარყოფა აღწერითად გამოიყენება: ა რ ს ა ვ ნ ე ბ ა ნ ი (19, გვ. 103); ე ე რ გ ა ს ა მ ა რ თ ი (2, გვ. 98); ე ე რ ს ა კ ა რ ე ბ ო (2, გვ. 35).

გვხვდება რითმის სრულყოფის მიზნით შეცვლილი შემდეგი მომავალი დროის მიმღობები: დ ა ს ა ბ ი ნ ა რ ე (5, გვ. 33. დასასახლებელი); თ ა ვ ს ა ნ ი ნ ა რ ე (5, გვ. 33. თავგამოსაჩენი); ს ა დ ა რ ა ო (2, გვ. 98. დასადარებელი).

მუხამბაზის შაირთა ბოლო ტაეპების შესაჩივრებლად მიმღობებს ზედზეტი მარცვალი აქვს დართული: მ ი უ თ ვ ა ლ ა ლ ო (4, გვ. 45. შეუწყნარებელი); შე უ ბ რ ა ლ ა ლ ო (5, გვ. 45); ს ი კ ე თ ე დ ა უ თ ვ ა ლ ა ლ ო (3, გვ. 44. შდრ. ბროლ-ფიქალალო; საალალო). შერითმების მიზნით არის ნახმარი ხელოვნური ფორმა დ ა მ ა ბ რ ა ლ ე ბ ი (2, გვ. 31. შდრ. მწირნი თვალეზი, დამაშვრალეზი) მიმღობა მრავლობით რიცხვში ეწყობა სახელს და მიღებულია ხელოვნური ფორმა მ ა კ რ ძ ა ლ ე ბ ი (მოსარიდალი): გესხნეს ხალეზი, მ ა კ რ ძ ა ლ ე ბ ი, ამარტის ველად... (2, გვ. 35).

ბესიკი თავისუფლად ეკიდება ზმნის ფუძეს. მაგალითად, რ ე ბ ა ფუძისაგან, რაც ს ე ლ ა - ს ნიშნავს, იგი ქმნის მიმღობათა ნაირგვარ ფორმებს: მ რ ე ბ ი (22, გვ. 119); მ რ ე ბ ე ლ ი (24, გვ. 116); მ ა რ ე ბ ო (1, გვ. 35); რ ე ბ უ ლ ი (26, გვ. 160). ყველა მათგანს ერთი მნიშვნელობა აქვს — მ ო ს ი ა რ უ ლ ე, თუმცა ერთ შემთხვევაში რ ე ბ უ ლ ი მოსულსაც აღნიშნავს: ... ტანძიას სტუმრად რ ე ბ უ ლ ი... (19, გვ. 118). დასტურდება ამ ფუძისაგან ნაწარ-

<sup>3</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 575.

<sup>4</sup> ი. ქავთარაძე, ალექსანდრე ჰავეკავაძის ენის თავისებურებანი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 55, 1954, გვ. 309.

მოები მომავალი დროის მიმღობაც სარებლად (სავალად, 1, გვ. 52). ამ ნაირგვარი ფორმების ხმარება ლექსწყობის საჭიროებით უნდა იყოს გამოწვეული. რება ცნობილია „ვეფხისტყაოსნიდან“, იგი გვხვდება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში<sup>5</sup>. ამ ფუძისაგან ნაწარმოებ ზმნას ხმარობს პირველი რომანტიკოსი პოეტი ა. ჭავჭავაძეც<sup>6</sup>.

აქა-იქ შეინიშნება მიმღობათა უპრევერბოდ ხმარების შემთხვევებიც: კურნებულსა (21, გვ. 103); იმედებული (19, გვ. 118); კიდებულს (18, გვ. 160). ამ უკანასკნელი ფორმის პარალელურად ნახმარია კიდულიც (5, გვ. 159, 20, გვ. 164).

როგორც ცნობილია, საწყისი მრავლობითის ფორმებს ვერ აწარმოებს. ბესიკთან კი დაატურდება საწყისების II მრავლობითის ფორმები, რომლებიც ძირითადად ლექსთწყობის საჭიროებით არის ნახმარი: გამოჩენანი (29, გვ. 153), კბენანი (2, გვ. 61); გატეხანი (12, გვ. 82); ფრენანი (2, გვ. 61); უკუთქმანი (30, გვ. 146); ლხენანი, მაგალითად: ცხენს ხე შეაწყვდევ რაზმს გარე, გაქენდეს ხლტომა და ფრენანი. ამხანაგთ ექმნა ლხენანი.

შინაგანი რითმითაა გამოწვეული საწყისის უმართებულო ფორმათა ხმარება: ლხენვა (1, გვ. 78), ტკენვა (2, გვ. 78): უაჯენ ქენვა, უახლენ ლხენვა, / აკმაენ ტკენვა თავისა მკვლელსა.

სახელების მაწარმოებლად დასტურდება სუფიქსი ა: ა) კნინობითობის მნიშვნელობით: სტეფანა უტირააუებს, შეაწყობს ტალის ხმაიოს (7, გვ. 88); ნუთუმცა გველმან, ენით მკვლელმან, გმირსა ქედასა დაგდვა საცოლო?! (ქედა-კისერი. 19, გვ. 66). ბ) დამამკირებელი მნიშვნელობით: დამპალო ლეშო, თვალხენეშო, გულდადარაო (1, გვ. 98); არუზიანო, კუზიანო, მაწუნწარაო... (3, გვ. 98);

დასტურდება ნაგენიტივარი სახელი — ერგასისი: ჩემ ძლითა ერგასისთა ორგზის წარწყმედით... (11, გვ. 104). ამ სიტყვაში საზღვრულის ჩავარდნის გამო მსაზღვრელს დაჰკარგვია პირვანდელი დანიშნულება და დამოუკიდებელი გამხდარა.

ზოგიერთ სახელს მაწარმოებლად მოქმედებითი ბრუნვის ნიშანიც გააჩნია: ძლითნი (31, გვ. 102); მჩემობითსა (მჩემებლის ხასიათისა. 30, გვ. 101); მონარხოებითი (24, გვ. 193); გვართო (6, გვ. 137).

ძველ ქართულში ხმარებული მიწყვიც ზმნიზედის ფუძისაგან მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის დართვით ნაწარმოებია მიწყითნო (7, გვ. 75).

ურ სუფიქსის ნაცვლად ბესიკი იყენებს მოქმედებითი ბრუნვის ნიშანს და ცა ფუძისაგან ციურნოს მნიშვნელობით ქმნის ფორმას ციითნო: პე, ციითნო... (25, გვ. 67).

ბესიკის პროზაულ ნაწერებში თითო-ორთა მაგალითში წარმოქმნის ელემენტად თანდებულიც არის გამოყენებული: ჩემ მიერი საწადელი სავედრებელი საქმეები... (5, გვ. 191). ეს მოვლენა უფრო მკაფიოდ ძველ ქართულში არის გამოხატული<sup>7</sup>.

სამეგრელოს ნაცვლად ნახმარია ეთ სუფიქსით ნაწარმოები ხელოვნურა ფორმა მეგრეთი (1, გვ. 125). პირიქით, დღევანდელი იმერეთის ნაცვ-

<sup>5</sup> სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, 1949, გვ. 282.

<sup>6</sup> ი. ჯ. ვთარაძე, ა. ჭავჭავაძის ენის თავისებურებანი, გვ. 309.

<sup>7</sup> ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, გვ. 116.

ლად კი იხმარება ს ა-ო მწარმოებლებით ნაწარმოები ფორმა ს ა ი მ ე რ ე თ ო (25, გვ. 125; 17, გვ. 191...), დასტურდება ი მ ე რ ე თ ი ც (20, გვ. 116; 3, გვ. 184).

არსებით სახელებზე დ ღ ე და ც ა ო ბ ა სუფიქსის დართვით მიღებულია მდგომარეობის უჩვეულო ხელოვნური ფორმები: დ ღ ო ბ ა ნ ი (დღეობის მნიშვნელობით მრ. რიცხვში (1, გვ. 87) და ც ო ბ ი თ (1, გვ. 100).

ს ი-ე მწარმოებლების ნაცვლად ო ბ ა არის ნახმარი სიტყვაში ნ ა ზ ო ბ ა: ღიახ, გშეენის ეგ სიტურფე, ნ ა ზ ო ბ ა... (3, გვ. 168).

უარყოფითი ცნების აღსანიშნავად ბესიკი სახელებშიც (ძირითადად ზედსართავეებში) მიმართავს აღწერით წარმოებას: ა რ ნ ე ლ ი (2, გვ. 50); ა რ კ ე ე ლ უ ც ნ ი (41, გვ. 75); ა რ მ ა მ ა ც ა დ (21, გვ. 123: ა რ ა ვ ხ მ ა ს (18, გვ. 56).

განსაკუთრებით მრავლად დასტურდება კომპოზიტები — ა) არსებითისა და ზედსართავის შეერთებით მიღებული: გ უ ლ ლ ა დ ა რ ა (1, გვ. 98); თ ვ ა ლ ხ ე ნ ე შ ო (1, გვ. 98); კ ლ დ ე მ ყ ა რ ი (3, გვ. 37); ლ ო ყ ა ლ ო ხ ი (ლოყა-ქუჩიანი, 14, გვ. 96). ბ) არსებითი სახელისა და მიმღეობის შეერთებით მიღებული: ს უ ლ მ ი წ უ რ ვ ი ლ ი (4, გვ. 45); ც ხ ე ნ მ ა შ ვ რ ა ლ ი (13, გვ. 117); ბ ე დ გ ა მ ა კ რ უ ლ ი (ბედშეკრული, 7, გვ. 86). ზოგჯერ კომპოზიტის შემადგენელი წარსული დროის მიმღეობა ნ ა პრეფიქსით არის ნაწარმოები: ბ ე დ გ ა ნ ა კ რ თ ო მ ი (3, გვ. 76); მ ა ხ ვ ი ლ გ ა ნ ა წ ო ნ ე ბ ი (მახვილგაყრილი 8, გვ. 29); ც ე ც ხ ლ ა ნ ა გ ზ ო მ ი (47, გვ. 132) და ა. შ. გ) არსებითი სახელისა და საწყისის ან აბსტრაქტული სახელის შეერთებით მიღებული: ხ ე ლ გ ა ნ პ ყ რ ო ბ ი თ (69, გვ. 160); ყ ე ლ გ დ ე ბ ი თ (92, გვ. 165); ც ხ ე ნ მ ა ლ ო ბ ი თ (12, გვ. 117); ვ ა რ დ ნ ა ზ რ ო ბ ი თ (ვარდის მოყინვით, 15, გვ. 117); დ) იშვიათად გვხვდება ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავეების შეერთებით მიღებული კომპოზიტები: ც ი ვ ნ ა მ ი ა ნ ი (1, გვ. 60); კ ე თ ი ლ გ ზ ი ა ნ ი (4, გვ. 33) და ა. შ.

თავისებურია სახელებისაგან ზმნების წარმოება. სახელებისაგან ზმნების საწარმოებლად ბესიკი ძირითადად ო ბ თემის ნიშანს მიმართავს. ამ თემის ნიშნით ნაწარმოებია საშუალო გვარის ზმნათა უჩვეულო ფორმები: ს უ ლ ო ბ ს (სულიერობს, 3, გვ. 94); წ უ ლ ო ბ ს (ძეობს, 1, გვ. 94); ძ უ ნ ძ უ ლ ა ო ბ ს (ძუნძულებს 8, გვ. 97); ძ ა ლ ლ უ ა ო ბ ს (ძალლობს, 8, გვ. 97).

მთელი რიგი ზმნების საწარმოებლად მიმღეობის ფუძეა აღებული: მ გ რ ე ხ ო ბ ს (გრეხს აქ: იკლავნება. 2, გვ. 140); მ თ ქ მ ე ლ ო ბ ს (მთქმელია, 23, გვ. 127); მ კ უ ლ ო ბ ს (4, გვ. 94); შ თ ა მ ო ს რ უ ლ ო ბ ს (4, გვ. 94).

დასტურდება სახელისაგან ე ბ თემის ნიშნით ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ზმნებიც: გ ი ლ ო ნ გ ი ნ ო ს ე ბ (ლონგინოსად გექცევი, 27, გვ. 105), მ ო გ ი ნ ი ლ ო ს ე ბ (ნილოსად გიქცევ. 28, გვ. 105). აგრეთვე რამდენიმე სახელის შენაერთისაგან ნაწარმოები ზმნათა ხელოვნური ფორმები: მ ი მ რ ა ვ ა ლ წ ე ლ ე (7, გვ. 147); ვ ი გ უ ლ მ ო დ გ ი ნ ე თ (9, გვ. 207); დ ა ი ქ ო ხ ტ ა ლ ა ვ ა რ — კ ა რ ვ ე ნ (ქოხი, ტალავარი და კარავი დაიდგი. 8, გვ. 102).

როგორც ზემოდასახელებული მაგალითებიდან ჩანს, ბესიკი სიტყვაწარმოების მრავალგვარი შესაძლებლობებით სარგებლობს, აწარმოებს რა სახელებს, ზმნებსა და კომპოზიტებს. მაგრამ ლექსის ფორმის სრულყოფისათვის იგი ხშირად არღვევს სიტყვაწარმოების წესებს, თავისუფლად ცვლის სიტყვას, ამიტომ მის მიერ შექმნილ ბევრ სიტყვას ხელოვნურობის დაღი აზის.

ზ უ რ ა ბ ს ა რ ჯ ე ა ლ ა ძ ე

ს ი ტ ყ ვ ა თ გ ა ნ ლ ა ბ ე ბ ის ზ ო ბ ი ა რ თ ი მ ო დ ე ლ ი ძ ე ლ ს ა დ ა  
ს ა შ უ ა ლ ქ ა რ თ უ ლ შ ი

1. მსაზღვრელ-საზღვრულის რიგი. მსაზღვრელ-საზღვრულის რიგი შევისწავლეთ ძველი და საშუალო ქართულის სხვადასხვა ენარის ძეგლთა მიხედვით. გავანალიზეთ როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი თხზულებები. ცალ-ცალკე განვიხილეთ შეთანხმებული და მართული მსაზღვრელები. შეთანხმებული მსაზღვრელი სიტყვები ორ ქვეჯგუფად დავყავით: I. ზედსართავე სახელით და მიმღობით გამოხატული მსაზღვრელები, რაოდენობითი, რიგობითი რიცხვითი სახელები, განუსაზღვრელობითი რიცხვითი სახელი „მრავალი“, კითხვითი, განსაზღვრებითი, მიმართებითი და უარყოფითი ნაცვალსახელები, საკუთარ სახელთან დაკავშირებული მსაზღვრელი სიტყვები<sup>1</sup>. II. ჩვენებითი, კუთვნილებითი, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები.

ძველი ქართული ორიგინალური მწერლობის ძეგლთა ანალიზმა გვიჩვენა რომ მართული მსაზღვრელი, ჩვეულებრივ, მოსდევს საზღვრულს. ასევე უპირატესად მოსდევს საზღვრულს შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფში შეძვეალი ჩვენებითი, კუთვნილებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები. სიღლო შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფი შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში საზღვრულს უსწრებს.

„შეშანიკის წამებაში“<sup>2</sup> დასტურდება მსაზღვრელ-საზღვრულის 749 წყვილი. პოსტპოზიციური წყობა გვაქვს 426-გზის, პრეპოზიციური კი 323-ჯერ. მართული მსაზღვრელის პოსტპოზიციურ და პრეპოზიციურ წყობათა შეფარდებაა 76 : 44. ასევე შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფის პოსტპოზიციის შემოხვევები თვალსაჩინოდ სქარბობს პრეპოზიციის შემთხვევებს: 300 : 91. აქედან:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ჩვენებითი ნაცვალსახელი	117	66
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	159	18
3. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	24	7

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფის პრეპოზიციურად ხმარების შემთხვევათა სიჭირბე აშკარაა: 188 : 50. მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
ზედსართავე სახელი ან მიმღობა	77	40
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	12	1
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	7	1
4. მრავალი	6	—
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	8	—
6. საკუთარ სახელთან დაკავშირებული მსაზღვრელი	78	8

„ეცტათი მცხეთელის წამებაში“<sup>3</sup> მსაზღვრელ-საზღვრულის 693 სინტაგმა. მსაზღვრელი საზღვრულის შემდეგ დგას 395 შემთხვევაში, უსწრებს 299-გზის.

მართული მსაზღვრელი 115-ჯერ პოსტპოზიციურად იხმარება, პრეპოზიციურად კი 49-გზის. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფში შემავალი სიტყვები 215 შემთხვევაში პოსტპოზიციურად გვხვდება, 88-ჯერ კი პრეპოზიციურად. მათ შორის:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ჩვენებითი ნაცვალსახელი	83	60
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	121	18
3. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	11	10

შეთანხმებული მსაზღვრელის პირველ ქვეჯგუფში შემავალი ფორმები საზღვრულს უსწრებენ 160 შემთხვევაში, მოსდევენ 65-გზის. აქედან:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი ან მიმღეობა	65	38
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	30	—
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	5	1
4. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	7	—
5. კითხვითი ნაცვალსახელი	6	—
6. საკუთარ სახელთან დაკავშირებული მსაზღვრელი	45	26

„მრავალი“ 3-ჯერ მოსდევს საზღვრულს, 1-გზის უსწრებს. უარყოფითი ნაცვალსახელი ერთხელ გვხვდება მსაზღვრელად და მოსდევს საზღვრულს.

„აბოს წამების“<sup>4</sup> ტექსტში მსაზღვრელ-საზღვრულის 1635 წყვილია. მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს 951 შემთხვევაში, უსწრებს 684-გზის. მართული მსაზღვრელი პოსტპოზიციურად გვაქვს 310-ჯერ, პრეპოზიციურად — 150 წყვილში. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფი პოსტპოზიციურად იხმარება 543 შემთხვევაში, პრეპოზიციურად — კი 178-გზის. მათ შორის:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ჩვენებითი ნაცვალსახელი	256	153
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	286	20

უნდა აღინიშნოს, რომ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ამ ძეგლში 5-ჯერ უსწრებს საზღვრულს, ერთ შემთხვევაში კი მოსდევს მას.

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფის პრეპოზიციის გაბატონებულია (356 : 98):

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი ან მიმღეობა	226	76
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	19	2
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	7	3
4. მრავალი	8	—
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	25	1
6. კითხვითი ნაცვალსახელი	3	—
7. საკუთარ სახელთან დაკავშირებული მსაზღვრელი	68	16

ძალზე საყურადღებოა „გრიგოლ ხანტელის ცხოვრების“<sup>5</sup> მონაცემები. პოსტპოზიციურ და პრეპოზიციურ მსაზღვრელთა საერთო სიხშირული შეფარდება თითქმის თანაბარია (2907 : 2777). დიდად გაზრდილია მართული მსაზღვ-

რელისა და შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფის პრეპოზიციის ხედ-  
რიი წონა.

მართული მსაზღვრელი პოსტპოზიციურად გვხვდება 834 სინტაგმაში, პრე-  
პოზიციურად — 694-გზის. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფში შე-  
მაველი სიტყვები 1469 შემთხვევაში მოსდევს საზღვრულს, უსწრებს — 510-  
გზის

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ჩვენებითი ნაცვალსახელი	552	414
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	910	66

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ამ ძეგლშიც უპირატესად პრეპოზი-  
ციურად იხმარება (30 : 27).

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფი შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში პრეპოზიციურად გვხვდება (1593 : 584). მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი ან მიმღობა	945	415
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	70	11
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	5	—
4. მრავალი	44	13
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	165	34
6. უარყოფითი ნაცვალსახელი	2	—
7. საკუთარ სახელთან დაკავშირებული მსაზღვრელი	362	111

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს A რედაქციის ტექსტში<sup>6</sup> მსაზღვრელ-საზღვ-  
რელის 2234 წყვილი გვაქვს. მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს 1340 შემ-  
თხვევაში, 894-გზის კი უსწრებს.

მართული მსაზღვრელის პოსტპოზიციური და პრეპოზიციური წყობის  
შემთხვევათა შეფარდება 393 : 184. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუ-  
ფის შემადგენლობაში შემავალი სიტყვები პოსტპოზიციურად იხმარება 665-  
ჯერ, პრეპოზიციურად 177-გზის. აქედან:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
ჩვენებითი ნაცვალსახელი	305	145
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	332	19
3. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	28	13

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფში შემავალი სიტყვების პრეპო-  
ზიციურად და პოსტპოზიციურად ხმარების შემთხვევათა შეფარდებაა 533:282.  
მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი და მიმღობა	173	252
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	64	3
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	26	6
4. მრავალი	11	5
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	81	3
6. კიონებითი ნაცვალსახელი	1	—
7. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	98	92

მსაზღვრელ-საზღვრელის პრეპოზიციური წყობაა გაბატონებული გიორგი  
მთაწმიდლის თხზულებაში „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრებაჲ“<sup>7</sup> აქ მსაზღვრელ-  
საზღვრელის 2451 სინტაგმაა. მსაზღვრელი საზღვრულს უსწრებს 1434-ჯერ,  
მოსდევს 1017 შემთხვევაში.

მართული მსაზღვრელი ამ ძეგლშიც უპირატესად პოსტპოზიციურად იხმარება (328 : 233). უმნიშვნელო სხვაობაა შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფში შემავალ სიტყვათა პოსტპოზიციური და პრეპოზიციური წყობის შემთხვევათა შორის (454 : 365). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენებითი ნაცვალსახელის პრეპოზიციურად ხმარების შემთხვევები ძალზე სწარბობს პოსტპოზიციურად ხმარების შემთხვევებს (244 : 74). ასევე ხშირია კუთვნილებითი ნაცვალსახელის საზღვრულის წინ დასმის შემთხვევები (74 : 242), განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი უმთავრესად პრეპოზიციურად გვხვდება (47 : 38).

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფში შემავალი სიტყვები შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში პრეპოზიციურად იხმარება (871 : 235). მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართაეი სახელი ან მიმღეობა	468	144
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	69	15
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	9	—
4. მრავალი	31	8
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	101	11
6. მიმართებითი ნაცვალსახელი	4	—
7. უარყოფითი ნაცვალსახელი	3	1
8. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	186	56

როგორც ვხედავთ, მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა ამ ძეგლში თითქმის იმგვარივეა, როგორც თანამედროვე ქართულში. ცნობილია, რომ გიორგი მთაწმიდლის ამ თხზულებაში მრავლად გვხვდება ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი თავისებურებანი<sup>9</sup>. მსაზღვრელ-საზღვრულთან დაკავშირებული მონაცემებიც ამ დებულების დამადასტურებელია. საზოგადოდ, მწერლის პოზიციას უდიდესი როლი ენიჭება, როცა საქმე ეხება მეტყველებისა და სალიტერატურო ენის ნორმათა ურთიერთმიმართებას. ამას თვალნათლივ მოწმობს გიორგი მცირის „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება“<sup>9</sup>. მოსალოდნელი იყო, რომ ამ ძეგლშიც მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიცია იქნებოდა უპირატესად. მაგრამ გიორგი მცირე გიორგი მთაწმიდელთან შედარებით უფრო ნაკლებად გამოავლენს მეტყველებისათვის დამახასიათებელ მოვლენებს, იგი ტრადიციას იცავს ხოლმე.

ამ ძეგლში მსაზღვრელ-საზღვრულის 4716 წყვილია. პოსტპოზიციურ და პრეპოზიციურ მსაზღვრელთა შეფარდებაა 2529 : 2187. მართული მსაზღვრელი 838 შემთხვევაში მოსდევს საზღვრულს, უსწრებს 337-გზის. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფში შემავალი სიტყვებიც უპირატესად პოსტპოზიციურად გვხვდება (1181 : 606). ძეგლში ჩვენებითი ნაცვალსახელის პრეპოზიციაა გაბატონებული (516 : 395), ხოლო კუთვნილებითი ნაცვალსახელი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში პოსტპოზიციურად იხმარება: კუთვნილებითი ნაცვალსახელი (738 : 57), განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი (48 : 33).

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფში შემავალი სიტყვების პრეპოზიცია გაბატონებულია (1253 : 513). აქედან:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართაეი სახელი ან მიმღეობა	795	396
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	76	16
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	18	1

4. წრავალი	52	2
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	143	4
6. უარყოფითი ნაცვალსახელი	6	2
7. საკუთარი სახელის მსაზღვრელები	163	92

განვიხილოთ ბაგრატ IV-ის სიგელები. ბაგრატ IV-ის სიგელში ოპიზარ და მიჯნაბოროელ მამათა სარჩელის გადაწყვეტის შესახებ<sup>10</sup> იხმარება მსაზღვრელ-საზღვრულის 117 სინტაგმა. პოსტპოზიციური მსაზღვრელი გვაქვს 58 შემთხვევაში, პრეპოზიციური კი 59-გზის.

მართული მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს 17-ჯერ, უსწრებს 14 შემთხვევაში. კუთვნილებითი ნაცვალსახელი 20-ჯერ მოსდევს საზღვრულს, 3 შემთხვევაში უსწრებს. ჩვენებითი ნაცვალსახელი უმთავრესად პრეპოზიციურად იხმარება (17 : 3), განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი სამგზის გვაქვს დ ყოველთვის უსწრებს საზღვრულს.

შეთანხმებული მსაზღვრელის პრეპოზიციურ და პოსტპოზიციურ წყობათა შემთხვევების შეფარდებაა 22 : 18. მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი ან მიმღობა	16	9
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	1	—
3. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	2	—
4. უარყოფითი ნაცვალსახელი	1	—
5. საკუთარ სახელთან დაკავშირებული მსაზღვრელი	2	9

სიგელი ბაგრატ IV-ისა შიომღვიმის მიმართ<sup>11</sup> გამოაკლენს მსაზღვრელ-საზღვრულის 137 წყვილს. პოსტპოზიციური წყობის შემთხვევები ოდნავ სჭარბობს (72 : 65). მართული მსაზღვრელი პრეპოზიციურად გვხვდება 67-ჯერ, პოსტპოზიციურად 70-გზის. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფში შემაჯავალ სიტყვათაგან მხოლოდ კუთვნილებითი ნაცვალსახელის პოსტპოზიციუ ბატონობს (28 : 1), ჩვენებითი ნაცვალსახელი 10 შემთხვევაში საზღვრულს წინ გვხვდება, 5-ჯერ კი — მომდევნოდ. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი 4-გზის იხმარება და ყოველთვის საზღვრულს უსწრებს.

შეთანხმებული მსაზღვრელის პირველი ქვეჯგუფის პრეპოზიციუა გაბატონებულია (34 : 10). აქედან:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი ან მიმღობა	25	6
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	3	—
3. რიცხვითი რიცხვითი სახელი	1	—
4. საკუთარ სახელთან დაკავშირებული მსაზღვრელი	5	4

ძალზე საინტერესოა პეტრიწონის ქართველთა მონასტრის წესდების<sup>12</sup> მონაცემები. ძეგლში მსაზღვრელ-საზღვრულის 3739 წყვილია. პრეპოზიციური მსაზღვრელი გვხვდება 1929-ჯერ, პოსტპოზიციური კი 1810 შემთხვევაში. მართული მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს 581-გზის. უსწრებს 402-ჯერ. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფში შემაჯავალ სიტყვათა პოსტპოზიციისა და პრეპოზიციის შემთხვევათა შეფარდებაა (689 : 437). კუთვნილებითი ნაცვალსახელის პოსტპოზიციუა გაბატონებულია (479 : 63). ჩვენებითი ნაცვალსახელი შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში უსწრებს საზღვრულს (327 : 163). განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის პოსტპოზიციურად და პრეპოზიციურად იხმარების შემთხვევები თანაბარია (47 : 47).

შეთანხმებული მსახლერელის I ქვეჯგუფში შემავალ სიტყვათა პრეპოზიციური წყობა დომინირებს (1090 : 352). მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
ზედსართავი სახელი ან მიმღეობა	673	169
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	94	128
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	16	2
4. მრავალი	15	8
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	198	20
6. კითხვითი ნაცვალსახელი	7	—
7. უარყოფითი ნაცვალსახელი	7	1
8. საკუთარი სახელის მსახლერელი	80	34

V—XI საუკუნეთა ქართული ორიგინალური წერილობითი ძეგლების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ძველ ქართულში საზოგადოდ მსახლერელი მოსდევს საზღვრულს<sup>13</sup>, ოდონდ თუ დიფერენცირებულად განვიხილავთ მსახლერელს. აღმოჩნდება, რომ პოსტპოზიციური წყობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ბატონობს, როცა მსახლერელად გამოიყენება მართული სახელი, ჩვენებითი, კუთვნილებითი, განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები (ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენებით ნაცვალსახელთა პოსტპოზიციური წყობა უპირატესად გვაქვს: „შუშანიკის წამებაში“, „ევსტათი მცხეთელის წამებაში“, „აბოს წამებაში“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტში, ხოლო პრეპოზიციური წყობა ბატონობს ისეთ ძეგლებში, როგორცაა: „იოანესა და ეფთვმეს ცხოვრება“, „გიორგი მთაწმიდლის ცხოვრება“, ბაგრატ IV-ის სიგელები, პეტრიწონის მონასტრის წესდება). განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთაგან უპირატესად ერთი, ვინმე ნაცვალსახელები მოსდევენ საზღვრულს. მაგალითად, „შუშანიკის წამებაში“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი სახელის შემდეგ 24-ჯერ დგას, აქედან 16 შემთხვევაში ერთი. „ევსტათი მცხეთელის წამებაში“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი საზღვრულის მომდევნოდ 11-ჯერ იხმარება, აქედან 10-გზის — ერთი. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი საზღვრულს 27 შემთხვევაში მოსდევს, აქედან: 13-გზის ვინმე, 5-ჯერ კი — ერთი და სხვ.

პრეპოზიციური წყობა ბატონობს, როცა მსახლერელად გვაქვს: ზედსართავი სახელი ან მიმღეობა, რაოდენობითი, რიგობითი. განუსაზღვრელობითი („მრავალი“) რიცხვითი სახელი, განსაზღვრებითი, კითხვითი, მიმართებითი, უარყოფითი ნაცვალსახელები. პრეპოზიციურად გვხვდება უმთავრესად ანთროპონიმთან დაკავშირებული მსახლერელი<sup>14</sup>.

მომდევნო ეპოქის ქართული ორიგინალური ძეგლები განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ იმისდა მიხედვით, თუ რომელ ქანრს განეკუთვნება საკლავი ძეგლი.

ჰაგიოგრაფიული მწერლობის ძეგლთა მონაცემები ფაქტიურად ემთხვევა V—XI საუკუნეთა თხზულებათა ვითარებას. დავიმოწმებთ ორიოდ ნაწარმოების მონაცემებს.

„წამებაჲ ქეთევან დედოფლისაჲ“<sup>15</sup> გამოავლენს მსახლერელ-საზღვრულის 127 შემთხვევას. მსახლერელი პოსტპოზიციურად გვაქვს 82-ჯერ, პრეპოზიციურად 47-გზის.

მართული მსაზღვრელი 31 შემთხვევაში მოსდევს საზღვრულს, 3-ჯერ კი უსწრებს. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფის პოსტპოზიცია გაბატონებულია (34 : 9). აქედან:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
ჩვენებითი ნაცვალსახელი	13	9
კუთვნილებითი ნაცვალსახელი	19	—
3. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	2	—

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფი უმთავრესად პრეპოზიციურად იხმარება (35 : 15). მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
ზედსართავი სახელი ან მიმღობა	12	11
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	2	1
3. შრავალი	4	1
4. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	4	—
5. კიბხვითი ნაცვალსახელი	2	—
6. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	11	2

„წამებაჲ ელისბარისი. შალვამსი და ბიძინამსი“<sup>16</sup> გამოავლენს მსაზღვრელ-საზღვრულის 129 სინტაგმას. პოსტპოზიციურ და პრეპოზიციურ წყობათა შემთხვევების შეფარდებაა (61 : 68). მართული მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს 26 შემთხვევაში, უსწრებს 11-გზის. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფის პოსტპოზიციაც ბატონობს (50 : 11): ჩვენებითი ნაცვალსახელი 14-ჯერ დგას საზღვრულის შემდეგ, 11 შემთხვევაში უსწრებს. კუთვნილებითა ნაცვალსახელი ათივე შემთხვევაში მოსდევს საზღვრულს. ასევე განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი ორჯერ იხმარება და საზღვრულის მომდევნოა.

შეთანხმებული მსაზღვრელის პირველ ქვეჯგუფში შემავალი სიტყვები შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში პრეპოზიციურად გვხვდება (46 : 9). მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
ზედსართავი სახელი ან მიმღობა	25	5
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	2	2
3. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	1	—
4. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	18	—

საინტორიო ჟანრის თხზულებებში მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა სხვაობს. ამ ჟანრის ძეგლთა უმრავლესობაში მეტად მოჭარბებულია მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიცია, ამასთან ეს ეხება როგორც მართულ მსაზღვრულს, ისე შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფსაც (კერძოდ, ზედსართავი სახელი ან მიმღობა საკმაოდ ხშირად მოსდევს საზღვრულს).

„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“<sup>17</sup> მსაზღვრელ-საზღვრულის 2470 წყვილს გამოავლენს. პოსტპოზიციურ და პრეპოზიციურ წყობათა შემთხვევების შეფარდებაა 1578 : 892.

მართული მსაზღვრელი 705-ჯერ მოსდევს საზღვრულს, უსწრებს 243 შემთხვევაში. კუთვნილებითი ნაცვალსახელის პოსტპოზიცია მთლიანად გაბატონებულია (382 : 13). ჩვენებითი ნაცვალსახელი შემთხვევათა უმრავლესობაში პრეპოზიციურად იხმარება (191 : 99), განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელიც უმთავრესად უსწრებს საზღვრულს (25 : 14).

შეთანხმებული მსაზღვრელის პირველ ჯგუფში შემავალი სიტყვების პრეპოზიციის შემთხვევები ოდნავ სჭარბობს პოსტპოზიციისას (426 : 388). მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი ან მიმღეობა	116	238
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	80	22
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	42	3
4. მრავალი	11	8
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	119	12
6. უარყოფითი ნაცვალსახელი	3	—
7. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	55	105

„ნიწოს მიერ ქაროლის მოქცევა“<sup>18</sup> მსაზღვრელ-საზღვრულის 2260 წყვილს შეიცავს. მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს 1437 შემთხვევაში, უსწრებს 843-გზის. მართული მსაზღვრელი საზღვრულის მომდევნოაა 422-ჯერ, უსწრებს 166 შემთხვევაში. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფის პოსტპოზიციისა გაბატონებულია (687 : 165). აქედან:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ჩვენებითი ნაცვალსახელი	292	139
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	360	11
3. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	35	15

შეთანხმებული მსაზღვრელის I ჯგუფში შემავალი სიტყვების პრეპოზიციისა დიდად არ სჭარბობს (512 : 357). მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი ან მიმღეობა	238	236
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	47	10
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	7	5
4. მრავალი	15	4
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	68	4
6. კითხვითი ნაცვალსახელი	4	—
უარყოფითი ნაცვალსახელი	1	—
საკუთარი სახელის მსაზღვრელი	132	98

„ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“<sup>19</sup> გამოავლენს მსაზღვრელ-საზღვრულს 2188 სინტაგმას. პოსტპოზიციური წყობა გვაქვს 1150-ჯერ, პრეპოზიციური კი — 1038 შემთხვევაში. მართული მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს 599-გზის, უსწრებს 373-ჯერ. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფში შემავალი სიტყვების პოსტპოზიციის შემთხვევები ოდნავ სჭარბობს პრეპოზიციისას (201 : 188). ამასთან, ეს სიჭარბე გამოწვეულია კუთვნილებითი ნაცვალსახელის პოსტპოზიციის შემთხვევათა დიდი ოდენობით (151 : 48). ჩვენებითი ნაცვალსახელი უპირატესად პრეპოზიციურად გვხვდება (151 : 48). განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელიც უფრო ხშირად უსწრებს საზღვრულს (13 : 11).

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფში შემავალ სიტყვათა პრეპოზიციისა და პოსტპოზიციის შემთხვევათა შეფარდებაა (475 : 349). მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი ან მიმღეობა	263	252
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	47	1
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	5	—
4. მრავალი	6	2
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	97	1

6. კითხვითი ნაცვალსახელი	12	—
7. უარყოფითი ნაცვალსახელი	2	—
8. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	43	93

სხვა ისტორიულ თხზულებათაგან რამდენადმე განსხვავდება აბუსერიძე ტბელის „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში“ (1233 წ.)<sup>20</sup>. ამ ძეგლშიც მართული მსაზღვრელი, აგრეთვე კუთვნილებითი ნაცვალსახელი უმთავრესად პოსტპოზიციურად იხმარება, მაგრამ გაბატონებულია ჩვენებითი ნაცვალსახელის პრეპოზიცია. ზედსართავი სახელით და მიმღობით გადმოცემული მსაზღვრელი შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში პრეპოზიციურად იხმარება.

ნაწარმოებში მსაზღვრელ-საზღვრულის 741 წყვილია. უპირატესობა პრეპოზიციურ მსაზღვრელს ენიჭება (360 : 381). მართული მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს 165 შემთხვევაში, უსწრებს 66-გზის. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფში შემავალ სიტყვათა პოსტპოზიციურ და პრეპოზიციურ წყობათა შემთხვევების შეფარდებაა 144 : 108. აქედან:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ჩვენებითი ნაცვალსახელი	30	83
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	109	15
3. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	5	10

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფში შემავალი სიტყვები საზღვრულს უსწრებენ 207-ჯერ, მოსდევენ 51 შემთხვევაში. მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი ან მიმღობა	124	46
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	10	—
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	2	—
4. მრავალი	10	—
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	17	—
6. კითხვითი ნაცვალსახელი	1	—
7. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	43	5

„ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“, საისტორიო დოკუმენტთა ერთი ნაწილი ძალზე საინტერესო ვითარებას წარმოგვიდგენს. ამ ძეგლებში ყოველნაირი მსაზღვრელი უპირატესად საზღვრულის წინ დგას. განსაკუთრებით ისაა საინტერესო, რომ გაბატონებულია მართული მსაზღვრელის, აგრეთვე ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელების პრეპოზიციური წყობა.

„ვეფხისტყაოსანში“<sup>21</sup> ბატონობს მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური წყობა. პოემაში გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის 6334 წყვილი. 3461 შემთხვევაში მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს, 2873-ჯერ კი — მოსდევს. მართული მსაზღვრელის პრეპოზიციისა და პოსტპოზიციის შემთხვევათა შეფარდება 1215 : 833. ჩვენებითი ნაცვალსახელი 538-ჯერ უსწრებს საზღვრულს, 50 შემთხვევაში მოსდევს. კუთვნილებითი ნაცვალსახელი 610-გზის პრეპოზიციურად იხმარება, 498-ჯერ მოსდევს საზღვრულს.

„ვეფხისტყაოსანში“ გაბატონებულია ზედსართავი სახელით და მიმღობით გადმოცემული მსაზღვრელის პოსტპოზიციური წყობა (1213 : 473). ამგვარი მსაზღვრელის პოსტპოზიციური წყობის ესოდენ მოჭარბება იმდროინდელი ცოცხალი მეტყველების ასახვას არ წარმოადგენს. ამაზე მიუთითებს იმავე ეპოქის სხვა წერილობითი ძეგლთა მონაცემები (როგორც ზემოთ ვნახეთ,

V—XI საუკუნეთა ყველა ორიგინალური ძეგლიც ამგვარ მსაზღვრელს უპირატესად საზღვრულის წინ წარმოგვიდგენს). მით უფრო ასახსნელია ეს ვითარება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ იმდროინდელი ცოცხალი მეტყველების ნორმათა მიხედვით პოემაში გაბატონებულია მართული მსაზღვრელის, ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელების პრეპოზიციური წყობა.

ვფიქრობთ, რომ ზედსართავი სახელით და მიმღეობით გადმოცემული მსაზღვრელის საზღვრულის მომდევნოდ ხმარება ძალზე ხშირად რითმის საკითხებითაა გამოწვეული. ეს მეტყველების ნაწილები ისეთი მარცვლებით ბოლოვდება, რომლებიც კარგად ეგუება პოემის რითმის სტრუქტურას<sup>22</sup>. ორიოდ ნიმუში:

არაბეთს გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მფლობელმან:  
„ლინათინ ჩემი ხელმწიფედ დაესვი მე, მისმან მშობელმან,  
მან გაანათლნეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან.  
მოდით და ნახეთ ყოველმან, შემსხმელმან, შემამკობელმან“ (44 სტრ.)

თინათინ მიკაეს მამასა პირითა მით ნათელითა,  
დასუა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა,  
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა,  
ქალი მზეებრ სკერეტს ყოველთა ცნობითა ბრძნად მხედველითა. (46 სტრ.)

„შიგან ეწევ დიდთა დარბაზთა ტურფითა საგებელითა,  
ზე დამტიროდეს მეფენი ცრემლითა უშრობელითა,  
პირსა იხოკდეს ხელითა, დაწეისა გამაობელითა.  
მუყრნი მოასხნეს, სენითა მთქვეს გამაბელზეხელითა. (352 სტრ.).

საზოგადოდ, პოეზიის ენას უფრო ახასიათებს მსაზღვრელის პოსტპოზიციური წყობისაკენ მიდრეკილება (ეს ცხადი იქნება, თუ შევადარებთ თანამედროვე მწერალთა პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებს).

საინტერესო ჩანს ნათარგმნ ძეგლთა მონაცემები. ი. ჭავჭავაძის მიერ ამოკითხულ ხანმეტ ტექსტებში<sup>23</sup> გვხვდება მსაზღვრელ-საზღვრულის 475 სინტაგმა. მსაზღვრელი საზღვრულს მოსდევს 384-ჯერ, 91 შემთხვევაში კი — უსწრებს. მართული მსაზღვრელის პოსტპოზიციურად და პრეპოზიციურად ხმარების შემთხვევათა შეფარდებაა (101 : 16). შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფში შემავალი სიტყვებიც უპირატესად პოსტპოზიციურად გვხვდება (247 : 27), აქედან:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ჩვენებითი ნაცვალსახელი	76	21
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	168	3
3. განსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	3	3

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფში შემავალ სიტყვათა პრეპოზიციის შემთხვევები ოდნავ სჭარბობს პოსტპოზიციისას (48 : 36), მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი ან მიმღეობა	23	26
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	13	3
3. რაობითი რიცხვითი სახელი	—	1
4. მრავალი	2	—
5. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	7	2
6. კითხვითი ნაცვალსახელი	3	—
7. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	—	4

ხანმეტი იერემიას კემბრიჯული ნაწყვეტები<sup>24</sup> გამოავლენს მსაზღვრელ-საზღვრულის 20 წყვილს. 18-ჯერ მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, 2 შემთხვევაში კი — უსწრებს. აქედან:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
მართული მსაზღვრელი	6	—
ჩვენებითი ნაცვალსახელი	1	—
კუთვნილებითი ნაცვალსახელი	10	—
ზედსართავი სახელი	1	—
განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	—	1
უარყოფითი ნაცვალსახელი	—	1

„ხანმეტ ლექციონარში“<sup>25</sup> მსაზღვრელ-საზღვრულის 240 სინტაგმა დასტურდება. მსაზღვრელი საზღვრულს 182-ჯერ მოსდევს, უსწრებს 58-გზის. მართული მსაზღვრელის პოსტპოზიციის გაბატონებულია (35 : 6). ასევე ძალზე ხშირია ჩვენებითი ნაცვალსახელის (56 : 15) და კუთვნილებითი ნაცვალსახელის (60 : 1) პოსტპოზიციის შემთხვევები. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი უმთავრესად უსწრებს საზღვრულს (9 : 2).

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფში შემავალი სიტყვების პოსტპოზიციისა ოდნავ სჭარბობს (29 : 27). მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
1. ზედსართავი სახელი ან მიმღობა	7	24
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	7	1
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	2	—
4. წრავალი	1	—
განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	5	1
საკუთარი სახელის მსაზღვრელი	5	3

იაკობის პროტოევანგელე<sup>26</sup> გამოავლენს მსაზღვრელ-საზღვრულის 131 წყვილს. პოსტპოზიციური და პრეპოზიციური წყობის შემთხვევათა შეფარდებაა 114 : 24. მართული მსაზღვრელი 36 შემთხვევაში მოსდევს საზღვრულს, ერთ შემთხვევაში კი — უსწრებს. შეთანხმებული მსაზღვრელის II ქვეჯგუფში შემავალ სიტყვათა პოსტპოზიციისა და პრეპოზიციის შემთხვევათა შეფარდებაა (67 : 7), აქედან:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. ჩვენებითი ნაცვალსახელი	35	6
2. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	30	—
3. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	2	—

შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფის სიტყვათა პრეპოზიციურად ხმარების შემთხვევები სჭარბობს (17 : 11). მათ შორის:

	საზღვრულს უსწრებს	საზღვრულს მოსდევს
ზედსართავი სახელი ან მიმღობა	12	9
2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	1	—
3. რიგობითი რიცხვითი სახელი	1	—
4. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	3	—
5. უარყოფითი ნაცვალსახელი	—	1
6. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	—	1

იაკობის პროტოევანგელე დანარჩენი ხანმეტი ტექსტებიდან იმით გამოირჩევა, რომ აქ ზედსართავი სახელითა და მიმღობით გადმოცემული მსაზღვ-

რელი უმთავრესად უსწრებს საზღვრულს. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო საინტერესოა ხანმეტი მრავალთავი<sup>27</sup>, სადაც არა მარტო ამგვარი მსაზღვრელი გვხვდება პრეპოზიციურად შემთხვევათა უმრავლესობაში, არამედ მოჭარბებულია მართული მსაზღვრელის, აგრეთვე ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელების პრეპოზიციურად ხმარების შემთხვევები.

ხანმეტ მრავალთავში მსაზღვრელ-საზღვრულის 342 წყვილია. 187 შემთხვევაში მსაზღვრელი მოსდევს საზღვრულს, 155-გზის უსწრებს. მათ შორის:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს
1. მართული მსაზღვრელი	70	37
2. ჩვენებითი ნაცვალსახელი	52	41
3. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	34	15
4. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	—	5
5. ზედსართავი სახელი ან მიმღეობა	28	34
6. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	—	1
7. მრავალი	—	1
8. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	1	16
9. კითხვითი ნაცვალსახელი	—	2
10. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	2	3

ჰემეტ ტექსტებში<sup>28</sup> აღმოჩნდა მსაზღვრელ-საზღვრულის 333 სინტაგმა. პოსტპოზიციური მსაზღვრელი გვაქვს 245 შემთხვევაში, პრეპოზიციური კი — 88-გზის. მათ შორის:

	საზღვრულს მოსდევს	საზღვრულს უსწრებს.
1. მართული მსაზღვრელი	68	26
2. ჩვენებითი ნაცვალსახელი	62	12
3. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	66	3
4. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	1	5
5. ზედსართავი სახელი ან მიმღეობა	25	16
6. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	7	14
7. რიცხვითი რიცხვითი სახელი	1	—
8. მრავალი	1	3
9. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	—	5
10. უარყოფითი ნაცვალსახელი	—	1
11. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	14	3

ხანმეტი და ჰემეტი ტექსტებისათვის საერთოდ დამახასიათებელია მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობის შემთხვევათა სიჭარბე. პოსტპოზიციურად იხმარება მართული მსაზღვრელი, ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელები, აგრეთვე ზედსართავი სახელი ან მიმღეობა (გამონაკლისებია: ხანმეტი მრავალთავი და იაკობის პროტოევანგელე). ამასთან ამ ტიპის მსაზღვრელთა პოსტპოზიციური წყობის შემთხვევები გაცილებით სჭარბობს პრეპოზიციისას (აქაც გამონაკლისებია: ხანმეტი მრავალთავი და იაკობის პროტოევანგელე). ასე მაგალითად, ხანმეტ ლექციონარში მართული მსაზღვრელი პოსტპოზიციურად იხმარება 35 შემთხვევაში, პრეპოზიციურად კი — 6-ჯერ, „შუშანიკის წამებაში“ შეფარდებაა 76 : 44. ხანმეტ ლექციონარში ჩვენებითი ნაცვალსახელი 56-გზის მოსდევს საზღვრულს, 15 შემთხვევაში კი უსწრებს. „შუშანიკის წამებაში“ ასეთი მსაზღვრელის პოსტპოზიციისა და პრეპოზიციის შემთხვევათა შეფარდებაა 117 : 66. ხანმეტი ლექციონარის ტექსტში კუთვნილებითი ნაცვალსახელი 60-ჯერ მოსდევს საზღვრულს, ერთხელ უსწრებს. „შუშანიკის წამებაში“ გვაქვს შეფარდება 159 : 18. ვფიქრობთ, ნათელია სხვაობა ხანმეტ ტექსტებსა და ორიგინალურ ძეგლებს შორის.

ხანმეტ და ჰაემეტ ძეგლებში უპირატესად პრეპოზიციურ მსაზღვრელ-ზად იხმარება: განუსაზღვრელობითი, განსაზღვრებითი, კიახვითი, უარყოფითი ნაცვალსახელები, რაოდენობითი, რიგობითი რიცხვითი სახელი, მრავალი (თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ მოხშირებულია რაოდენობითი და რიგობითი რიცხვითი სახელების, აგრეთვე მრავალ მსაზღვრელის პოსტპოზიციურად ხმარების შემთხვევები).

IX—XII საუკუნეთა ნათარგმნი ძეგლები<sup>29</sup> ორ ჯგუფად იყოფა: I. მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური და პრეპოზიციური წყობის შემთხვევათა შეფარდებითი სიხშირე ნათელყოფს, რომ გაბატონებულია პოსტპოზიციური წყობა (ასეთ ძეგლებში არა მარტო ძალზე ხშირია მართული მსაზღვრელის, ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელების, ზედსართავი სახელისა და მიმღეობის პოსტპოზიციის, არამედ იშვიათია ამავე მსაზღვრელთა პრეპოზიციის შემთხვევები). II ჯგუფს შეადგენს ძეგლები, სადაც, მართალია, პოსტპოზიციური წყობის შემთხვევები სჭარბობს, მაგრამ საკმაოდ ხშირია პრეპოზიციური წყობის შემთხვევებიც. ასეთ ძეგლებში, ჩვეულებრივ, პრეპოზიციურ მსაზღვრელებად გვაქვს: ზედსართავი სახელი და მიმღეობა, განსაზღვრებითი, უარყოფითი, კითხვითი ნაცვალსახელები, რაოდენობითი, რიგობითი რიცხვითი სახელი, მრავალი; მართული მსაზღვრელი, ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელი უპირატესად პოსტპოზიციურად იხმარება, თუმცა I ჯგუფის ძეგლებთან შედარებით დიდად მოხშირებულია პრეპოზიციაც.

ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლთაგან I ჯგუფს განეკუთვნება ძველი აღთქმის წიგნები, მამათა სწავლანი, ექუსთა დღეთაჲს უძველესი რედაქცია, იოვანეს გამოცხადება, პატერიკი, ბალაეარიანი. ამავე ტიპისაა ოთხთავი<sup>30</sup>. II ჯგუფს ეკუთვნის: ლიმონარი, ცხოვრებაჲ წმიდისა ანტონისი, იოვანეს გამოცხადების თარგმანება, ელინთა ზღაპრობანი, ექუსთა დღეთაჲს გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანი.

ძალზე საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს სინური მრავალთავი, რომლის მონაცემებსაც ცალკე განვიხილავთ.

აქ ვერ შევუდგებით ყველა ზემოთ დასახელებული ძეგლის მონაცემთა ანალიზს. ჩვენი აზრით, ყველაზე თვალსაჩინო მასალას იძლევა „ექუსთა დღეთაჲს“ უძველესი რედაქციის<sup>31</sup> ტექსტის შეპირისპირებითი ანალიზი ამავე ძეგლის გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანთან<sup>32</sup> და ამ თარგმანის „შედარება გიორგისავე ორიგინალურ ნაწარმოებთან „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“. „ექუსთა დღეთაჲს“ უძველესი რედაქციის ტექსტში მსაზღვრელ-საზღვრულის 2160 წყვილია, გიორგისეული თარგმანის ჩვენ მიერ შესწავლილ ნაწყვეტში — 3611, „ცხოვრებაში“ — 2451.

პოსტპოზიციურ და პრეპოზიციურ წყობათა შემთხვევების შეფარდება: უძველეს რედაქციაში — 1708 : 452; გიორგისეულ თარგმანში — 1850 : 1761; „ცხოვრებაში“ — 1017 : 1434. მათ შორის:

	საზღერულს მოსდევს			საზღერულს უსწრებს		
	უფ. რედ.	ბ. მთაწმ. თარგმ.	„ცხოვრ.“	უფ. რედ.	ბ. მთაწმ. თარგმ.	„ცხოვრ.“
ქართული მსაზღვრელი	659	781	328	100	448	233
2. ჩვენებითი ნაცვალსახელი	374	445	74	89	363	244
3. კუთვნილებითი ნაცვალსახელი	375	361	342	12	61	74
4. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი	19	40	38	24	60	47
5. ზედსართავი სახელი ან მიმღეობა	247	196	144	115	518	468
6. რაოდენობითი რიცხვითი სახელი	13	14	15	12	39	69
7. რაგობითი რიცხვითი სახელი	10	5	—	16	1	9
8. მრავალი	7	—	8	16	18	31
9. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი	4	1	11	68	122	101
10. მიმართებითი ნაცვალსახელი	—	—	—	—	—	4
11. კითხვითი ნაცვალსახელი	—	—	—	10	8	—
12. გარყვნილი ნაცვალსახელი	8	5	1	62	7	3
13. საკუთარი სახელის მსაზღვრელი	135	2	56	140	—	186

ეს მონაცემები ცხადყოფს, რომ გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანში გაცილებით უფრო კარგადაა წარმოდგენილი ქართული ენისათვის ბუნებრივი სიტყვათა წყობა, ვიდრე „ექუსთა დღეთაჲს“ უძველეს თარგმანში. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი მთაწმიდლის თარგმანის მონაცემები საკმაოდ ახლოს დგას მისივე ორიგინალური თხზულების მონაცემებთან (თუმცა გიორგი მთაწმიდელი, როგორც მთარგმნელი, რამდენადმე მაინც დამოკიდებული ჩანს ბერძნული ენისათვის დამახასიათებელ სინტაქსურ წესებზე).

რა ვითარებაა საკულეველი იმ ცოცხალ მეტყველებაში, რომელსაც ემყარებოდა ძველი ქართული სალიტერატურო ენა? ვფიქრობთ, ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ერთი ჯგუფი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ამ ეპოქის ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციისადმი მიდრეკილების ტენდენცია. სავარაუდოა, რომ ძველი და საშუალო ქართულის მიჯნაზე უკვე ბატონობდა არა მართო შეთანხმებული მსაზღვრელის I ქვეჯგუფში შემავალ სიტყვათა პრეპოზიციის, არამედ შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში საზღვრულის წინ დაისმოდა ჩვენებითი და კუთვნილებითი ნაცვალსახელი, მართული მსაზღვრელი („ვეფხისტყაოსანი“, საერო ლიტერატურის სხვა ძეგლები ამ დებულების საილუსტრაციო მასალას უხვად წარმოგვიდგენენ).

აქვე გასათვალისწინებელია შემდეგი ფაქტორები: ძველი ნათარგმნია თუ ორიგინალური, დედნის სახითაა ჩვენამდე მოღწეული თუ პირებით, რა დროისაა ძველი, რა უანრისაა თხზულება და მისთ. ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ალბათ მწერლის (თუ მთარგმნელის) ენობრივი პოზიცია. ზოგი ავტორი (მთარგმნელი) ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმებს სალიტერატურო ენაში უხვად გამოავლენდა, ზოგი კი ცდილობდა სალიტერატურო ენის ნორმათა ზედმიწევნით დაცვას მაშინაც, როცა ცოცხალ მეტყველებაში გარკვეული ტიპის ცვლილებები უკვე დიდი ხანია მომხდარი იყო.

შენიშვნები

1 ადამიანის საკუთარ სახელს შეიძლება ახლდეს მსაზღვრელი (წმიდაჲ, ნეტარჲ ბრძენი, სახიერო..., უღმრთოჲ, უსჯულოჲ, უგუნური...), თანამდებობის, ხელობის ან წოდების აღმნიშვნელი ლექსემები (ერისთავი, მეფე, დედოფალი, პიტოახში, ეპისკოპოსი, მღვდელი, ხუცესი...) და მისთ.

ქვემოთ წარმოდგენილ ტაბულაში კარგად ჩანს ადამიანის საკუთარ სახელთან დაკავშირებული ზოგი მსაზღვრელის წყობა V—XI საუკუნეთა ორიგინალურ ძეგლებში.

	მსაზღ.-საზღ.	საზღ.-მსაზღ.		მსაზღ.-საზღ.	საზღ.-მსაზღ.
ღმერთი	1	14	ხუცესი	—	2
უფალი	5	—	ხუცესმონაზ.	—	1
ღმრთისმეტყუელი	1	3	ეპისკოპოსი	4	11
მოციქული	3	10	მთავარეპის.	—	2
ნათლისმცემელი	—	2	მღვდელი	1	10
მხარებელი	—	7	მღვდელთმთავ.	1	—
წინასწარმეტყუელი	2	9	კათალიკოზი	—	14
წინამორბედი	1	—	კატრეაქი	—	1
მოწამე	2	—	ამბა	3	—
პერჩულე	—	1	მამა	187	4
ბერი	—	2	დედა	18	—
შოდღუარი	—	1	აზნაური	—	3
მონაზონი	1	—	მეფე	8	43
წამასახლისი	—	1	დედოფალი	7	12
სტრატელატი	—	1	კეისარი	—	1
ერისთავი	—	4	მცხეთელი	—	1
მამთალი	—	1	პრომელი	—	1
მთავარი	—	2	იშხნელი	—	1
ერისთავი	—	7	პარხელი	—	1
ერისთავთ-ერისთავი	—	7	აჩელი	—	1
კურაპალატი	1	33	მაწყუერელი	—	2
პიტიახში	1	6	უჯარმელი	—	6
ქელწიფე	—	6	ნინოწმიდელი	—	2

და მისთ.

როგორც ვხედავთ, წინასწარმეტყუელთა, წმიდანთა, საეკლესიო პირთა თანამდებობათა, სადაურობის აღმნიშვნელი მსაზღვრელები უპირატესად მოსდევს საზღვრულს (გამონაკლისებია: უფალი მამაჲ, ამბაჲ, დედაჲ). გაბატონებულია აგრეთვე საერო პირთა თანამდებობის აღმნიშვნელ სიტყვათა პოსტპოზიციია.

პრეპოზიციური წყობა ბატონობს ტოპონიმთა მსაზღვრელებთან:

	მსაზღვ.-საზღვრ.	საზღვრ.-მსაზღვრ.
ქალაქი	19	11
ღაბა	5	1
სოფელი	4	—
ქვე	2	—
მუეყანა	6	—
ციხე	1	—
შთა	1	—
მდინარე	3	1

2 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 1964, გვ. 11—29.

3 აგიოგრ. ძეგლ., I, გვ. 30—45.

4 აგიოგრ. ძეგლ., I, გვ. 46—81.

5 აგიოგრ. ძეგლ., I, გვ. 248—319.

6 აგიოგრ. ძეგლ., I, გვ. 81—163.

7 კიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ იოვანესი და ეფთვიმესი, გამოსაცემად დაამზადა ი. ქაცხაძემ, 1946.

- 8 ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით: ძველი ქართული ენის ძეგლები, 3, 1946, 65—68.
- 9 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, 1967, გვ. 196—207.
- 10 ა. შანიძე, ძველი ქართულის ქრესტომათია, 1935, გვ. 93—94.
- 11 ა. შანიძე, დასახ. შრ., გვ. 95—96.
- 12 ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, 1971.
- 13 აგიოგრაფიულ ძეგლთაგან „იოვანესა და ეფთვიმეს ცხოვრება“ ერთადერთია, სადაც მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური წყობაა გაბატონებული.
- 14 ძველი ქართული ენის ძეგლებში მსაზღვრელ-საზღვრული დიფერენცირებულად აქვთ შესწავლილი ე. კახაძეს (მსაზღვრელ-საზღვრულის თანამიმდევრობა ოთხთავეში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, 1956, გვ. 329—338), გ. კლიმოვს (К вопросу о порядке членов атрибутивного комплекса в картвельских языках: Вопросы изучения северийско-кавказских языков, М., 1961, гв. 257—269); ც. კალაძეს (განსაზღვრება ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები II, 1961, გვ. 73—119).
- 15 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, IV, 1968, გვ. 429—432.
- 16 აგიოგრ. ძეგლ., IV, 1968, გვ. 440—442.
- 17 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, 1955, გვ. 3—71; 130—138.
- 18 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 245—248.
- 19 ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 1—61.
- 20 გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა, 1941 წ.
- 21 ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ, I, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, 1966.
- 22 ი. იმნაიშვილი, ქართული პოეტური ენის საკითხები, 1966.
- 23 ი. ქაჯახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 317—366.
- 24 გამოსცა ა. შანიძემ: ენიმქის მოამბე, I, 1937, გვ. 36—39.
- 25 გამოსცა ა. შანიძემ, 1944.
- 26 გამოსცა I. N. Birdsall-მა: A second Georgian Recension of the Protoevangelium Iacobi: Le Muséon, LXXXIII, 1—2. Louvain 1970, გვ. 52—72.
- 27 გამოსცა ა. შანიძემ: ტუმ, VII, 1927, გვ. 125—152.
- 28 გამოსცა ა. შანიძემ: ტუმ, III, 1923, გვ. 363—388.
- 29 ეგულისხმობთ არა თარგმნის, არამედ იმ ხელნაწერის გადაწერის დროს, რომლითაც ესა თუ ის ძეგლია მოღწეული.
- 30 ოთხთავის მონაცემებს ვიყენებთ ე. კახაძის დასაბუთებული გამოკვლევის მიხედვით.
- 31 უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექვსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლი ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“, გამოსცა ილ. აბულაძემ, 1964, გვ. 29—80.
- 32 გამოსცა მ. კახაძემ, 1947. გაანალიზებულია 1—63.3 გვერდებზე დაბეჭდილი ტექსტი.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

## ივანე ქავთარაძე

## იმერული დიალექტის ისტორიისათვის

ქართული ენის დიალექტებს შორის იმერული ერთ-ერთი დიდი ერთეულია, გავრცელებულია ფართო ტერიტორიაზე და შეიცავს სამ ძირითად კლასს, რომლებიც საყურადღებო განსხვავებებს გვიჩვენებენ ფონეტიკა-გრამატიკასა და ლექსიკაში. ამ გარემოებითაც იყო გამოწვეული მკვლევართა დიდი ინტერესი იმერული მეტყველებისადმი, რომლის აღწერა-ანალიზს მიეძღვნა რამდენიმე საყურადღებო გამოკვლევა.

უდავოა, რომ სოფლების მიხედვით ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვება და მასალების შეგროვება დიდ მიღწევად ითვლება, ის სტატიკური შესწავლის საფუძველია. მაგრამ მარტოდენ ამგვარმა შესწავლამ შეიძლება ვერ შეგვიქმნას სრულყოფილი სურათი და შეუნიშნავი დარჩეს ზოგი თავისებურება, რაც მოცემულ დიალექტს აქვს ან წინათ ჰქონდა. ამიტომ სტატიკური შესწავლის პარალელურად, რამდენადაც ამის შესაძლებლობაა, საინტერესო შედეგების მომცემია იმერული დიალექტის ისტორიული შესწავლა. ე. ი. იმერეთის კუთხეებში ძველთაგან სხვადასხვა დროს შედგენილი წერილობითი ძეგლების (სიგელ-გუჯრები, ოქმები, ყიდვა-გაყიდვისა და პირობის საბუთები, საჩივრის წიგნები...) ენობრივ თავისებურებათა აღნუსხვა-დახასიათება და თანამედროვე მასალებთან შედარება.

ამ გზით დიალექტის შესწავლა იძლევა რიგ მნიშვნელოვან შედეგს: დგინდება ის ფონეტიკურ-გრამატიკული და ლექსიკური თავისებურებანი, რაც ამა თუ იმ დიალექტს ახასიათებდა; ირკვევა დიალექტის განვითარების ძირითადი ტენდენციები, რომლის მიხედვითაც დიალექტმა შეინარჩუნა ძველი ფორმები და შეიძინა ახალი; ახსნა ეძებნება რიგ თანადროულ ენობრივ ფაქტს, რომელიც გავრცელების მიხედვით შეზღუდულია ან ზოგჯერ ინდივიდუალურ მოვლენად არის მიჩნეული. მაშასადამე, რამდენადაც უკეთ გვეცოდინება დიალექტის დამახასიათებელი თანამედროვე და წინანდელი თავისებურებანი, მით უფრო სარწმუნო იქნება ცალკეული სოფლების მიხედვით არსებული ენობრივი მოვლენების ახსნა.

დიალექტის ისტორიის შესწავლისას ბევრ სირთულესაც ვაწყდებით: წინასწარ დიდ შემოწმებას მოითხოვს წერილობითი ძეგლების სადაურობა. იგულისხმება, რომ, მაგალითად, იმერეთის შესახებ არსებული ყოველი საბუთი როდი შეიძლება წარმოშობით იმერული იყოს. ამიტომ ჯერ უნდა დადგინდეს სათანადო ტექსტის „იმერულობა“ და მერმე იქნება ის დიალექტის ისტორიისათვის სარწმუნო წყარო. მაგალითად, საბუთი Hd—5491, დაწერილი სოლომონ მეფის მდივნის, მღვდელ დავით წერეთლის მიერ, ფორმითაც და შინაარსითაც იმერულია. მეორე მხრივ, აბაშიძის მდივანი ბეგთაბეგიშვილი ესავე იყო თუ არა ადგილობრივი კაცი და ასახავდა თუ არა მისი ნაწერი საბუთი იმე-

რულ ფორმებს, ეს უკვე ძნელი სათქმელია. სხვა შემთხვევაში მდგომარეობა უფრო ნათელია: საბუთის 'შემდგენელი მითითებულია და მისი ვინაობა ცნობილია. ასეთებია ლეჩხუმელი მდივან-მწიგნობარი გელოვანი, იმერლები ლორთქიფანიძე, წერეთლები, ჩიჭავაძე და სხვები.

საბუთები ჟანრობრივად მრავალფეროვანია. მოიპოვება იმერეთის კულტურულ-პოლიტიკური თუ სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების სხვადასხვა მხარის ამსახველი საბუთები, რომლებიც შეუდგენიათ სხვა კუთხეებიდან მოსულ მდივან-მწიგნობრებს. ასეთ საბუთებში გამოვლენილი დიალექტიზმების ლოკალიზაცია დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. მაგალითად, გამორკვეულია, რომ რამდენიმე საბუთი იმერეთში შეუდგენია ცნობილ პოეტს ბესიკს (ბესარიონ გაბაშვილს)<sup>1</sup>. დადგენილია, რომ მდივან-მწიგნობართა გაბაშვილების ოჯახი ქართლიდან იმერეთში გააძევეს და იქ მათი განსწავლულობა გამოიყენეს მრავალი საბუთის შესადგენად თუ გადასაწერად<sup>2</sup>. დასავლეთ საქართველოში მწიგნობარი თავაქარაშვილებიც ჩანან<sup>3</sup>. მათ ქართლ-კახეთის არაერთ საბუთზე უწერიათ ხელი. რიგი იმერული საბუთი დაწერილია აგრეთვე ცნობილი მწერლის ფეშანგის მიერ<sup>4</sup>. ასეთ ვითარებაში დიალექტიზმის კვალიფიკაციის საკითხი კიდევ უფრო რთულდება და უდავო ხდება, რომ იმერეთის სამეფოს შესახებ ყოველგვარი საბუთი იმერულის ენობრივ თავისებურებათა ისტორიისათვის ვერ გამოიყენება ისევე, როგორც კახური დიალექტის თავისებურებად ვერ მიიჩნევა ის ფორმები, რომლებიც იმერულ გარსევან მიწობლიძის მიერ დაწერილ რამდენიმე კახურ საბუთში შეინიშნება<sup>5</sup>.

ამა თუ იმ კუთხის პეტყველებისათვის შესაფერისი დიალექტური ნორმა ვლინდება უპირატესად მაშინ, როცა გარკვეული ჟანრის ისტორიულ დოკუმენტს წერს ადგილობრივი პირი, რომელსაც, შესაძლო განათლების მიუხედავად, ემჩნევა კუთხური ენობრივი ნორმების გავლენა, თუმცა საბუთის დამწერის ცნობიერებაში ის ერთადერთი და სწორი ფორმაა. რასაკვირველია, არ უნდა გვიკვირდეს ისიც, რომ იმერიზმად მიჩნეული ზოგიერთი ენობრივი თავისებურება შეიძლება აღმოჩნდეს ქართლურში და ზოგ სხვა დიალექტშიც. ეს ბუნებრივია ქართული დიალექტების გრამატიკული სტრუქტურის საერთო ძირითადი ფონდისა და დიალექტთა გავრცელების ფარგლების ისტორიული ცვალებადობის პირობებში. ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფოს რღვევისა და დამანგრეველი გარეპირობების შედეგად XV საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველო იყოფა ცალკე სამეფო-სამთავროებად<sup>6</sup>. ამ პერიოდში წარმოიქმნა იმერეთის სამეფოც, მაგრამ მისი საზღვრები უცვლელი არ ყოფილა. ზემო ქართლი, გურია, ოდიშ-თაკვერი ძალიან ახლოს იყო ტერიტო-

<sup>1</sup> ქ. ს ა ნ ი კ ი ძ ე, ახალი მასალები ბესიკის შესახებ, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, ქუთაისი, 1948, გვ. 117.

<sup>2</sup> ნ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, მწიგნობარ გაბაშვილთა ოჯახი, იქვე, ტ. XIV, 1955, გვ. 89.

<sup>3</sup> ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, ქართულ მდივან-მწიგნობრობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, ხელნაწერთა ინსტიტუტის შრომები, ტ. II, თბილისი, 1960, გვ. 75.

<sup>4</sup> კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, იმერეთის სიგელების შედგენილობის საკითხისათვის, საქ. სსრ სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. V, თბილისი, 1940, გვ. 183.

<sup>5</sup> ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, დიალექტიზმები XV—XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში, იქვე, ტ. IV, თბ., 1953, გვ. 243.

<sup>6</sup> ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ი. ჭ ა ე ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჭ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, თბ., 1946, გვ. 294.

რიულადაც და კულტურულ-ეკონომიურადაც იმერეთთან. ზემო იმერეთის განაპირა სოფლების ტერიტორია ქართლის სამფლობელოშიც შედიოდა ხოლმე<sup>7</sup>. ხდებოდა დიალექტთა შერევა და გასაგებია, თუ ქართლის მოსაზღვრე სოფლების მეტყველების სახით ჩვენ გვაქვს გაიმერულებული ქართლური<sup>8</sup> ან პირიქით.

ასევე ითქმის ქვემოთაქულის, ზემოგურელისა და ლეჩხუმურის გრამატიკულ-ლექსიკური ფორმების შესახებ, რომლებიც ხშირად საზიაროა და თანაბრად გავრცელებული აღნიშნულ კუთხეებსა და იმერეთშიც. ეს ფორმები ან წარმოშობით არის საერთო, ან ერთმა დიალექტმა შეითვისა მეორისაგან. მართალია, XV—XVII სს. დასავლეთ საქართველო და მისი სამეფო-სამთავროები დამოუკიდებელი გზით ვითარდებოდა, მაგრამ მას ჰქონდა მთელ საქართველოსთან მცლავრი და ხანგრძლივი საერთო ისტორიული კავშირი, რომელიც არც ერთ საუკუნეში არ გაწყვეტილა<sup>9</sup>. ამით აიხსნება, რომ აგებულების ძირითადი სქემების მიხედვით სხვადასხვა კუთხის სიგელები, მათ შორის იმერელისა<sup>10</sup>, მთლიანად მისდევს საქართველოს ერთიანობის ხანის სიგელთა პრაქტიკას. ოღონდ გარკვეულ შემთხვევაში ვლინდება ჩვენთვის საინტერესო თავისებური ენობრივი ფორმა, ნაკარნახევი ეპოქის ან სათანადო კუთხის სინამდვილით. ამით აიხსნება, რომ ისტორიულ საბუთებში, მაღალი წიგნური კულტურისა და საერთოლიტერატურული ნორმების მტკიცე დაცვის მიუხედავად, საგრძნობია ცოცხალი ხალხური მეტყველების ადგილობრივი ფორმების გავლენა ფონეტიკასა და გრამატიკაში.

**ფონეტიკა.** იმერული წარმოშობის საბუთებში ფიქსირებულია ბგერათმონაცვლეობისა და ბგერათცვლილების საყურადღებო ფაქტები, რომელთაგან ბევრი დღესაც შემორჩენილია და აღწერილიც არის მკვლევართა ნაშრომებში<sup>11</sup>. ბგერითი შედგენილობის ისტორიიდან სხვა დიალექტებთან შედარებით ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ადრევე ჩანს დაკარგული ფარინგალური ელხშული ქ და მის ადგილზე იხმარება ხ. ეს მოვლენა საერთოდ შეიმჩნევა დასავლურ დიალექტებში. ამდენად ქ-ს ხმარების თითო-ოროლა შემთხვევა წიგნური ინერციით აიხსნება: საფერკეს: Hd—8727, 1563 წ.; სამოკელიოდ გაიქადოს: Hd—887, 1751 წ.

აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ძალიან იშვიათად გვხვდება ჯ ნიშნის ხმარება. არც თანამედროვე იმერულ მეტყველებაში დასტურდება იგა. მის ნაცვლად იმერულში სრული ი გვხვდება<sup>12</sup> სათანადო პოზიციებში (დიფთონგში). მეორე მხრივ, ძალიან ხშირად იხმარება წყვილბაგისმიერი უმარცვლო უ, რაც დღემდე ფართოდ არის გავრცელებული ქართულ ხალხურ მე-

<sup>7</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 89.

<sup>8</sup> გ. ა ხ ე ლ ე ი ა ნ ი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, გვ. 359.

<sup>9</sup> ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XV—XVII სს., ენიშის მოამბე, ტ. V—VI, თბ., 1940, გვ. 267.

<sup>10</sup> კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, დასახ. შრ., გვ. 192.

<sup>11</sup> სათანადო შემთხვევაში სპეციალურ გამოკვლევებზე მითითებულია, როცა ისტორიულ საბუთში ფიქსირებული როქელიმე ენობრივი მოვლენა დღესაც გავრცელებულია იმერულ ცოცხალ მეტყველებაში. სხვა დიალექტებთან შედარება აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია.

<sup>12</sup> Ш. Д з и д з и г у р и, К характеристике шнженмерского говора грузинского языка, Памяти Н. Я. Марра, Л., 1938, გვ. 119.

ტყველებაში<sup>13</sup>. უ დაკულია ძველი სახით XVI—XVII სს. იმერულ საბუთებში. ის ამავე დროს ანალოგიით გავრცელებულია ისეთ სიტყვებშიც, სადაც ოდითგანვე ვ თანხმოვანი იყო ფუძეში:

და გ ჭ რ ჩ ე ნ ი ა: Hd—4030, 1762 წ.; გა გ ე ი შ ტ ა ნ: Hd—13823; შღრ. ლ ჭ თ ი ჭ ა მ ა ლ ლ ე ბ ე ლ მ ა: Sd—509, 1680 წ.; გ ე ი ჩ ი ჭ ლ ე თ: Hd—6018, 1670 წ.; ს ა ფ ლ ა ჭ ზ ე: Ad—598, 1660 წ.; ყ ჭ ე ლ ა: Qd—6945, 1720—52 წწ.; ე რ ი ს თ ა ჭ მ ა ნ: Hd—6018, 1670 წ.; ს ა ფ ა ლ ა ე ა ნ დ ი შ ჭ ი ლ ო ს: Hd—9466, 1660 წ.; თ ა ჭ ლ ე ბ ო ბ ი თ ა: Hd—6018, 1760 წ.

ცოცხალი ხალხური მეტყველების თავისებური სტილის შედგენა დოკუმენტებში ბგერათდაკარგვის შემთხვევები: არაა წარმოდგენილი სიტყვებში ლ, რ, ვ, ნ, შ:

ხ ე მ წ ი ფ ე: Hd—14040, 1740 წ.; ს ა ხ თ უ ხ უ ც ე ს ი: Hd—1910, 1736 წ.; მ კ ლ ა რ ს მ ო ხ ს ე ნ ე ბ ლ ე თ: Hd—1531, 1754 წ.; კ ა თ ა თ ვ ე ს: Sd—1180, 1769 წ.; ს ა ხ ე ლ ღ ო ბ: Hd—4046, 1770 წ.; ე შ ე ი ლ ე ბ ი ე: Hd—2215, 1747 წ.; გა წ ყ ე ნ ი ე თ: Hd—4046, 1770 წ.

დამახასიათებელია უკანაენისმიერი გ-ს დაკარგვა აქცესიური კომპლექსის შემცველ სიტყვებში („მაგრამ“, „რავგვარ“) და ორ წინაენისმიერთაგან ერთის შემორჩენა:

ვერ დაიუარა გაყიდვა, მ ა რ ა მ ე ფ ის გა უ რ ი გ ე ბ ე ლ ი (გაყიდეო): Sd—1148, 1760 წ.; რ ა ვ ა რ ც ს ხ ე ა ს... მ ო ხ მ ა რ ბ ო დ ე ს: Sd—1202, 1747 წ.; ქ ი ს ტ ა (—ქისტა) შ ო რ ის: Ad—2222, 1773 წ.

დღევანდელ იმერულ მეტყველებაში შენიშნული ფაქტები<sup>14</sup> ბგერათგანვითარებისა (კერძოდ, შ და ნ სონორის ჩართვა) ადრევე ყოფილა დამახასიათებელი დიალექტისათვის:

მ თ ა ვ ნ ი და სარგებელი: Qd—6944, 1750 წ.; უ მ ფ რ ო ს ო ბ ა: Hd—8727, 1563 წ.; მ ტ ყ ე ე: Sd—1148, 1760 წ.; სასწაულთა მ ო მ ქ მ ე ნ დ ს ა: Ad—436, 1750—68 წწ.

ძველი ფორმით არის შემონახული კომპოზიტში პირველი წევრის ფუძე: სა დ ლ ე ნ გ რ ძ ე ლ ო დ: Hd—11273, 1629 წ.; Hd—1531, 1754 წ. რაც შეეხება ალაგ (resp. ალიგი) სიტყვას, მასში წინამავალი სიტყვისეული ფორმანტი ჩანს შეზრდილი (შღრ. მისი ადგილი, მისის ადგილის...): გიბოძეთ... სეხნია... მისი ს ა ლ ა გ-მამულით: Hd—2161, 1720—38 წწ. (ასევეა იმერულში დღესაც: ე რ ს ა ლ ი გ ა ს ← ერთს ადგილას).

ბგერათშერწყმის მოვლენები თანაბრად ჩანს გავრცელებული ადრინდელ და თანამედროვე მეტყველებაში: თ+ს→ც, თ+შ→ჩ, ვ+ა→ო, ვ+ე→ო:

გ უ ე რ ც ა ი ა ხ ლ ა: Sd—1242, 1443—66 წწ.; შ ე ე ც ო: იქვე; მ ის მ ა გ ი ო რ ა თ (—\*მაგიერათ): Hd—8727, 1563 წ.; გ ი ბ ე დ ნ ი ო რ ო ს (—\*გიბედნიეროს): Hd—7883, 1691 წ.; ხ უ ჩ ა ფ ა თ ს: Ad—436, 1756—68 წწ.

<sup>13</sup> ი. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის XII—XVIII სს., თბ., I, 1964, 12; პ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, იმერული დიალექტის ხანურ-ზეგნური მეტყველება, იყ. ტ. VIII, 1956, გვ. 111; ო. კ ა ხ ა ძ ე, ოკრიბულის თავისებურებანი, იყ. ტ. VI, 1954, გვ. 113.

<sup>14</sup> თანამედროვე მეტყველებაში სათანადო ერთარების ანალიზი წარმოდგენილია: ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული კილოკავი (ენობრაიე მიმოხილვა და ტექსტები), თბილისი, 1973; პ. ჯ ა ნ ი ძ ე, ვახანურას მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი, ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები, VIII, 1948, გვ. 65; პ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, დასახ. შრ., III. Д з и д з а н у р и, დასახ. შრ.

შესწავლილ ტექსტებში ფიქსირებულია მეტათეზისისა და სუბსტიტუციის გავრცელებული შემთხვევები. პირველის ნიმუშია ყ მ ა რ წ ე ი ლ ი<sup>15</sup> (—ყრმაწული): Hd—8727, 1563—64 წწ. ასევეა გვარის სახელი კ ი ლ ვ ა რ ი ძ ე (—მკერვალიძე): Hd—15096, 1731 წ., ხოლო მეორისა: ს ი მ ა უ რ ი (—სიმამრი); Hd—10822, 1698—1701 წწ.; ნ ე ე ს ა ძ ი ს (—ნემსაძის): Hd—7258, 1752 წ.; მ ჭ ე ს (—ბჭეს): Hd—14153, 1739—52 წწ. ასეთივე მონაცვლეობის ნიმუშია ტოპონიმი ხ ე ფ ი ნ ი ს ხ ე ვ ი (—ქეფინისქევი: სიგელი ჟეფინის-ქეველთა და წაქუელთა), რომელიც ადრინდელი ფორმის პარალელურად ნახ-მარია ამ სახით: ქ ე ფ ი ნ ი ს ხ ე ვ ი ს საქმე: Hd—10822, 1698—1701 წწ. ქიქ ცნობილი ფაქტია მთის დიალექტებში და ისტორიულ საბუთებში.

ტოპონიმებში ხმოვანთმონაცვლეობისა და ბგერათშერწყმის სხვა ნიმუ-შებიც შეინიშნება: ო || უ, ვ ი → უ: კ უ რ ვ ი ლ ა ს (შდრ. სოფ. კორვილა, ქი-თურის რ.): Hd—2161, 1720—38 წწ.; წ ყ ა ლ ტ ო ბ ო ს: Hd—2270, 1570 წ.; კ ყ უ შ ს (შდრ. ჭყვიში, ვანის რ.); Aa—2222, 1773 წ.

ხმოვნის ცვლა გვარის აღმნიშვნელად ქცეულ სადაურობის სახელში ზმნის თემის ნიშნის მონაცვლეობის ანალოგიურია (შდრ. მსახურებს—მსახურობს...): ა მ ა ლ ლ ე ბ ე ლ ი: Qd—6942, 1766 წ. (შდრ. სოფ. ამალლება, დღეს გვარია ა მ ა ლ ლ ო ბ ე ლ ი).

სუბსტიტუციისა და დისიმილაციის შედეგია, რომ არაბული წარმოშობის მ უ ქ ა ფ („სამაგიერო“) იმერულში გავრცელებულია დღეს ზმნის ფორმაში უ ნ უ ქ ფ ე ბ ს („სამაგიეროს გადაუხდის“), ხოლო საბუთებშია ნ უ ქ მ ა დ („სამაგიეროდ“): Hd—8727, 1563 წ.; ნ უ ქ ბ ა დ: Hd—5491, 1766 წ.

იმერულში ხმოვნიანობას კარგავს უ, როცა მას მოსდევს ხმოვანი. ამის შედეგია: შ ე ა მ დ გ ო მ ლ ო ბ ი თ ა: Hd—7883, 1691 წ.; თ ვ ა რ ა მ (—თუ+ +არა+მე „თორემ“): Hd—14042, 1702 წ.; Hd—15034, 1690 წ.

თანხმოვანთა ცვლილების სხვა მაგალითებიდან აღსანიშნავია მეღერ ხშულთა და მკვეთრთა დაყრუებისა და მეღერთა გამკვეთრების შემთხვევები სხვადასხვა პოზიციაში: დ ვ ი ნ ო ფ ა ძ ე: Qd—6942, 1766 წ.; ე ფ ი ს კ ო ბ ო ზ ი: Hd—8727, 1563 წ.; ი ა კ ო პ ი ძ ე: Hd—1276, 1761 წ.

იმერული წარმოშობის ისტორიული საბუთებიდან ირკვევა, რომ ბგერათ-ასიმილაციის ის შემთხვევები, რომლებიც აღწერთი ანალიზით არის დადგე-ნილი თანამედროვე მეტყველებაში, ძველი წარმოშობისაა, ის ადრიდან-ვე მოქმედი ფონეტიკური კანონზომიერების შედეგია. როგორც წესი, ყვე-ლაზე მეტად ჩანს გავრცელებული რეგრესული კონტაქტური ასიმილაცია. თან-ხმოვნებში დამსგავსება იძლევა როგორც გამეღერების, ისე დაყრუების შე-დეგს:

გ — ქ.: ქ ქ ო ნ დ ე ს: Sd—1186, 1769 წ.; ს დ — ზ დ.: თ ა ვ ზ დ ე ბ ო ბ ი თ ა: Hd—9388, 1673 წ.; ო ზ დ ა თ ე ქ ე ს მ ე ტ ს ა<sup>16</sup>: Hd—1918, 1736 წ.; ს ა მ ო ზ დ ა რ ე ა: Sd—509, 1680 წ.

რეგრესულ ასიმილატორულ ძალას იჩენს ვ თანხმოვანიც, რომელიც იმ-სგავსებს წინამაველ ე ხმოვანს: (კიდევ—) კ ი დ ო ვ<sup>17</sup>: Hd—932, XVIII ს. (მოგვირთმევი—) მ ო გ ვ ი ო მ ო ვ ი ა: Hd—6467, 1766 წ.

<sup>15</sup> ე. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, არილი, 1925, გვ. 136.

<sup>16</sup> აქ შესაძლოა უშუალოდ ცდ—ზდ, მაგრამ უფრო საეარაულოა დეზაფრიკატიზაცია და ასი-მილაცია: ცდ—სდ—ზდ.

<sup>17</sup> ხშირად ბოლოკიდური ვ იკარგება ასიმილაციის შემდეგ და ასიმილიციამდეც: კილო: Hd—1276, 1701 წ.; კილე: Hd—4030, 1762 წ.

ჩვეულებრივია აგრეთვე ზოგიერთი ბგერათკომპლექსის ცვლილების შემთხვევები. თანამედროვე ფუძეში დამკვიდრებული შქ, სქ, შკ, ხთ კომპლექსების ნაცვლად დადასტურებულია შკ, სკ, ხტ:

ლაშქრითურთ: Ad—2222, 1773 წ.; წისკელითა: <sup>18</sup> Hd—2611, 1661 წ.; საწისკელითა: Hd—7674, 1682 წ.; ოფისკელითს (შდრ. სოფ. ოფშკეთი) Ad—2222, 1773 წ.; ლიხთიმერეთისა და ლიხტამერისა: Hd—2270, 1570 წ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ფართოდ არის გავრცელებული აგრეთვე ხმოვანთა ასიმილაცია, განსაკუთრებით ზმნისწინებში. ასიმილაცორია ი ხმოვანი: ა+ი→ეი:

ევილე: Qd—6942, 1766 წ.; ეილე: Qd—6944, 1750 წ.; იეიჭირა: Hd—2171, 1720 წ.; წეილეო: Qd—6945, 1720—52 წწ.; გეისარქე: Hd—5491, 1766 წ.; გეიკითხეის: Hd—5491, 1766 წ.; დეიწერა: Sd—515, 1691 წ.

ასიმილაციას იწვევს ე ხმოვანიც. აქ საყურადღებო ის არის, რომ დამსგავსებული ორი იდენტური ხმოვნიდან ერთი იკარგვის (დაედვათ→დეედვათ→დეედვათ) და იქმნება ერთგვარი გრძელი ხმოვნის შთაბეჭდილება, რასაც თანამედროვე მეტყველებაზე დაკვირვებაც ადასტურებს<sup>19</sup>.

გარდასახადი დედეათ: Sd—1167, 1720—38 წწ.; ბინა... გექურდოს (—გექურდოს): Qd—6945, 1720—52 წწ.; ვინე იმას გეპქოს: Hd—8727, 1563—64 წწ. გესამძღვროს და სამნები ჩაესხას: Sd—517, 1722 წ.; შდრ. ბატონსაც წიგნი ვახელი: Hd—15014, 1619—26 წწ.

ასიმილაციის შემდეგ ასეთივე აქუსტიკური შთაბეჭდილებაა სიტყვაში და გრაფიკულად ერთი ხმოვნით გადმოიკემა: მეორე—მოორე—მოორე: მოორეთ მოსელას: Hd—8727, 1563—64 წწ. რაც შეეხება ა+უ კომპლექსში ასიმილაციას, ნაწილობრივი დამსგავსების შემდეგ აქ ორივე ხმოვანი შენახულია: ა'ხნოური: Hd—1910, 1736 წ.; გოუშალოს: Hd—11273, 1619 წ.

ა ხმოვნის გავლენით უმარცვლოვნდება ან იცვლება წინამავალი ხმოვანი და ხმოვანთშორის იკარგვის ვ: ოვა→ოა—||უა—||ვა: ჩიქვანი: Hd—3025; გელუანის: Qd—941; მეციხუანთან: Hd—4030, 1762.

საანალიზო მასალებში შეინიშნება თანხმოვანთა დისტანციური და კონტაქტური დისიმილაციის შემთხვევები: განმსგავსებულია ორი რ, ნ, ლ და წარმოთქმის ადგილის მიხედვით მსგავსი წინაენი'შიერები: (დარბაზისერნი: Sd—1242, 1443—61 წწ.—) დარბაზისელი: Hd—10822, 1698—1701 წწ. (აქედანაა დარბაისელი); აბდუშერიშვილს: Sd—1191, 1766 წ.; უძლევერმა: Hd—7667, 1715 წ.; Hd—5152, 1680 წ.; ლიკორწმინდელი: Hd—2171, 1720—38 წწ.; სამთლის: Ad—598, 1660 წ.

ხმოვანთა დისიმილაციის შედეგია ლაპარაკი—ლაპარიკი, რაც ამჟამად ძალიან ხშირია დიალექტურ მეტყველებაში: დაგველაპარიკეთ: Hd—2531, 1700 წ.; ასევე Hd—6788, XVIII ს.

ასეთია იმერული დიალექტის ძირითადი ფონეტიკური მოვლენები ისტორიული საბუთების მიხედვით. ცხადია, ეს მთლიანად ვერ ასახავს დიალექტი-

<sup>18</sup> ეს სიტყვა ასეა დღეს სოფლების ტაბაკინის, კინოთის, ცხრაწყაროს, კლდეეთის მეტყველებაში.

<sup>19</sup> С. Л. Быховская, Некоторые фонетические особенности имерского говора грузинского языка, ЯС, Л., VI, 1930, გვ. 112; პ. გაჩეჩილაძე, დასახ. შრ., გვ. 112.

სათვის დამახასიათებელი ფონეტიკური სისტემის თავისებურებას, მაგრამ უდავოდ ავსებს და აზუსტებს სტატიკური ანალიზით დადგენილ ფაქტებს, უფრო სარწმუნოს და გასაგებს ხდის მათ წარმოშობა-გავრცელებას.

**მორფოლოგია.** სახელთა ბრუნების მხრივ ისტორიული საბუთები გვიდასტურებს თითქმის ყველა იმ თავისებურებას, რაც თანამედროვე იმერულ მეტყველებაშიც შეინიშნება. მაგალითად, ბოლოხმოვნიან სახელებს, უპირატესად ღია კონსტრუქციაში, ხშირად მოედის სახელობითის ნიშნად -ი, რაც ამჟამადაც ფაქტია<sup>20</sup>.

ფირცხალავა ი ე ა ნ ა ყ ვ ი ნ ი ა ძ ა ლ ლ უ ა ი... სულთაძე კ ო ტ ო რ ა ი... გ ო გ მ ა ი. ქ ა ლ ა ლ ა ნ ი ა ნ ა ს ყ ი დ ა ი... ხ ე ქ ე ლ ა ი... მ ა ხ ა რ ა ი... რ ო ს ტ ი ა ი: Hd—2270, 1570 წ.

XVII—XVIII სს. და ნაწილობრივ ადრინდელი საბუთებითაც მტკიცდება, რომ დასავლურ ქართულ მეტყველებაში ადრევე გადავარდნილა ემფატიკური ხმოვნის გამოყენება, თუმცა ძველი ვითარება და ქართლურ-კახურთან მსგავსება ჯერ კიდევ საგრძნობია ზემოიმერულ კილოკავში<sup>21</sup>:

რა პირობით გაამხელს ამათ გამორთმევასა; თქვენს გამარჯვებასა: Hd—2736.

ფუძემდებნიან ბოლოუკვეცელ სახელთა მოქმედებითში ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტმა ერთნაირად გაიარა ის გარდამავალი საფეხური, როცა დიფთონგი გამარტივდა და ემფატიკური -ა შეიცვალა -ი ბოლოკიდურით<sup>22</sup>.

გვიბოძებია... მათის სასაფლაოთა... სასამოვრეთა, საწისქვილოთა: Sd—519, 1639 წ.; ასევე Hd—7676, 1682—95 წწ.; შდრ. მოგეციო... მისის სახნაე-სათესავით... სასაფლაოთი: Sd—1198, 1722 წ.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში კომიტატივის (თანაობის) მნიშვნელობით გავრცელებული იყო მოქმედებითის -ურთ თანდებულიანი ან, ჩვეულებრივ, უთანდებულო ფორმა. ახალ ქართულში ამ მნიშვნელობით უპირატესად -იან სუფიქსიანი სახელის ვითარებითი იხმარება, რაც დიალექტურ მასალაში ადრინდნევე შეინიშნება. იმერულში ამასთანავე დამკვიდრებულია ვითარებითის ნიშანმოკვეცილი ფორმები (კოლიანად→კოლიანა):

გობრძანებთ... ბუჯას წყლის ზედათო, ხ რ ე ი თ ი ა ნ ა დ, ლიხის მთამდი: Hd—9467, 1661 წ.; ეს მამულები შ ი ნ დ ა რ ი ა ნ ა დ გვიბოძებია: Sd—1138, 1648 წ.; მოგეციო... კაციელა კ ო ლ ი ა ნ ა, შ ე ი ლ ი ა ნ ა: Qd—6950, 1769 წ.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ იმერულ მეტყველებაში დღესდღეობით მრავლობითის ნარ-თანაიანი წარმოება ძალიან შეკვეცილია<sup>23</sup>. მაგრამ ჩანს, რომ წინათ ის საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. ისტორიული საბუთების მასალები, განსაკუთრებით გვარის სახელთა მრავლობითში, თითქმის იმეორებს იმ ვითარებას, რომელიც დღეს გვაქვს გურულში<sup>24</sup>:

<sup>20</sup> ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული კილოკავი, გვ. 20; შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 159.

<sup>21</sup> ლ. ლ ე ე ა ვ ა, ზემოიმერულის მასალები ერთი სოფლის მეტყველების მიხედვით, იყ. ტ. IX—X, თბ., 1958, გვ. 182.

<sup>22</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში, ფუძემდებნიან სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტთა ევოლუციისათვის, თსუშ, ტ. 23, 1942, გვ. 71—97.

<sup>23</sup> ვ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე, დასახ. შრ., გვ. 127.

<sup>24</sup> ა. ლ ლ ო ნ ტ ი, ორმაგმრავლობითობის შემთხვევები გურულში, ტსუშ, ტ. I, ტფილსი, 1936, გვ. 6.

ბ ი წ ა ძ ე ე ნ ი :<sup>25</sup> Hd—6161, 1744 წ.; ბ ა კ უ რ ა ძ ე ნ ს : Hd—6467, 1766 წ.; ქ ი კ ი ნ ა ძ ე ნ ი ს : Ad—648, 1739 წ.; ბ კ ე ნ მ ა : Qd—6945, 1720—52 წწ.

მაგალითებიდან ჩანს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მრავლობითის სუფიქსი ფუძეს შეზრდია და მასთან ერთად იბრუნვის. ასევე ხდება ზოგჯერ -ებ სუფიქსიან მრავლობითთანაც: გიბოძეთ... ჩემს... ერდგულთ ყ მ ე ბ თ : Hd—8397, 1762 წ. ამგვარი ფაქტები წიგნური გავლენით წარმოშობილი უფრო ჩანს თითქოს<sup>26</sup>, მაგრამ ზოგ დიალექტში (თუშურში) კვლავ ცოცხალია.

არქაულ მოვლენათა შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა ზოგიერთი თანდებულის ფორმა. საშუალ ქართულში საყოველთაოდ გავრცელებული იყო -დაღმე—||-დამ თანდებული, რომელიც ერთვოდა მოქმედებითის ფორმას<sup>27</sup>. XIX ს. იგი ჯერ კიდევ იხმარებოდა სპორადულად (ქართლ-კახეთიდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში). ამჟამად მისი ხმარების არც ძალიან შევიწროებულია, დასავლურ დიალექტებში თითქმის გადავარდნილია, მაგრამ ქართლის მოსაზღვრე ზემოიმერულ სოფლებში ცალკეულ იშვიათ შემთხვევაში<sup>28</sup> თუ დავადასტურებთ. ძველად კი აქაც საყოველთაოდ გავრცელებული ყოფილა; ძველ საბუთებშიც ხშირად გვხვდება აგრეთვე -ში და -ზე თანდებულების იმერულის თანამედროვე ფორმები:

იმერლისა და დადიანის ლაშქარი შემობრუნდა მ ც ხ ე თ ი დ ა ლ მ : Qd—826, 1619 26 წწ. (საჩივრის წიგნი); ზ ა ი დ ა ლ მ ისარი დაუშინეს: იქვე: რ ა ც ხ ე ლ ი დ ა ლ მ გამოგვიდეს: Hd—14632, 1626 წ.; სვინაქსარსა შ ი დ ა ნ სწერია: Qd—6942, 1766 წ.; სახლის კ ა ც ო ბ ა შ ი დ : Hd—14153, 1739—52 წწ.; ს ი ს ხ ლ შ ი დ : Hd—2165, XVIII ს.; ს ა ბ ა ტ ო ნ ო შ ი დ : Hd—11273, 1619 წ.; ს ე ი ნ ა ქ ს ა რ შ ი გ ა ნ სწერია: Hd—14042, 1702—20 წწ.; მ ა ს ზ ე დ ა ნ დაგადგინეთ: Hd—1265, 1711 წ.

-თვის და -მდის თანდებულთა პარალელურად გვხვდება -ინ დაბოლოებიანი და კონტამინაციური, აგრეთვე -ნ მოკვეცილი ფორმები: მ ი ს თ ვ ი ნ : Sd—1242, 1443—66 წწ.; თ ქ ვ ე ნ თ ვ ი ნ ს : Hd—1995, 1680 წ.; ი მ ა თ ვ ი ნ (—იმათთვინ): Qd—826, 1619—26 წწ. კონტამინაციური ფორმა თ ქ ვ ე ნ თ ვ ი ნ ს იმერულში დღეს არ შეინიშნება (ეს უფრო ხშირია მთიულურში). არსებით სახელთაგან ნაწარმოებ ზედსართავეებში (resp. ზმნისართში) -ებრ თანდებულის ნაცვლად ჩვეულებრივია -ებ: ძ მ უ რ ე ბ გ ა ვ ი ყ ო თ : Sd—1212, 1768 წ.

განსაზღვრებითი ნაცვალსახელის მოსალოდნელი თვითონ (თვითმან—თვითვან) ფორმის ნაცვლად გვხვდება თ ვ ი თ ა ნ (ვ-ს დაკარგვით): თ ვ ი თ ა ნ ა ც ი ქ ი ყ ვ ნ ე ნ : Qd—826, 1619—26 წწ. კუთვნილებითის მნიშვნელობით გავრცელებული მ ა თ ი -ს გვერდით იხმარება თ ა ვ ე თ ი (=თავიანთი). ეს სოფლები და ადგილნი თ ა ვ ე თ ი ს მ ა ი თ ა : Hd—1265, 1771 წ. საბუთებში და თანამედროვე ზეპირმეტყველებაში ჩვეულებრივია აგრეთვე კუთვნილებითი ნაცვალსახელის ხმარების დროს ნაცვალსახელური მნიშვნელობით თ ა ვ ი ს ი ტ ყ ვ ი ს გამოყენება, მაგრამ ზოგჯერ ის არაა ნახმარი: თუ თქვენ ჩვენი ერთგული იყოთ და ყოველს ბატონს ჩ ვ ე ნ ი გერჩიოს: Hd—15034, 1690—91 წწ.

კითხვით-მიმართებითი ნაცვალსახელების („რამდენი“, „როგორი“) შინაარსით არის გამოყენებული რთული სიტყვები: რ ა + ე რ თ ი , რ ა ც + ფ ე რ ი :

<sup>25</sup> ორი ე აიხსნება ალბათ ბ ი წ ა ძ ე ე ბ ი ს ანალოგიით.

<sup>26</sup> X—XII სს. ხელნაწერებში -ებ+ნ, -ებ+თ გარდამავალი პერიოდის დამახასიათებელია.

<sup>27</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა , ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში, ენიშნის მოამბე, ტ. 1, თბ., 1937, გვ. 55—65.

<sup>28</sup> ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე , ზემოიმერული კილოყავი, გვ. 288,

რ ა ე რ თ ი ც გინდა, ის მოგცემს: Hd—10822, 1698—1701 წწ. (სვიმონ მეფის წყალობა მამია გურიელს); რ ა ც ფ ე რ ი ჩენს სახელმწიფო სალაროში შემოვიდეს: Qd—1447, 1558 წ. უარყოფით ნაცვალსახელთა ფუნქცია აკისრია უარყოფით სიტყვებს: ა რ ა ბაგრატიონისაგან საური არ გეთხოვოს: Hd—1531, 1754 წ.; ე ე რ ა მ (sic) ჩენმან შემდგომმან გვარმან... ვერ გელაოს: Hd—10822, 1698—1701 წწ.

ნაცვალსახელთა ბრუნების დროს ყურადღებას იქცევს -ი ხმოვანი ნანათეს. სახელობითში და ა- ხმოვნისანი ფორმა მოთხრობითში: მ ა გ ი ს ი დეკანოზობა: Hd—2257, 1758 წ.; ა მ ი ს ი მოდავე: Qd—6942, 1766 წ.; მე ვიცი და ი მ ა ნ ა: Hd—909, 1751 წ. ეს ძველი ფაქტებიც ეხმიანება თანამედროვე დიალექტური მეტყველების ფორმებს.

სიტყვაწარმოება. მართალია, ძველი ქართული სიგელ-გუჯრები და ზოგი სხვა ისტორიული ხასიათის საბუთი ერთფეროვანი, ხანაც შაბლონურია, მაგრამ რამდენიმე თავისებური და საინტერესო ნიმუში სიტყვაწარმოებისა მაინც შეინიშნება. თავისებურია, მაგალითად, არსებითთაგან ნაწარმოები ზედსართავი სახელები, რომელთაგან, როგორც წესი, ზოგი გაარსებითებულია. სხვათა შორის, ფიქსირებულ სახელთა ფორმები თანამედროვეთაგან რამდენადმე განსხვავდება:

ს ა მ ო ქ ე ლ ი ო დ : Hd—587, 1751 წ.; ს ა ფ ი ქ რ ო საქმე: Hd—13823, 1745 წ.  
ს ა ფ ე რ ქ ე ს : Hd—9727, 1563—64 წწ.; ს ა ძ ა ლ ო დ და სააკაოლ: Hd—14633, 1615—19 წწ.; ს ა მ ქ რ ო (=დასამხრისი): Hd—7667, 1715—20 წწ.

ზედსართავი სახელი მ ტ კ ი ც ე დიალექტური ფორმით უკვე XVII ს. ფიქსირებული: ესე... მ ტ კ ი ც ი... წყალობის წიგნი: Hd—8511, 1661 წ. (შდრ. იმერული გამოთქმა ფ ი ც ი-მ ტ კ ი ც ი).

თავისებურია აგრეთვე თანამედროვე ფორმებთან შედარებით სადაურობის სახელი: ი ქ ი უ რ ი საქმეც: Hd—1995, 1680 წ. ასევე განსხვავებულია ფუძეები უარყოფით სახელთა წარმოებაში: საძებრითა და უ ძ ე ბ რ ო თ ა: Hd—6667, 1766 წ.; უ ს ი ა მ ო ბ ა არაფერი ექნათ: Hd—4046, 1770 წ.; გყავდეს ჩემგან უ ს ა დ ე ო თ : Qd—941, XVIII ს.

ყურადღება მიიქცია კომპოზიტებში რამდენიმე შედარებით ახალმა ფორმამ და მეორე წევრად გამოყენებულმა ზმნისართისეულმა ფუძეებმა: წ ი ნ ს ა ფ ე ნ ი, ნაკერი ოქრომკედით: Hd—2389, 1720—52 წწ.; შ ე ნ მ ა გ ი ე რ ი პასუხი [მე გავცე]: Hd—13823, 1745 წ.; ესე ჩ ე ე ნ მ ი ე რ ი წყალობისა... წიგნი: Ad—1098, 1745 წ.; წ ყ ა ლ ს ი ქ ი თ ი... დემეტრეს მიაწება: Sd—1212, 1443—66 წწ.

ნაზმნარი ზედსართავები ქართულში ისტორიულადაც და დიალექტოლოგიურადაც გამოირჩევიან სრული და მოკლე წარმოებით, ე. ი. აკლია ან „მეტია“ რომელიმე აფიქსი, ან ჩვეულებრივ გავრცელებული და ცნობილი აფიქსებისაგან განსხვავებული სახეობაა გამოყენებული. ასეა აქაც:

ესე და ს ა მ ტ კ ი ც ა რ ი... წიგნი Hd—6258, 1754—68 წწ.; ს ა ს ე ა მ ა დ... სწევროდათ: Hd—2222, 1773 წ.; სახნავ-სათესაით: Sd—1198, მოუდევარ-მოუსარჩლავად Hd—1286, 1736 წ.; მიწასა ზედა და მ ყ რ ლ ო მ ნ ი: Ad—2222, 1773; თ ა ვ ს დ ე ბ ა მ მომიტემა: Hd—14632, 1626 წ.; შდრ. თ ა ე დ ე ბ ლ ა დ მოგვიტემა: Hd—7667, 1715—20 წწ.

ნამყოს -ილ სუფიქსიანი მიმღობის ფუძეს ეყრდნობა აბსტრაქტულ სახელთა ერთი ჯგუფის წარმოება, რაც საკმაოდ გავრცელებულია ძველსა და ახალ ქართულში, მათ შორის ზმნურ ფუძეებშიც<sup>29</sup>; გვხვდება ზედსართავიდან -ობა სუფიქსით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი:

ელისაშვილი დაკოდეს, მოკვდა იმ დაკოდილობით: Qd—826, 1616—26 წწ. (იმერელთა საჩიურის წიგნი); ტკბილობით და ძმობით... მოერიგდებით: Hd—14153, 1739—52 წწ.

ისტორიულ დოკუმენტებში, მათ შორის იმერეთის სამეფოში შექმნილშიც, მრავლად გვხვდება საკუთარი სახელები, გვარები, მიკროტოპონიმია. ეს ბუნებრივია: საბუთების შინაარსი და დანიშნულება ამას საჭიროებს. ეს სახელები ყურადღებას იქცევენ ფორმალურ-სემანტიკური თვალსაზრისითაც. ჯერ ერთი, გავრცელებული ჩანს ისეთი საკუთარი სახელები, რაც შემდეგში აღარ იხმარება:

ცოცხალ შეყრილადე: Sd—511, 1760 წ.; მხიარულ მუმლადე: Hd—953, XVIII ს.; ეალღებულ წერეთელი: Sd—1198, 1722 წ.; გამსახურდი (პაპიძე): Hd—4030, 1762 წ.; ჯათარიძე ლომკაცო: Hd—10277, 1733 წ.; გიორგი და ძლინკო: Sd—1190; ეაქუა ჩანგავადე; ეაქუა ტურაბელიძე: Ad—598, 1660 წ.; (ყიფიანი) ქუცური: Hd—2204, 1736 წ.; გელიასა და ბასილასა: Hd—817, 1711 წ.; ჯათარიძე ჯარუა: Sd—511, 1716 წ.

საინტერესოა აგრეთვე საბუთებში მოხსენებული ზოგიერთი გვარის სახელის ფორმა: ნახუცვრიშვილი: Hd—13828, 1753 წ.; ბერაიძე: Hd—6161, 1744 წ.; ლომოურიძე: Hd—2215, 1747 წ.; ოქრომჭელიძე: Hd—953, XVIII ს.

თითქმის ყველა საკუთარი სახელი იგუებს კნინობითის -ია, -იყ||-უყ||-აკ სუფიქსებს, გამოიყოფა უძველესი -იტ||-უტ, -იჩ||-უჩ და -ელ ბოლოსართები. უმეტეს მათგანს -ა სუფიქსიც ერთვის. შეინიშნება აგრეთვე კნინობითის ორმაგი წარმოება:

თორადე კოტია, მისი ძმა ბეროზიკი: Hd—6467, 1766 წ.; ხოსიკი მალლაყელიძე: Hd—953, XVIII ს.; პატრიკი ზაბახიძე; შოშიკი შამანაძე: Hd—2161, 1720 წ.; მოურავი ბეჯიკი: Sd—1202, 1747 წ.; მახარიკი ხარებასშვილი: Sd—511, 1760 წ.; ბაქურადე იონიკი, იაშვილი და თუნიკი, კიკაბიძე რამაზიკი: Hd—6467, 1766 წ.; ივანია რაქველი; დათიკა გუდაძე: Qd—7283, 1751 წ.; გოტამ და კაციანიკამ: Hd—6467, 1766 წ.; შოშიტა ერისთავი: Hd—6788, XVIII ს.; საქუტი ქეღაძე; ზახუტა დეკანოსიძე: Hd—2161, 1720 წ.; მქედლიძე გოჩიტა: Ad—598, 1660 წ.; ავალშვილი და თუჩა: Hd—7258; გოგიჩას და შალიკას: Hd—8727, 1563 წ.; გლოელს გლახუჩს: Hd—1276, 1761 წ.; დავითელამ: Hd—6944; კაციელამ: Qd—6950, 1769 წ.

გეოგრაფიული სახელი ვერტყვიქალა (ხარაგოულის რ.) მეთვრამეტე საუკუნის საბუთშია ვერტყვილის ქალა: ვერტყვილის ქალა, გრიგალელთა, კევისჯვრელთა: Hd—2218, 1744 წ.

ზმნა. ისტორიული საბუთების შესწავლა ისევე, როგორც მხატვრული ლიტერატურის ძველი ტექსტებისა, გვიჩვენებს რიგ საინტერესო, ნაკლებად ცნობილ და იშვიათ ფორმებს ზმნის უღვლილებისა და სიტყვაწარმოების კატეგორიათა გამონათქვამში.

ერთი ამათგანია ზმნის ფუძის წარმოება. ვარ ზმნა, რომელიც ძველ ქართულში და დღევანდელ თუშურში ვარ-ი ფუძითაც იხმარება, იმერული

<sup>29</sup> ი. ქაქუაძე, ერთი ტიპის ზმნათა ფუძისა და სახელზმნის წარმოების თაისებულება ქართულში, „მაცნე“, № 3, 1961, გვ. 191—193.

მასალების მიხედვით, როგორც ჩანს, საქიროებს „სამაგიერო“ ვოკალიზაციას და ემთავრიკური ა ხმოვნისანი ვ არ-ა ფორმით გვხვდება: მე, ჩიქავადის ქალს ელენეს, დამიწერია, მოწამეც ვ არა: Sd—1198.

ზმნის ფუძის საწარმოებელ სუფიქსთაგან საინტერესოა -ან, რომელიც გამოიყოფა სტატიკურ ზმნაში გ-ყვ-ან-ს და გაერცელებული ყოვილა გ-ყავ-ს ფორმის გვერდით: მოსამსახურე გლეხი გ ყ ვ ა ნ ს: Hd—4046, 1770 წ.; გ ყ ვ ა ნ დ ე ს და გიბედნიეროს: Hd—9850, 1702—20 წწ. ეს ფორმა შენიშნულია თანამედროვე იმერულ მეტყველებაშიც<sup>30</sup>.

ჩვეულებრივია ზმნის თემატურ ნიშანთა ისტორიული მონაცვლეობა აწმყოს წრეში, აგრეთვე ზოგი მათგანის გამოყენება იქ, სადაც აუცილებელი არაა და აიხსნება ანალოგიით<sup>31</sup> (მაგ. დალოცებს). შეიმჩნევა ზოგი ზმნის ფუძის უთემისნიშნოდ სმარების შემთხვევაც:

ა პ ი რ ბ დ ა: Sd—1212, 1443—66 წ.; და გ ვ ლ ო ც ე ბ დ ე თ: Hd—1531, 1754 წ.; მ ო ი ტ ა ნ ე ბ დ ე ნ: Ad—598, 1660 წ.; ა რ ც ი ს და გ ე ე ქ ი რ ო დ ე ს (=დაგვეჭირებოდეს): Sd—1170, 1697 წ.; თქუნს ყმას ტყუე არ გაესყოდოდეს: იქვე.

ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ნამყო უწყვეტლისა და მისგან ნაწარმოები ნაკვთების გამოხატვისას -ავ და -ამ სუფიქსიანი ზმნების ფუძეს აწარმოებს -ევ და -ემ<sup>32</sup>, როგორც ეს გარკვეულწილად ძველ ქართულშია და თანამედროვე იმერულ მეტყველებასთან ერთად რიგ დიალექტსახასიათებს<sup>33</sup>: და ს ც ვ ე ვ დ ე ნ: Qd—826, 1619—26 წწ.; ეამს გ ვ ი წ ი რ ე ვ დ ე: Hd—2389, 1752 წ.; ბკეს და ის ხ ე მ დ ე ნ: Hd—14153, 1739—52 წწ.

დიალექტებში უფრო თავისუფალი ჩანს ნასახელარ ფუქეთაგან ზმნათა წარმოება, ამის მაგალითია იმერულ საბუთებშიც:

და ა უ ა რ ა გაყიდვა: Sd—1148, 1760 წ.; ბართით განვიქვერძეთ: Hd—9469, 1769 წ.; უ ა შ ო რ ო ს (=აშორო უთხრას, აცილება მისცეს): Qd—6845, 1720—52 წ.; არე გ ი ხ ე რ ხ ო და არც გიტრელო: Sd—1212, 1768 წ.

მო- და შე- ზმნისწინები ძველთაგანვე იჩენს იმ ყოფაქცევას, რაც რთულ ფორმებში და პირველ ობიექტურ პირთან არის დღეს შენიშნული: შ ა მ ო მ ა ბ ე ზ ლ ო ს: Hd—14042, 1702—20 წწ.; მ ა მ ე კ ა რ ა: Hd—2736, 1712—44 წწ.; მ ა მ ე ც ი: Hd—4046, 1770 წ. რაც შეეხება შ ა ი ქ ნ ა (Hd—9389) და შ ა ი ტ ყ უ ე ს (Qd—826, 1619—26 წწ.) ფორმებს, ისინი საბუთებშიც იშვიათია და სინქრონიული შესწავლითაც თითქმის უცნობი. შე- და მო- იმერულში, ასომილაციის გარდა, ცალკე არ იცვლება.

შეიძლება დაბეჭითებით ითქვას, რომ იმერული ისტორიული საბუთების მიხედვით ძალიან აღრიდანვეა დაწყებული მეორე სუბიექტურ და მესამე ობიექტურ პირთა ნიშნების დაკარგვა-უხმარებლობა, ფაქტია: შენ და კ ო დ ე, მას ქ ო ნ ი ა და მისთ. ეს ტენდენცია აღრიდანვე დამახასიათებელია დასაყლეთ საქართველოს ბარის მეტყველებისათვის საერთოდ. იგივე შეიძლება ითქვას პრეფიქსული ვნებითის მეორე სერიის ნაკვეთებზე: მთის კილოებში და

<sup>30</sup> ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული კილოკავი, გვ. 60.

<sup>31</sup> ლოცებს, კლებს (ნაცვლად ამისა: ლოცაეს, კლაეს) დიალექტებში (მესხურ-ჭავჭავურში) ჩლებულია ანალოგიითა და უნიფიკაციით, ამდენად მისი ნეოლოგიზმად მიჩნევა პირობითი იქნბოლა. შდრ. ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული კილოკავი, გვ. 249.

<sup>32</sup> ამ წესს მისდევს ზამ ფუძეც: უზემდეს: Sd—1242, 1443—66 წწ.

<sup>33</sup> არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა ებერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948, § 20.

ნაწილობრივ ქართულ-კახურში დღემდე შემორჩა ძველი ქართულის ნორმა — -ენ სუფიქსიანი წარმოება. იმერულ საბუთებში კი ის არ ჩანს: ესენი... იყო: Hd—14633, 1615—19 წწ.; შემოგეხვეწეთ: Hd—11465, 1605—39 წწ.; ვესახლეთ Qd—826, 1619—26 წწ.

ნიშანდობლივია ამასთანავე, რომ ქართული დიალექტების დიდი უმეტესობა (ქართულ-კახურის გამოკლებით) არ იცნობს ნამყოში მრავლობითის მესამე პირის ნიშნად -ნენ სუფიქსს. ამიტომ, როცა გაირჩა დაბოლოების მიხედვით მესამე პირში გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები, გარდამავალთა -ენ სუფიქსის საპირისპიროდ მესამე პირის მრავლობითში გარდაუვლებთან -ენ დამკვიდრდა. ასეა ეს დღემდე იმერულში ნამყოს ყველა ნაკვთში: ბქეს დაისხემდენ: Hd—14153, 1739—52 წწ.; კაცები... წამოუვიდენ: Sd—1172, 1745 წ.; ბუჭუას შეილები შამოგვევედრენ: Hd—10277, 1752 წ.

როგორც ქართული ენის ისტორიის მასალები გვიჩვენებს, XVI ს. მიწურულიდან ზმნაში პირის აღნიშვნას ემატება მრავლობითის გამოხატვა ობიექტის მეორე პირში -თ სუფიქსით: გიბედნიეროსთ... არმოგეშლოსთ: Hd—2171, 1720—38 წწ. მაგრამ სუბიექტის სუფიქსის დაკარგვისა და სთ კომპლექსის გამარტივების შემთხვევებიც უკვე შეინიშნება: აღარასოდეს მოგეშალოსთ: Hd—2171, 1720—38 წწ.

ძალიან საყურადღებოა აგრეთვე ისაც, რომ ზოგჯერ ხდება ობიექტის პირველი პირის მრავლობითის ორმაგი გამოხატვა, რაც ზანური სუბსტრატი ჩანს დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთებში და სხვა ძეგლებში, თუმცა არ არის აგრეთვე გამოსარიცხი მრავლობითის ობიექტური პირის ანალოგია<sup>34</sup>: მოგვიცემიათ [ჩვენ თქვენთვის]: Sd—509, 1680 წ.; გვიბოძათ [ჩვენ მან]: Hd—15034, 1690 წ.

დრო-კილოთა წარმოებასა და მნიშვნელობასთან დაკავშირებით ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ზოგიერთ თავისებურებაზე. ნამყო წყვეტილში ფუძეს ხშირად დაერთვოდა -ევ სუფიქსი და ნართაული -ი. ამგვარი წარმოება დღესაც გავრცელებულია იმერულში და ბევრ სხვა დიალექტში:

გუნება დავანდეეთ ერთმანეთს: Hd—1840, XVIII ს.; ავიღეეთ ფასი სრული: Hd—1266. წილ-ვიგდეეთ: Hd—9469, 1769 წ.; წყალობა გიქენ... თან გარდაყოლილი იყავი... მომიხედე: Hd—8727, 1563—64 წწ.; შღრ. შევირთეთ: Hd—6565, 1752—75 წწ.

მეთვრამეტე საუკუნისათვის ქართულში უკვე კარგა ხნის საყოველთაო ნორმა იყო მყოფადის წარმოება აწმყოსაგან ზმნისწინის დართვით. მაგრამ ძველის გადმონაშთები კვლავ შეინიშნება, რაც წიგნური ტრადიციის გავლენას უნდა მიეწეროს: ვინც ამისი მოდავე მოგადგეს, პასუხი მე მივსცე: Qd—6942, 1766 წ.

დასასრულ, ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ პირველი თურმეობითის ნაკვთით გადმოცემულია ნამყო წყვეტილის შინაარსი იმგვარადვე, როგორც ეს დღემდეა გავრცელებული კახურში<sup>35</sup>. ასეთ თურმეობითს ზოგჯერ კატეგორიული მყოფადის მნიშვნელობაც აქვს:

<sup>34</sup> უფრო ერცლად ამ საკითხზე მსჯელობა გვაქვს სხვაგან.

<sup>35</sup> ი. ქავთარაძე, უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში, ივე. ტ. VIII, თბ., 1956, გვ. 185.

ჩვენს ეს წყალობა გვიქნია: მოგვიცემია<sup>38</sup> ბაქუა სოფრომადე: Hd—5491 1766 წ.; ის კაცი შენთვის მოგვიცემია: Hd—10471, 1733—45 წწ.; ვინც... ამ... აღა-ვის წიგნი... მოიტანოს, სიგლითა ამით გაგვიცულებია: Hd—2270.

ამგვარად, პირის კატეგორიის გამოხატვისა და დრო-კილოთა წარმოება-გამოყენების მიხედვითაც ისტორიული საბუთები კარგად გვიჩვენებს დღემ-დე შემორჩენილი ვითარების ისტორიას იმერულში და გვირკვევს მათი გავრ-ცელების ფარგლებს.

საბუთები საყურადღებო მასალებს შეიცავს მეტყველების სხვა ნაწილე-ბის ისტორიისათვისაც. მაგალითად, ზმნისართის თანამედროვე ფორმაა იმე-რულში მასოღმა („მას უკან, მას შემდეგ“), ანალოგიური მაგალითების მი-ხედვით ამგვარი წარმოება ძველი ჩანს; ძველია ან, ახალთან შედარებით, თავი-სებური აგრეთვე სხვა, ქვემოთ წარმოდგენილი ზმნისართული ფორმები:

იმას ჩამოღმა თუ რამ... იქნეს: Hd—9705, 1769—76 წწ.; ის რევე ჩვენ გვი-ბოძათ: Hd—15034, 1961 წ.; შდრ. ისევე... ლეთისშობელს მიუძღვანეთ: Ad—648, 1739 წ.; მერმეთ... გარიგება მოხდა: Hd—10822, 1698—1701 წწ.; მუღამად ერთ-მოსადგამენი ეიყვენით: Sd—1242, 1443—66 წწ.

დროის ზმნისართი აწ მეთვრამეტე საუკუნეში და უფრო ადრეც ნახმარი ჩანს დღევანდელი მნიშვნელობით („შემდგომში, მომავალში“): ახლა რომ შენ მოსამსახურე გლეხი გყვანს... ან აწ რასაც იშოვნის: Hd—4040, 1770 წ. ასევე ძველია უმაღ (—უმაღეს) და უწინ, რომლებიც ფართოდ იხმარება მე-ტყველებაში ამ მნიშვნელობით: „ადრე, წინათ“: რაც უწინ ქართველის ბა-ტონისა ვღებიათ: Hd—2218, 1747 წ.: უმაღ რომ წიგნი მამეცი: Hd—4046, 1770 წ.

დღევ ფორმა თანამედროვე დიალექტებიდან ხშირად იხმარება მესხურ-ში, შემორჩენილია მთის კილოებში, დაუცავს იმერულ ისტორიულ საბუთს: დღევ და ღამ მოსამსახურე... იყო: Hd—2257, 1758 წ.

ლიტერატურული ძეგლების მიხედვით, ქართულ ენაში მაპირისპირებელი კავშირი ან არ იყო გამოყოფილი მაიგივებელი ან უკავშირისაგან XIX ს. პირველ ნახევრამდე. საბუთების მონაცემებით კი დიალექტებში ეს დიფერენ-ციაცია XVI—XVII სს. ფაქტი ჩანს: ამას რომ სახლისკაცი მოუკვდეს, ან ბიძა, ან ძმა... საქრთამოდ საქმე გაუხადონ და ან წაართვან და ან რაც იშოვ-ნოს... Hd—8727, 1563—64 წწ.

რთული კავშირის შემადგენელ ნაწილად გამოდის დადასტურებითი ნაწი-ლაკი ქვე: ქვე რომ დავეიდე: Sd—1148, 1760 წ. ეს გამოთქმა ზეპირმეტყვე-ლებაში დღემდე იხმარება ნაწილობრივი ფონეტიკური ცვლილებით (ქვე რომ—ქერო).

სინტაქსური მოვლენები. ისტორიულ საბუთებში იმერული დიალექტის სინტაქსური თავისებურებიდან ყურადღებას იქცევს წინადადების მთავარ წევრთა იმგვარი ურთიერთობა, რაც ნიშანდობლივია თანამედროვე მეტყვე-

<sup>38</sup> თურქობითის აწმყოსეული ფუძით წარმოების ამგვარი შემთხვევა დადასტურებული აქვს პ. გაჩეჩილაძეს (დასახ. ნაშრომი, გვ. 138). რაც შეეხება -ნ სუფიქსიან ფორმებს მი-ყიდნია ტიპის ზმნებში (გვხვდება აბაშიძის მღვინის, ბეგთაბეგაშვილის მიერ შედგენილ სა-ბუთში), ის დასაელურ დიალექტურ ზონაშიც ისევეა მოსალოდნელი, როგორც აღმოსავლურში, თუმცა ამ უკანასკნელში უფრო ხშირად იხმარება. იმერულში მას უთითებს პ. გაჩეჩილაძე, ვახანურას მცხოვრებთა მეტყველების თავისებურებანი, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1948, გვ. 72.

ლებისათვის. წინადადებათა აღნაგობაში ბევრია საინტერესო, მაგრამ ის არაა მარტო იმერულის თავისებურება, არამედ საერთოდ არის დამახასიათებელი ამ ქანრის საბუთებისათვის: თხრობითი-სასაუბრო ტონი წინადადებათა აგებაში, რთული ჰიპოტაქსური პერიოდების შედარებით ნაკლები გამოყენება, ზოგი დამოკიდებული წინადადების (მაგ., განსაზღვრებითის) მთავრის წინ ხშირად ხმარება და ასე შემდეგ:

1. ავიღეთ ფასი ხუთასი ფრული; თუ მოგართვა მარიობას, თორემ თუ გარდასცილდეს, ჩასაც ხანს ეს თქვენი თეთრი ჩემს ხელთ იქნეს, ათი თერთმეტად სარგებლის მომცემი ვიყო: Sd—1226, 1770 წ.; თუ წელიწადზე თქვენი თეთრი სარგებლით მოგართვა, ხომ ის არის, თუ არა და ამ მიწებზე ხელი ამიღია... Sd—1180, 1769 წ.;

2. რომელიც მამაშენს ქაიხოსროს და ან შენ სახელო (გ)კონდეს და ან სამკვიდრო ვიც, ის მოგიშალოთ და იმისგან დაგაძეკროთ: Hd—14042, 1715—20 წწ.; რომელიც მურვან გითხრათ ხელმწიფის სამსახური, ამისი სიტყვის მორჩილნი იყავით: Ad—1316, 1724—35 წწ.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში თუ კავშირთან შემასმენელი იხმარება თხრობით კილოშიც: თუ წელიწადზე თქვენი თეთრი სარგებლით მოგართვი, ხომ ის არის: Sd—1180, 1769 წ.

ეს და მრავალი ამის მსგავსი თუ სხვა თავისებურება დამახასიათებელია სხვადასხვა კუთხის საბუთებისათვის. ამჟამად მათზე ვრცლად და საგანგებოდ შეჩერება უადგილო იქნებოდა. მთავარი ის არის, რომ ამ მოკლე მიმოხილვითაც დასტურდება ფონეტიკისა და გრამატიკის რიგი დიალექტური ფაქტის ისტორია და ნათელი ხდება ზოგიერთი შედარებით ნაკლებად გავრცელებულ მოკლენის წარმოშობა. შეიძლება ამგვარი თავისებურებანი მეტი ან ნაკლები გამოვლენილიყო, მაგრამ, როგორც დასაწყისშიც აღინიშნა, წინასწარ მკაცრად შემოვიფარგლეთ იმერული დიალექტისათვის შესაფერისი და სანდო საბუთებით, რომელთა შინაარსი და წარმოშობა ექვს არ იწვევდა. ამგვარი მეთოდით სხვა კუთხეთა მეტყველების ისტორიის შესწავლა კიდევ მრავალ საინტერესო საკითხს გაგვირკევებს<sup>37</sup>.

И. И. КВАТРАДЗЕ

## К ИСТОРИИ ИМЕРСКОГО ДИАЛЕКТА ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Резюме

Возникновение имерского царства относится ко второй половине XV в. С этого времени при царской канцелярии, а также в некоторых провинциях создавались разные исторические документы (грамоты, протоколы, договоры...) местными книжниками или самоучками, в речи которых выявлялись местные формы грузинского языка. Эти формы достоверны и интересны для изучения истории имерского диалекта.

<sup>37</sup> ნარკვევი მოხსენდა ახალი ქართული ენის კათედრის სხდომას 1959 წ. იბეჭდება შემოკლებით.

დასაყვლეთ საქართველოს სხვადასხვა ისტორიული საბუთის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოცემულია ს. კ ა ვ ა ბ ა ძ ი ს თ. ე ო რ დ ა ნ ი ა ს, შ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ი ს და სხვათა მიერ. ამ საბუთების ენის ანალიზი სხვა მასალებთან ერთად შედის ქართული ენის ისტორიისათვის განკუთვნილი გამოკვლევის II წიგნში. პირობითი აღნიშვნებისა და შემოკლებების განმარტება მოცემულია: ი. ქ ა ე თ ა რ ა ძ ე, ქართული ენის ისტორიისათვის XII—XVIII სს., გვ. IX—XV.



რუსულან ჯანაშია

რაოდენობითი რიცხვითი სახელი აფხაზურ-ადიღურ ენებში

აფხაზურ-ადიღურ ენებში ყველაზე მეტი სირთულით აფხაზური რიცხვითი სახელი გამოირჩევა. სირთულე მოდის გრამატიკული კლასების გარჩევიდან, რაც აჩენს ორი რიგის — ადამიანისა და ნივთის კლასის — რიცხვით სახელებს.

აფხაზური რიცხვითი სახელები.

პირველი ათეული:

ნივთის კლასი:

ადამიანის კლასი:

ა-კჷ ა-კა	ა-ძიჷ
კჷ-ბა	კჷ-ჩა
ხ-ფა	ხჷ-კჷ
ფჷ-ბა	ფჷ-კჷ
ხი-ბა	ხი-კჷ
ფ-ბა	ფ-კჷ
ბჷ-ბა	ბჷ-კჷ
აა-ბა	აა-კჷ
ეი-ბა (ბზ. ზ'ი-ბა)	ეი-კჷ (ბზ. ზ'ი-კჷ)
ეია-ბა	ეია-კჷ

აბაზური<sup>1</sup> ფორმები ოდნავ განსხვავდება ფონეტიკურად:

ნივთის კლასი:

ადამიანის კლასი:

ზა-კ(ღ)//ა-კჷ	ზა-ძიჷ//ა-ძიჷ//ზა-ჩიჷ
ჰი-ბა	ჰი-ჩა//ჰი-ჩ
ხ-ფა	ხჷ-ჰი(ღ)//ხჷ-ჰი
ფჷ-ბა	ფჷ-ჰი(ღ)
ხი-ბა	ხი-ჰი(ღ)
კ-ბა	კჷ-ჰი(ღ)
ბჷ-ბა	ბჷ-ჰი(ღ)
ჰა-ბა	ჰა-ჰი(ღ)
ზ'ი-ბა//ეი-ბა	ზ'ი-ჰი(ღ)//ეი-ჰი
ეია-ბა//ზია-ბა//ეია-ბა	ეია-ჰი//ზია-ჰი//ეია-ჰი

როგორც ვხედავთ, ნივთის კლასის რიცხვით სახელებს „ორი“-დან მოყოლებული ერთეის -ბა ელემენტი, რომელიც ზოგჯერ -ფა-საც გვაძლევს (ხ-ფა „სამი“). ეს -ბა სუფიქსი ამ შემთხვევაში გამოხატავს ნივთის კლასს<sup>2</sup>. ასეა ეს „ათი“-ს ჩათვლით.

<sup>1</sup> აბაზურში იგულისხმება სალიტერატურო აბაზური ენა, რომელიც ემყარება ტაპანტურს: აშხარული არსებითად მისდევს პირაქეთა დიალექტებს (ფონეტიკურად ბზიფურს: ზ'ი-ბა „სტრა“).

<sup>2</sup> ვ. უსლარს-ბა და -კჷ სუფიქსების ფუნქციურ ტოლფარდად მიაჩნდა ხენძური -გო ნაწილაკი (П. К. Услар, Этнография Кавказа, Языкознание, III, Аварский язык. Тифлис, 1889, გვ. 110). ე. დიუმეზილი მას უკავშირებს ზმნურ ა-ბ-ბა აფიქსს (G. Dumézil, *Études com-*

ადამიანის აღმნიშვნელ რიცხვით სახელებში -ბ ა-ს ფუნქციური ტოლფარდია -ვ ჯ, ტაპანთური -ჭ ი ჯ, ამოსავალი სახეობა. -ჭ ი ჯ-ს შესატყვისად მიაჩნიათ ყაბარდოული ყ უ ა და ადიღეური კ უ ა — „ძე, შვილი“ (ყ. დ ი უ მ ე-ზ ი ლ ი). -ვ ჯ, ადამიანის კლასის აღმნიშვნელი, მომდინარეობს ა უ ა ვ ჯ „ადამიანი“ სიტყვიდან<sup>3</sup>.

„ორ“ რიცხვით სახელში ადამიანის კლასს გამოხატავს -ჯ ა ელემენტ: ვ ჯ-ჯ ა „ორი ვინმე“. ტაპანთურში დღეს გვაქვს ჭ ი ჯ-ჯ. ამ -ჯ ა ელემენტს უკავშირებენ ჯ ა უ კ ჯ // ჯ ო უ კ ჯ // შ ო უ კ ჯ „ვილატეები“ სიტყვებს, აგრეთვე ჯ ა რ ა „სადმე“ ზმნისართს და ა-ძ ი ჯ „ერთი ვინმე“ სიტყვის -ძ ი ჯ ელემენტს, რომელიც ასევე გამოხატავს ადამიანს. ამდენად, ფიქრობენ, რომ ძ ი შეიძლება იყოს ჯ(ა)-ს სისინა ლაბიალიზებული სახეობა<sup>4</sup>. ამასთანავე ცნობილია ისიც, რომ ეს -ძ ი ჯ, როგორც ადამიანის აღმნიშვნელი, სხვას ვერაფერს უკავშირდება<sup>5</sup>. იქნება ეს -ძ ი ჯ თავიდანვე არც იყო ამ ფუნქციისა<sup>6</sup> იქნებ ამიტომ არის, რომ ზ ა ძ ი ჯ კ // ზ ა წ ი ჯ კ აღნიშნავს „ერთადერთს“ როგორც ადამ., ისე ნივთ. კლასის სახელებში<sup>6</sup>. შესაძლებელია ზ ა-ძ ი ჯ-ს -ძ ი ჯ თავიდანვე ისევე არ აღნიშნავდა „ვინმე“-ს გონიერთა სახელებში, როგორც ერთეულობის -კ ჯ „რაიმეს“ ნივთის კლასის სახელებში. ა კ ჯ გამოიყენებ: ნივთის კლასის სახელებისათვის, ა ძ ი ჯ — ადამიანის კლასის სახელებისთვის.

ცნობილია, რომ ზოგჯერ ტაპანთური სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებს შორის გამოირჩევა მეტი არქაულობით და ამ შემთხვევაშიაც აქ „ერთი“-ს უფრო ძველი სახეობაა შემონახული. ტაპანთურში დღესაც უცხალია ამოსავალი ფორმები.

ზ ა-კ ჯ (ნ. კლასი) და ზ ა-ძ ი ჯ (ად. კლასი), არის ზ ა-ჯ ი ჯ ფორმაც, რაც ფონეტიკურ ნიადაგზეა ახსნილი, მაგრამ ტაპანთურისთვის არც ა ძ ი ჯ-უტხო, მით უფრო აშხარულისათვის, რომელიც პირაქეთა დიალექტებს მისდევს.

აშხარულისთვის არც ტაპანთური ფორმებია უჩვეულო. აშხარულშივე ა-კ ჯ-სა და ა-ძ ი ჯ-საც ა-ც ჩამოშორდება ხოლმე: კ ა კ ა კ „თითო-თითო“, ძ ი ჯ რ ა ვ — „ვინმე“ და სხვა<sup>7</sup>.

paratives sur les Langues du Nord-Ouest. Paris. 1932. გვ. 123). მეორე მხრივ, ამავე -ბ ა სუფიქსს აკავშირებს უბიხურ რიცხვით სახელებში გამოყენებულ -დ ი ა სუფიქსთან (იქვე, გვ. 131, შენიშვნა 1). ი. ჯავახიშვილი ამ სუფიქსს უწოდებს „არაგონიერთა მაუწყებელ ბოლოსართს“ (ი. ჯავახიშვილი. ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი. 1937. გვ. 268).

<sup>3</sup> ეს დაკავშირება ჯერ კიდევ უსლარს აქვს მოცემული (И. К. Услар. Абхазский язык... გვ. 100).

<sup>4</sup> ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანთური დიალექტი ტექსტებითურთ, თბილისი, 1944, გვ. 102—103.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 101.

<sup>6</sup> ა. გენკოც აღნიშნავს, რომ ზ ა ჯ ი ჯ (ისევე როგორც ზ ა წ ი ჯ კ) ხშირად კარგავს თავის დამოკიდებულებას გონ. კლასის სახელებისადმი და შეიძლება არაგონ. კლასსაც შეუთანხმდესო; ჯმა ზ ა ჯ ი ჯ კ „ერთადერთი თხა“ (А. Генко, Абхазский язык. Москва, 1955, გვ. 178).

<sup>7</sup> ქ. ლომთათიძე, აშხარული დიალექტი და მისი ადგილი სხვა აფხაზურ-აბაზურ დიალექტებს შორის, თბილისი, 1955, გვ. 78.

„ერთი“-სთვის აღდგენილ \*zi ფორმას ჯერ კიდევ ნ. მარი იძლევა. (Н. Мари. Абхаз.-русск. сл., Ленинград, 1925, გვ. 37.) ასევე ი. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია გიულდენშტედტის მასალებს მიხედვით აღდგენენ ზ ა-ს (ი. ჯავახიშვილი, ქართ. და კავკ. ენების... გვ. 266-267; ს. ჯანაშია, შრომები, 111, თბილისი, 1959, გვ. 220). ე. დიუმეზილსაც აქვს აღნიშნული ზ ა-ს კვალი (Études comparatives, გვ. 124).

რომ „ერთი“-ს აღმნიშვნელი სწორედ ზ ა- არის, თვალნათლივ ჩანს „თერთმეტის“ სახელიდან: ე ი ე ა ზ ა — ე ი ა-ა-ზ ა „ათი და ერთი“. ასევე ზ ა დადასტურებულია მთელ რიგ სიტყვებში ზ ნ გ — \*ზ ა-ნ გ — \*ზ ა-ნ ა „ერთხელ“, ზ ა-წ ი გ-კ „ერთადერთი“, ა-ზ-ნ ა „საესე“, ი-ზ-ნ ა პ გ-კ „მისი ერთი ხელი“<sup>8</sup>...

იგივე ზ ა- ელემენტი გამოყოფილია ზ ე გ ო (\*ზ ა-გ ო) „ყველა“ სიტყვაში (ქ. ლომთათიძე) და დაკავშირებულია ქართულ „ზოგ“ სიტყვასთან (არნ. ჩიქობავა)<sup>9</sup>.

ზ ა-კ გ და ზ ა-ძ ი გ თავის მხრივ მომდინარეობენ \*ზ ა-კ ა და \*ზ ა-ძ ი ა ფორმებიდან, რაც დასტურდება ბზიფური და აშხარული ა კ ა, ა კ ა კ ა ლ ა ა ძ ი ა ძ ი ა ლ ა „სათითაოდ“ ფორმებით.

ეს -კ ა ერთეულის გაგებასთანაა დაკავშირებული და მიაჩნიათ საერთო კავკასიურ მონაცემად. კავშირში უნდა იყოს კ ა კ ა ლ, მ ა რ ტ ო კ ა სიტყვებთან<sup>10</sup>. აქედან მომდინარეობს შემდეგ მისი ფუნქცია, როგორც განუსაზღვრელობის გამომხატველი სუფიქსისა: ვ ნ გ-კ „ერთი რომელიღაც სახლი“, ფ ჰ ი გ ს-კ „ერთი ვიღაც ქალი“. ამ ფუნქციით იგი ერთვის როგორც ნივთის, ისე ადამიანის კლასის აღმნიშვნელ სახელებს „ათი“-ს ფარგლებში.

ცნობილია, რომ განუსაზღვრელობას უბიხურ-ადილურ ენებში გამოხატავს „ერთი“ რიცხვითი სახელი, როგორც ამას ადგილი აქვს ხოლმე სხვა ენებშიც. უბიხურსა და ადილურ ენებში გამოიყენება ზ ა- „ერთი“. ეგევე ზ ა- უნდა ყოფილიყო აფხაზურშიც, მაგრამ დ ი უ მ ე ზ ი ლ ი ს აზრით<sup>11</sup>, მას შემდეგ რაც აფხაზურმა დაკარგა ზ ა, ერთეულობის -კ გ-მ, რომელსაც პარტიციპული მნიშვნელობა ჰქონდა. იქისრა განუსაზღვრელობის გამოხატვა. ამიტომ -კ გ უბიხურ-ადილური ზ ა-ს ფუნქციური ტოლფარდიაო. ამასვე დიუმეზილი უმატებს იმასაც, რომ სამივე სუფიქსთან განსაზღვრულობის ა-ს ხმარება გამორიცხულია. მისი აზრით, -კ გ კავშირში უნდა იყოს უბიხურ დერივაციულ -კ ა (k'a) სუფიქსთან: ზ ა კ ა — „ერთხელ“, ზ ა კ ა — ხ-ო ნ- „უცებ“, მ წ ა კ ა ზ ჯერობის გამომხატველი სუფიქსი და სხვ. ამავე სუფიქსს უკავშირებს იგი აგრეთვე ადილურ კ ა — კ ა სუფიქსს. მისი დაკვირვებით ამ სუფიქსის გავრცელების არე მცირდება აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ: ადილურიდან აფხაზურისკენ. ადილურში ის ძალიან გავრცელებული ბრუნვის ნიშანია; უბიხურში დერივაციული სუფიქსია, რომელსაც შეუძლია ბრუნება. აფხაზურში მისი ხმარების არე კიდევ უფრო შეზღუდულია.

დიუმეზილისეულ ახსნას მთლად ვერ გავიზიარებთ. მართალია, ჩ ა გ-კ „ერთი“ ან „რომელიღაც ცხენი“ უდრის ადილურ ზ გ შ-ს, მაგრამ -კ(გ) სუფიქსი მაინც ვერ გამოვა უბიხურ-ადილური ზ ა ელემენტის ფუნქციური ტოლფარდი. მათ შორის არსებითი სხვაობაა. ზ ა გარდა იმისა, რომ აღნიშნავს რიცხვით სახელ „ერთ“-ს, სახელთან გამოხატავს განუსაზღვრელობას. -კ გ სუფიქსს კი ერთეულობის გაგება ახლავს და ამის შემდეგ განუსაზღვრელობი-

<sup>8</sup> ქ. ლომთათიძე, აფხაზური ენის ტაპანური დიალექტი, გვ. 99—102. მისივე, „ერთეულის“ კატეგორია და მისი მაწარმოებლები აფხაზურში, ენიშვის მოამბე, ტ. X, გვ. 197.  
<sup>9</sup> ამ ბოლო ხანებში გამოითქვა მოსაზრება ქართული „ზოგ“ სიტყვის სირიული წარმოშობის შესახებ (იხ. ზ. ალექსიძე, სირიულ-ქართული ლექსიკური ურთიერთობის ისტორიიდან, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბილისი, 1971).  
<sup>10</sup> ქ. ლომთათიძე, „ერთი“ რიცხვითი სახელის ისტორიისათვის... იქე X:111... გვ. 76.  
<sup>11</sup> G. Dumézil, *Études comparatives*, . გვ. 37, 67, 70, 71.

„ასი“ ში-კე (ნივთ. კლასი) და ში-კე-კე (ად. კლასი) ყველა დიალექტში ამ ფორმით გვხვდება. ტაპანთურში (ფსიე-კრასნოვოსტოკისაში) არის დელა-თალიზებული სახეობაც ში-კე.

ავებულებით მარტივი რიცხვითი სახელია აგრეთვე ზქე „ათასი“, ზქე-კე (ად. კლასი).

ნ. მარს მოჰყავს ზგე სახეობა<sup>17</sup>, რაც სარწმუნოს ხდის მის დაკავშირებას ზეგე „ყველა სიტყვასთან, რასაც უსლარიც აღნიშნავდა“<sup>18</sup>.

ადილური რიცხვითი სახელები. ადილური და ყაბარდოული ენების რიცხვით სახელებს შორის განსხვავება არ სცილდება დიალექტური განსხვავების ფარგლებს:

ადილური:		ყაბარდოული
„ერთი“	ზე	ზე
„ორი“	ტჰე	ტჰე
„სამი“	შე	ს’ე
„ოთხი“	პჰე	პჰე
„ხუთი“	თჰე	თხ’იე
„ექვსი“	ხ’ე	ხ’ე
„შვიდი“	ბლ’ე	ბლ’ე
„რვა“	ჟე	ჟე
„ცხრა“	ბლე	ბლე
„ათი“	პს’ე	პს’ე

ადილურში დიალექტური სხვაობები თითქმის არ არის.

შათსულურშია დაცული საერთო ადილური ამოსავალი სახეობა „ორი“-სა ტჰე. ცნობილია, რომ ყაბარდოული ამჟამად ადილურ ენებში მხოლოდ შათსულურშია და ისიც ლაბიალიზებული სახით ტ-სთან კომპლექსში<sup>19</sup>.

ყაბარდოულ დიალექტებში განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს ორი რიცხვითი სახელი „სამი“ და „ათი“. შე „სამი“ პირვანდელი სახით დაცულია ბესლენურსა<sup>20</sup> და ყუბან-იენჯუგის თქმებში<sup>21</sup>. ბაქსანის დიალექტში სალიტერატურო ყაბარდოული ენის სისინ-შიშინა ს’ე—სე<sup>22</sup>. მალკის თქმაში მოსაუბრეთა ერთ ნაწილში ს’ე—სე (როგორც ბაქს. დიალექტში), მეორე ნაწილში კ—ს’ე—შე (როგორც ბესლენურში)<sup>23</sup>. მოზდოკურშიც ანალოგიური რამ გვაქვს ს’ე—სე<sup>24</sup>.

რაც შეეხება „ათ“-ს, ამოსავალი საერთო ადილური კე-კე შემორჩენილია ბესლენურში<sup>25</sup>. ადილურ-ყაბარდოული ს’ მიღებულია ჰ-ს სპირანტიზაციით (გ. როგავა).

<sup>17</sup> Н. Я. Марр, Абхазско-русский словарь. . . . გვ. 21.

<sup>18</sup> П. К. Услар, Абхазский язык. . . . გვ. 136.

<sup>19</sup> З. И. Керашева, Особенности шапсугского диалекта адыгейского языка, Майкоп, 1957, გვ. 39, 42.

<sup>20</sup> Б. Х. Балкаров, Язык бесленевцев, Нальчик, 1959, გვ. 62; მხოლოდ: Беслен. диалект, კრებულში: Очерки кабардино-черкесской диалектологии, Нальчик, 1969, გვ. 87.

<sup>21</sup> П. М. Багов, Кубано-Зеленчукские говоры каб.-черк. языка, Нальчик, 1968, გვ. 67; კრებულში: Очерки. . . . გვ. 39.

<sup>22</sup> К. Т. Мамрешев, Особенности баксанского диалекта каб. языка, Нальчик, 1959, გვ. 17. კრებულში: Очерки. . . . გვ. 252.

<sup>23</sup> А. К. Шагиров, Малкинский говор, კრებულში: Очерки. . . . გვ. 291-315.

<sup>24</sup> Т. Х. Куашева, Теркские говоры კრებულში: Очерки. . . . გვ. 127.

<sup>25</sup> Б. Х. Балкаров, Язык бесленевцев, გვ. 62.

სალიტერატურო ყაბარდოულისაგან განსხვავებული ფორმებია ყუბ-  
 იენჯუგის თქმებში (ფშჲგ), ბაქსანის დიალექტში (პსჯ), მალკის თქმა:  
 (პსჯ // პშჯ), მოზდოკურში (პსჯ). რაც შეეხება „ხუთ“-ს, ამოსავლად იყარ-  
 უდება ყაბარდოული თხ'იგ ფორმა<sup>26</sup>. ი. ჯავახიშვილმა გამოთქვა მოსაზრებ-  
 რომ ფ ხ'ი კომპლექსის ბგერათშენაცვლებას წარმოადგენს<sup>27</sup>.

ს'წ „ასი“ საერთო ადილური ფორმაა. შეიძლება შეგვხვდეს აღწერი-  
 ფორმაც: ტჷო ს'ა ჯ თ ხ'ი „ოცი+ხუთი“ (ყუბანის დიალექტი)<sup>28</sup>.

„ათასი“-ს სახელი ადილურ ენებში თურქულიდანაა ნასესხები: მინ. ფი-  
 რობენ, რომ უნდა ყოფილიყო საერთო ყალიბის მიხედვით ნაწარმოებ-  
 ს'-ი-პს' „ასი ათი“ ანუ „ათასი“<sup>29</sup>.

უბიხური	რიცხვითი სახელები.	პირველი ათული:	შ
ზა	„ერთი“	ფჯ	„ექსი“
ტუა	„ორი“	ბლჯ	„შეიდი“
ს'ა	„სამი“	ლა	„რვა“
პლჯ	„ოთხი“	ბლ'ჯ	„ცხრა“
შხ'ჯ	„ხუთი“	ჟოჯ	„ათი“

უბიხური მასალის განხილვისას ჩვენ ვემყარებით დიუმეზილის, მესარი-  
 შის, ფოგტისა და სხვ. გამოკვლევებსა და ტექსტებს, რომლებშიც არაერთა-  
 დიალექტური სხვაობები არ არის ასახული. მერყეობაა ხმოვნით ნაწილში.  
 ჯ ხმოვანი ხშირად მიღებული ჩანს ა-სგან, როგორც ამას ადასტურებს უსლ-  
 რის ჩანაწერებიც: პლ ა, შხ' ა, ფ ა, ჟი ა<sup>30</sup>. თვითონ დიუმეზილთანაც ვხვდებით  
 პარალელურ ფორმებს, განსაკუთრებით შედგენილ რიცხვით სახელებში. მა-  
 გალითად, ს'ა „სამი“ და ჟი ა „ათი“ რიცხვით სახელებთან.

„ასი“ არის ში ა, „ათასი“ მინ აქაც თურქულიდანაა ნასესხები. აღსა-  
 ნიშნავია, რომ უსლ არს აქვს როგორც მინ, ისე ჟი გ-ში ა „ათი ასი“<sup>31</sup>.

ამგვარად, ჩვენ განვიხილეთ მარტივი რაოდენობითი რიცხვითი სახელებ-  
 აფხაზურ-ადილური ჯგუფის ყველა ენაში. თითოეული ჯგუფის მიმართ აღდგე-  
 ნილია ასეთი ფორმები.

აფხაზურ-ადილური:	ადილური:	უბიხური:
„ერთი“ ზა-	ზგ	ზა
„ორი“ შია-	ტჷოგ	ტუა
„სამი“ ხა-	შჯ	სა
„ოთხი“ ფშ-	პლჯ	პლა
„ხუთი“ ხი-	თხ'იგ	შხ'ა
„ექსი“ ფ > *ცი-	ხ'გ	ფა
„შეიდი“ ტ >	ბლ'ჯ	ბლჯ
„რვა“ ბჟა-	ოჯ	ლა
„ცხრა“ ზ'ი-	ბლოგ	ბლ'ჯ
„ათი“ ჟია-	პქგ	ჟი ა
„ასი“ ში ა	ს'წ	ში ა

<sup>26</sup> Г. В. Рогова. К вопросу о структуре именных основ и категорий грамматичес-  
 ких классов в адыгских (черкесских) языках. Тбилиси, 1966, გვ. 7.

<sup>27</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენები..., გვ. 293-294.

<sup>28</sup> М. А. Кумахов. Морфологические особенности кубанского диалекта. УЗКБ  
 НИИ. т. XVI, Нальчик, 1959, გვ. 241.

<sup>29</sup> Г. В. Рогова, З. И. Керашева. Грамматика адыгейского языка. Майкоп,  
 1966, გვ. 78.

<sup>30</sup> П. К. Услар. Этнография Кавказа, I, Абхазский язык, прилож. О языке уба-  
 хов. . . გვ. 95.

<sup>31</sup> იქვე. გვ. 96.

როგორც ვხედავთ, ძირის აგებულება ასეთია: თანხმოვანი (ან ორი თანხმოვანი) + ხმოვანი. უნდა ვიფიქროთ, რომ იქ სადაც არ არის ახლა ხმოვანი, უნდა გვექონოდა. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ ზოგიერთ რიცხვით სახელში, სადაც დღეს დაკარგულია ხმოვანი, ის ადვილად აღდგება, მაგ. ხ ფ ა — ხ ა ფ ა — \*ხ ა ბ ა „სამი“, ბ ე ბ ა — \*ბ ე ა ბ ა „შვიდი“. გარდა ამისა ჯ ხმოვანი ხშირად მომდინარეა ა-სგან, მაგ.: ძ ე — ძ ა (უბიხ.) და სხვ. რაც შეეხება თანხმოვნით ნაწილს, ძირისეული უნდა იყოს ცალი თანხმოვანი, ხშირად ლაბიალური. რაც შეეხება მეორე თანხმოვანს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ უმეტეს წილად იგი უნდა იყოს გაქვევებული გრამატიკული კლასის აღმნიშვნელი. რაც ანარეკლია ამ ენებში არსებული გრ. კლასების გარჩევისა. ადამიანისა და ნივთის კლასების დაპირისპირებას ადგილი უნდა ჰქონოდა რიცხვით სახელებშიაც. თავის დროზე ი. ჯავახიშვილმა გამოჰყო ტ — \*დ, როგორც სქეს-კატეგორიის უძველესი ნიშანი ტ ყ ა -ში, ყ ი ა ელემენტი კი როგორც ძირეული დაუკავშირა აფხაზურ ში-ს, ქართულ ტ-ყ უ-ბ-ს და ჩრდ.-კავკ. ენათა ყ, ყ უ-ს<sup>32</sup>. ასევე არაძირისეულად მიიჩნია მან ბ ბ ე-ბ ა-ში, ფ — ფ შ-ბ ა-ში, მ — მ ს'ე-სა და პ ლ ე-ში, თ თ ხ'ი ე-სა და თ ძ ე-ში. რიცხვით სახელებში, როგორც უფრო განყენებულ სახელებში, კლასების გარჩევა უფრო ადრე უნდა მოშლილიყო (შდრ. მთის ჩრდილო-კავკასიური ენები, სადაც კლასები ერთ-ერთი ყველაზე ნიშანდობლივი და მოქმედი სისტემაა, მაგრამ ამჟამად რიცხვით სახელი არ განარჩევს გრამატიკულ კლასებს და თუ განარჩევს. თითო-ორი). აფხაზურ-ადილურ ენებშიც კლას-კატეგორიის ნიშნები შეზღუდულად ფუნქციონირებს. ისინი აღარ ასრულებდნენ თავდაპირველ ფუნქციას. ზოგჯერ (მაგ. აფხაზურში) ისევ გამხდარა საჭირო ენაში არსებული დაპირისპირების ასახვა, რაც უკისრიათ სხვადასხვა მაწარმოებლებს. რომლებიც სუფიქსების სახით ერთიან ფუნქციებს და ქმნიან ორი რიგის ადამიანისა და ნივთის კლასის რიცხვით სახელებს. ამ რიგის მაწარმოებლებმა ნივთის კლასში -ბ ა სუფიქსმა და ადამიანის კლასში -ძ ი ე, -ჯ ა და -ჯ ე სუფიქსებმა მოახდინეს აფხაზური რიცხვითი სახელების მორფოლოგიზაცია. აფხაზურ რიცხვით სახელებს საპირისპიროდ სხვა აფხაზურ-ადილური ენების რიცხვითი სახელებისა გაუჩნდათ საკუთარი ნიშნები. უსლარიდან მოყოლებული ამ სუფიქსებს ყველა მკვლევარი მეორეულად მიიჩნევს. რა ფუნქციისა უნდა ყოფილიყვნენ ისინი თავდაპირველად? საინტერესოა, რომ მთელ რიგ ჩრდილო-კავკასიურ ენაში (ხუნძური, დიდოური, ანდიური, ლაკური...) გვაქვს რიცხვითი სახელების მაწარმოებელი -გ ო, -გ უ, -და, -ნ ა, -რ ა... სუფიქსები, რომელთაგან კლასების გაგება ზოგს უკავშირდება და ზოგს — არა. სპეციალურ ლიტერატურაში მოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნული სუფიქსები და აფხაზური -ბ ა და -ჯ ე ფორმანტები ერთი და იმავე რიგისა უნდა იყოს<sup>33</sup>. საგულისხმოა, რომ იქაც (ჩრდ.-კავ. ენებში) და აფხაზურშიც ეს ფორმანტები დაახლოებით ერთნაირ პირობებში არ იხმარებიან (მაგ. საზღვრულ სახელთან). ერთის თქმა ახლავს შეიძლება, რომ აფხაზური -ჯ ე ამ რიგისა ვერ იქნება. მისი კავშირი ა ჟ ა ჯ ე „ადამიანი“ სიტყვის -ჯ ე ფორმანტთან ძალიან აშკარაა და ამდენად მისი ფუნქციაც — ადამიანის კლასის აღნიშვნა იმთავითვე გარკვეულია. გარდა

<sup>32</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების..., გვ. 270, 288—294, 420.

<sup>33</sup> П. К. Услар, Аварский язык. . . . გვ. 110. ი. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების... . გვ. 416. არნ. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, ხუნძურის ენა, თბილისი, 1962, გვ. 198.

ამისა. ეს ფორმანტი -ბა, -ძიჯ და -ჯა ფორმანტებსაც ვერ გაუტოლდება სხოვანებით. ის უფრო გვიან დართულია. რაც შეეხება სხვა ფორმანტებს<sup>34</sup>, ისინი თავიდანვე სხვა ფუნქციისა უნდა ყოფილიყვნენ, მაგალითად, გამოხატავდნენ განსაზღვრულობას, როგორც ამას ვარაუდობენ ქართული ერ-თ-ისა და ერ-გ-ის მიმართ<sup>35</sup>.

ცნობილია, რომ აფხაზურ-ადიღური ენების რიცხვითი სახელები მასალობრივ ახლო შესატყვისობებს ავლენენ. ხშირ შემთხვევებში, როგორც ეს გარკვეულია სპეციალურ ლიტერატურაში, კავშირი იბმება სხვა ჩრდილო-კავკასიურ და ქართველურ ენებთანაც<sup>36</sup>.

ზა «ერთი» საერთოა ყველა აფხაზურ-ადიღური ენისათვის (დიუმეზილი, ჭავახიშვილი) და უკავშირდება ჩრდილო-კავკასიურ მონაცემებსაც (ტრუბეტკოი). გამოთქმულია მოსაზრება, რომ აფხაზურ-ადიღურ ენებშიც «ერთი»-ს აღმნიშვნელი რამდენიმე ძირი უნდა არსებულებოდა<sup>37</sup>. ზა შესაძლოა „ცალი“-ს აღმნიშვნელი ყოფილიყო, რისი კვალიც აფხაზურშიც არის და უბიხურშიც. აფხაზურში ზ-ს ც-ც ცვლის, რაც მას ქართულთან აახლოებს (ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი) და რიგ შემთხვევებში მის ადგილას გვხვდება გ-ც (აშხარულის გა-წიგ-კ „ერთადერთი“)<sup>38</sup>. შემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ზა იყო „ერთი“-ს ერთ-ერთი სახეობა, საერთო ყველა ახლო მონათესავე ენისათვის.

უბიხურ-ადიღური ტყიან-სა და აფხაზური ზიგ-ს ერთიანობა უკვე დიუმეზილისთვის იყო ცნობილი. სწორედ „ორ“-ში გამოჰყო ი. ჭავახიშვილმა ტ—\*დ კლას-კატეგორიის ნიშანი, ძირეული მასალა კი დაუკავშირა ქართულ და დაღესტნურ ენათა მასალას. მეორე მხრივ, იგივე აფხაზური ზიგ- შესატყვისია ქართული ორ-ი-სა<sup>39</sup>.

ასევე დიუმეზილმა დააკავშირა აფხაზური ხა-, საერთო ადიღური შგ და უბიხური ს'ა „სამი“, ტრუბეტკოიმ კი დასავლურ-კავკასიურ ენათა მონაცემი — აღმოსავლურ-კავკასიურთან.

ადიღურ-უბიხურ ჰლგ და აფხაზური ფშგ-ს შესატყვისობა დადგენილია ტრუბეტკოისა და დიუმეზილის მიერ. ჭავახიშვილი ამ ფუძეებში ჰ-სა და

<sup>34</sup> საინტერესო ფაქტი აქვს მოყვანილი ე. დიუმეზილს (G. Dumézil, *Doc. Anal...*, V. *Études abkhazs*, Paris, 1967, გვ. 16) აღნიშნავს კლასის რიცხვითი სახელები მოცემული აქვს ასეთი ფორმებით: აძიჯ, ჯჯა, ხჯა, ფშგა, ხიჯა და ა. შ. მაგრამ შემდეგ ეს ფორმები აღარ მოჰყავს არც შედგენილ სახელებში, არც მსაზღვრელო-საზღვრულთან და, რაც მთავარია, არც ტექსტებში. ავტორი არ იმ უნდა არავითარ განმარტებას. უნდა ვიფიქროთ, რომ, ალბათ, ეს მისი ინფორმაციის მიერ „დაკლებული“ ფორმებია ჯჯარა, ხჯარა, „ორგან“, „სამგან“ ფორმების ანალოგიით, ყოველ შემთხვევაში, ამ ფაქტიდან ის მაინც შეიძლება დაეასკენათ, რომ -ჯგ მართლაც უფრო გვიანდელია, -ჯა უკავშირდება ჭაჭიკგ!! შოუკგ, ჭარა სოტეებს.

<sup>35</sup> ქ. ლომთათიძე, „ერთი“ რიცხვითი სახელის ისტორიისათვის ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურ ენებში, ივე, XIII, თბილისი, 1962, გვ. 78.

<sup>36</sup> N. Troubetzkoy, *Nordkaukasische Wortgleichungen Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes*, XXXVII, Band 1, n. 2, Heft, Wien, 1930. G. Dumézil, *Études comparatives sur les Langues caucasiennes du Nord-Ouest*, Paris, 1932. ი. ჭავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბილისი, 1937. ქ. ლომთათიძე, II — რ ბგერათმომარტებისათვის აფხაზურ-ადიღურში, სსამ, XXI, № 5, თბილისი, 1958.

<sup>37</sup> ქ. ლომთათიძე, „ერთი“ რიცხვითი სახელის..., გვ. 71—72.

<sup>38</sup> ქ. ლომთათიძე, აშხარული დიალექტი..., გვ. 79.

<sup>39</sup> ქ. ლომთათიძე, ბგერათა პროცესებისა და ბგერათა შესატყვისობების ზოვი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, სსამ, XVI, № 10, თბილისი, 1955, გვ. 826.

ფ-ს მიიჩნევა არაძირისეულად გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს მასალის საფუძველზე<sup>40</sup>. თუ ამოსავალ ძირად ლ-ს მივიჩნევთ და პ-ს ჩავთვლით ბ-სგან მომდინარედ, ისევე როგორც აფხაზურ ფ-შ გ.—\*ბ-შ გ-სგან, მაშინ ლ, როგორც ძირეული, ხომ არ დაუკავშირდება დაღესტნურ ენათა უ-ს?

უბიხური შ ხ' გ „ხუთი“ დელაბიალიზებული სახეობაა ადიღურ თ ხ' ი გ და აფხაზურ ხ ი- ფორმებთან შეპირისპირებით. გ. როგავა ადიღურში გამოჰყოფს თ-ს როგორც კლას-კატეგორიის ექსპონენტს უბიხურის შ-სა და აფხაზურის ნულთან შეპირისპირებით<sup>41</sup>.

უბიხური ძ გ, ადიღური ხ' გ, აფხაზურ-აბაზური ძ და ც ძირები ნ. ტრუბეცკოისთვის ამავე დროს კავშირშია დაღესტნურ მონაცემებთან. ქ. ლომთათიძე ამოსავალში აფხაზურ-ადიღური ენებისთვის ვარაუდობს უკანა რიგის ლაბიალურ ხშულს, რომელსაც კავშირი უნდა ჰქონდეს ქართულ ექუს-თანაც.

„შვიდი“ რიცხვითი სახელის შესატყვისობები ადიღურ ბ ლ' გ-სა, უბიხურ ბ ლ გ-სა და აფხაზურ ბ ე-ბ ა-ს შორის დადგენილია ნ. ტრუბეცკოისა და ე. დიუმეზილის მიერ. ტრუბეცკოი ამ ფუძეებს ამავე დროს აკავშირებს დაღესტნურ ენათა მასალასთან. თუ ამოსავალია ლ' ლატერალი, რომელსაც უბიხურში მოუცია სონანტი ლ და რომლის შესატყვისია აფხაზური ე, მაშინ სამივე ენაში შესაძლებელი გახდება ბ-ს გამოყოფა, როგორც გრამატიკული კლასნიშნისა.

უბიხურ ლ ი ა, აფხაზურ შ ა-ბ ა, ადიღურ ა გ და ქართულ რ ე ა ფუძეებს შორის შესატყვისობის დადგენა ეკუთვნის ქ. ლომთათიძეს. ამოსავალში ავტორი ვარაუდობს ლარინგალურ მკლერ სპირანტს<sup>42</sup>.

უბიხური ბ ლ' გ „ცხრა“ ადიღური ბ ლ ი გ-ს დელაბიალიზებული სახეობაა, რომელიც კავშირშია აფხაზურ ზ' ი-ბ ა-სთან. ამ უკანასკნელს ტრუბეცკოი აკავშირებს დაღესტნურ მასალასთან, ისევე როგორც ადიღურის კ ჳ გ „ათ“ ფორმას. „ათი“-ს აღმნიშვნელ რიცხვითი სახელის შემთხვევაში სოული დამთხვევაა უბიხურ ე ი გ-სა და აფხაზურ ე ი ა-ს შორის.

საერთო მონაცემია ასევე უბიხური შ ი ა, აფხაზური შ ი გ და ადიღური ს' ა (ტრუბეცკოი). ამასვე უკავშირდება ქართული ა ს ი (ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი).

რ თ უ ლ ი რ ი ც ხ ვ ი თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი ს წ ა რ მ ო ე ბ ა. აფხაზურ-ადიღურ ენებში რიცხვითი სახელების წარმოება „ათი“-დან „ოც“-ამდე კმნის სამ ტიპს. 1. უკავშირო შეერთებით მიღებული სახელები (უბიხური). 2. კავშირიანი შეერთებით მიღებული სახელები (ადიღური ენები), 3. ე. წ. შერეული, ე. ი. კავშირით და უკავშიროდ შეერთებული სახელები (აფხაზურ-აბაზური). განვიხილოთ პირველად ეს უკანასკნელი ტიპი.

აფხაზურში „ათი“-დან „ოც“-ამდე რიცხვითი სახელების წარმოებისას აადება „ათი“ და ემატება ერთეულის სახელები ხან ი კავშირის საშუალებით და ხან უკავშიროდ. ნივთის კლასის ბ ა სუფიქსი ჩამოშორებულია ერთეულის სახელებს; ნივთის კლასი სუფთა ფუძით უპირისპირდება ადამიანის კლა-

<sup>40</sup> ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენებას..., გვ. 288.  
<sup>41</sup> Г. В. Рогова, К вопросу о структуре имешных основ и категории грамматических классов в адыгских (черкесских) языках, Тбилиси, 1956, გვ. 7.  
<sup>42</sup> ქ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ლ//—რ ბგერათმმართველისათვის..., გვ. 624; მ ი ს ი ც ვ ე ლ//რ-ს მონაცემებისათვის ქართველურ ენებში, იკე, XI, თბილისი, 1959, გვ. 71.

სის სახელს, რომელსაც ერთვის მხოლოდ ერთადერთი მაწარმოებელი - კ სუფიქსი. ამგვარად გვაქვს:

- ქიეზა (ქიეზავკ) „თერთმეტი“ („თერთმეტი ადამიანი“) — ქი ა + ჰ + ზა.
- ქიავა „თორმეტი“ (უკავშირო).
- ქიახა „ცამეტი“ (უკავშირო).
- ქიიფშ „თოთხმეტი“ — ქი ი + შ + ფშ — ქი ე + შ + ფშ — ქი ა + შ + ფშ.
- ქიოხ „თხუთმეტი“ — ქი ა + ხი (უკავშირო).
- ქიჟაფ „თექვსმეტი“ (უკავშირო).
- ქიიბჟ „ჩვიდმეტი“ — ქი ი + ჰ + ბჟ — ქი ე + ჰ + ბჟ — ქი ა + ჰ + ბჟ.
- ქიია „თვრამეტი“ (უკავშირო).
- ზეჟეჟ „ცხრამეტი“ — ქი ე + ჰ + ჟი — ქი ე + ჰ + ზი — ქი ა + ჰ + ზი (ბზიფურში არის ზეზი ფორმაც).

არსებითად ასეთივე სურათია ტაპანთურში, ფონეტიკური სხვაობების გათვალისწინებით<sup>43</sup>. იქ „თექვსმეტი“ — ც კავშირის გამოყენებითაა ნაწარმოები: ქი ი ც — ქი ჯ + ჰ + ც — ქე ა + ჰ + ჯ ც. ამას გარდა, იკვეცება ბოლო ხმოვნები: ქი ი ზ „თერთმეტი“ — ქი ა + ჰ + ზა. ქი ჯ ზი „თორმეტი“ — ქი ა + ზი ა. ქი ა ხ „ცამეტი“ და სხვ.

აშხარულში განსაკუთრებული არაფერია. აღსანიშნავია, ოღონდ, რომ „თერთმეტი“ უკავშიროდაა ნაწარმოები: ქი ა ზ ა. თავისებურია „ცხრამეტი“: ქი ი ე ზი — ქი ე + ჰ + ზი.

რთული რიცხვითი სახელების საწარმოებლად ა დ ი ლ ე უ რ ს ა და ყ ა ბ ა რ დ ო უ ლ შ ი აიღება „ათი“ და -კ ს ჯ შემაერთებელი ნაწილაკის საშუალებით დაემატება ერთეულები<sup>44</sup>:

ადილური	ყაბარდოული	
პს'გ -კიგ -ზგ	ფს'გ -კიგ -ზ	„თერთმეტი“
პს'გ -კიგ -ტჟგ	ფს'გ -კიგ -ტ	„თორმეტი“
პს'გ -კიგ -შგ	ფს'გ -კიგ -ს'	„ცამეტი“
პს'გ -კიგ -პლ'გ	ფს'გ -კიგ -პლ'	„თოთხმეტი“
პს'გ -კიგ -თფგ	ფს'გ -კიგ -თხ'ი	„თხუთმეტი“
პს'გ -კიგ -ხ'გ	ფს'გ -კიგ -ხ'	„თექვსმეტი“
პს'გ -კიგ -ბლ'გ	ფს'გ -კიგ -ბლ'	„ჩვიდმეტი“
პს'გ -კიგ -ჟგ	ფს'გ -კიგ -ჟგ	„თვრამეტი“
პს'გ -კიგ -ზღგ	ფს'გ -კიგ -ზღგ	„ცხრამეტი“

როგორც ვხედავთ. ფონეტიკურ ცვლილებებს ადგილი აქვს მხოლოდ ყაბარდოულში: პს'გ → ფს'გ ყველგან (გარდა ყუბანის დიალექტისა<sup>45</sup>), სიტყვის ბოლოში რედუცირდება ხმოვნები.

უბიხურში სურათი მეტად მარტივია. „ათი“ — ს ფუძეს ყოველგვარი საკავშირებელი ნაწილაკების გარეშე დაერთვის ერთეულის სახელები<sup>47</sup>.

<sup>43</sup> ქ. ლომთათიძე, ტაპანთური დიალექტი..., გვ. 98, 104.

<sup>44</sup> Л. В. Рогова, З. И. Керашева. Грамматика адыгейского языка, Краснодар—Магикоп, 1966, გვ. 78. Грамматика кабардино—черкесского литературного языка, I. Москва, 1970 გვ. 103-104.

<sup>45</sup> ტერჩანოვი და წაღუა ამ -კიგ ნაწილაკს უკავშირებენ „სელა“ ზმნის ძირს. (იხ. Г. Турчанников, М. Цагов, Грамматика кабардинского языка, Москва—Ленинград, 1940, გვ. 65).

<sup>46</sup> М. А. Кумахов. Морфологические особенности кубанского диалекта, УЗКБ НИИ т. XVI, Налчинк, 1959, გვ. 241. მისივე კრებულში: Очерки. . . გვ. 207.

<sup>47</sup> G. Dumézil, La Langue des Oubykhs, Paris, 1931, გვ. 42. მისივე. Études comparatives. გვ. 126.

ჟიჟა	„თერთმეტი“	ჟიჟფ	„თექვსმეტი“
ჟიჟრუა	„თორმეტი“	ჟიჟბლ	„ჩვიდმეტი“
ჟიჟს'ა	„ცამეტი“	ჟიჟლია	„თორამეტი“
ჟიჟპლ	„ოთხმეტი“	ჟიჟბლ'	„ცხრამეტი“
ჟიჟშხ'	„თხუთმეტი“		

როგორც ყაბარდოულში, აქაც, უბიხურში იკვეცება ბოლო ხმოვანი, იღონდ იმ განსხვავებით, რომ იკვეცება მხოლოდ ჯ ხმოვანი.

ზემოთ განხილული რთული რიცხვითი სახელების წარმოებათაგან ამოსავალი უნდა იყოს უბიხურის ვითარება: უკავშირო წარმოება. ამ მხრივ არსებითია აშხარულის ჩვენებაც, სადაც „თერთმეტი“ უკავშიროდაა ნაწარმოები სპირისპიროდ სხვა აფხაზურ-აბაზური დიალექტებისა. ამდენად, აფხაზურ-აბაზურის მონაცემები შეიძლება ჩავთვალოთ გარდამავალ საფეხურად უბიხურსა და ადილურ ენებს შორის.

თ ვ ლ ი ს ს ი ს ტ ე მ ა. აფხაზურში თვლის სისტემა ოცობითია, თუმცა თვითონ „ოცი“ ათობითი პრინციპითაა ნაწარმოები: ჯ ა ჟ ი ა ← ჯ ა + ჟ ი ა „ორი + ათი“. შემდეგ კი უკვე „ოცი“-ა საფუძველი თვლისა. ერთეულის სახელს ჯერობის ნ — ნა აფიქსის საშუალებით მიერთვის „ოცი“ და ვიღებთ:

- ჯვ-ნ-ჯაჟია „ორმოცი“ ანუ „ორჯერ ოცი“.
- ხვ-ნ-ჯაჟია „სამოცი“ ანუ „სამჯერ ოცი“.
- ფშვ-ნ-ჯაჟია „ოთხმოცი“ ანუ „ოთხჯერ ოცი“.

ოცეულებს ერთეულები და ათეულები ემატება ი კავშირის საშუალებით.

- ჯაჟიეჟ აკვ „ოცდაერთი“.
- ჯაჟიეჟ ეიაბა „ოცდაათი“.
- ჯაჟიეჟ ეიახა „ოცდაცამეტი“.
- ჯვნჯაჟიეჟ ეიაბა „ორმოცდაათი“.
- ჯვნჯაჟიეჟ ეიეჟა „ორმოცდათერთმეტი“.
- ხვნჯაჟიეჟ ეიაბა „სამოცდაათი“.
- ფშვნჯაჟიეჟ ეიაბა „ოთხმოცდაათი“ და ა. შ.

ადამიანის კლასის რიცხვით სახელებში აღნიშნულ ფორმებს დაერთვის ჯვ სუფიქსი; მაგ.: ჯ ჯ ნ ჯ ა ჟ ი ა ჯ ჯ „ორმოცი ადამიანი“. ჯ ჯ ნ ჯ ა ჟ ი ე ჟ ე ე ჟ ა ჯ ჯ „ორმოცდათერთმეტი ადამიანი“ და ა. შ.

აბაზურში ფონეტიკურად განსხვავებულ ფორმებს გვაძლევს „ოცი“ ზი ა ჟ ი ა და მისგან ნაწარმოები სხვა რიცხვითი სახელები მაგ.: ჰ ი ჯ ნ ჰ ი ა ჟ ი ა „ორმოცი“. აღსანიშნავია, რომ ტაპანთურში საერთო აფხაზური ჯ ჯ ნ ჯ ა ჟ ი ე ჟ ე ი ა ბ ა -ს გვერდით არის ს ი ჯ ბ ჟ ა ა კ // შ ი ჯ ბ ჟ ა ა კ „ასის ნახეიარი“ ფორმა, რაც ადილურ ენათა გავლენითაა ახსნილი<sup>48</sup>. ზოგიერთ თავისებურებას გვიჩვენებს აშხარული დიალექტი<sup>49</sup>. „ოცი“-ს ზემოთ ადამიანის კლასის რიცხვითი სახელების წინ იხმარება ჟ ა ა „ადამიანები“, „ხალხი“: ჟ ა ა ჯ ე ჟ ი ი ა ძ ი ი „ოცდაერთი“ და სხვ.

ამავე დროს ყველა სხვა დიალექტისაგან განსხვავებით ი კავშირი შეიძლება ერთგვოდეს ყველა საკავშირებელ ერთეულს, რაც დაკავშირების არქაული, საერთო წესის მაჩვენებელი უნდა იყოს: ჟ ა ა ჯ ე ჟ ი ა ჯ ი ხ ჯ ჯ ი „ოცდასამი ადამიანი“.

როგორც აღვნიშნეთ, აფხაზურისათვის დამახასიათებელია თვლის ოცობ-

<sup>48</sup> ქ. ლომთათიძე, ტაპანთური დიალექტი..., გვ. 106-107.

<sup>49</sup> ქ. ლომთათიძე, აშხარული დიალექტი..., გვ. 77-81.

ბითი სისტემა. ასეთივე ვითარებაა აბაზურშიც, თუმცა ახლა, როგორც ჩანს, გზას იკაფავს ათობითი სისტემაც<sup>50</sup>. იმგვარი წარმოება, როგორცაა ჰი ე ი ა ბ ა „ორათი“; ხ ე ი ა ბ ა „სამათი“ და სხვ., არ არის ტაპანთურში გავრცელებული და ბუნებრივი, თუმცა შეტანილია ლექსიკონში<sup>51</sup>. ის ხელოვნურია და მიჩნეულია ყაბარდოულის გავლენითა და მის ყაიდაზე გაკეთებულ ფორმებად, რიბლებსაც უნდა ეჩინათ თავი გააბაზებულ ყაბარდოელების მეტყველებაზე (ქ. ლომთათიძე).

ასეულების წარმოებისას გამოიყენება უკავშირო შეერთება. აიღება ერთეულის საწელი და მიერთვის „ასი“.

ნიეთის კლასი:	ადამიანის კლასი:
ჟჟ -ში „ორასი“	ჟჟ -შიგ -რჟ
ხხ -ში „სამასი“	ხხ -შიგ -რხ
ფფგ-ში „ოთხასი“	ფფგ -შიგ-ჟგ და სხვ.

ათასეულების წარმოებაში ისევ ჭერობითობის -ნ- აფიქსი იჩენს თავს:

ნიეთის კლასი:	ადამიანის კლასი:
ჟ-ნჟ-ზჟჟ „ორი ათასი“	ჟ-ნჟ -ზჟჟ -რჟ
ხ-ნხ-ზჟჟ „სამი ათასი“	ხ-ნხ -ზჟჟ -რხ
ფფგ-ნფ-ზჟჟ „ოთხი ათასი“	ფფგ -ნფ -ზჟჟგ -რფ

ოღლის სისტემის თვალსაზრისით საკმაოდ განსხვავებული სურათია აღლურ ენებში. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე. ადიღეურში თვლის სისტემა ბრითად აღმოცენდება, თუმცა „ოცი“ და „ოცდაათი“-ც ათობითი სისტემითაა წარმოებული: ტჟჟჟჟ „ოცი“ ანუ „ორჯერ ათი“ ← ტ ჟჟჟ + პ ჟჟჟ || პ ს' გ. შჟჟჟჟ „ოცდაათი“ ანუ „სამჯერ ათი“ ← შ შჟჟჟჟ + პ ჟჟჟჟ || პ ს' გ. „ოცდაათი“-ს ზემოაიღება „ოცი“, რომელსაც -ჟგ- შემაერთებელი ნაწილაკის საშუალებით დაერთვის ერთეულის სახელი: ტ ჟჟჟჟჟ-ჟგ-ტ ჟჟჟ „ორმოცი“. ტ ჟჟჟჟჟ-ჟგ-შჟჟჟჟ „სამოცი“. ტ ჟჟჟჟჟ-ჟგ-პ ლ „ოთხმოცი“.

ისეთი რთული რიცხვითი სახელები, როგორცაა, „ოცდაერთი“, „სამოცდაათი“ და მისთანანი, იწარმოება ყველა საკავშირებელ წევრზე -რწ კავშირდართვით: ტ ჟჟჟჟჟ/გ/რწ ზგ-რწ „ოცი და ერთი და“. ტ ჟჟჟჟჟ-ჟგ-შჟჟჟჟ-რწ პს'გ-რწ „სამოცდაათი“. ტ ჟჟჟჟჟ-ჟგ-პ ლგ-რწ პს'გ-რწ „ოთხმოცდაათი“.

„ორმოცდაათი“ განსხვავებული წარმოებისაა: სწ ნ გჟი წ — „ასის ნახევარი“ (შდრ. ერგასი).

ადიღეური ენის დიალექტებში სხვაობები არა გვაქვს. მხოლოდ აბაზურშია „ოცი“ ფონეტიკურად სახეცვლილი<sup>52</sup>: ტ ჟჟ ა ჟჟ.

ასეულებისა და ათასეულების წარმოებაში გამოიყენება ისევ -ჟგ- ნაწილაკი:

- ს'-ჟგ-ტჟჟ „ორასი“ ანუ „ასი ორი“.
- ს'-ჟგ-შჟჟ „სამასი“.
- ს'-ჟგ-პ ლ „ოთხასი“ და ა. შ.
- მინ-ჟგ-ტჟჟ „ორი ათასი“.
- მინ-ჟგ-შჟჟჟჟ „სამი ათასი“ და ა. შ.

<sup>50</sup> К. С. Шакрыл, О системе счета в абазинском и абхазском языках, Труды Черк. НИИ, вып. II, 1954, გვ. 23.

<sup>51</sup> Русско-абазинский словарь, под ред. Х. Жирова и Н. Экба, Москва, 1956.

<sup>52</sup> З. Ю. Кумахова, Особенности абаздзехского диалекта, УЗЛБНИИ, т. XII, Нальчик, 1959, გვ. 196.





ენები, თუმცა გარკვეულ საკითხებში უბიხური, თითქოს, უფრო ახლოს დგას ადიღურ ენებთან; სამივე ენობრივ ერთეულში საერთოა რთული სახელების წარმოებისას კავშირის გამოყენება: აფხაზურში -ი- კავშირის, უბიხურსა და ადიღურში კი -ლა და რწ კავშირების გამოყენება, რომლებიც მასალობრივ იდენტური არიან<sup>62</sup>. უბიხურსა და ადიღურში კავშირი ყველა წევრს ერთვის, აფხაზურში — არა. რომ აფხაზურშიც იგივე წესი მოქმედებდა, ჩანს აშხარულში შემოაჩენილი ფაქტიდან: -ი- საკავშირებელი ნაწილაკი ერთვის ყველა წევრს<sup>63</sup>.

ასევე საყოველთაო ჩანს აფხაზურ-ადიღური ენებისათვის თვლის ოცობითი სისტემა, მიუხედავად არსებული განსხვავებისა. ი. ჭავჭავაძემ წამოაყენა მოსაზრება, რომ აფხაზურ-ადიღური ენებისთვის ამოსავალი უნდა ყოფილიყო ათობითი სისტემა<sup>64</sup>. მისთვის ამ შემთხვევაში ამოსავალი იყო „ოც“ სიტყვის ანალიზი; იგი სამივე ენობრივ ერთეულში ნაწარმოებია ათობითი თვლით: „ორ + ათი“. ი. ჭავჭავაძემამდე მკვლევართა უმეტესობას მიაჩნდა, რომ აფხაზურ-ადიღური ენებისთვის დამახასიათებელია ოცობითი თვლა (პ. უსლარი, ლ. ლოპატინსკი, ა. დირი, ე. დიუმეზილი და სხვ.).

ათობითი სისტემის პირველადობას მხარს უჭერენ ტურჩანინოვი და წალღა<sup>65</sup>, ბალკაროვი<sup>66</sup>, კუმახოვი<sup>67</sup> და სხვ. კუმახოვს მიაჩნია, რომ რაკი ძირითადად ოცობითი სისტემა გვაქვს აფხაზურ-ადიღურ ენებში, ამიტომ ასეთი წარმოება საერთოა ამ ენებისთვისო. ამავე დროს, მისი აზრით, ფუძე-ენაში ოცობით სისტემასთან ერთად შესაძლოა ყოფილიყო უფრო არქაული და მარტივი — ათობითი სისტემა<sup>68</sup>. ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ამ ენებისათვის საერთო და ამოსავალი უნდა იყოს ოცობითი თვლა. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს ის ფაქტი, რომ იგი ერთადერთია უბიხურისა და აფხაზურისათვის, თუ არ მივიღებთ მხედველობაში აფხაზურში გაჩენილ ხელოვნურ ფორმებს ხ-ეი აბა ტიპისა. არსებითია ისიც, რომ აფხაზურ-უბიხური ფორმები მტკიცეა და სავსებით ერთნაირად ნაწარმოები. რაც შეეხება ადიღურ ენებს, იქ ძალიან განსხვავებული სურათია. ადიღურსა და ყაბარდოულის ზოგიერთ დიალექტში (ბესლენურში, ყუბან-იენჯუგის თქმებში) ოცობითი სისტემაა, სალიტერატურო ყაბარდოულსა და სხვა მის დიალექტებში (ყუბანის, მალკის) — ათობითი. აქაც, ადიღურ ენებში, სადაც კი ოცობითი თვლა გვაქვს, თვლის სისტემა მყარია. წარმოება ერთგვაროვანი, რასაც ვერ ვიტყვით ათობითი სისტემის შესახებ. ის სხვადასხვა დიალექტში სხვადასხვანაირად გამოიყურება, ზოგან ჭერ ერთეულის სახელია და მას მიერთვის „ათი“, ზოგან კი — პირიქით. პირველი ტიპი წარმოებისა უფრო არქაული უნდა იყოს, მითუმეტეს, რომ ოცობითი თვლით ნაწარმოებ სახელებშიც (აფხაზური, უბიხური) ასეა<sup>69</sup>.

<sup>62</sup> G. Dumézil, *Études comparatives*. . გვ. 65.

<sup>63</sup> ქ. ლომთათიძე, აშხარული დიალექტი... გვ. 81.

<sup>64</sup> ი. ჭავჭავაძე, ქართული და კავკასიური ენების..., გვ. 286—287, 295.

<sup>65</sup> Г. Турчанинов, М. Цагов, *Грамматика кабард. языка*. . გვ. 65.

<sup>66</sup> Б. Х. Балкаров, *Язык бесленевцев*. . გვ. 62.

<sup>67</sup> М. А. Кумахов, *Морфология адыгских языков*, I, Нальчик, 1961, გვ. 223.

<sup>69</sup> ათობითი სისტემით (ერთეული + „ათი“) რიცხვითი სახელების წარმოება დამახასიათებელია სკანდინავიური და ლაზური კილოებისათვის. ეს საკითხი და ამ ხაზით სვლა-წერ-ყაბარდოულის ერთეულობა სპეციალურ კვლევას საჭიროებს.

## ა ლ ე კ ს ი ჟ ო რ დ ა ნ ი ა

## ო რ ე ნ ო ვ ნ ე ბ ის შ ე ს წ ა ვ ლ ის ა თ ე ის

ორენოვნება საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. იგი დასტურდება მსოფლიოს მრავალ კუთხეში. მისი შესწავლის ისტორია, შეიძლება ითქვას, მდროიდან იწყება, როდესაც ენის საკითხებით დაინტერესდნენ. ენაში ასახული ცალკეული ფაქტები, შეპირობებული ამ მოვლენით, იმთავითვე იქცევა სწავლულთა ყურადღებას (მაგ., დიალექტთა შერევა, ინტერფერენციის შემთხვევები, ლექსიკური ელემენტების სესხება და სხვ.).

ხსენებული მოვლენის სპეციალურ კვლევას მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეუდგნენ. ეს ძირითადად ორი გარემოებით აიხსნება. ერთი მხრივ, ამ პერიოდში აღინიშნება ზუსტი მეთოდების გამოყენება ენობრივი ფაქტების ანალიზისას, საკვლევი ობიექტის პოზიციის ზუსტი განსაზღვრა; მეორე მხრივ, ბილინგვიზმის აქტუალობა იმითაა შეპირობებული, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იწყება ნაციონალური სამწერლო ენების შექმნისათვის ბრძოლა ყოფილ კოლონიებში.

ამრიგად, გასაგებია, რომ თანამედროვე ენათმეცნიერებაში ორენოვნების პრობლემას ცენტრალური ადგილი უკავია. ამის საკვანძო საკითხებს მიეძღვნა ენათმეცნიერთა ორი საერთაშორისო კონგრესი (VIII — ოსლოში, 1957 წ.; IX — კემბრიჯში, 1962 წ.) და ორი საკავშირო კონფერენცია-ყაზანში (1965 წ.) და აშხაბადში (1969 წ.)<sup>1</sup>.

გამოცემულია რამდენიმე ფუნდამენტალური ნაშრომი, რომელიც მეტნაკლები სისრულით იხილავს ორენოვნებას<sup>2</sup>.

დღეღღეობით ორენოვნების ზოგი პრობლემა მწვავე დისკუსიის საგანია. ამასთანავე ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგი რამ რამდენადმე გარკვეული და დაზუსტებულია. კერძოდ, ეს ეხება ორენოვნების ცნების განსაზღვრას.

განარჩევენ ორენოვნებას აქტიურს და პასიურს. აქტიური ორენოვნებისას ერთი ენობრივი კოლექტივის წარმომადგენლები ფლობენ მეორე

<sup>1</sup> ოსლოს VIII კონგრესზე ენობრივ კონტაქტებთან დაკავშირებით იხ. Вопросы языкознания, №3, 1957, გვ. 166. კემბრიჯის IX კონგრესის მასალები იხ. P. Якобсон, Итоги девятого конгресса лингвистов: Нолос в лингвистике, IV Москва, 1965, გვ. 135-168. ყაზანის საკავშირო კონფერენციის მასალები წარმოდგენილია წიგნში: Взаимодействие и взаимообогащение языков СССР, М., 1969 (ქვემოთ შემოკლებით ВВЯН). აშხაბადის საკავშირო კონფერენციის მასალები შეიქმნა კრებულში „Проблемы двуязычия и многоязычия“, Москва, 1972, (ПДМ).

<sup>2</sup> Ю. Д. Дешериев, Закономерности развития и взаимодействия языков в советском обществе, Москва, 1966. И. К. Белодед, Русский язык—язык межнационального общения народов СССР, Киев, 1962. Ю. Д. Дешериев, О развитии языков народов СССР, Москва, 1959. М. М. Михайлов, Двуязычие (принципы и проблемы) Чебоксары, 1969.

ენას, მისი საშუალებით შეუძლიათ ურთიერთობის დამყარება ენობრივი ნორმების უმნიშვნელო დარღვევით. პასიური ბილინგვიზმისას მეორე ენის ცოდნა არ სცილდება ლიტერატურით სარგებლობას. ამ ტიპის ბილინგვიზმი მონოლინგვიზმს უახლოვდება. საბჭოთა ენათმეცნიერები ორენოვნების განსაზღვრისას ხაზს უსვამენ ორი ენის აქტიურ ფლობას, რომელიც თანდათანობით ადეკვატურ ორენოვნებად გადაიქცევა<sup>3</sup>.

ჯეროვანი ყურადღება ექცევა არამშობლიური ენის ცოდნის დონეთა დიფერენციაციას. არასრულყოფილ ცოდნას აღნიშნავენ „დიგლოსიით“, ხოლო „ბილინგვიზმში“ იგულისხმება ორი ენის თითქმის თანაბარი ცოდნა<sup>4</sup>.

ჩ. ფერგიუსონი ორენოვნებაში გულისხმობს სტანდარტიზაციის იმ ტიპს, რომლის დროსაც ენობრივ კოლექტივში ორ ენას აქვს საკუთარი საზოგადოებრივი ფუნქცია<sup>5</sup>.

ორენოვან პიროვნებად, ლ. კასტელოს მიხედვით, შეიძლება ენის შემსწავლელიც ჩაითვალოს<sup>6</sup>. კასტელო მიუთითებს ე. ჰაუგენის აზრს, რომ ბილინგვიზმის არსებობა უნდა წარმოვიდგინოთ იმ დროიდან, როდესაც მოსაუბრეს შეუძლია დასრულებული გამოთქმების შედგენა სხვა ენაზე. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს ენათა მსგავსებას. ამასთან დაკავშირებით ა. მარტინე (უ. ვაინრაიხის ნაშრომის წინასიტყვაობაში) აღნიშნავს, რომ ენობრივი ერთიანობა არასოდეს არ არის ჰომოგენური. „ენას“ ავტორი მიიჩნევს მრავალ „მიკროკოსმთა შენაერთად“. ბილინგვიზმი, მისი აზრით, არის დანაწევრებული ლინგვისტური ერთიანობა. კონტაქტი ქმნის იმიტაციის შესაძლებლობას, იმიტაცია კი საფუძველია ლინგვისტური კონვერგენციისა<sup>7</sup>.

გარდა ზემოაღნიშნული დაყოფისა, ბილინგვიზმის ტიპებს სხვა თვალსაზრისითაც აჯგუფებენ: ნორმატიული, ცალმხრივ-ნორმატიული და არანორმატიული.

ნორმატიული ბილინგვიზმისას ორივე ენის გრამატიკული, ლექსიკურ-სემანტიკური, ფონეტიკური ნორმები დაცულია. ეს ტიპი გვხვდება განათლებულ, ფილოლოგიურად მომზადებულ პირებთან<sup>8</sup>: ცალმხრივ-ნორმატიული ბილინგვიზმის დროს — მოსაუბრის მიერ ყველა ნორმის დაცვა მხოლოდ ერთი ენის ფარგლებშია; არანორმატიული ბილინგვიზმი ძირითადად საყოფაცხოვრებო ბილინგვიზმის სახითაა.

ჩვენს ქვეყანაში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ბილინგვიზმის პრაქსიმალური ფორმის შესწავლას. ეს ფორმა არსებობს სხვადასხვა, თუმცა

<sup>3</sup> Ю. Д. Дешериев, И. Ф. Протченко, Основные аспекты исследования двуязычия и многоязычия, ИДМ, г. 31. В. А. Апродин, Двуязычие и школа, ПДМ, г. 51. Э. Н. Пяль, О развитии национальных языков и типах двуязычия, ИДМ, г. 114.

<sup>4</sup> О. С. Ахманова, Дихотомия „язык—диалект“ в свете проблем современного билингвизма: ИДМ, г. 98. R. Hall, Bilingualism and applied linguistics: Zeitschrift für Phonetik und allgemeine Sprachwissenschaft und Kommunikationsforschung 6, Heft 1/2, 1952, pp. 16. J. Fishman, The implication of bilingualism for language teaching and language learning: Trends in language teaching 1966, pp. 122-123.

<sup>5</sup> Ch. Ferguson, Diglossia: Word №15, 1959, pp. 325-310.

<sup>6</sup> L. Castelo, A Study of Languages in contact (Tagalog — English), Quezon city, 1952, pp. 20.

<sup>7</sup> U. Weinreich, Languages in Contact. New York 1953, pp. VII-VIII.

<sup>8</sup> აქვე შეიძლება აღვნიშნა ცენტრალური თეატრების მსახიობების დიქცია.

არა ნებისმიერი, ენების ბინარული კომბინაციისას, იგი ზოგჯერ ადითიურია<sup>9</sup>. ბილინგვიზმის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს ენების ფუნქციონალური, სოციოლინგვისტური კლასიფიკაცია. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი მოსაზრებები აქვთ გამოთქმული ჩ. ფერგიუსონს, უ. სტიუარტს, ა. მარტინეს.

ენათა ფუნქციონალური კლასიფიკაცია, რომელიც ფერგიუსონმა წარმოადგინა, ასეთია: ძირითადი ენა, არაძირითადი ენა, სპეციალური დანიშნულების ენა (რომელიც მიზნობრივ ბილინგვიზმს წარმოშობს). უნდა ითქვას, რომ აქ გამოყოფილია „პიჯინ-ენა“, რომელიც ფუნქციით ხელოვნურ ენებს უახლოვდება.

უფრო დეტალურია უ. სტიუარტის სქემა: 1. არასტანდარტიზებული მშობლიური ენა; 2. სტანდარტიზებული მშობლიური ენა; 3. სტანდარტიზებული კლასიკური ენა, რომელიც გადაიქცა არამშობლიურად; 4. პიჯინი ანუ „პიბრიდული ენა“, რომელიც ერთი ენის ლექსიკას მეორე ენის გრამატიკულ სისტემასთან აერთებს; 5. ხელოვნური ენა<sup>10</sup>. წარმოდგენილ კლასიფიკაციაში ერთი პრინციპი არ არის გატარებული. ენების ნაწილი მათი ფუნქციის მიხედვით ხასიათდება, მეორე კი სტრუქტურით.

ამ შემთხვევაში ა. მარტინე უ. სტიუარტთან შედარებით უფრო თანმიმდევრულია. იგი გვთავაზობს შემდეგ სქემას: 1. დიალექტები და ლოკალური ენები; 2. ვიწრო ადგილობრივი მნიშვნელობის ენები; 3. შუამავალი ენები; 4. საკუთრივ ეროვნული ენები<sup>11</sup>.

ა. მარტინეს ამ სქემაში შენიშვნას იწვევს მხოლოდ ორი მომენტი. მისი აზრით, ტერმინი „მშობლიური ენა“ უნდა უკუვაგდოთ, რამდენადაც მის როლში სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ენა გამოდის. იგი უნდა შეიცვალოს „ძირითადი ენით“<sup>12</sup>. მარტინესაგან განსხვავებით, უ. ვაინრაიზი მიმართავს „მშობლიური ენის ჯგუფს“, ხოლო „ბილინგვიზმს“ კი იყენებს საკომუნიკაციო საშუალების აღსანიშნავად მშობლიური ენის ჯგუფებს შორის<sup>13</sup>. ამავე თვალსაზრისს იმეორებს ა. ქელქარიც<sup>14</sup>. ორივე ტერმინი „მშობლიური ენა“ და „ძირითადი ენა“ იდენტურია ფუნქციონალური თვალსაზრისით, რასაც ხაზგასმით აღნიშნავს მარტინეც. გარდა ამისა, მარტინეს სქემაში დასაზუსტებელია შუამავალი ენების საკითხი. ავტორი ამ ტიპში მხოლოდ ინგლისურ ენას გულისხმობს და უძულვებელყოფს სხვა საერთაშორისო ენებს. ინგლისურის გარდა, ამ ტიპში რუსული, ფრანგული, ესპანური და ზოგიერთი სხვა ენაც შემოვიდოდა ენობრივი სიტუაციის მიხედვით<sup>15</sup>.

ენობრივი სიტუაცია დამოკიდებულია ამა თუ იმ კონკრეტულ გარემოზე. ენობრივი სიტუაცია ბილინგვიზმის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი

<sup>9</sup> X. Г. Берикетов, О сближении языков, ВВЯИ, გვ. 149-152.

<sup>10</sup> W. Stewart, An outline of linguistics: Study of the Role of Second Languages in Asia, Afrika and Latin America, Washington, 1962.

<sup>11</sup> U. Weinreich, Languages in Contact, Preface, გვ. VII-VIII.

<sup>12</sup> A. Martinet, Les langues dans le monde de demain: La linguistique, 1967 №1, გვ. 4.

<sup>13</sup> U. Weinreich, Functional aspects of Indian bilingualism, New York, 1957, გვ. 203.

<sup>14</sup> A. R. Kelkar, Marathi English: Word 13, 1957, №2 გვ. 268-282.

<sup>15</sup> ენობრივი სიტუაციის შეფასების აუცილებლობაზე იხ. J. Spencer (ed), Languages in Africa, 1963.

მომენტი. მის შესახებ მსჯელობისას მხედველობაში უნდა მივიღოთ მომენტები, რომელზედაც ყურადღებას ამახვილებს რ. პოლი: 1. ს ი ტ უ ა ც ი ა, რ ო დ ე ს ა ც ი ქ მ ნ ე ბ ა ბ ი ლ ი ნ გ ვ ი ზ მ ი ს ს ა ქ ი რ ო ე ბ ა (სხვადასხვა ენობრივი ერთეულების ჯგუფების თანაარსებობა, მაგ. კანადაში — ინგლისური და ფრანგული ეკონომიურ-კულტურული კონტაქტების საჭიროება სხვა ქვეყნებთან — ფრანგული ენა ჰაიტიზე).

2. ე ნ ო ბ რ ი ვ ი პ ი რ ო ბ ე ბ ი, რ ო მ ლ ე ბ შ ი ა ც ბ ი ლ ი ნ გ ვ ი ზ მ ი ვ ი ო ა რ დ ე ბ ა (კოლონიზაციის დროს სრულიად განსხვავებული ენები ურთიერთგავლენას განიცდიან, ენების უფრო დაახლოებული სახეა — პოლანდიური აფრიკაანსი და ინგლისური სამხრეთ აფრიკაში; მჭიდროდ დაკავშირებული სტანდარტიზებული და არასტანდარტიზებული ენა).

3. ს ი ტ უ ა ც ი ა ო რ ე ნ ო ვ ა ნ ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი (მოსაუბრეთა რაოდენობა)<sup>16</sup>.

4. ე ნ ა თ ა ჯ გ უ ფ ე ბ ს შ ო რ ი ს უ რ თ ი ე რ თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა (კანონთან მათი თანასწორუფლებიანობის პირობები)<sup>17</sup>.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ენობრივი სიტუაციის ზუსტ აღწერას. შესაძლებელია პოლის სქემის მეორე პუნქტი ასე შეივსოს: მჭიდროდ დაკავშირებული სტანდარტიზებული ენა და სხვადასხვა დიალექტი, მჭიდროდ დაკავშირებული არასტანდარტიზებული ენა და სხვა დიალექტები.

ენობრივ სიტუაციასთან დაკავშირებით სტატისტიკის როლზე ყურადღებას ამახვილებს ჰ. პომეიერი<sup>18</sup>.

ენობრივი სიტუაციები ხელს უწყობს ენობრივი სისტემების კონტაქტს. მიზანშეწონილია შევჩერდეთ კონტაქტთა იმ ტიპებზე, რომლებიც ბილინგვიზმს წარმოშობს. გვხვდება ენობრივი სისტემების ორნაირი კონტაქტი — დისტანციური (დისტილური) და პროქსიმალური. დისტანციური ფორმა შორეულია და ხორციელდება მონოლინგვიზმის ვითარებაში. ასეთი კონტაქტის დროს, ენებს შორის მჭიდრო ურთიერთობის არარსებობისას, კავშირი მათ შორის თავს იჩენს თითქმის მხოლოდ ნასესხობაში.

კონტაქტის პროქსიმალური ფორმა ბილინგვიზმის (ან პოლილინგვიზმის) დროს აღინიშნება უშუალოდ ენობრივი კონტაქტისას. ნაირსახეობათა გარდა ამ დროს შეიძლება ერთი ენის მოდიფიკაციები იყოს და ხარისხობრივად სხვა ენობრივი სისტემაც განვითარდეს.

ჩვენს ქვეყანაში კონტაქტებს მთელი რიგი მკვლევრები განიხილავენ. კონტაქტები შესწავლილია როგორც თეორიული თვალსაზრისით, ისევე ცალკეული ენების მასალასთან დაკავშირებით. სპეციალური კვლევის საგანია შემდეგი საკითხები: 1. უშუალოა თუ არა კონტაქტი; 2. როგორია მისი დონე, ისტორიული, კულტურული და მიგრაციული გარემო; 3. კონტაქტის ინტენსივობის ხარისხი<sup>19</sup>.

<sup>16</sup> უ. ვაინრაიხი მოსაუბრეთა რაოდენობის გარდა მნიშვნელობას ანიჭებს ტომებისა და ხალხების გეოგრაფიულ განლაგებას, სტატისტიკას, დემოგრაფიას; იხ. U. Weinreich, Languages in Contact, New York, 1953, გვ. 209.

<sup>17</sup> R. Hall, Bilingualism and applied linguistics: Zeitschrift für Phon. und allgem. Sprachwissenschaft und Kommunikationsforschung, 1952, გვ. 17-22.

<sup>18</sup> H. Homeyer, Observations on bilingualism and language Shift in Italy: Word 13, 1957, №3 გვ. 415-440.

<sup>19</sup> Ю. Д. Дешериев, Н. Г. Корляту, И. Ф. Протченко, Основные теоретические и практические вопросы взаимодействия и взаимообогащения языков народов СССР. ВВЯИ, гв. 20-21.

ვ. როზენცვეიგის თვალსაზრისით, ენათა კონტაქტები შესასწავლია უპირველეს ყოვლისა ლინგვისტური თვალსაზრისით: ამავე დროს სამეტყველო კომუნიკაცია უნდა აღიწეროს განსხვავებული ენების მქონე კოლექტივების კონტაქტისას. როზენცვეიგი არჩევს საკითხს: პრაქტიკულად როგორ უნდა აღვწეროთ ენათა ცვლილება, როდესაც ის საურთიერთო იარაღია სხვადასხვა ენათა წარმომადგენლებს შორის. ამ დროს გაგებინება აუცილებელია, მაგრამ გაასწავლია თითოეულ კონტაქტში მყოფი კოლექტივის „იარაღის“ სპეციფიკურობით. მისი აზრით, უნდა შეიქმნას ამ ცვლილების პროცესის და არა მისი შედეგის მოდელი<sup>20</sup>.

ლ. ბარანიკოვა იხილავს კონტაქტებს საერთოდ, ამავე დროს ხაზს უსვამს სტიქიური და რეგლამენტირებული მომენტების განსხვავებას: ტერმინოლოგიაში კონტაქტები რეგლამენტირებულია, ხოლო გრამატიკული და ფონეტიკური ფაქტები თავისთავადია, სტიქიურია, ცვლილებები ენებში, ამ თვალსაზრისით, თავისუფალი ხასიათისაა. რეგლამენტირებული მომენტები მოიცავს კონტაქტების ისტორიულ შესწავლას, დიფერენციაციას ენათა სისტემებისა და დონეების მიხედვით. მსგავსი სტრუქტურები უფრო მძლავრ კონტაქტს იძლევა, ხოლო სხვადასხვა სტრუქტურის კონტაქტისას შეინიშნება სოციალური მომენტის წინ წამოწევა. უ. ვაინრაიხი არ განარჩევს სტრუქტურათა მიხედვით ენათა კონტაქტებს. საჭიროა დაზუსტდეს ვაინრაიხის სქემა, ლინგვისტური და არალინგვისტური ფაქტორების უფრო მჭიდრო კავშირის გათვალისწინებით<sup>21</sup>.

გარდა კონტაქტების ზოგადთეორიული საკითხების შესწავლისა, ჩვენში უაზროდ წარმოებს ცალკეულ, კონკრეტულად არსებულ კონტაქტთა აღნუსხვა და დამუშავება. მრავალი ნაშრომი მიეძღვნა რუსულის ურთიერთობას ადიღეურთან, მარიულთან, მოლდავეურთან, მონგოლურთან და სხვ.<sup>22</sup> კონტაქტების შემთხვევაში ხშირად მეორე კომპონენტს წარმოადგენს თურქული ჯგუფის ენა (ბაშკირული, თათრული, თურქმენული, ტუვური).

ჩვენი მკვლევრები ძირითად ყურადღებას აქცევენ კონტაქტების იმ ტიპებს, რომელიც წმინდა ორენოვნებას წარმოშობს. ასეთ შემთხვევაში მეორე ლიტერატურული ენისა თუ მეორე ენის დიალექტის ცოდნა აქტიურია და საზოგადოების დიდ პროცენტს მოიცავს. კონტაქტების განხილვისას ამ თვალსაზრისით ანალიზდება ლექსიკური სესხებანი, ტერმინოლოგია, ფონეტიკური და სინტაქსური ცვლილებანი, ეროვნული ენის მეორე ენაზე გავლენა.

კონტაქტები იწვევს ორივე ენის სისტემებში ინოვაციების არსებობას. ამასთან მათი წარმოშობა და განვითარებაც დამოკიდებულია აღნიშნული პროცესის ხანგრძლივობაზე.

კონტაქტისას წარმოიშობა ე. წ. „მესამე ენა“. „მესამე ენის“ პრობლემას ჯერ კიდევ ცნობილი საბჭოთა ენათმეცნიერი ლ. შჩერბა სვამდა. შჩერბა მესამე ენას უწოდებდა „ნარევე ენას“, როდესაც ურთიერთმოქმედი ენების ენობ-

<sup>20</sup> В. Ю. Розенцвейг, Языковые контакты, Ленинград, 1972, с. 5.

<sup>21</sup> Л. И. Бараникова, О языковых контактах: ВВЯН, с. 197-198, 201.

<sup>22</sup> З. У. Блягоз, Области взаимовлияния языков в условиях Адыгейско-русского двуязычия, ПДМ, с. 284. Н. А. Баскаков, Двуязычие и проблемы взаиморозличивания различных уровней при взаимодействии языков, ПДМ, с. 74-82. Н. Г. Корляту, Некоторые вопросы развития и взаимообогащения национальных языков СССР, ВВЯН, с. 119-121.

რეი ერთეულების შინაარსი თანხედება, ორივე ენის გამომხატველობითი ერთეულების შინაარსი თანხედება, ორივე ენის გამომხატველობითი ერთეულები კი შენარჩუნებულია<sup>23</sup>. შჩერბა ვრცლად იხილავს გერმანულ-ლუჟიცური ბილინგვიზმის არეალს. მისი დებულება ანგარიშგასაწევია სხვა კონტაქტების შემთხვევაშიც.

შჩერბასა და ლევეზე<sup>24</sup> დაყრდნობით, უ. ვაინრაიხიც ორი ურთიერთმოქმედი ენის ასეთ დაახლოებას უშეებს<sup>25</sup>. მისი შეხედულებით, თუ არის ინტერლინგვური გაიგივება კონტაქტში მყოფი ენების სისტემებისა, ორენოვანს შეუძლია ორი ნიშანი ისე განიხილოს, როგორც ერთალსანიშნიანი და ორი აღნიშვნის მქონე<sup>26</sup>.

მეორე ენა ბოლომდე ვერ გამოდევნის ძირითად, მშობლიურ ენას<sup>27</sup>. ეს ეტება „მესამე ენასაც“, რომელიც მაგალითად, არაბ ეგვიპტელ ორენოვნებთან არსებობს (მათი მშობლიური ეგვიპტური დიალექტის გვერდით).

როგორც ზემოთ აღინიშნა, გარკვეული ენობრივი სიტუაცია ხელს უწყობს კონტაქტს ორ ენას შორის. კონტაქტის ამ ბინარული ურთიერთობის ერთ-ერთი სახეა ინტერფერენცია. ინტერფერენცია წარმოიშობა ორი ენის ერთობლივი მოქმედების შედეგად<sup>28</sup>.

ენობრივი ინტერფერენციის ზოგადი ფორმულა ასეთია:  $I = A_1 + A_2 + 2A_1A_2$ , სადაც  $A_1$  და  $A_2$  — კონტაქტში შემაჯალი ენების „მოცულობა“  $2A_1A_2$  კი — მათი განსხვავების დონეა;  $I$  იცვლება ენის სისტემის სხვადასხვა ელემენტში. უ. ვაინრაიხის აზრით, ინტერფერენციის მექანიზმი ჩინურსა და ფრანგულს შორის ისეთივეა, როგორც ინგლისური ენის ვარიაციებს შორის კონტაქტის დროს. განსხვავება უნდა ვეძიოთ ფონეტიკასა, გრამატიკასა და ლექსიკაში<sup>29</sup>. ინტერფერენცია ბილინგვიზმის შინაგანი ფაქტორია, იგი თავს იჩენს შემდეგ მომენტებში: სიტყვის ხმარების მცირე სიხშირე, ომონიმია, სიტყვათა გამომხატველი ძალის დაკარგვის ტენდენცია და სინონიმების შეტანის აუცილებლობა სხვა ენიდან.

ინტერფერენცია (ფონეტიკური, ლექსიკური) შეიძლება გაძლიერდეს ან შესუსტდეს. მნიშვნელოვანია ამ მხრივ უ. ვაინრაიხის მსჯელობა არასტრუქტურული ხასიათის შემდეგ ფაქტორებზე, რომლებიც ამ პროცესს ხელს უწყობენ: ა. მოსაუბრის შესაძლებლობა აზრის ზეპირად გამოხატვისა და ორივე ენის დამოუკიდებლად გამოყენებისა; ბ. განსწავლულობის დონე თითოეულ ენაში; გ. სპეციალიზაცია სალაპარაკო თემების გამოყენებაში თანამოსაუბრის საშუალებით, თითოეულ ენაში სპეციალიზაცია; დ. თითოეული ენის შესწავლის მეთოდი; ე. ბილინგვური ჯგუფის სიდიდე და მისი სოციალურ-კულტურ-

<sup>23</sup> О понятии смешения языков: Л. В. Щерба, Избранные работы по языкознанию и фонетике, т. I, Ленинград, 1958, გვ. 48.

<sup>24</sup> R. Loewe, Die Dialektmischung in magdeburgischen Gebiete: Jahrbuch des Vereins für nieder Deutsche Sprachforschung XIV, 1888.

<sup>25</sup> ბინარული ურთიერთობისას კონტაქტების საშუალებით ახალი ენა წარმოიშობა: Languages in contact, გვ. 69.

<sup>26</sup> U. Weinreich, Languages in Contact, New York, 1953, გვ. 9.

<sup>27</sup> Ю. Д. Дешериев, И. Ф. Протченко. Основные аспекты исследования двуязычия и многоязычия: ПДМ, გვ. 40-41.

<sup>28</sup> И. И. Ревзин, Некоторые замечания в связи с дихотомической теорией в фонологии: ВЯ, 1970, №3, გვ. 63.

<sup>29</sup> U. Weinreich, Languages in Contact, გვ. 1-2.

რული ჰომოგენურობა ან დიფერენციაცია; ვ. ორენოვანთა პრევალირება სინტაქტო ურთიერთობაში; ზ. „პრესტიჟის“ მომენტი; თ. განწყობილება ბილინგვიზმის მიმართ; ფსიქოლოგიური მდგომარეობა<sup>30</sup>; ი. დამოკიდებულება ენათა აღრევისა და არაკორექტული საუბრის მიმართ; კ. დამოკიდებულება ორენოვან ჯგუფსა და ორივე ენის წარმომადგენლებს შორის.

ამ სქემაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოცდილებისა და აზრის ზეპირად გამოხატვის მომენტები, აგრეთვე ორენოვანი ჯგუფის სიდიდე. სამივე ეს ფაქტორი „საყოფაცხოვრებო“ ბილინგვიზმის განვითარებას უწყობს ხელს, ამით კი ინტერფერენციის მოცულობაც იზრდება.

ინტერფერენციისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ მაინც ანგარიშგასაწეია „პრესტიჟის“ მომენტი. მაგალითად, არაბულ დიალექტებზე მოსაუბრეებს ზოგჯერ ეუხერხულებათ უცხოელთან საუბრისას დიალექტური ფორმის ხმარება, ცდილობენ, რაც შეიძლება, „ლიტერატურულად“ ისაუბრონ: ასევე ყოველგვარი დიალექტური ჩანაწერები ლათინური ტრანსკრიფციით ხშირად იწვევს არაბთა გაოცებას.

გარდა ჩამოთვლილი ფაქტორებისა, ვაინრაიხი გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს დიფუზიის მოვლენას. დიფუზიის დროს მეორეული სისტემის ფონემებსა და სინტაქსურ მომენტებს ორენოვანი პიროვნება ათანაბრებს პირველად სისტემასთან, ამასთან მთელი გრამატიკული პარადიგმი ერთი ენიდან მეორეში არ გადადის, მაგრამ ხშირია ტრანსფორმირებული სიტყვების ინტერფერენცია და მოცემული ენის გამოთქმებსა და ფრაზებში ფიქსირებული რამდენიმე სიტყვის მეორე ენაში ერთ სიტყვად — „შტამპად“ გაგება, გადასელა<sup>31</sup>. აქვე უნდა ითქვას, რომ ბილინგვიზმისათვის „შტამპი“, ანუ ლექსიკური სესხება, ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ინტერფერენცია.

არასტრუქტურული ხასიათის ფაქტორები და დიფუზია იწვევს ინტერფერენციის მოვლენას საერთოდ, მაგრამ ინტერფერენციის გამოვლენის სპეციფიკა შესასწავლია დანაწევრებულად, ე. ი. ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკურ-სემანტიკურ დონეზე<sup>32</sup>. ამ ელემენტების შესწავლასთან ერთად აუცილებელია ორივე ენის ფუნქციების ზუსტი აღწერა, ძირითადი და მეორე ენის დიფერენციაციით ბინარულ ურთიერთობებში. ბინარული ურთიერთობანი გამოისახება ერთნაირი დამოკიდებულებებით ყველა ენისათვის თუ დიალექტისათვის. ინტერფერენცია, როგორც ბინარული ურთიერთობა, შეიძლება მათემატიკურად განიხილებოდეს. არსებობს მათემატიზაციის შემოტანის ცდაც ლინგვისტიკაში<sup>33</sup>. მაგრამ ამ მეთოდების გამოყენება ჯერჯერობით მნიშვნელოვან შედეგებს არ გვაძლევს.

ინტერფერენცია შედეგია ხანგრძლივი პროცესისა. იგი ენის სხვადასხვა სფეროში სხვადასხვანაირად აისახება. ინტერფერენციის განვითარების პირობას წარმოადგენს ცალმხრივ-ნორმატული ჯგუფური ან მასობრივი ბილინგვიზმი, ე. ი. მშობლიური ენის ნორმათა დარღვევა, ან ორი ენის რეგულარული გა-

<sup>30</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. I. Epstein. La pensée et la polyglossie. Paris, 1915.

<sup>31</sup> U. Weinreich. Languages in Cont; p. 14, 25, 37, 43, 44.

<sup>32</sup> Ю. Д. Дешернев, И. Ф. Протченко, Основные исследования двуязычия и многоязычия. ПДМ, გვ. 28.

<sup>33</sup> ამასთან დაკავშირებით იხ. მაგალითად Ю. А. Шрейдер. Равенство, сходство, порядок, Москва, 1971.

მოყენება. ინტერფერენციის შემთხვევათა ზრდას იწვევს მთელი ფრაზების ან გამოთქმების ადიტიური ხმარება ორსავე ენაზე. ამ „საყოფაცხოვრებო“ ბილინგვიზმის დროს ერთ ენაში იჭრება მეორე ენის რომელიმე სისტემა, ანდა გადადის სიტყვათა შეკავშირების მოდელები. ამრიგად, საქმე გვაქვს ერთი ენის გავლენით მეორე ენაში წარმოებულ ცვლილებებთან. ამ დროს ორსავე ენას თითქმის თანაბარი ფუნქცია აქვს. აღსანიშნავია, რომ მორფოლოგიური სისტემა უფრო ძნელად აღწევს სხვა ენაში, ვიდრე ლექსიკა. თუმცა საამისო შემთხვევები არ არის იშვიათი<sup>34</sup>. ინტერფერენციის დროს ენის მორფოლოგიური სისტემა ყველაზე დიდ გავლენას ახდენს ენის სხვა სისტემაზე. მორფოლოგიური სისტემის შეცვლა იწვევს სხვა სისტემების „რყევასაც“ ან მათი ელემენტების შეცვლას. ცვლილებას განიცდის: 1. წინადადებების სტრუქტურა, 2. ლექსიკა, 3. სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურა, 4. ინტონაცია და სხვ.

მოცემული ენის მორფოლოგიური სისტემის შექრა რომელსავე ენაში ხდება არა უშუალო სესხებით: ნასესხები ელემენტები გარკვეულ ვარიანტებს გვიჩვენებენ, ამა თუ იმ ელემენტის ტრანსფორმაცია შესაბამისი ენის კონკრეტული კანონების მიხედვით მიმდინარეობს<sup>35</sup>.

გავლენას შედარებით ადვილად განიცდის სინტაქსი<sup>36</sup> და ლექსიკა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს: წინადადების წევრთა ფიქსირებული პოზიციის დარღვევა; „ძირითადი“ ენისათვის იშვიათი ფორმების გაცეცელება მსესხებულ ენაში; კავშირებისა და სხვა მსგავსი ელემენტების ფუნქციათა გაფართოება. გარდა ამისა ისიც უნდა ითქვას, რომ ორივე ენის კონტაქტის შედეგად მიღებულ მესამე ენაში გამარტივებულია სინტაქსური კონსტრუქციები. ცხადია, სინტაქსური (ისევე, როგორც ენის სხვა სფეროების) ინტერფერენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა არამონათესავე ენათა ურთიერთობისას. როდესაც საქმე ეხება მონათესავე ენებს. აქ დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული საკუთარი და მეორე ენიდან შემოღული კონსტრუქციების გამოკვლა<sup>37</sup>. სინტაქსური ინტერფერენცია, როგორც ბილინგვიზმის გამოვლენა, ქალაქის მისახლეობაში უფრო მკვეთრად იჩენს თავს, იზრდება ურბანიზაციასთან ერთად<sup>38</sup>.

<sup>34</sup> В. З. Панфилов, взаимоотношение категорий языка и мышления при двуязычии, ПДМ, გვ. 107.

<sup>35</sup> М. Г. Булахов, Особенности интерференции белорусского и русского языков, ПДМ, გვ. 108. Л. И. Баранникова, Сущность интерференции и специфика ее проявления, ПДМ, გვ. 89-90.

<sup>36</sup> Н. А. Баскаков, В. З. Панфилов, М. И. Исеев, Двуязычие и проблемы взаимопроникновения различных уровней при взаимодействии языков: Тезисы научной конференции, посвященной проблеме двуязычия и многоязычия, Москва, 1969, გვ. 15. К. М. Мусаян, Общенародное двуязычие и синтаксис родного языка, გვ. 225. Н. А. Баскаков, Двуязычие и проблемы взаимодействия языков, ПДМ, გვ. 74-82 (здесь дано и описание литературных „стилей“ при двуязычии). В. З. Панфилов, Взаимоотношение категорий языка и мышления при двуязычии, ПДМ, გვ. 108.

<sup>37</sup> М. М. Михайлов, двуязычие и взаимовлияние языков, ПДМ, გვ. 122.

О. С. Ахманова, О психолингвистике, Москва, 1957, გვ. 38.

Д. Ф. Никитенко, об интерференции при усвоении языка и путях ее преодоления: Тезисы докладов на I Съезде общества психолингвистов вып. I, Москва, 1959, 123.

<sup>38</sup> Ю. С. Елисеев, К вопросу о двуязычии в финляндии, ПДМ, გვ. 152.

რაც შეეხება ლექსიკურ ინტერფერენციას, ისიც საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა<sup>39</sup>. ცხადია, ლექსიკური ელემენტების უბრალო სესხებისათვის ბილინგვიზმი არაა აუცილებელი; ორენოვნებისას ხდება ამ ელემენტების სისტემატური შეღწევა. ინტერფერენციის შესახებ მსჯელობისას წამოიჭრა კითხვა: შესაძლებელია თუ არა ინტერფერენციის სრული მოსპობა<sup>40</sup>. დაკვირვებების შედეგად თითქოს დამტკიცდა, რომ დაუძლეველია მხოლოდ ინტონაციური ინტერფერენცია<sup>41</sup>.

რაც შეეხება ფონეტიკურ ინტერფერენციას, ამასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული უ. ვაინრაიხს, რომელმაც შეისწავლა ჰომოგენური ფონემური ფაქტორები. მკვლევარი იხილავს კონკრეტულ სასაუბრო სიტუაციებს, პარადიგმატულ ფაქტორებს. მისი აზრით, მთავარია განმსგავსება გამოთქმასა და სეგმენტურ ფონემებს შორის<sup>42</sup>.

ინტერფერენციის მდგრადობა შეიძლება შემდეგი თანმიმდევრობით იყოს წარმოდგენილი: 1. ინტონაციური და ორთოეპიული; 2. ფრაზეოლოგიური და ლექსიკურ-სემანტიკური; 3. სიტყვათწარმოებითი და მორფოლოგიური. აგრეთვე სინტაქსური<sup>43</sup>.

ჩვენში ინტერფერენცია შეისწავლება როგორც ენათა სტრუქტურების ტიპოლოგიური მსგავსების, ისევე განსხვავებული სტრუქტურების დონეზე. ინტერფერენციის გაანალიზებისას მიჩნეულია, რომ ეს მოვლენა არ არის წმინდა ლინგვისტური; მისი შესწავლისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ფსიქოლოგიური სიტუაცია და სოციოლოგიური ასპექტი. პირველ რიგში დარღვევები მეტყველების ნორმატიულ წესშია, მაგალითად ფონეტიკურ სისტემაში<sup>44</sup>. დამახასიათებელია, რომ ორენოვნების აღმწერ თითქმის ყოველ ავტორს წინა პლანზე ინტერფერენციის მოვლენა აქვს წამოწეული, რომელიც აღწერილია რეტ-ნაკლები სისრულით. ამ მოვლენის აღწერისას ჩვენი ენათმეცნიერები უზრატესობას ანიჭებენ სუბორდინატულ ბილინგვიზმს (ორენოვანი პიროვნება ენებს ფლობს არათანაბრად). კოორდინატული ორენოვნება უფრო იშვიათია. სუბორდინატულ ბილინგვიზმისას შესაძლებელი ხდება ორივე ენის „ურთიერთშეგუების“ მოდელის შექმნა. მაგრამ ეს არ გამორიცხავს კოორდინატული ორენოვნების შესწავლის აუცილებლობას<sup>45</sup>.

<sup>39</sup> А. А. Дарбеева, *Двуязычие в языках и диалектах*, ПДМ, 87, 193.

<sup>40</sup> М. П. Алексеев, *Восприятие иностранных литератур и проблем иноязычия* Труды юбилейной научной сессии, Ленинград, 1946. В. Г. Членов *Афазии, у полиглотов: Изв. АПН. РСФСР, 1948, вып.15*. В. И. Абаев, *О языковом субстрате: Доклады и сообщения Ин-та языкознания АН СССР, 1956, №9*.

<sup>41</sup> М. И. Манусевич, *Введение в общую фонетику*, Ленинград, 1949, 83, 76.

М. М. Михайлов, *Двуязычие и взаимовлияние языков*, ПДМ, 83, 202.

<sup>42</sup> U. Weinreich, *On the description of phonic interference: word* 1957, 13 №1, 23, 10. U. Weinreich, *Lang. in Contact*, §2. 2. U. Weinreich, *Biling. in the Americas, Dial. Soc. of America* 26, 1957

<sup>43</sup> М. М. Михайлов, *Двуязычие и взаимовлияние языков*, 83, 201.

<sup>44</sup> Л. И. Баранникова, *Сущность интерференции и специфика ее проявления* ПДМ, 83, 88-98.

<sup>45</sup> Ю. Д. Дешернев, И. Ф. Протченко, *Основные аспекты двуязычия и многоязычия*, ПДМ, 83, 28-31.

ინტერფერენცია „გაადვილებულ“ სისტემებს იძლევა და ლინგვისტიკის სტატისტიკური მონაცემების გასათვალისწინებლად გარკვეულ ფორმალიზაციის საშუალებას გვაძლევს. ამიტომ ჩვენს ქვეყანაში ვანსაკუთრებული ყუთადლება ექცევა სინტაქსურ ინტერფერენციას, როგორც მთლიან კონსტრუქციას. კოორდინატული ორენოვნების ანალიზისას ხდება სიღრმითი სემანტიკურ-სინტაქსური სტრუქტურების გამოვლენა, რეალიზაციისას კი მსგავსი სტრუქტურა ფორმდება აზრობრივად. ერთი სისტემიდან მეორეზე გადასვლა თანაფარდობათა ძირეული სისტემის დონეზე ხდება<sup>46</sup>. ამ თვალსაზრისით შეიძლება თარგმნის თეორიაც დავეუკავშიროთ ბილინგვიზმის პრობლემებს. თარგმანიც, ამ მხრივ, ბილინგვიზმის ფუნქციონალური სახესხვაობაა<sup>47</sup>.

მთლიანი კონსტრუქციების ერთმანეთთან შეჯერებისას თავს იჩენს ინტერფერენციის დაძლევის სიძნელე, განსაკუთრებით სინტაქსური კალკებისა. მაგრამ როგორც სინტაქსური კალკები, ასევე მთლიანად სინტაქსური ანალიზის პრობლემა შეიძლება ფორმალური მეთოდების გამოყენებით ტარდებოდეს<sup>48</sup>.

თუ სინტაქსური ინტერფერენცია შეიძლება ფორმალიზებული სახით შესწავლებოდეს, ფონეტიკურ-ფონოლოგიური მასალები ძირითადად შეპირისპირების საშუალებით უნდა გაანალიზდეს<sup>49</sup>. საინტერესოა ამ მხრივ ვ. როზენცვეიგის მიერ მოცემული ორენოვანი პიროვნების ფონეტიკურ სისტემათა ცხრილი, რომელიც წარმოადგენს ორი ენის ფონეტიკურ სისტემათა და „მესამე“ ენის სისტემის შედარებას. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ეს სამი სისტემა ადვილად გადადის ერთმანეთში, დიფერენციალური მომენტებით კი „მესამე“ ენის (ანუ „საშუალო სისტემის“) მწყობრ სისტემას ქმნის<sup>50</sup>.

ინტერფერენციის პრობლემა მკიდროდ არის დაკავშირებული ამ „საშუალო სისტემასთან“. აგრეთვე ენისა და დიალექტის ურთიერთობის პრობლემასთან. თვით ეს საშუალო სისტემა, გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება ჩაითვალოს დიალექტად.

გასათვალისწინებელია აქამდე ნაკლებად შესწავლილი პროცესებიც დიალექტის განვითარებაში, როგორცაა: ა. დიალექტი, როგორც საერთო „ენა“; ბ. კილოკავი; გ. კილოკავის ვარიანტი; დ. ცალკე პიროვნებისეული ან სოციალური ჯგუფი „ენა“<sup>51</sup>. ერთიანი სისტემის ყველა ეს ვარიანტი თანაბრად არ გამოიყენება, მაგრამ ეს „სამუშაო დოქტრინები“, რომელსაც მასალას აწვდის ეს ცოცხალი ვარიანტები, საჭიროა ერთიანი ენის მასალის იმ საერთო ფონდისათვის, რომლის დახმარებითაც ვითარდება ენა. წარმოებს მისი დე-

<sup>46</sup> В. Ю. Розенцвейг, Языковые контакты, Ленинград, 1972, гл. 10-12.

<sup>47</sup> Б. А. Ларин. О филологии близкого будущего: Филологические науки, 1963, №1.

<sup>48</sup> А. А. Давитшани, Интерференция, вызванная различием конструкции грузинского и русского предложений, ИДМ, гл. 344-356. Т. II. Лаптев, Структура предложения как выражение отношения между предикативными предметами, Москва, 1967. И. А. Мельчук, Автоматический синтаксический диалог, Новосибирск, 1964.

<sup>49</sup> Ю. Д. Дешериев, Закономерность развития и взаимодействия языков в советском обществе, Москва, 1966, гл. 210-231. Н. А. Баскаков, Двуязычие и проблемы взаимопрошикования различных уровней при взаимодействии языков, ИДМ, гл. 78, 81.

<sup>50</sup> В. Ю. Розенцвейг, Указ. соч., гл. 48.

<sup>51</sup> U. Weinreich, Languages in Contact, гл. 2.

ტულუბის გადანაცვლება, „კომპაქტურობა“, გადატანა ერთი ელემენტისა მეორის სფეროში (ვარიანტების თვალსაზრისით), თვით ენის საბოლოო „პროდუქტის“ განაწილება.

ენის მოქმედების ყველა ამ სფეროში იზრდება მოთხოვნილება ენის განვითარების ინტეგრალური ტენდეციების დამკვიდრებისა, „ცთომილებათა“ (ე. ი. ლიტერატურული ენის) მონაცემის ზრდისა. ამის შედეგად ენაში, „ურთიერთობათა“ თვალსაზრისით, მოქმედებს „პირობების“ შემსუბუქება — ეკონომიურობა, რომლის ერთ-ერთი გამოვლენაა ენის ფორმების ერთგვარი „აეცომატიზაცია“, ე. ი. „შტამპების“ უფრო დიდი მოცულობით გამოყენება.

ენისა და დიალექტის ურთიერთობა ამ მხრივ საკმაოდ რთული მოვლენაა. ზაზი უნდა გაესეას იმ ფაქტს, რომ ზოგჯერ დიალექტი საერთო ენის ფუნქციას ასრულებს. ასე მაგალითად, ეგვიპტური დიალექტი არაბული ენისა, გარკვეულ სიტუაციებში სრულიად დამოუკიდებელი ენის როლში გამოდის, და არა მარტო განიცდის ლიტერატურული არაბული ენობრივი ფაქტების „დაწოლას“, არამედ თვით არანაკლები ძალით მოქმედებს არაბულ ლიტერატურულ ენაზე, გარდა ამისა, არის ამ დიალექტის ისეთი არეალებიც, რომლებიც აქამდე ვითარდებოდა ლიტერატურული ენისაგან თითქმის დამოუკიდებლად, შეიძლება გავითვალისწინოთ ისიც, რომ ლიტერატურული არაბული, ჯერჯერობით მაინც, მხოლოდ თეორიულად არის კამაერთიანებელი არაბული დიალექტების. ერთია ტენდენცია, მეორე მისი განხორციელება. დაახლოებით ასეთივე ვითარებაა სხვა ენებშიც. სავარაუდოა, რომ საერთო სისტემა-ენაში ლიტერატურული ენა და დიალექტები თანაბარნი არიან<sup>52</sup>.

ამასთან დაკავშირებით უნდა შევეხოთ უ. ვაინრაიხის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც საჭიროა ენათა შორის განსხვავება გავითვალისწინოთ და შემდეგი ტიპები გამოვყოთ: 1. „ენები“, 2. „ერთი და იმავე ენის დიალექტები“, 3. „ერთი და იმავე დიალექტის ვარიაციები“ და ა. შ. ყველა ეს ენობრივი ერთეული ამოუწურავია. ასევე ამოუწურავია კონტაქტების რიცხვიც ამ ენობრივ ერთეულებს შორის. ამიტომ შესასწავლ პრობლემათა რიცხვიც დიდია<sup>53</sup>.

როდესაც ორენოვანი პიროვნების მეტყველებას ამ თვალსაზრისით ვეხებით, უნდა შევჩერდეთ ე. წ. ჰიბრიდულ ენებზე<sup>54</sup>. ამ ენათა რიცხვშია „პიჩინ-ინგლიში“ და „ქრუ-ინგლაში“. ჰიბრიდულ ენებს შევიწროებული საგნობრივ-ფუნქციონალური წრე აქვთ; ისინი ძირითადად ვაჭრობის სფეროში გამოიყენება. ხელოვნური ენები შეიძლება ჰიბრიდულ ენებთან ახლოს დაეაყენოთ, თუმცა ესპერანტოც და ინტერლინგვაც (ნაწილობრივ) პოლილინგვიზმის სფეროს ენებიცაა და, გარდა ამისა, ჰიბრიდულ ენებთან შედარებით ლექსიკურ სფეროში მდიდარ მასალას შეიცავენ.

უნდა ითქვას, რომ ხელოვნური ენები სხვადასხვა მნიშვნელობისაა: თუ ესპერანტოზე ზოგიერთ კლასიკოს პოეტთა ნაწარმოებების რამდენიმე ნაწარმოების ბრწყინვალე თარგმანია შესრულებული, ქრუ-ინგლიში მეტად პრიმიტიულია, ზოგ ტომთა ურთიერთობისათვის გამოიყენება; თუმცა დიდი პრაქ-

<sup>52</sup> ვაინრაიხი მეტად ახლო მდგომ ვარიანტებს „დიოლექტებს უწოდებს; დიოლექტებს შორის ურთიერთობაც იმავე რეიზია, რაც ენებს შორის; იხ. Languages in Contact, გვ. 2, გვ. 3.

<sup>53</sup> U. Weinreich, Languages in contact, გვ. 1.

<sup>54</sup> В. З. Паишилов, Взаимоотношение категорий языка и мышления при двуязычии, გვ. 109.

ტიული მნიშვნელობა აქვს ადამიანთა გარკვეული ჯგუფებისათვის, ზოგჯერ მთელი ტომებისათვის.

„პრაქტიკული მნიშვნელობის“ მომენტი ენას შესწავლის ერთ-ერთი კრიტერიუმია. ამის კვალობაზე შეიძლება აღინიშნოს „ზუსტ მეცნიერებათა ბილინგვიზმი“, როდესაც ტერმინები მოიძებნება მეორე ენაზე, მაგრამ პრაქტიკულად დამხმარე ენას მიმართავენ. ამ სახის ბილინგვიზმი წარმოიშობა სამეცნიერო, პროფესიულ და სხვა სპეციალური ინფორმაციის გაცვლისას<sup>55</sup>.

ასეთია, ზოგადად, ენისა (მათ შორის „ხელოვნურის“) და დიალექტის ურთიერთობა, რომელიც ბილინგვიზმის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია.

აღვნიშნეთ რა ბილინგვიზმის ტიპები, მისი გამოვლენის მთავარი სახე — ინტერფერენცია, როგორც ორენოვნების ლინგვისტურად შესწავლის მთავარი საშუალება, უნდა განვიხილოთ, რა ასპექტით შეიძლება კიდევ ბილინგვიზმის შესწავლა. აქ შეიძლება ორი ასპექტის დასახელება — სოციოლოგიურისა და პედაგოგიურის.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ლინგვისტური ასპექტი იხილავს სტრუქტურულსა და მათი ელემენტების ურთიერთმოქმედებას. ბილინგვიზმი იკვლევს რა მართო ურთიერთობას ენობრივ სფეროში, ახ ინდივიდის ორენოვნებას, რამდენ ვარკვეული კოლექტივის ორენოვნებას (ე. ი. სოციალური ჯგუფის, ხალხის ნაწილის, აგრეთვე მთელი ეროვნების)<sup>56</sup>. ამრიგად, ბილინგვიზმი სოციოლოგიური პრობლემაცაა<sup>57</sup>.

სოციოლოგიური თვალსაზრისით ბილინგვიზმს განიხილავენ ა. რეიცაკი, ი. დეშერიევი, პ. დენსოვი და სხვები<sup>58</sup>.

ა. რეიცაკის მიხედვით, ბილინგვიზმი სოციოლინგვისტიკის, როგორც ენების საზოგადოებრივი არსებობის და განვითარების შესახებ მეცნიერების, ობიექტია. ამ თვალსაზრისით ენის შესწავლისას ყურადღება ექცევა სხვადასხვაგვარ დოკუმენტაციას, საარქივო და სხვა მასალებს. გამოიყენება სოციალურ-ლინგვისტურ მოვლენებზე სისტემური დაკვირვებისა და ანკეტირების, სოციომეტრიის მეთოდები<sup>59</sup>.

სოციოლოგიური ზუსტი კვლევის აუცილებლობაზე მიუთითებენ ვ. მაკეი, ე. გალეა, ჯ. ფიშმანი, პ. მასლოვი და სხვები<sup>60</sup>.

<sup>55</sup> А. И. Полторацкий, О терминологическом двуязычии, ПДМ, гл. 176.

<sup>56</sup> Ю. Д. Дешериев, Закономерности развития и взаимодействия языков в советском обществе, Москва, 1966.

<sup>57</sup> ბილინგვიზმი ფსიქოლინგვისტიკის ობიექტია, რადგანაც ის არ შეიძლება შეისწავლებოდეს პირველსა და მეორე ენაზე ინფორმაციების კოდირებისა და დეკოდირების პროცესისაგან მოწყვეტით, რომელიც ტარდება ადამიანთა ენობრივი ურთიერთობისას; გარდა ამისა, ბილინგვიზმი — ეთნოლინგვისტიკის ობიექტია, რადგანაც თითოეულ ენას ახასიათებს მშველადი ერთეულების კლასიფიკაციის საშუალებათა სხვადასხვაობა.

<sup>58</sup> А. К. Рейцак, Двуязычие как социолингвистическая проблема; ПДМ, гл. 318-321. И. П. Денсоев, Социолингвистика как наука об общественном существовании и об общественных условиях развития языка: Русский язык в школе, 1967, №6, гл. 12. Ю. Д. Дешериев, Проблемы функционального развития языков и задача социолингвистики: язык и общество, Москва, 1968, гл. 80. В. П. Ярцев, О методах анализа языка; Теоретические проблемы советского языкознания, Москва, 1964.

<sup>59</sup> А. К. Рейцак, Двуязычие как социолингвистическая проблема ПДМ, гл. 318;

<sup>60</sup> W. F. Mackey, Language Teaching Analysis, London, 1965. E. L. Galea, 55 Progressive Test in English, Glasgow, 1963. П. Маслоу, Статистика и её роль в конкретно-социологических исследованиях: Вопросы организации и методики конкретно-социологических исследований (ВОМКСИ), Москва, 1963.

ჯ. ფიშმანის აზრით, ფსიქოლოგების, სოციოლოგებისა და ლინგვისტების მეთოდები სოციოლინგვისტებისათვის მიუღებელია. ფსიქოლოგები და ლინგვისტები უშვებენ არაკონტექსტუალური ტიპის წმინდა ბილინგვიზმის შესაძლებლობას; სოციოლოგები იხილავენ დიდ სოციალურ დაჯგუფებებს და მათ ანკეტირებას, ფიშმანის მიხედვით, ენები კი არ არიან კონტაქტში, არამედ ინდივიდუუმების ჯგუფები<sup>61</sup>. ამით ავტორი მეტად ზღუდავს სოციოლინგვისტიკის პერსპექტივებს.

ფიშმანის თვალსაზრისი ცალმხრივია. სხვა მკვლევრები, იღებენ რა ფაქტურად მის მიერ ბილინგვიზმის შესწავლის მეთოდოლოგიას, გამოდიან იმ ვარაუდიდან, რომ მხოლოდ ლინგვისტური მიდგომა ბილინგვიზმისათვის მანუა ასეობია ჯ. სპენსერი, ლე პაეი, რ. პალი.

ჯ. სპენსერი აღნიშნავს, რომ ენათა ფუნქციებს ისეთივე ყურადღება არ ექცეოდა, როგორც სტრუქტურას. განსაკუთრებით ნაკლებადაა შესწავლილი ენის სოციოლოგიური ფუნქცია<sup>62</sup>. სხვა მკვლევართაგან უნდა აღინიშნოს ვაინრაიხი, ჰაუგენი, ჯოუნსი. უ. ვაინრაიხი აღნიშნავს, რომ ბილინგვიზმისათვის მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის რაოდენობას, სტატისტიკურად შეფასებულს. მისი სიტყვით, ბილინგვიზმი ერთგვარი ხიდია მონათესავე ენათა ჯგუფისათვის<sup>63</sup>.

ჯოუნსი, ბარლინგი, ო'დოჰერტი ხაზს უსვამენ ბილინგვიზმის შესწავლის აუცილებლობას სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში და ბილინგვიზმის მნიშვნელობას ამ ასაკობრივი ჯგუფებისათვის. ბარლინგის მიხედვით, ორენოვანი ბავშვი შესწავლისას განსაკუთრებული სიზუსტით უნდა ვიხილავდეთ განსხვავებულ ენათა გრამატიკულ სტრუქტურებს შორის და სიტყვათწარმოებას<sup>64</sup>. მიუხედავად ლექსიკის შედარების გარკვეული უგულვებელყოფისა, ბარლინგს ზემოდასახელებული ნაშრომი შეიძლება არა მარტო სოციოლინგვისტურ, არამედ პედაგოგიური ასპექტით ბილინგვიზმის შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მასალად ჩაითვალოს.

პედაგოგიკის თვალსაზრისით ბილინგვიზმს იხილავს მრავალი სხვა ავტორი: ვ. ლეოპოლდი<sup>65</sup>, პერი-ვილიამსი, ბერკი, დერსი და სხვ.<sup>66</sup> ფუნდამენტურ ნაშრომად ითვლება მოკეს წიგნი<sup>67</sup>.

ჩვენში პედაგოგიური ასპექტი მასალად ძირითადად იყენებს სუბორდინტური ორენოვნების მონაცემებს. გამოყენებულია შედარებით-ტიპოლოგიური მეთოდი. ყველა ეს ნაშრომი პრაქტიკული ხასიათისაა, თუმცა ჩვენში, მასალის ფიქსაციის გარდა, გარკვეულ განზოგადებებსაც ვხვდებით<sup>68</sup>. მასალის სიმდიდრით საინტერესოა ჯ. მორისონის სტატია, რომელშიაც შოტლანდიისა და უელსის მაგალითზე აღნიშნულია, რომ ბილინგვიზმის განვითარებისათვის

<sup>61</sup> J. Fishman, Sociolinguistic perspective on the Study of bilingualism: Linguistics, 1968, 39, 31. 21-46.

<sup>62</sup> J. Spencer, Language and independence, Cambridge, 1963, გვ. 26.

<sup>63</sup> U. Weinreich, Functional aspects of Indian bilingualism, Word, 1957, 13, №1.

<sup>64</sup> R. Burling, Language Development of a Garo and English speaking child, Word, 1959, №1, გვ. 45-68.

<sup>65</sup> W. F. Leopold, Speech Development of a bilingual child, Evanston, Illinois, 1939-1941, 2, გვ. 417.

<sup>66</sup> W. R. Jones, A critical Study of bilingualism and nonverbal intelligence, 1939.

<sup>67</sup> Mocaer, Enseignement bilingue du pays de Galles, 1905.

<sup>68</sup> იხ. დეშერიევის, ერშოკას სტატიები, კრებულში ИДМ.

ნიადაგის შესაქმნელად მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ეკონომიურ ფაქტორებს, აგრეთვე იმას, თუ სად ცხოვრობს ბავშვი, ქალაქში თუ სოფელში<sup>69</sup>. პედაგოგიური ასპექტის ბიბლიოგრაფია ვრცელია<sup>70</sup>.

პედაგოგიურ ასპექტთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგერთ მკვლევარს მიაჩნია, თითქოს მშობლიური ენა ხელს უშლის ორენოვნების განვითარებას (ი. გრუზინსკაია, ა. ლიუბარსკაია, გრიგორიევი, ისაევი, ვ. ავრონინი)<sup>71</sup>. სხვა მკვლევრები დიამეტრულად საწინააღმდეგო პოზიციებზე დგანან და ფიქრობენ, რომ მშობლიური ენა, როგორც პირველადი, ხელს უწყობს მეორე ენის სწრაფ შეთვისებას (შჩერბა, სოვეტკინი, ვიგოტსკი, მიხაილოვი)<sup>72</sup>.

შეიძლება ითქვას, რომ პედაგოგიური ასპექტი მკიდრო კავშირშია ორენოვნების შესწავლის ლინგვისტურსა თუ ფსიქოლოგიურ ასპექტთან (ეს კავშირი ჩანს სინტაქსურ ინტერფერენციაში).

საერთოდ, ორენოვნების სხვა ასპექტებიც ურთიერთთან მკიდრო კავშირშია. ამიტომ აუცილებელია ორენოვნების სხვადასხვა თვალსაზრისით შესწავლა, მისი კომპლექსური ანალიზი. ენობრივი მასალა უნდა ანალიზდებოდეს სრულად, „ექსპერიმენტის“ შედეგად ეს მასალა მოგვცემს იდენტობის გარკვეულ პროცენტს ან ცთომილების შესაბამის რიცხვს ორი ენობრივი „ორგანიზმის“ შედარებისას. ენათა შედარებისას, შესწავლილი დეტალები უნდა ნცირე და საშუალო „პარტიებად“ აღირიცხებოდეს და შემდგომ სრულად განალიზდეს. შტამპირება ანუ „ავტომატიზმი“ აქ ისეთ მასალებშია, როგორიცაა ლექსიკონები, ნაბეჭდი მასალები, ზეპირი მეტყველების ნიმუშები (რაიმე მეთოდით ჩაწერილი)<sup>73</sup>.

შტამპირება ცოცხალ ენას და მის სისტემას მხოლოდ ცალმხრივად ასახავს. იგი მისი მოღეულია. თითოეული ენისათვის შეიძლება ორიგინალური ბილინგვური მოღეულის შექმნა, თუმცა მისი „სქემის“ ძირითადი სახე ყველა ენისათვის ერთია.

ენის ეკოლოგიიდან ლინგვისტიკისათვის პირველ რიგში თვით ლინგვისტური „სქემის“ გაანალიზებაა აუცილებელი. ე. ი. „კონკრეტული“ კონტაქტური მასალა LxD (სტანდარტული ენა და მისი ეკვივალენტი — დიალექტა, მაღალი ურთიერთმოქმედება).

<sup>69</sup> J. R. Morrison, Bilingualism, some psychological aspects. London, 1958.

<sup>70</sup> General linguistics, Lexington, 1955. 1. 1-9. A bibliography and guide, Amer. Dial. Society 1957, 26. U. Weinreich, Languages, in Contact. New York, 1953.

<sup>71</sup> Е. И. Ершова, О некоторых формах лингвистической интерференции и о возможности их использования в методах преподавания, ПЛМ, гв. 134. И. А. Грузинская, Критика книги Эмштейна, „Мысль и многоязычие“: Иностран. языки в сов. школе, Москва, 1929.

<sup>72</sup> Л. В. Шерба, О понятии смешанных языков: Избр. работы по языкознанию и Фonetике. т. I, Ленинград, гв. 49.

<sup>73</sup> შესაძლებელია ორი გზა: 1. დიფერენციაციის ზრდის გაანალიზება და ენათა დიფერენცია; 2. ენათა კონვერგენცია.

## ცნობები და შენიშვნები

გიორგი შაყლაშვილი

### საიათნოვას ქართული ლექსების ტექსტოლოგიური შესწავლისათვის

საიათნოვას ქართული ლექსების ტექსტოლოგიური შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა მ. რაფაეამ<sup>1</sup>. მკვლევარმა აშულის ქართული ლირიკის ვარიანტების ურთიერთშეჯერებისა და ფილოლოგიური კვლევის მეშვეობით არაერთი შერყვნილი თუ უზუსტო სტრიქონი შეასწორა. მაგრამ, იმის გამო, რომ საიათნოვას პოეტურმა მემკვიდრეობამ ჩვენამდე მეტად დეფექტური სახით მოაღწია, ხოლო მისი ტექსტოლოგიური კვლევა ჩვენში ჯერჯერობით მხოლოდ შემთხვევით ხასიათს ატარებს, სრულიად ბუნებრივია, გარკვეულ პერიოდში მაინც, აშულის ლექსების ესა თუ ის ბუნდოვანი და დამახინჯებული ადგილი სხვადასხვაგვარად იქნეს წაკითხული და აღდგენილი. ამიტომ თავს ნებას მიეცემთ, გამოეთქვათ ჩვენი მოსაზრება ზემოაღნიშნულ შრომაში მოცემული ორი შესწორების შესახებ.

1. ლექსში „კოკობო, ძუძუთ გაზრდილო“ მეოთხე სტროფის მეოთხე სტრიქონი ბუნდოვანია: „ნაშენი სალბი სადაფით თურისაგან ლამაზი ხარ“.

მკვლევარ მ. რაფაევას სამართლიანი შენიშვნით, ვარიანტულ სხვაობას ქმნის „თუ რისაგან“ და ხელნაწერის „თურისაგან“, რაც ტექსტს სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებს. გამოცემაში „თუ“ კავშირის, ხოლო „რისაგან“ ნაცვალსახელის რაღშია წარმოდგენილი. სტატიის ავტორის აზრით აქ მოსალოდნელია არა კავშირი და ნაცვალსახელი („თუ რისაგან“), არამედ არსებითი სახელი, კონკრეტულად კი სომხური სიტყვა „თური“, რაც ნიშნავს „მახვილს“, „ხმალს“, „ხანჯალს“. იგი სავსებით შეესაბამება ლექსის დანარჩენი ტაქების სარითმო სიტყვებს — „ეურისაგან“ (1), „ჭურისაგან“ (2), „ქურისაგან“ (3), „სურისაგან“ (4), „ჭურისაგან“ (6). ჩასწორების შემდეგ ზემოაღნიშნული სტრიქონი ასე წარმოგვიდგება: „ნაშენი სალბი სადაფით თურისაგან ლამაზი ხარ“ — ე. ი. სალბითა და სადაფით მოკვდილ მახვილზე, ხანჯალზე, ხმალზე ლამაზი ხარო.

სტრიქონში საკამათო სიტყვა რომ არსებით სახელს წარმოადგენს და არა კავშირსა და ნაცვალსახელს, სავსებით ლოგიკური და დამაჯერებელია. ამ ფორმით გვხვდება იგი სსრკ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდშიც — E131: E23. რაც შეეხება სიტყვის სემანტიკას, ვფიქრობთ, იგი საძიებელია არა სომხური ენის ლექსაკურ ფონდში, არამედ — არაბულში.

საიათნოვას ქართულ ლექსებს დაკვირვებით თუ გადავიკითხავთ, ადვილი შესამჩნევია, რომ აშულის უპირატესად სარგებლობს სპარსულ-არაბული ლექ-

<sup>1</sup> მ. რაფაეა, საიათნოვას ქართული ლექსები (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდების ნიხედვით), მრავალთავე, თბ., 1971.

სიკით. გარდა ამისა, აღმოსავლურ პოეზიაში ალბათ ძალიან ძნელი იქნება მოჩვენოს ამგვარი პოეტური სახე — სატრფოს სილამაზის აღსანიშნავად პოეტს მოქედელი იარაღი გამოეყენებინოს. ამ მიმართებით აღმოსავლურ მხატვრულ სიტყვას საკმაოდ გარკვეული პოეტური სალარო გააჩნია და უმეტესად იხმარება: მცენარეულობა, მნათობები, ძვირფასი ლითონები თუ ქვები.

ვფიქრობთ, აქ უნდა გვექონდეს არაბული წარმომავლობის სიტყვა, რომელიც სპარსულში კა — „ღორ“, ხოლო აზერბაიჯანულში *күрп* სახით გვხვდება. იგი ნიშნავს „მარგალიტს“, „ძვირფას ქვას“<sup>2</sup>.

მოსალოდნელია, გადამწერმა არ იცოდა აღნიშნული სიტყვა, ვერ გაიგო რას ნიშნავდა „ღურისაგან“ და ხელნაწერში მივიღეთ „თუ რისაგან“. ამ მოსაზრებას ამაგრებს შემდეგი ფაქტიც: მარგალიტის სახეობებს სპარსული ენა წისთვის საკმარის განმასხვავებელ ლექსიკურ ერთეულებს აკუთვნებს. ერთ-ერთ ასეთ სახეობას სპარსულში ეწოდება „თურ“, ე. ი. „ღურ“-ის ყრუ ვარიანტი. ასეთ შემთხვევაში უფრო მოსალოდნელია „თუ რისაგან“ მიღებული იყოს გადამწერის შეცდომის შედეგად.

აღდგენის შემთხვევაში გვექნებოდა: „ნაშენი სალბი სადაფით თურისაგან — ღურისაგან ლამაზი ხარ“ — ე. ი. სალბითა და სადაფით ნაშენი, შემკობილი, ძვირფას ქვაზე, მარგალიტზე ლამაზი ხარო.

ანალოგიურ შედარებიანი, მხატვრული სახეები, ჩვეულებრივია აღმოსავლურ-აშუღური პოეზიისათვის და საიათნოვასათვისაც დამახასიათებელია.

ჩვენი მოსაზრების პარალელურად შესაძლოა მოვიყვანოთ ახსნის სხვა ვარიანტი, რომლის მიხედვითაც საძიებელი სიტყვა იყოს არა *کار* — „ღურ“, „თურ“ („მარგალიტი“, „ძვირფასი ქვა“), არამედ *تورا* „თურა“ (ბაფთაზე აბმული და შუბლზე გასაკრავი სამკაული, რომელსაც ქალები ატარებდნენ)<sup>3</sup>. ფონეტიკურად ეს უკანასკნელიც გამართლებულია: ჯერ ერთი, თავკიდური ყრუ „თ“ თანხმოვანი შენახულია, „ღურ“ ლექსემაში კი „ღ“-ს დაყრუება ჩიულოდნელია: მეორეც, შინაარსობრივი, კონტექსტური მხარეც აბსოლუტურად ესადაგება: სალბითა და სადაფით ნაშენი სამკაულზე ლამაზი ხარო, — ეუბნება აშუღი სატრფოს.

მაგრამ ჩვენ შესწორების ამ ვარიანტზე საბოლოოდ არ შევჩერდით და პარალელურად პირველი მოსაზრებაც დავტოვეთ იმიტომ, რომ მასაც აქვს თავისი ძლიერი მხარე: კერძოდ ეს არის ის უტყუარი და უდავო ფაქტი, რომ აშუღური პოეზია საზოგადოდ და საიათნოვა კონკრეტულად ბაძავს კლასიკურ ლიტერატურას, ხოლო ამ უკანასკნელისათვის ზემოაღნიშნული პოეტური სახე (მარგალიტი სატრფოს სილამაზის აღსანიშნავად) უფრო ბუნებრივია.

ვიმედოვნებთ, რომ საიათნოვას ქართული ლექსების შემდგომი ტექსტოლოგიური მუშაობისათვის წარმოდგენილი ვარიანტები უსარგებლო არ იქნება.

2. ლექსის „ბალი ბუღბულით ავსილა“ რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ჩვენს ინტერესს იწვევს ლექსის პირველი სტროფის მესამე სტრიქონი, რომელთა ვარიანტული სხვაობა ასე გამოიყურება: ა. „უცხო ხარობს იასამანი, ღირს ვაზიც არ აკლია“ (ვ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის

<sup>2</sup> Б. В. Миллер. Персидско-русский словарь. Москва, 1953. X. А. Азизбеков. Азербайджанско-русский словарь. Баку, 1965.

<sup>3</sup> Türkiyede Halk Ağzından Söz Derleme Dergisi, c. 3, İstanbul, 1947.

ფონდი H—1999); ბ. „უფრო ხარობს იასამანი, ძირს არაზი არ აკლია“ (სსრკ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ხელნაწერთა ფონდი H—21); გ. „უცხოვრ ხარობს იასამანი, ძირსა ვაზიც არ აკლია“ („ივერია“, 1877, № 30); დ. „უცხოვრ ხარობს ასამანი, ძილს სარაზი არ აკლია“ (საიათნოვას ქართულ ლექსთა გამოცემები).

უდავოა, რომ გამოცემებში აღნიშნული სტრიქონები აშკარად დამახინჯებულია, ნათელია მათი კონტექსტური შეუსაბამობა. იგი შენიშნა გამოკვლევის ავტორმა, აღნიშნა ეს შეუსაბამობა და მის გასასწორებლად თავისი აზრი წარმოადგინა. მ. რაფაევამ სწორად მიიჩნია №—1999 ხელნაწერის ტექსტი. იგი წერს: «გაუგებარია, რას ნიშნავს გამოცემის „ძილს სარაზი არ აკლია“? ეს ფრაზა კონტექსტში, სადაც ბაღსა და ყვავილებზეა ლაპარაკი, სრულიად უადგილოდ გამოიყურება... ამიტომ ეს სტრიქონი უნდა გასწორდეს ამ სახით: „უცხო ხარობს იასამანი, ძირს ვაზიც არ აკლია“».

მართლაც, H—1999 ხელნაწერის ფრაზა გამოცემულ ტექსტთან შედარებით უფრო შინაარსიანია, თუმცა კონტექსტური წინააღმდეგობა მოხსნილი მაინც არ არის. ლაპარაკია სარინთმო „ვაზის“ შესახებ. საქმე ის არის, რომ „ვარდბულბულიანის“ პოეზიაში ვაზი არავითარ როლს არ ასრულებს, ვარდისა და ბულბულის სამყაროში ვაზი ასახვას ვერ პოულობს. აღნიშნული პოეზიის განუყრელი კომპონენტებია: ვარდი, ია, იასამანი, ნარგიზი, ყაყაჩო და სხვ. ვაზი ვხვდებით, ან შეიძლება შეგვხვდეს, ე. წ. „ლხინის სიმღერებში“, რომელსაც არაბულ-სპარსულ პოეზიაში თავისი კუთვნილი ადგილი უკავია, მაგრამ, ვიმეორებთ, „ვარდბულბულიანის“ პოეზიისათვის ვაზი არ არის დამახასიათებელი.

სხვათა შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ერთი ლამაზი ლეგენდა, რომლის შემოკლებული შინაარსი ასეთია: წინათ ვაზი და ბულბული მეგობრობდნენ. შემოჭდებოდა ბულბული ვაზზე და გალობდა, ვაზი კი ცრემლად იღვრებოდა. ერთხელაც გალობით გატაცებულმა ბულბულმა ვერ გაიგო, ფეხებზე როგორ შემოეხეია ატირებული ვაზის კავები. ვანთიადისას ბულბული გამოფხიზლდა, გაფრენა მოინდომა, მაგრამ მიბმული აღმოჩნდა და მოკვდა. ეს იყო და ეს... მას შემდეგ ბულბულის მოდგმამ შეიძულა ვაზი და ვენახი. აღარ ეკარება მას<sup>4</sup>.

ლეგენდა ლეგენდაა, მაგრამ არსი მაინც საინტერესოა — ბულბული ვაზზე არ გალობს, არ ეკარება მას. ეს რეალური მოვლენა ასახულია ლიტერატურაშიც. პოეზიაში ვაზზე მომღერალი ბულბული არ გვეგულება, არც მისი საახლოვეა მოსალოდნელი.

ჩვენი აზრით, აღნიშნულ სტრიქონში „ძირს ვაზი“ კი არ უნდა გვექონდეს, სადაც „ძირი“ ადგილის გარემოებაა და მიუთითებს მიწას, ადგილს, არამედ არსებითი სახელი მიცემით ბრუნვაში და იგულისხმება იასამნის ძირი, ღერო. ეს აზრი გამომდინარეობს ლენინგრადის ხელნაწერის შესატყვისი სტრიქონიდან.

სადაც „ვაზის“ მაგიერ „არაზია“. أرض<sup>5</sup> — არაბული წარმოშობის ლექსი. ეური ერთეულია, მრავალ მნიშვნელობას მოიცავს, მათ შორის ნიშნავს „მა-

<sup>4</sup> ხალხური სიბრძნე, III, თბილისი, 1964, გვ. 245.

<sup>5</sup> Баранов, Арабско-русский словарь, М., 1963; М. А. Гаффаров, Персидско-русский словарь, т. 1, М., 1918; Ягелло, Персидско-русский словарь, Ташкент, 1916; شامی، قاموس ترکی، سعادت، ۱۳۱۷.

წას“. „ნიადაგს“<sup>6</sup>. ჩვენთვის საინტერესო სტრიქონს კი მივსადაგება „მიწის“, „ნიადაგის“ მნიშვნელობა.

სტრიქონი ასე უნდა გავიგოთ: იასამნის ძირს, ღეროს არ აკლია მიწა, ნიადაგი, პოხიერება, საზრდო, ის აუცილებელი, რომ იასამანმა „უცხოდ იხაროს“. ამ მოსაზრებას ამაგრებს სიტყვა „ნიადაგის“ განმარტებაც: „დედამიწის ქერქის ზედა შრე, რომელშიც მცენარე ფესვებს იდგამს და რომელიც მის საკვებ მასალას შეიცავს“<sup>7</sup>.

სხვათა შორის სიტყვა „ვანო“ რომ შემდეგ, გადამწერის მიერ უხეიროდ არის შეცვლილი, ისიც ადასტურებს, რომ სტრიქონში ლექსს მარცვალი აკლდება. „უცხოდ ხარობს იასამანი, ძირს ვაზიც არ აკლია“ — ლექსი თექვსმეტმარცვლიანია, ამ სტრიქონში კი ერთი მარცვლით ნაკლებია.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, სტრიქონი ლენინგრადის ხელნაწერის მიხედვით უნდა აღდგეს: „უცხოდ ხარობს იასამანი, ძირს არაზი არ აკლია“.

3. „მტკვარო ამღვრეულო, არაზიანო“ — მესამე შენიშვნა თუ მცირე ექსკურსი ეხება საიათნოვას იმ ლექსს, რომელიც აღნიშნული სტრიქონით იწყება. ეჭვს იწვევს სიტყვის „არაზიანოს“ ტრადიციული გაგება, რომლის მიხედვითაც „არაზი“ მდინარე არაქსია და რომელიც აღმოსავლეთის ქვეყნებში არაზად გამოიქმის. საიათნოვას ქართულ ლექსთა გამოცემებში ასეა განმარტებული — არაზი მდინარე არაქსია, მტკვრის მარჯვენა შენაკადიო. ეს სიტყვა, რომ განსამარტ სიტყვანში მოექცა და ზემოთქმული განმარტება მიეცა, ვფიქრობთ, უშუალო კავშირში იმყოფება ზ. ჭიჭინაძის ერთ მეტად საექვო და დაუსაბუთებელ ინფორმაციასთან, რომელიც მან გაზეთ „დროების“ 1878 წლის № 119-ში მოათავსა.

ზ. ჭიჭინაძის ცნობით, სპარსეთის ყვენმა ერეკლეს შიკრიკი გაუგზავნა — საომრად მოვდივარ და დამხვდით. დაღონებულ ერეკლესთან სალამურით ხელში შესულა საიათნოვა, დაუკრავს და დაუმღერებია ლექსი — „მტკვარო ამღვრეულო, არაზიანო“, „რომელშიაც ალეგორიის სახით გამოუხატავს მეფე ერეკლე (მტკვარი) ნაღვლიანი სახით და მისი მოსაზღვრე სპარსეთი მღ. არაზი (არაქსი)“<sup>8</sup>.

ერთსეულ ჩვენ ვწერდით, ეს მეტად გულუბრყვილო თქმულებაა და თვით ლექსი წინაარსით არ ადასტურებს იმას, რომ იგი მეფე ერეკლესთან დაკავშირებით იყოს დაწერილი<sup>9</sup>. უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ლექსის ალეგორიულობაც ულოგიკოა. არაზი — არაქსი მტკვრის შენაერთი ტოტია და ალეგორიულად გააზრებულ ლექსში ისიც იქნებოდა გათვალისწინებული, რომ შენაკადი მდინარეს ასე ძლიერად ვერ „ამღვრევდა“ — დააღონებდა, როგორაც იყო მტკვარი — ერეკლე.

გვგონია, რომ ლექსში მდინარე არაქსი თუ არაზი არ უნდა იგულისხმებოდეს. აქ „ამღვრეულოს“ სინონიმური სიტყვა უფრო მოსალოდნელია, რაც ჰოეტური თვალსაზრისითაც გამაროლებულია. სიტყვა „არაზი“ — Arax — ნი-

<sup>6</sup> იქვე.

<sup>7</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, თბ., 1958.

<sup>8</sup> გაზ. „დროება“, 1878, № 119.

<sup>9</sup> გ. შაყულაშვილი. საიათნოვას აზერბაიჯანული ლექსები თეიმურაზისეული დავთრის მიხედვით, თბილისი, 1970, გვ. 132—133.

შნაყს „წყალდიდობას“, „ადიდებას“, „ნაპირებზე გადმოსვლას“, „აქაფებას“<sup>10</sup>. ასეთ შემთხვევაში სტრიქონის გააზრება ამგვარი იქნება: მტკვარო ამღვრეულო, ადიდებულო, აქაფებულო, ნაპირებიდან გადმოსულო.

ჩვენ მიერ მოცემული შესწორების საპირისპიროდ შესაძლოა მოხმობილ იქნეს საიათნოვას ერთი სომხური ლექსი, რომელშიც აშული ამბობს — „მღელვარე ვარ ზღვასავით, გაგიყებული — არაზივით“, სადაც არაზი რომ მდინარეა. არავითარ ეჭვს არ იწვევს<sup>11</sup>. მაგრამ ხაზი უნდა გაესვას იმ მომენტს, რომ აღნიშნული სტრიქონი საიათნოვას სჭირდება თავისი სულიერი მდგომარეობის გამოსახატავად. ერთი მხატვრული სახე — მღელვარების აღმნიშვნელი — მონახულია — ეს არის ზღვა! იგი ზოგადი პოეტური სახეა იმიტომაც, რომ ზღვისთვისება ალბათ ძირითადად მაინც ერთია — იგი ყველაგან ღელავს ან დამშვიდებულია. მეორე მხატვრული სახე, რომელიც ასახავდა აშულის თავშეუკაეებლობას, დაუოკებლობას, — მდინარეა. მაგრამ ყველა მდინარეს ხომ ერთნაირითვისება არ ახასიათებს? მთის მდინარე აქაფებულია, გიყია, ბარისა — მღორე, მშვიდი. ამ ვითარებაში საიათნოვა კონკრეტულ პოეტურ სახეს ქმნის და სასურველი სურათის შესაქმნელად მიმართავს მთის მდინარე არაზს. ერთი, რომ შინაარსობრივად და პოეტურ-სახობრივად გამართლებულია, მეორეც — აღნიშნული ლექსის სარიტმო სიტყვებს: „გულგაზივით“, „ნაზივით“, „შაპანდაზივით“. „საზივით“ — შეერთდება „არაზივით“.

ჩვენი შენიშვნის შემთხვევაში კი როგორი ანალოგია უნდა მოვძებნოთ: მტკვარი იმიტომ არის ამღვრეული, ადიდებული, რომ არაზი ერთვის, არაზინია? ანალოგიის შესახებ ზემოთ ითქვა, აქ კი აღვნიშნავთ, რომ საიათნოვასთვის, თბილისელი აშულისათვის მტკვრის პოეტური აღქმა სადღაც თბილისიდან ასეული კილომეტრის იქით ვერ იქნებოდა საძიებელი. იგი თბილისელ მკვიდრი იყო და მტკვარიც მისთვის თბილისის მიდამოებში მტკვარობდა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქართული ლექსის „არაზიანო“ მდინარე არაქსს არ უნდა ნიშნავდეს.

<sup>10</sup> Türkiye'de Halk Ağzından Söz Derleme Dergisi cilt İstanbul, 1933; Türkiye'de Halk Ağzından Derleme Sözlüğü, I. Ankara, 1963.

<sup>11</sup> საიათნოვა, ლექსები, ერევანი, 1963, გვ. 18 (სომხურ ენაზე).

იოსებ უთუარაშვილი

ზოგი რამ მოყმისა და ვეფხვის ბალადის შესახებ

ბუნებრივია ის დიდი ყურადღება, რასაც იჩენენ მკვლევრები ხალხური ზეპირსიტყვიერების შესანიშნავი ნიმუშებისადმი. კერძოდ, ხალხური სიბრძნის ისეთ შედეგს, როგორცაა მოყმისა და ვეფხვის ბალადა, მას შემდეგ, რაც ის პირველად გამოქვეყნდა, არაერთი ავტორი შეეხო. გარდა იმ ამბობულთა, რაც ბალადაშია წარმოდგენილი, ფოლკლორით დაინტერესებული მკითხველისათვის, ვფიქრობთ, საინტერესოა აგრეთვე ის ხალხური თქმულებები და გადმოცემები, რასთანაც ბალადას შეიძლება რაიმე კავშირი ჰქონდეს.

ცხადია, ბალადა იმსახურებს იმას, რომ მისი წარმოშობისა თუ თემატიკური საფუძვლების შესახებ, რაც შეიძლება მეტი ვიცოდეთ, ხოლო თუ საკითხს ამ კუთხიდან შევხედავთ, აღმოჩნდება, რომ ავტორებს შორის ყოველთვის როდია ერთსულოვნება ცალკეული საკითხების გაგებაში. ქვემოთ ჩვენ თავს ნებას მივცემთ ზოგიერთი ჩვენი მოსაზრებაც გავაცნოთ მკითხველს.

აკად. ა. შანიძემ ჯერ კიდევ 1911 წ. ხევსურეთში ჩაიწერა თქმულება ხევსური მგელა ყურაულისძისა და ვეფხვის ბრძოლისა<sup>1</sup>. გამოჩენილი მეცნიერის დაკვირვებით, მოყმისა და ვეფხვის ბალადას შესაძლოა კავშირი ჰქონოდა ამ თქმულებასთან. 1972 წ. სოფელ ბარისახოში ჩვენც ჩაეწერეთ დასახელებული თქმულების რამდენადმე განსხვავებული ვარიანტი, რაც მკითხველს გავაცანით<sup>2</sup>. წერილში კატეგორიულად არ ვამტკიცებდით თქმულებისა და ბალადის ერთმეორესთან კავშირის არსებობის შესაძლებლობას. ჩვენი აზრით, თავისთავად ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ხევსურეთში ერთ ოჯახში დღემდე ცოცხლობს ზეპირი გადმოცემა და აქამდე ინახება ხმალი, რომელიც ვეფხვთან მებრძოლი მგელა ყურაულისძის ყოფილ კუთვნილებად მიაჩნიათ. ცნობილია, რომ ჩვენი წინაპრები საუკუნეების მანძილზე ინახავდნენ ვახტანგ გორგასალის სამხედრო იარაღს და სამოსელს, როგორც ძვირფას ეროვნულ განძს<sup>3</sup> და რა არის გასაკვირი, რომ ხევსურთა ერთი საგვარეულოს თაობებს ვეფხვთან მებრძოლი წინაპრის ხმალი შემოენახათ.

ჩვენი წერილის წინააღმდეგ დ. გოგოჭურმა თავისი პასუხი გამოაქვეყნა<sup>4</sup>.  
შ ე ვ ე ხ ო თ ბ ა ლ ა დ ის თ ე მ ა ტ უ რ ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ს. ზოგიერთი

<sup>1</sup> შანიძე, ქართული ხალხური პოეზია, 1, 1931, გვ. 565.

<sup>2</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1973 წ., 27 იელისი.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი 1, 1951, გვ. 242.

<sup>4</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1973, 26 ოქტომბერი.

ეტკობა, დ. გოგოჭურს მოყმისა და ვეფხვის ბალადა და მასთან დაკავშირებული საკითხები მიუჩნევია საკუთარ დომენად, სადაც სხვა დარგის ყველა სპეციალისტს შეხედვაც კი (ე. ი. ცნობის მიწოდებაც კი) სასტიკად ეკრძალება. კრიტიკოსის წერილი აქრელებულია ძაბილის ნიშნებით და ისეთი კვალიფიკაციებით, როგორცაა „გულუბრყვილობა“, „მკრეხელობა“... ყოველივე ეს მისთვის, როგორც ჩანს, საბუთებია. მოყმისა და ვეფხვის ბრძოლაზე ერთი გად-

ავტორი კატეგორიულად უარყოფს მგელა ყურაულისძის თქმულებასა და ბალადას შორის რაიმე კავშირის შესაძლებლობას. მათი თქმით, „ამ ორ აშკარად სხვადასხვა ეპოქისა და სიუჟეტის დამოუკიდებელ ნაწარმოებთა ერთიმეორეში არევა ყოველად დაუშვებელია“; არ შეიძლება „ისინი ერთიმეორის საფუძველად“ ჩავთვალოთ<sup>5</sup>. მაგრამ ჩვენს წერილში საუბარია არა ეპოქათა ერთგვარობაზე, არამედ იმაზე, რომ მელექსემ, შესაძლებელია, გამოიყენა გარკვეული ამბავი (თუნდაც თქმულება მგელაზე), გაატარა ის თავის შემოქმედებითს ქურაში, რის შედეგადაც ბრწყინვალე ბალადა მივიღეთ. ჩვენს წერილში არც იმაზეა ლაპარაკი, რომ ბალადა და თქმულება ერთიმეორის საფუძველია. აღნიშნულია ის, რომ, შესაძლოა, ეს თქმულება მართლაც გახდა ბალადის თემატური საფუძველი. აკადემიკოსი ა. შანიძე ფიქრობს, რომ მოყმისა და ვეფხვის ბალადის ძველ ნაწილში მოთხრობა:ლ ამბავს შეიძლება კავშირი ჰქონდეს მგელა ყურაულისძის თქმულებასთან. ბალადისა და თქმულების კავშირის შესახებ გამოთქმული მოსაზრების ავტორია არა სხვა ვინმე, არამედ აკად. ა. შანიძე. ამასთან, არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ მკვლევარი გ. არაბული მართალია უარყოფს ბალადასთან მგელა ყურაულისძის თქმულების კავშირს, მაგრამ ამავე დროს ფიქრობს, რომ ბალადა რეალურ საფუძველზეა აგებული. ის წერს: „უფრო სარწმუნო იქნება, თუ ვიტყვით, რომ ბალადას საფუძველად დაედო სხვა რაიმე შემთხვევა, რომელმაც ჩვენამდე გადმოცემის გზით ვერ მოაღწია, და ამის შესახებ ახლა მხოლოდ ბალადიდან ვიცით“; ბალადის შემქმნელ მელექსეს „ხელთ ჰქონდა რეალურად მომხდარი ფაქტი“<sup>6</sup>.

ამგვარად, მკვლევართაგან, როგორც წესი, არავინ უარყოფს, რომ ბალადას რეალურად მომხდარი ამბავი უძველეს საფუძველად. ამასთან ზოგს (ა. შანიძე) ამ საფუძველად მგელაზე არსებული თქმულება მიაჩნია, მეორენი კი (გ. არაბული) — ასეთად ჩვენამდე მოუღწეველ ფაქტს ვარაუდობენ.

გ. არაბულის აზრით, საეჭვოა, რომ მგელა ყურაულისძის შესახებ არსებულ თქმულებას კავშირი ჰქონდეს მოყმისა და ვეფხვის ბალადასთან. თავის ამ ეჭვს მკვლევარო იმით ასაბუთებს, რომ „მომხდარ ფაქტს მელექსე არ შეცვლიდა და არ გადააკეთებდა: ბალადის ყველა ვარიანტის მიხედვით ვეფხვთან მებრძოლი ხომ მონადირეა, ამ თქმულებაში კი ასეთი რამ არ არის“.

შესაძლოა, ბალადა მართლაც სხვა თქმულებას ემყარებოდა და არა თქმულებას მგელა ყურაულისძის შესახებ, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ პატივცემული მკვლევარის გ. არაბულის მიერ მოყვანილი მოსაზრება ამისათვის ურყევ საბუთად ვერ გამოდგება. ჯერ ერთი, ბალადის 14 ვარიანტიდან, რაც ა. შანიძემ გამოაქვეყნა, ხუთ ვარიანტში არ ჩანს — ვეფხვთან შეხვედრას წინ უძღვის თუ არა მოყმის ნადირობა. მაგრამ ბალადის ყველა ვარიანტშიც რომ ნადირობის სცენა გვხვდებოდეს, მაშინაც საფიქრებელია, რომ ეს გარემოება საკმარისი არ არის ბალადის მგელას თქმულებასთან კავშირის უარსაყოფად. მგე-

მოცემის გამოქვეყნების გამო ამხედრებული ჩვენი ფოლკლორისტი არაფერს ერიდება, რათა გააბიძგოს ეს გადმოცემა და მისი გამოქვეყნებული. მთხრობელ იმედა ჭინჭარაულის პირად შეურაცხყოფასაც არ მოერიდა და ის ყალბის მთქმელად მონათლა. მაგრამ ყოველივე ამან და კრიტიკის ღვარძლიანობამ ისე არ გავაოცა, როგორც იმ გამბედაობამ, რომლითაც დ. გოგოჭური ცდილობს თავისი მცდარი წარმოდგენანი ჭეშმარიტ მეცნიერულ დასკვნებად გაასაღოს.

<sup>5</sup> გვხ. „ლიტერატურული საქართველო“, 1973, 26 ოქტომბერი.

<sup>6</sup> გ. არაბული, ქართული ხალხური ბალადა „ვეფხვი და მოყმე“, „მნათობი“, 1956,

ლაზე თქმულებაში, მართალია, ნადირობა არ არის ასახული, მაგრამ ამის გაკეთება ბალადის შემოქმედს თქმულებისაგან დამოუკიდებლადაც შეეძლო. ეს თუნდაც იმიტომ, რომ ნადირობის ამსახველი ტაუების შეტანით გმირის სახე უფრო დინამიკური და მონუმენტური ხდება. ბალადის ეს ნაწილი აუცილებელი შესავალია. რომელიც მსმენელს ამზადებს უფრო დიდისა და პეროიკულისათვის — მოყმის ვეფხვთან შერკინებისათვის.

კარგად ცნობილია, რომ ყოველი შემოქმედი, მათ შორის ხალხური მელექსე, სიტყვასიტყვით კი არ იმეორებს რომელიმე ამბავს (ფაქტს), არამედ ჩვეულებრივ თავის შეხედულებისამებრ ასახავს. ბალადაში ნადირობის მომენტის შეტანა სრულიად ბუნებრივია იმიტომაც, რომ წარმოუდგენელია ვეფხვთან მემომარი მოყმე ამავე დროს დაულალავი მონადირეც არ ყოფილიყო.

მხატვრული ლიტერატურიდან არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება იმის დასადასტურებლად, რომ თქმულებებზე დამყარებული პოეტური ქმნილება თქმულებაში მოთხრობილი ამბის ზუსტ კოპირებას არ წარმოადგენს. მაგალითად, ხალხურ თქმულებებს ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში ყველგან თავისუფლად მოპყრობისა და გადაკეთების ცხოველი ბეჭედი ახის<sup>7</sup>. მაშასადამე, იმ მოსაზრების უარყოფა, რომლითაც ბალადის საფუძვლად მგელა ყურაულისძეზედ არსებული თქმულებაცაა მიჩნეული, უფრო ძნელია, ვიდრე ეს ზოგიერთ ავტორს ჰგონია.

რა შეიძლება ითქვას ბალადის ხნოვანებაზე. ჩვენმა კრიტიკოსმა ერთი განგაში ატეხა: ი. უთურაშვილი ამტკიცებს, რომ ბალადა ახლო წარსულშია შექმნილი. საკვირველია, ჩვენს წერილში (რომელიც მხოლოდ ერთი ზეპირი გადმოცემის გამომწვეურებით კმაყოფილდება) რა იპოვეს ისეთი, რომელიც იმის საბაზად გამოდგება, რომ თითქოსდა ჩვენ ბალადის დათარიღებას ვცდილობდით. ამასთან კაცმა არ იცის ქრონოლოგიურად რას ნიშნავს ეს „ახლო წარსული“. თუ ვინმე ფიქრობს, რომ მგელა ყურაულისძის თქმულების დაკავშირება ბალადასთან უკანასკნელის „ახლო წარსულში“ შექმნას გულისხმობს, ამაში ის ცდება. საქმე იმაშია, რომ ჯერ არავის დაუდგენია როდისაა შექმნილი ეს თქმულება. ასე რომ, ამ თქმულებასთან ბალადის დაკავშირების შესაძლებლობის დაშვება ჯერ კიდევ არ აზუსტებს ბალადის „ხნოვანებას“. ან იქნებ თქმულებასთან ნიეთიერი საბუთის (ხმალი) დაკავშირების შესაძლებლობამ გამოიყვანა დ. გოგოჭური მოთმინებიდან. უნდა ითქვას, რომ არც ეს გარემოება გამოდგება ბალადის შექმნის დროის დასადგენად (მით უმეტეს, რომ ჩვენ ამ კავშირის შესაძლებლობას ვარაუდის სახით ვაყენებთ. ე. ი. არ ვამტკიცებთ, რომ ეს ხმალი უცილობლად ბალადის პერსონაჟის — მოყმისაა). მაგრამ მოყმეს მართლაც რომ ამ ხმლით გადაეტანა ვეფხვთან ბრძოლა, ესეც არ დაადასტურებდა იმას, რომ თქმულება ან ბალადა „ახლო წარსულშია“ შექმნილი. რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველი ხმალი „ახლო წარსულშია“ ნაქედი. ხმალი მარტივი არ არის. რომ დროთა განმავლობაში სინესტისაგან დადნეს. ხევისურებს თავისი იარაღი კარგად დაფერილი და გულმოდგინედ მოვლილი ჰქონდათ. ამის გამო ხევისურეთში რამდენიმე საუკუნის ხმლებია შემორჩენილი. კონსტანტინე გამსახურდიას და პაატა გუგუშვილს ხევისურეთში მოგზაურობისას სოფელ ხანმატში 1934 წელს უნახავთ ხმალი, რომლის პირზე (ვადასთან) იკითხებოდა ვენეციელი ოსტატის სა-

<sup>7</sup> „ქართული ხალხური პოეზია“, I, გვ. 024.

ხელა. პ. გუგუშვილის აზრით, ხმალი, ეტყობა, ჯვაროსანთა მოლაშქრის ნახმარი ყოფილა და ხევსურეთში სულ ცოტა რვა საუკუნე შემონახულა<sup>8</sup>.

დ. გოგოჭური ამტკიცებს, რომ ბალადა „უძველესი ნაწარმოებია“ და რომ მისი შექმნა ჰომეროსის ეპოქას უკავშირდება. ამ დებულებას ის იმით ასაბუთებს, რომ „ბალადის მეტრი, მსგავსად ჰომეროსის ქმნილებისა, დაქტილურა ჰეგზამეტრის საზომზეა აგებული“.

შევეხთ იმ თვალსაზრისს, რომლითაც მტკიცდება მოყმისა და ვეფხვის ბალადის ჰომეროსისდროინდელი ასაკი. დ. გოგოჭური მიუთითებს, რომ ეს აზრი ეკუთვნის პ. ბერაძეს. მართლაც, პროფ. პ. ბერაძე აღნიშნავს, რომ ხევსურული ბალადა „მოყმე და ვეფხვი“ „თავით ბოლომდე გრძელი შაირის ლექსით არის შექმნილი“<sup>9</sup>. მაგრამ ეს ავტორი არ ამტკიცებს, რომ ბალადა ჰომეროსის დროისაა. საქმე იმაშია, რომ პ. ბერაძის აზრით „ქართული ჰეგზამეტრა ბერძნულზე უადრესიც ჩანს და დღევანდლამდე აღწევს, ისე რომ იგი გრძელი შაირის სახით რჩება ქართული ლექსის ძირითად ფორმად“<sup>10</sup>.

ამასთან, პ. ბერაძის ნაშრომებიდან არ შეიძლება გამოგვრჩეს აზრი, რომლის მიხედვითაც ლექსის ეს ფორმა (დაქტილი, ჰეგზამეტრი) ქართულში „დღევანდლამდე აღწევს“. აგრეთვე, არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ მოყმისა და ვეფხვის ბალადა, მთლიანი ნაწარმოების სახით, ერთდროულად არ შექმნილა. მკვლევრები ბალადის ძველ ნაწილს გამოყოფენ ახლად დამატებული ნაწილებისაგან. სახელდობრ, ბალადის მეორე ნაწილი (დედის მოთქმა) მთლიანად და პირველი ნაწილის მთელი რიგი ტაეპები ახლად დამატებულა მიჩნეული. ამ ასალი ნაწილებით ბალადის გავრცობა, XX საუკუნეში მომხდარა. ზოგიერთი მკვლევარი კიდევ უფრო აზუსტებს ამ თარიღს და ბალადის გავრცობის სახით ჩამოყალიბების დროდ 1911—1924 წლებს მიიჩნევს. ბალადის ეს გადაკეთება-გავრცობა ხალხურ მელექსეს გიორგი უთურგას ძე ჯაბუშანუხს მოუხდენია. ჯაბუშანური 1940—1941 წლებში ჩანს გარდაცვლილი<sup>11</sup>.

ამგვარად, თუ დავეყრდნობით პ. ბერაძის აზრს, რომ ბალადა „თავით ბოლომდე“, ე. ი. მთლიანად, გრძელი შაირით (დაბალი შაირით) გამართული ნაწარმოებია და ამავე დროს გავიხსენებთ, რომ ბალადის ნახევარზე მეტი XI საუკუნის პირველ მეოთხედშია შექმნილი, ცხადი გახდება, რომ მართლაც საბუთით მოყმისა და ვეფხვის ბალადის მიჩნევა ჰომეროსის დროის ნაწარმოებად, რბილად რომა ვთქვათ, ფრიად უხერხულია.

ზემოაღნიშნულს ისიც უნდა დაემატოს, რომ პ. ბერაძე სრულიადაც არ აიგივებს ქართულსა და ბერძნულ სალექსო ფორმებს. მისი აზრით, მსგავსებასთან ერთად ბერძნულ ჰეგზამეტრსა და ქართულ გრძელ შაირს შორის „განსხვავება ღრმა არის, რომლის მიზეზი ბერძნულ და ქართულ ენათა თავისებურებებით აიხსნება“<sup>12</sup>. ზოგიერთი ავტორი კი მაინც ამტკიცებს: ჰომეროსის თავისი ნაწარმოებები შექმნილი აქვს დაქტილური ჰეგზამეტრის მიხედვით, მოყმისა და ვეფხვის ბალადაც ამავე საზომზეა აგებული, მაშასადამე ბალადა ჰომეროსის ხნისააო.

<sup>8</sup> პ. გუგუშვილი, სტუმარ-მასპინძლობა, მოგონება, „დროშა“, 1973, № 6.

<sup>9</sup> პ. ბერაძე, ძველი ბერძნული და ქართული ლექსთწყობის საკითხები, 1969, გვ. 121.

<sup>10</sup> თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXIII, 1948, გვ. 131.

<sup>11</sup> „ქართული ხალხური პოეზია“, I, გვ. 559; „მნათობი“, 1956, № 11, გვ. 159; გ. კალანდარიძე, ქართული ხალხური ბალადა, 1957, გვ. 35—36.

<sup>12</sup> „რუსთაველის კრებული“, 1938, გვ. 217.

ამ უმართებულო აზრის საფუძველია დავიწყება იმ ელემენტარული ქეზ-მარიტებისა, რომლის მიხედვითაც ყოველ ენას თავისი შინაგანი განვითარების კანონზომიერება გააჩნია და ერთი ენის კანონებით მეორე ენისათვის დამახასიათებელ თვისებებს ვერ ავხსნით. დაქტილი, ჰეგზამეტრი, ქორე და ა. შ. ძველი ბერძნული მეტრიკული სისტემებისათვისაა დამახასიათებელი და მათ საერთო არაფერი აქვთ ხევსურულ პოეზიასთან. რატომ უნდა უგულებელვყოთ სპეციალისტების მოსაზრებები იმის შესახებ, რომ „არ შეიძლება უცხო ენობრივი კატეგორიები მოვახვიოთ ენას და სხვა ენათა ნორმები მექანიკურად გდმოვიტანოთ ქართულში“<sup>13</sup>; რომ ქართული „ლექსის საზომი უნდა დახასიათდეს არა როგორც რომელიმე ბერძნული პროტოტიპის ქართული ვარიაცია, არამედ როგორც მთლიანი აზრობრივი და ინტონაციური ერთეული“<sup>14</sup>.

მარტლაც, კლასიკური ბერძნულისათვის გამოსადეგი მოდელები არ შეიძლება მივიხინოთ რაღაც აბსოლუტურ უნივერსალებად და ბერძნული ენის სალექსო ფორმების მიხედვით განვსაზღვროთ ქართული ბალადის ხნოვანება. ლექსთწყობის საკითხების შესწავლის ეს წესი ქართულ ფილოლოგიაში ამჟამად დაძლეულია. აკად. გ. წერეთელმა ცხადყო, რომ ვეფხისტყაოსანი, თავისი დაბალი შაირით, „ოქროს კვეთის“ ანუ „ღვთაებრივი პროპორციის“ პრინციპებზეა აგებული. სახელგანთქმული მეცნიერი ფიქრობს, რომ ამავე „რიტმს ემყარება ძირითადად ხევსურული ხალხური პოეზია“<sup>15</sup>.

თითქოს სავსებით ნათელია, რომ მოყმისა და ვეფხვის ბალადა, გამართული დაბალი შაირით, სწორედ რომ ამ „ღვთაებრივი პროპორციის“ პრინციპებზეა აგებული. ზოგიერთი ავტორი კი ბალადის მეტრიკული სტრუქტურის საკითხის გარკვევას, ქართულისათვის უცხო, ბერძნული დაქტილებითა და ჰეგზამეტრებით ცდილობს.

მკვლევარი გ. არაბული მიუთითებს იმ პერიოდზე, როცა, მისი აზრით, ეს ბალადა უნდა შექმნილიყო. ასეთ პერიოდად, გ. არაბულს მე-9—17 საუკუნეები მიაჩნია. ესაა შუა საუკუნეები და არა უძველესი პერიოდი, რასაც გ. არაბულს ზოგიერთი ფოლკლორისტი მიაწერს.

გ. არაბული ბალადაში დამოწმებულ სიტყვა „აფხაზის“ ეტიმოლოგიური ანალიზის საფუძველზე, ერთი მხრივ, იმ დასკვნამდე მიდის, რომ სიტყვა „აფხაზს“ მე-9 საუკუნეზე ადრე არ უნდა მიეღო ისეთი გავრცობილი მნიშვნელობა, რომ ხალხურ პოეზიაში შესულიყო. ამიტომ ბალადა, მისი აზრით, მე-9 საუკუნეზე ადრინდელი ვერ იქნება. მეორე მხრივ, მკვლევარი ეყრდნობა რა ბალადის იმ ვარიანტს, რომელიც თ. რაზიკაშვილს ჩაუწერია (მასში თოფის ნაცვლად მშვილდია დასახელებული), დაასკვნის, რომ ბალადა შექმნილია „არა უგვიანეს მე-17 საუკუნისა, როდესაც მშვილდ-ისარი აღარ არსებობდა“.

სავსებით მართებულია კვლევის მეთოდი, ბალადის ადრინდელ ტექსტში დაცული ტერმინების ანალიზის გზით განისაზღვროს ბალადის ხნოვანება. მართლაც, ბალადის პირვანდელ ფენაში შეინიშნება რეალიები, რომლებზე დაკვირვებაც მკვლევარს დაეხმარება ბალადის შექმნის დროის მიახლოებით განსაზღვრაში.

ერთ ასეთ რეალიად ჩვენ „ფრანგულიც“ (ხმლის სახელი) მიგვაჩნია. ეს ტერმინი გვხვდება ბალადის ტექსტის იმ ნაწილში, რომელიც თავდაპირველად

<sup>13</sup> გ. წერეთელი, მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, 1973, გვ. 73.

<sup>14</sup> ა. გაწერელია, ქართული ლექსი, 1955, გვ. 169.

<sup>15</sup> „მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში“, გვ. 19.

უნდა იყოს შექმნილი (ტერმინი „ფრანგული“ მოიპოვება ა. შანიძის მიერ გამოქვეყნებული ბალადის ძველ ნაწილში, ისევე როგორც გ. არაბულის მიერ სხვადასხვა ვარიანტის საფუძველზე დადგენილი ბალადის პირვანდელ ტექსტშიც).

ი. ჯავახიშვილის აზრით, „ბრანჯნი ჩვენ ძველ ხელთ-ნაწერებშიაც ფრანგებად იწოდებიან“<sup>16</sup> ტერმინი „ფრანგნი“ ფორმით „ბრანჯნი“ გვხვდება IX საუკუნის ნაწარმოებში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“<sup>17</sup>, აგრეთვე ლეონტი მროველის თხზულებებში (XI ს.)<sup>18</sup>. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი უკვე იშველიებს სიტყვას „ფრანგნი“ („ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიღეს იერუსალიემი და ანტიოქია“)<sup>19</sup>. ასევე ბასილი ეზოსმოძღვარი („ფრანგნი ღა ბერძენნი, ზღუესა შინა მენავენნი, ნიაგ-კეთილობათა შინა, თამარის ქებათა იტყოდინა“)<sup>20</sup>. ეს სიტყვა ვეფხისტყაოსანში გვხვდება რამდენადმე შეცვლილი სახით „მოფრანგენი“<sup>21</sup>. დასახელებულ წყაროებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ტერმინი „ბრანჯნი“ დახვეწა „ფრანგად“ ჯვაროსნული ომების პერიოდისაღნი ვაკევეულ მიმართებას ამჟღავნებს. ამასთან ამ ძეგლებში სიტყვა „ფრანგული“, როგორც საბრძოლო იარაღის, სმლის აღმნიშვნელი ტერმინი, არ გვხვდება.

თუ სიტყვა „ფრანგულის“ წარმოშობას ევროპულ (ფრანგულ) იარაღთან დაკავშირებით<sup>22</sup>, მაშინ ამ სახელწოდების იარაღი ჯვაროსნულ ომებამდე ქართველებისათვის ძნელად თუ გახდებოდა ცნობილი. ამ ომების დროს ქართველებს მეტი შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ ევროპულ იარაღს. ევროპელები აგრეთვე უმეტესად ამ დროს ეცნობიან კავკასიურ, კერძოდ, ქართულ იარაღს<sup>23</sup>. ტერმინის წარმომავლობის ამ თვალსაზრისის გაზიარებამ შეიძლება იმ დასკვნამდე მიგვიყვანოს, რომ საგულეებელია „ფრანგული“ ქართულში შემოსულიყო არა უადრეს მე-12—13 საუკუნეებისა.

ქართულ ხალხურ პოეტურ მეტყველებაშიც სიტყვა „ფრანგულის“ გავრცელება მე-12—13 სს-ზე ადრე არ უნდა ივალდებოდეს და, მაშასადამე, მოყვინა და ვეფხისტყაოსანშიც მე-12—13 სს-ზე ადრე ვერ შეიქმნებოდა.

ბალადის შექმნის დროის გარკვევისათვის მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე ისეთი თეალები, როგორცაა „თოფი“ და „მშვილდ-ისარი“ („მშვილდა“, „ისარი“). ჩვენ ნაკლებად სარწმუნოდ გვეჩვენება იმის მტკიცება, რომ ბალადაში ჯერ უნდა ყოფილიყო „მშვილდ-ისარი“, რაც შემდეგში „თოფს“ უნდა

<sup>16</sup> ი. ჯავახიშვილი, ანდრია მოციქულის და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში, „მოამბე“, 1900, № VI, გვ. 16.

<sup>17</sup> ი. აბულაძე, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, 1963, გვ. 107—108.

<sup>18</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ჯავახიშვილის მიერ, ტ. I, 1955, გვ. 73, 124, 125.

<sup>19</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955, გვ. 325.

<sup>20</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, 1959, გვ. 146.

<sup>21</sup> იხ. ასევე, I. Tabagoua, La Georgie dans les plans de Napoleon, „Bedi Kartlisia ru vue de Kartvelologie“, Paris, 1972, vol. XXIX—XXX, 2 106—118.

<sup>22</sup> ამასთან დაკავშირებით საგულისხმო ჩანს საბას შექმნილი სიტყვები: „ხრმალიცა მრავალ გვარნი არიან სხვადასხვა თემთა ქმნილებათაებრ“, სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი, 1949, გვ. 475.

<sup>23</sup> ნ. კაკაბაძე, ორი ექსკურსი შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპული ლიტერატურის ისტორიაში, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1973 წ. 22 ნოემბერი.

შეეცვალა. ჩვენი ფიქრით, ბალადაში თავიდანვე თოფი უნდა ყოფილიყო დასახელებული. ბალადის თითქმის ყველა ვარიანტში მოყმე ჭიხვს თოფითა კლავს. ამ მხრივ გამონაკლისს მხოლოდ ორიოდ ვარიანტი წარმოადგენს. ა. შანიძის მიერ მოყვანილ 14 ვარიანტში და გ. არაბულის 22 ვარიანტში თოფის ნაცვლად, გ. არაბულის თქმით, „მშვილდ-ისარი მხოლოდ ერთ ვარიანტშია“ დამოწმებული. ესაა თ. რაზიკაშვილის მიერ ჩაწერილი ტექსტი. მეორე, ჩვენთვის ცნობილი ვარიანტი, სადაც მშვილდ-ისარია დამოწმებული, ესაა ალაზა ხაიაურის მიერ ჩაწერილი ვარიანტი („ჭიხვს ისარ სტყორცნა“)<sup>24</sup>.

რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში ხალხური პოეზიის ყოველი ქმნელობა ცვლილებებს განიცდის, კერძოდ, იცვლება მისი ლექსიკური შედგენილობა. ხალხური პოეზიის ნაწარმოებებში, პირველ ყოვლისა, ის სიტყვები შეიცვლება, რომლებიც მსმენელისათვის ძნელად გასაგები ხდება<sup>25</sup>. მაგრამ ამ შემთხვევაში (ბალადაში) მშვილდის თოფით შეცვლა ნაკლებადაა მოსალოდნელი.

ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ მშვილდ-ისარს ჩვენში მე-17 საუკუნეშიც არ ჰქონდა დაკარგული მნიშვნელობა და რომ „მე-17 საუკუნეში გამოდიოდნენ ჩვენი მებრძოლები შვილდისარით შეიარაღებული“<sup>25ა</sup>. მშვილდ-ისარი, თოფთან ერთად, არა მარტო მე-17, არამედ მე-18 საუკუნეშიც გავრცელებული იარაღი ჩანს. საკმარისია დავასახელოთ ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებული (შედგენილი 1705—1708 წლებში). ვახტანგის სამართალში (მუხლი 49) ნათქვამია: თუ ვინმე „ან თოფით, ან ისრით, ან შუბით“ დაქრილი არის<sup>26</sup>. ანდა „ნადირს თუ თოფი ან ისარი შესტყორცოს და კაცს მოხუდეს“ (მუხლი 92) და ა. შ. ვახტანგის სამართალში „ნადირობის ცილების“ საკითხებისადმი საგანგებოდ მიძღვნილ ნაწილში ნათქვამია „ისრით მოკლულზე თუცა შესცილდენ, თუ ჩემი ისარი უწინ მოხუდაო“, „გასინჯვა უნდა, საიღამ ნასროლი ისარი ჰკელია, რას ალაგსა აქვს ნაკრავი“ (მუხლი 179). ისრით „ნაკრავზეა“ საუბარი სხვა მუხლებშიც.

მშვილდ-ისარი, რა თქმა უნდა, თოფთან შედარებით, პრიმიტიული სანადირო და საბრძოლო იარაღია, მაგრამ ის ერთბაშად არ გამოსულა ხმარებიდან და თოფი ერთბაშად არ გაბატონებულა. ამ გარემოებას, ეტყობა, მრავალი მომენტი განსაზღვრავდა: პირველ რიგში ის, რომ თოფი თავიდანვე სრულყოფილი საბრძოლო და, მით უმეტეს, სანადირო იარაღი ვერ იქნებოდა (რომ არაფერი ვთქვათ სიძნელეებზე, რაც თოფის შექმნას თან ახლდა). ამავე დროს მშვილდ-ისარი იმ დროისათვის საკმაოდ ეფექტური სანადირო იარაღი ჩანს. მაგალითად, XIV საუკუნის დოკუმენტში „ქეგლი ერისთავთა“ ნათქვამია: მნახ-

<sup>24</sup> ა. ხაიაური, მოყმისა და ვეფხვის ბალადა, „ცისკარი“, 1962, № 4.

<sup>25</sup> გ. არაბული ასახელებს სიტყვებს, რომელთა არქაული ფორმა, მისი ახრით, მიგვითმებს ბალადის ადრეულ წარმოშობაზე. ეს სიტყვები ხევსურების ცოცხალ სალაპარაკო ენაში დღეს აღარ გვხვდება („მეკობარი“, „აფხაზი“, „ნახლობანი“, „ბაკენი“ და სხვ.). დასახელებულ სიტყვათა შორის ამჟამად ჩვენს ყურადღებას იქცევს „მეკობარი“, რომელიც შეიძლება იგივე „მეკობარი“ — „მეკობრე“ იყოს. „მეკობრობა“ ნ. ზიზანიშვილის ცნობით წინათ ხევსურეთში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. მეკობრობდნენ უფრო ქისტეთშიო. ნ. ზიზანიშვილი, ეთნოგრაფიული ხაწერება, 1940, გვ. 70.

<sup>25</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ივ. ჯავახიშვილის არქივი, № 436, გვ. 16.

<sup>26</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. 1, 1963, გვ. 495.

ველნი ფიცით ამბობდნენო: „ქუემოთ ნასროლმან ისარმან ფარი და ჯაქვანი ააცი გაიაროს და მიწასა ნახევრად დაესუს“<sup>27</sup>. თვით მე-18 საუკუნის ბოლო ხანებშიც მშვილდ-ისარის პოპულარობაზე უნდა მიგვანიშნებდეს 1798 წლის ისტორიულ წყაროში („განწესება ერეკლე მეფის დაკრძალვისა“) აღნიშნული გარემოებაც. ერეკლე II-ის დაკრძალვის ცერემონიალის დროს წინ თოფხანა, ზარბაზნები უნდა ყოფილიყო განლაგებული, შემდეგ სხვანი და სხვანი: „შემდგომად მოვიდენ მებაჭრენი, ესე იგი ჯაბადარნი, კელთა აქუნდესთ მშვილდ-ისარნი და კაპარქნი და ეგრეთვე შუბნი“<sup>28</sup>.

მშვილდ-ისარი ხშირად გვხვდება ხეცურულ ხალხურ პოეტურ ქმნილებებში, სადაც ის არა მარტო დასახელებულია, არამედ მშვილდიცა და ისარიც აღწერილია<sup>29</sup>.

„მშვილდი“ და „ისარი“ ხალხურ მეტყველებაში დღესაც ფრიად გავრცელებული სიტყვებია და ბალადაში მისი შეცვლის საჭიროება (თუკი თავდაპირველად მშვილდი იყო) სრულიადაც არ იგრძნობა. ამავე დროს ბალადის ვარიანტებში მოიპოვება არაერთი ძნელად გასაგები სიტყვა და, ამის მიუხედავად, ეს სიტყვები კვლავ ბალადაში რჩება. მაშ, რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველასათვის გასაგები სიტყვა მშვილდ-ისარი უეჭველად უნდა შეცვლილიყო თოფით. აქვე უნდა ითქვას, რომ ამავე ბალადაში სხვა ადგილას ნახსენებია მშვილდ-ისარი: „უერთოდ არ დაიხარჯნეს ჩვენის აფხაზის ისარნი“<sup>30</sup>, ან „უერთოდ კი არ იხარჯნეს ჩვენ მონადირნის ისარნი“<sup>31</sup>. მშვილდ-ისარი რომ სრულიადაც არ არის დავიწყებული ტერმინი, ამას მოწმობს ბალადაში მისი მოხსენიება. თუ ბალადაში თავიდან თოფის ნაცვლად მშვილდ-ისარი იყო, რატომ შესცვლიდა ხალხი მას ერთგან და დატოვებდა მეორეგან.

თუკი აღნიშნულ გარემოებას გავითვალისწინებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ბალადის ძველი ნაწილი თოფის, როგორც სანადირო იარაღის, გამოყენების დროსაა შექმნილი.

ი. ჯავახიშვილის აზრით, თოფი საქართველოში მე-16 საუკუნეში შემოდის, ხოლო ვრცელდება და მკვიდრდება მე-17 საუკუნიდან<sup>32</sup>. უახლესი გამოკვლევებითაც დასტურდება, რომ ქართულ წყაროებში ცეცხლსასროლი იარაღი საქართველოში პირველად იხსენიება მე-16 საუკუნის შუა ხანებში, გავრცელებას კი პოპულობს ამავე საუკუნის ბოლოს (უფრო ზარბაზნებისა და ფითილიანი თოფების სახით)<sup>33</sup>. თოფის სანადიროდ გამოყენებას მე-17 საუკუნეზე ადრე ადგილი არ უნდა ჰქონოდა და, მაშასადამე, ხალხური პოეზიის ქმნილებებშიც „თოფი“ ამ საუკუნეზე ადრე ვერ მოხვდებოდა.

ამგვარად, ჩვენ შესაძლებლად გვეჩვენება გამოეყოთ ბალადის შექმნის უარი პირობითი მიჯნა. პირველი — ესაა მე-12—13 საუკუნეები, რა დროიდანაც ჩვენში ევროპული (ფრანგული) იარაღი და მისი შესატყვისი ტერმინი შეიძლება გავრცელებულიყო: მეორე — XVII ს., როცა ჩვენში თოფის ხმარება

27 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, 1965, გვ. 108.

28 იქვე, გვ. 535.

29 „ქართული ხალხური პოეზია“, I, გვ. 027.

30 იქვე, გვ. 208.

31 ვ. კ. თ. ე. შ. ი. ლ. ი., ხალხური პოეზია, 1934, გვ. 88.

32 უ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჯავახიშვილის არქივი.

33 ქ. ჩხატარაიშვილი, სამხედრო საქმე საქართველოში XV—XVI საუკუნეებში, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში შესრულებული წლიური თემა, 1973. ხელნაწერი ინახება ამავე ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

მკვიდრდება. ვფიქრობთ, საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ბალადა მე-17 საუკუნეზე ადრე ვერ შეიქმნებოდა.

თქმულე ბა-გადმოცემებთან ბალადის დაკავშირების შესახებ. ზოგიერთი ფოლკლორისტი ამტკიცებს, რომ მოყმისა და ვეფხვის ბრძოლის თემაზე არსებულ თქმულეებსა და ბალადას შორის კავშირის ძებნის გამო „ჩვენი ეროვნული ზეპირსიტყვიერება დიდად დაზიანდება“. პირდაპირ საკვირველი მოსაზრებაა! რატომაა დაუშვებელი თქმულეებსა და ბალადას შორის რაიმე კავშირის არსებობა. მოყმისა და ვეფხვის ბრძოლის ადგილის დასახელება და მოყმის სადაურობაზე მითითება, რაც გადმოცემაში მოიპოვება, სრულიადაც არ ნიშნავს ბალადის „უსარგებლო ბალასტიტ“ „გაბერვას“, როგორც ამას დ. გოგოჭური მიიჩნევს.

როცა საუბარია თქმულეებაში თუ გადმოცემაში დაცულ მონათხრობზე, სრულიადაც არ იგულისხმება, რომ ეს მონათხრობი ბალადას დაემატება და მას „გაბერავს“. რა შუაშია აქ ბალადა? ნუთუ ძნელი გასაგებია, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში ერთია ბალადა, როგორც სწორუპოვარი პოეტური ქმნილება, და მეორეა ხალხური თქმულეება ან გადმოცემა თავისი მეტნაკლებად საყურადღებო მონაცემებით. როგორც მთის საფუძველი ბარია, ისე ხალხური პოეზიის ამ მწვერვალისათვისაც თემატური საფუძველი ხალხური თქმულეებაა (შესაძლოა თუნდაც თქმულეება მგელა ყურაულისძეზე). თუკი თქმულეება ან გადმოცემა ამის საშუალებას იძლევა, რატომ უნდა დავმალოთ მოქმედების ადგილი და გმირის ვინაობის კონკრეტული მაჩვენებელი?!

ამასთან მოქმედების ადგილისა და გმირის სადაურობის ცოდნა არაფრითაა ამცირებს პოეტური ნაწარმოების ღირსებას. ილიას „ჯანდგელის“ ბეთლემთან, ხოლო „კაკო ყაჩაღის“ კუდიგორასთან დაკავშირება ვითომ ამცირებს ამ ნაწარმოებთა ღირსებას? განა ყვარლის გზაზე კაცი ისე გაივლის, რომ კუდიგორას არ შეხედოს და კაკო და ზაქრო არ გაიხსენოს? ან განა ვაჟა არ ახდენს მოქმედების ლოკალიზებას და გმირთა სადაურობას არ უთითებს (მეომრები თავს იყრიან ლაშარის ჯვრის გორაზე, ლელა ბაჩლეღია, ზვიადაური და მინდია ხევსურებია, გოგოთური — ფშავეღია, მუცალი და ჯოყოლა — ქისტებია და ა. შ.) ასევე, ქართული ხალხური შემოქმედების შედევრებისათვის განა უცხოა მოქმედების ადგილისა და პერსონაჟების დასახელება („შემომეყარა ყიფჩაღი“, „თავფარავნელი ჭაბუკი“ და სხვ.).

ვფიქრობთ, არაფერია ცუდი და ბალადის დამამცირებელი იმაში, რომ ზეპირი გადმოცემა მოყმისა და ვეფხვის ბრძოლის ადგილად განთქმულ გუდანის პირქუშსა და დიად ხეობას ასახელებს, ხოლო გმირს ხევსურთა ერთ-ერთი დიდი გვარადან გამოსულად წარმოგვიდგენს. განა ძველი ბერძნები თქმულეებს პრომეთეს შესახებ კავკასიონს არ უკავშირებდნენ, ანდა გმირი ოდისევსი რომ კუნძული ითაკის მკვიდრია, ეს რით ამცირებს ამ გმირის ღირსებას და რით არაა სასახელო ეს ამბავი კუნძულის მცხოვრებთათვის. ზოგიერთს კი რატომღაც ეთაკილება მოყმის ხევსურობაც და ისიც, რომ ბრძოლა გუდანის ხეობაში მოხდა („გუდანის წისქვილებთანო“ — გაქილიკებულია გუდანის ქიუხები დ. გოგოჭურის მიერ).

ხალხურ თქმულეებებსა და გადმოცემებში, ბალადის თემატური საფუძველის ძებნა სრულიადაც არ ამცირებს მოყმისა და ვეფხვის ბალადის წარმომსახველობითს ძალას. ხალხური მელექსის სიდიადე იმაშია, რომ მან ერთი შემთხვევა ვეფხვთან მეომრისა უკვდავ ზოგად სახედ აქცია და ჩვეულებრივი

თქმულებიდან შექმნა ბალადა, რომელიც ქართული ზეპირსიტყვიერების მშვენიერებაა.

რა თქმა უნდა, მოყმისა და ვეფხვის ბალადა უპირველეს ყოვლისა თავისი მხატვრული ღირსებებითაა შეუდარებელი. ამის მიუხედავად, ხალხში შემორჩენილი თქმულება-გადმოცემები, რომლებსაც შეიძლება რაიმე კავშირი ჰქონდეთ ბალადასთან, გარკვეული ყურადღების ღირსია, რამდენადაც მათში დაცული დეტალები აფართოებენ ჩვენს ცოდნა-წარმოდგენებს ბალადის წარმომავლობის ცალკეულ საკითხებზე. ამ ასპექტში საკითხის განხილვისას გაუმართლებელი და საზიანო ჩანს ხალხური თქმულებებისა და გადმოცემებისადმი ქედმაღლური დამოკიდებულება.

ქარბუღელები განებივრებული ვართ უბრწყინვალესი პოეტური ქმნილებებით, მაგრამ ამბობენ: „ტანკენარი ალვის ხე თუ გიყვარს, მისი დაღვლარქნილი ფესვებიც არ უნდა გძულდეს“.

ასეთია ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება მოყმისა და ვეფხვის ბალადის შექმნის დროისა და იმ კავშირის შესახებ, რაც ბალადას შეიძლება ხალხურ თქმულება-გადმოცემებთან ჰქონდეს.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის  
ისტორიის ინსტიტუტმა)

ვ ა ხ ტ ა ნ ბ ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი

ი ლ . ა ბ უ ლ ა ძ ი ს „ ძ ე ვ ე ლ ი ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ის ლ ე ქ ს ი კ ო ნ ის “  
ზ ო ბ ი ე რ თ ი უ ც ნ ო ბ ი წ ყ ა რ ო ს შ ე ს ა ნ ე ბ

1973 წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა ილ. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“. ილ. აბულაძემ ვერ მოასწრო ლექსიკონისათვის იმ სახის მიცემა, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა. ამიტომ წიგნში დარჩენილია ზოგიერთი ხარვეზი, რომელსაც ავტორი, რომ დასცლოდა, უთუოდ გაასწორებდა ჩვეული კეთილსინდისიერებითა და გულმოდგინებით: ილ. აბულაძის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა საყოველთაოდ ცნობილია.

ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ლექსიკონის ღირსება-ნაკლოვანებებზე მსჯელობა. ყველასათვის ნათელია, რომ ამ ლექსიკონის გამოცემა დიდი ეროვნული მნიშვნელობის საქმეა. ეს ძვირფასი წიგნი ერთნაირად საჭიროა როგორც ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის თუ ისტორიის სპეციალისტებისათვის, ისე საერთოდ ქართული ენით დაინტერესებული ყოველი პიროვნებისათვის. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბევრი მათგანისათვის აღნიშნული ლექსიკონი სამაგიდო წიგნს წარმოადგენს.

ჩვენ გვსურს ამ ლექსიკონით მოსარგებლე სპეციალისტსა თუ არასპეციალისტს, რომელთათვისაც მნიშვნელობა აქვს იმ წყაროს ცოდნას, საიდანაც ესა თუ ის ციტატა დამოწმებული, ერთგვარი დახმარება გავუწიოთ და გამოვაელინოთ ზოგიერთი უცნობი წყარო, რომელიც ამა თუ იმ მიზეზით ლექსიკონში მითითებული არ არის, ან — თუ არის — ძალზე ბუნდოვნად.

ლექსიკონის წინასიტყვაობაში, სხვათა შორის, აღნიშნულია შემდეგიც: „ტექსტის სწორებას რედაქცია დიდი სიტუბილით ეკიდებოდა. გასწორდა მხოლოდ აშკარა შეცდომა და ლათსუსი. ზოგი რამ ვერ გასწორდა: ვერ მოხერხდა იმ წყაროს მიგნება, რომელიც თვითონ ავტორს X-ით აქვს აღნიშნული. ვარდა ამისა გაუშიფრავი დარჩა შემდეგი წყაროები: ს. ს. (სიტყვებთან: კარაული, კასტელი, კბილღრქენა და სხვ.): ბ ა რ ლ., ბ რ. (აღმოტყინება, ვერ-მიახლება, დამადნობელი); მ ა რ კ. (აღმობრწყინ(ვ)ება, აღსუბუქება). ერთი და იგივე წყარო ავტორს ზოგჯერ სხვადასხვაგვარად აქვს შემოკლებული... რიგ შემთხვევაში წყარო დაზუსტებას მოითხოვს“ (07).

ამდენად, ვფიქრობთ, საჭირო და აუცილებელია დაუდგენელ წყაროთა გაშიფვრა.

ლექსიკონში ასზე მეტი სიტყვაა დამოწმებული ისე, რომ მითითებული არაა წყარო, საიდანაც ამოღებულია ამ სიტყვათა შემცველი ციტატები, ან, თუ მითითებულია, აღნიშნულია ისეთი ინდექსებით (ს.ს., ბ ა რ ლ., მ ა რ კ., X...), რომელთა გაშიფვრა ვერ მოხერხდა. ზოგჯერ წყაროს დასახელებას ძახილის ნიშანი (!) ცელის, ხშირად კი საერთოდ არაა გამოყენებული თუნდაც რაიმე აღნიშვნა წყაროს მისანიშნებლად.

ჩვენი ყურადღების ფარგლებს გარეთ დავტოვეთ ისეთი შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ციტატას ახლავს წყაროს დასახელება, გვერდი კი მითითებული არაა. ასეთ შემთხვევაში წყარო მაინც ცნობილია. ჩვენს მიზანს კი უცნობი წყაროების გამოვლინება წარმოადგენდა.

ბუნდოვანი ადგილები რამდენიმე კატეგორიისაა: 1. წყარო მითითებულია, გვერდი კი — არა. 2. წყარო მითითებული არაა, გვერდი კი დასახელებულია. 3. წყარო ბუნდოვანი ინდექსითაა აღნიშნული (სს., ბარლ., მარკ., X...), გვერდი მითითებულია. 4. ზოგჯერ რომელიმე წყაროს სხვადასხვა რედაქციების ლიტერებია მითითებული, გვერდი (ან მუხლი) და თვითონ წყარო კი არაა დასახელებული. 5. არც წყაროა მითითებული და არც გვერდი.

ახლა გამოვაკლენთ ლექსიკონში დასახელებულ ზოგიერთ უცნობ წყაროს.

**A.** ლექსიკონში სს. ინდექსით აღნიშნული წყარო ნახმარია შემდეგ სიტყვებთან: კაპრაული: სს. 325r; კბილღრჭენა: კბილღრჭენით<sup>1</sup> სს. 236; კელობა: კელობდა სს. 367v; კერატი: სს. 214v; კირჩხიბი: სს. 219v; კოკა: კოკითა სს. 366r; კოცნა: იკოცნებოდეს სს. 303r, კოცნასა სს. 203r; კრება: იკრიბნა სს. 352r; კუნია: კუნიაჲ სს. 361v; ლაგამი: ლაგმისა სს. 215r; ლავრა: ლავრად სს. 161v.

სს. ინდექსით ლექსიკონში აღნიშნულია ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა Add. 11281. ეს ხელნაწერი ლექსიკონს დართულ შემოკლებათა განმარტებაში მოხსენებულია ი. ურპ.; B r t. და ხარტი: ხარტი. წამ. შემოკლებების ახსნისას. Add. 11281 ხელნაწერი მეტნაკლები სისრულით აღწერილი აქვთ ა. ხახანაშვილს<sup>2</sup>, ო. უორდროპს<sup>3</sup>, კ. კეკელიძეს<sup>4</sup>.

ამ ხელნაწერიდან ზოგიერთი თხზულება გამოქვეყნებულია ჩვენში თუ საზღვარგარეთ: 1. „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა საბაჲსი“, გამოსცა კ. კეკელიძემ: კიმენი, II, 1946, გვ. 139—219, 2. „ცხოვრებაჲ და განგებაჲ წმიდისა იოვანე ურჰაელისა [კათალიკოსისაჲ], გამოსცა კ. კეკელიძემ: Христианский Восток, т. II, вып. III, 1914, გვ. 317—348 (გადაბეჭდილია: კ. კეკელიძე, ეტიუდები, VII, 1961, გვ. 114—129). 3. „ცხოვრებაჲ და განგებაჲ იოვანე ეპისკოპოსისა შეყენებულისაჲ, რომელი დაყუდებულ იყო ლავრასა წმიდისა მამისა ჩუენისა საბაჲსა“, გამოსცა კ. კეკელიძემ: კიმენი, I, 1918, გვ. 15—27. 4. „ცხოვრებაჲ და განგებაჲ წმიდათა მამათაჲ სტეფანტსი და ნიკონისი“, გამოსცა ა. ხახანაშვილმა: მოამბე, VIII, 1905. 5. „ცხოვრებაჲ და განგებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა კვრიაკოზისი პალავრას, რომელი მარტოდმყოფ იყო დიდისა მამისა ჩუენისა წმიდისა ევთჲმის მოწაფტ“, გამოსცა ე. გა-

<sup>1</sup> სიტყვების მითითებისას ჯერ აღნიშნულია სალექსიკონო ერთეული (გამოსატანი სიტყვა), შემდეგ კი ის ფორმა, რომლითაც მოცემული სიტყვა გვხვდება უცნობი წყაროდან დამოწმებულ კონტექსტში. როცა ეს ფორმები ერთმანეთს ემთხვევა. მათ აღარ ეძებოვრებთ.

<sup>2</sup> ა. ხახანაშვილი, ბრიტანის მუზეუმის ქართული ხელნაწერები: მოამბე, VIII, 1905, მისივე. Грузинские рукописи Британского музея: Древности Восточные, т. IV, Москва, 1913, გვ. 1—10.

<sup>3</sup> J. O. Wardrop. A Catalogue of Georgian Manuscripts in the British Museum: A Catalogue of Armenian Manuscripts in the British Museum, by F. C. Conybeare. London, 1913, გვ. 397—410.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე, Житие и подвиги Иоанна католика Урхайского: Христианский Восток, т. II, вып. III, 1914, გვ. 308; კიმენი, II, 1946, გვ. 119.

რითმა: Le Muséon, t. LXXV, 3—4, Louvain, 1962, გვ. 408—440. 6. „ცხოვრება და განგება წმიდისა მამისა ჩუენისა უდაბნოჲსა მთიეებისა და მონაზონთა მოძღუერისა ეფრემისი“, გამოსცა ე. გარიტმა: Corpus scriptorum christianorum Orientalium, vol. 171, Scriptorum Iberici, t. 7, Louvain, 1957, გვ. 78—117. 7. „ცხოვრება წმიდისა ანტონისი“, გამოსცა ვ. იმნაიშვილმა, თბილისი, 1970.

**B.** შემოკლებათა განმარტებაში მოხსენიებული არაა სვმეონ სალ., სვმ. სალ. საჭიროდ ვთვლით მის გაშიფვრასაც. ეს შემოკლება ნახმარია შემდეგ სიტყვებთან: განთევა: განათიოდთან სვმეონ სალ. 365v; თანახს-თანა: სვმ. სალ. 351v; იშვთი: იშვთსა სვმ. სალ. 340v. ყველა მაგალითი ამოწერილია „სვმეონ სალოსის ცხოვრებიდან“, რომელიც იმავე Add. 11281 ხელნაწერის 333v—364v ფურცლებზეა მოთავსებული.

**C.** ბარლ., ბრ. შემოკლებით აღნიშნული წყარო გვხვდება შემდეგ სიტყვებთან: აღმოტყინება: აღმოეტყინების ბარლ. 225r; ვერ-მიახლება: ვერ-მიახლებასა ბარლ. 235v; დამადნობელი: დამადნობელ(!) 236 (მაგრამ წინასიტყვაობაში აღნიშნულია, ამ სიტყვასთან ლექსიკონში ბრ. ინდექსია ნახმარიო)

ბარლ., ბრ. ნიშნავს „ბარლაამის ცხოვრებას“. ეს ტექსტი სხვა ხელნაწერის მიხედვით გამოქვეყნებული აქვს ნ. მარს<sup>5</sup>. როგორც ჩანს, ილ. აბულაძეს უსარგებლია არა მარისეული გამოცემით, არამედ ისევ და ისევ ბრიტანული Add. 11281 ხელნაწერით, სადაც დაცულია ეს თხზულება (ფ. 228v—246v). ბრიტანული ხელნაწერის აღმწერელ მკვლევართაგან ვერც ერთმა ვერ შეამჩნია, რომ ამ ხელნაწერში მოიპოვება „ბარლაამის ცხოვრების“ მარისეულ გამოცემასთან რედაქციულად ახლოს მდგომი ვარიანტი. საქმე ისაა, რომ 228-ე ფურცელი, საიდანაც „ბარლაამის ცხოვრების“ ტექსტი იწყება, დაზიანებულია, მისი მსოლოდ დაახლოებით 1/6 ნაწილია დარჩენილი. Add. 11281 ხელნაწერის აღმწერელთ მხედველობის არიდან გამორჩენიათ ის, რომ შესაძლებელი იყო ამოხეული ფურცლიდან ახალი თხზულება დაწყებულიყო და ამის გამო „ბარლაამის ცხოვრების“ ტექსტი მის წინ მოთავსებული „თევდოსის ცხოვრების“ გაგრძელებად ჩაუთვლიათ. ილ. აბულაძის მახვილ თვალს არ გამოჰპარვია ეს გარემოება და გუმანით სწორად მიუგნია უსათაურო თხზულების ნამდვილი რაობისათვის.

**D.** ლექსიკონში ძალზე ხშირადაა გამოყენებული X ინდექსი. იგი ნახმარია შემდეგ სიტყვებთან:

მავეალი: მაველისათა X324r	მიმოქროლა: მიმოქროლის X319v
მამიზღებელი: X360v	მისანი: X360v
მარწუხი: მარწუხითა X282r	ნასხლევი: X262v
მარხვა: მარხვას X368v	ნაკშირი: X216r; ნაკშირითა X215v
მაშთალა: მაშთალაჲ X369r	ნეგოზი: ნეგუზითა X349v
მდოგუ: მდოგუ X359v	პალევაეტ: X366r
მელაღრია: მელაღრიასა X325r	როკეა: როკეიდეს X357v
მეცერტუე: მეცერტუსა X355r	როფიმი: როფიმსა X329r
მეჭიქე: მეჭიქისასა X360v	რჩევა: ვარჩევდ X366v
მიზღება: ამიზღებნ X307r	საგზებელი: საგზებელსა X360r

<sup>5</sup> Н. Я. Марр, Агиографические материалы по грузинским рукописям Ивера: ЗВО-ИРАО, т. 13, С-Петербург, 1901, გვ. 109—138.

სადაა: X358r	შეცოდება: შეცოდებული X368r
სარკუმელი: სარკუმლისა X329r	შეკდომა: შეუკდა X302r
სარსიკი: სარსიკი, სარსიკსა X359v	შეკშირება: შეკშირდა X324r
საყელე: საყელესა X355v	შიული: შიულისათა X285r
სირბილი: სირბილად X349r	ცინება: გაცინებდე X360v
უსასტიკესი: უსასტიკესითა X236v	ცხოველს-მყოფელი: X234v
ფილი: X350r	ძმარი: ძმრად X361r
ქოქი: ქოქითა X356v	ძნა: ძნად X362v
ქსენადოქარი: ქსენადოქარად X322	წარჩინებული: წარჩინებულთაგანი X356v
ქუეათი: ქუეათისა X324r, ქუშთ X277v	
ქუემგოგვარი: X222r	წარძება: წარადო X368v
ქულბაგი: ქულბაგსა X350v	წუერი: X283r
ყივილი: ყივილად X349r	წყობა: წყობად X235r
შელოცვა: შეულოცვიდა X360r	ქამა: ქამოდის X365v, ქამოდიან X365v
შეშინება: შეშინებად X236v	ხაკო: ხაკომ X326r

ყველა დამოწმებული მაგალითი ბრიტანული ხელნაწერიდანაა ამოკრებილი. X ყველგან Add. 11281 ხელნაწერს უდრის.

E. ზოგჯერ წყაროს დასახელებას ძახილის ნიშანი (!) ცვლის. (!) ნახმარია შემდეგ სიტყვებთან: განსუქება: განასუქებ (!) 348r; გლა: გლის (!) 361r, ჰგლოდა (!) 214r; თაფლი ველისაჲ (!) 325r; დამადნობელი: დამადნობელ (!) 236r (წინასიტყვაობაში კი, როგორც აღნიშნეთ, ნათქვამია, თითქოს ამ სიტყვასთან ბრ. ინდექსია გამოყენებული).

ყველა მაგალითი ისევ იმავე Add. 11281 ხელნაწერიდანაა დამოწმებული. მაგრამ თუკი X ინდექსის შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ ბრიტანული ხელნაწერი ივარაუდებოდა, (!) ყოველთვის ამ ხელნაწერს არ აღნიშნავს. ლექსიკონში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც (!) სხვა წყაროს ცვლის. ზოგიერთ ასეთ უცნობ წყაროს მივაგენით, ზოგს კი — ვერა.

ვაჩვენებთ იმ შემთხვევებს, როცა (!)-ით აღნიშნული უცნობი წყარო გასიფრულია. კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებულია აღდგენილი წყარო

აჩრდილი: აჩრდილსა(!) [მსაჯ. 9,36]

დასრულებული: დასრულებულ არს(!) [I ეს. 32,10]

დასხმული: დასხმულნი(!) [მსაჯ. 19,10]

ძნელი: ძნელ 118,31(!) [მ. სწ. 118,31].

F. ზოგჯერ ციტატასთან წყაროს დასახელება გამორჩენილია და მხოლოდ გვერდი ან რედაქციის აღმნიშვნელი ლიტერია ნაჩვენები. რამდენიმე ასეთი შემთხვევაც გავსიფრეთ. ცალკე გამოვყოფთ ისეთ ნიმუშებს, რომლებიც Add. 11281 ხელნაწერიდან არის დამოწმებული. ეს სიტყვებია:

მკალი: მკლისა 222v

მოზიარე: 366r

მოლეწვა: მოლეწა 355r

მოცვა: მოცვით მომიცვეს 235v

მოძება: მოძომო 368r

სადევე: სადევეთა 215r, სადევენი 145v

სავარცხალი: 283v

სატფური: სატფურად 324

ტაფაკი: ტაფაკითა 358r

ფიჩუ: ფიჩუ 366r

ფოლი: ფოლად 307v

ღებული: ღებულად 366r

უნოსა: უუნოსიეს 277v

ყურის-ყურ: 358r

ქრა: ქრად 357v

ქორცი: 357v.

ყველა ზემომოყვანილი მაგალითი ბრიტანული ხელნაწერიდანაა ამოწერილი. ამათ გარდა, გვხვდება ისეთი ნიმუშებიც, რომლებიც სხვადასხვა წყაროებიდანაა დამოწმებული ისე, რომ არც წყაროს დასახელება ახლავს და არც

რაიმე სპეციალური ინდექსი, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ მათგანთან ნახმარება თუ იმ რედაქციის აღმნიშვნელ ლიტერს. კვადრატულ ფრჩხილებში აქაც აღდგენილი წყაროა მოთავსებული:

უზუაეი: უზუაე [II ტომ. 3,3]

უცხო-ტომი: უცხო-ტომნი G [მსაჯ. 16, 9, 12, 14, 20 დაიწმეხული ციტატა მსაჯულთა წიგნის მე-16 თავის ოთხივე მუხლში მეორდება]

საბასრაეი: საბასრაე [მ. ცხ. 453v]

შეგინება: შეგინებისა pb [იერ. 44,5]

შთაგდებელი სამკედურისა: შთამგდებელი სამკედურისანი pb 19,18 [ეს. 19,18]

წყუედა: წყუედანი [C მრ. 13,8]

წყუედა: წყუედაა O [ეს. 41,19]

ჰრელობა: ჰრელობისა 39,36 [იოზ 38,36].

G. ლექსიკონში კითხვის ნიშანია (?) წყაროს ნაცვლად კასტელის განმარტებისას, თუმცა წინასიტყვაობის მიხედვით ამ სიტყვასთან სს. ივარაუდება. მთავარი მაინც ისაა, რომ ესეც Add. 11281 ხელნაწერის 322r ფურცლიდან არის დამოწმებული.

H. ლექსიკონში გვხვდება რამდენიმე შემთხვევა, როცა ერთი წყაროს ნაცვლად შეცდომით სხვა წყაროა მითითებული. აი ზოგიერთი მათგანი:

აბმა: აბმაა Sin. — 8,358v

აღნთება: აღენტენ Sin — 8,215v;

აღსობა: აღსევა Sin. — 8,367v, აღსობილ Sin. — 8,367v

აპობტი: Sin. — 8,357v

აჯდომი: აჯდა Sin. — 8,275v

ერთგული: ერთგულ Sin. — 8,358v

წალა: წალაა Sin. — 8,367v.

შემოკლებათა განმარტებაში აღნიშნულია, რომ სინურ ხელნაწერთა ნომრები ნ. მარისა და ი. ჯავახიშვილის კატალოგებს ეყრდნობა. მაგრამ № 8 სინური ხელნაწერი (Sin.—8) 367 ფურცელს არ შეიცავს, მასში მხოლოდ 147 ფურცელია<sup>6</sup>. ამიტომ ზემომოყვანილი მაგალითები Sin.—8 ხელნაწერიდან არაა დამოწმებული. ისინი ამოწერილია იმავე Add. 11281 ხელნაწერიდან.

მჯდომი: „... ძუძუსა ჩემსა მჯდომი მაზის, რომელსა ჰრქვან კირჩხიბი“ ლონგ. 219v. ეს კონტექსტი გამოყენებულია კირჩხიბის განმარტებისასაც, ოღონდ იქ წყაროდ სს. 219v არის დასახელებული. ლონგ. 219v შეცდომაა, სს. 219v კი Add. 11281 ხელნაწერს ნიშნავს.

სხვათა შორის, სხვაგანაც შეინიშნება ასეთი რამ: ერთი და იმავე კონტექსტიდან დამოწმებულია სხვადასხვა სიტყვები, ამ ცალკეული სიტყვების განმარტებისას კი საერთო წყარო სხვადასხვანაირადაა მითითებული ან საერთოდ გამოჩენილია მისი დასახელება. ქვემოთ ნაჩვენებია, თუ რომელ სიტყვასთან რა ინდექსია გამოყენებული წყაროს მისანიშნებლად:

224r: შეკვირება — X, ქუეითი — X, მებალი — X, სატფური (წყარო არაა მითითებულა)

226v: უსასტოვესი — X, კბილრქენა — სს.

283r: წუერი — X, სავარცხალი (წყარო არაა მითითებულა)

325r: მელარია — X, თაფლი ველისაა — (!).

განმგე: „რაჲთა იგი იყოს განმგე ამა საქმესა“ ხარიტ. წამ. 161V. განმგე გვხვდება არა 161V ფურცელზე, არამედ 167V-ზე. ეს კი „ვეთუმის

<sup>6</sup> ი. ჯავახიშვილი, სინის შთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1917, გვ. 21.

ცხოვრებას“ ეკუთვნის და არა „ხარიტონის ცხოვრებას“ (ეს უკანასკნელი კი, მართლაც, 162V ფურცლამდე გრძელდება). ეტყობა, ილ. აბულაძემ შეეცდომით ჩაინიშნა ფურცლის ნომერი (შესაძლოა, „შვიდიანი“ „ერთიანი“ მიამსგავსა) და რაკი იცოდა, რომ „ხარიტონის ცხოვრება“ 162V ფურცლამდე გრძელდებოდა, წყაროს დასახელება შეეშალა. აღსანიშნავია, რომ 167V ფურცლის ნაცვლად 161V არის მითითებული სხვაგანაც, ლავრის განმარტებისას.

**I.** ლექსიკონში შეტანილია სიტყვა ნ ა ყ ო ფ - ტ კ ბ ი ლ ი. იგი მხოლოდ ერთხელაა დამოწმებული: X211r. ესაა Add. 11281 ხელნაწერი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერში ეს სიტყვა ამგვარი სახით არაა დადასტურებული. იქ იკითხება: ნ ა ყ ო ფ ი ტ კ ბ ი ლ ი. ამიტომ ამ ლექსიკონის შემდგომი გამოცემიდან ეს სიტყვა უნდა ამოღებულ იქნეს.

**K.** კ უ ნ ი ა დამოწმებულია ერთხელ: სს. 361r. ესეც ბრიტანული ხელნაწერიდანაა ამოღებული. ოღონდ, გასათვალისწინებელია, რომ 361r ფურცელზე ეს სიტყვა 4-ჯერ გვხვდება და ყველგან კ უ რ ნ ი ა იკითხება. ამიტომ ნედარი ფორმა უნდა გასწორდეს.

**L.** რაკი Add. 11281 ხელნაწერი სრული სახით ჯერჯერობით გამოქვეყნებული არაა, ამიტომ საჭიროდ ვთვლით, შევასწოროთ ამ ხელნაწერიდან ციტატების დამოწმებისას გვერდების მითითების დროს დაშვებული უზუსტობანი. ქვემოთ ჩამოთვლილ სიტყვებთან მარცხნივ ლექსიკონში არაზუსტად დასახელებული გვერდია, მარჯვნივ — ჩვენ მიერ შესწორებული:

აღმოტყინება 225r=236r

აჭდომა 275r=277r

განმგე 161v=167v

გაჭდომა 274v=276v

გლა 361r=361v

დაფი 274v=277r

დავარცხნა 283r=283v

კაკრაული 325r=325v

კოცნა 203r=303r

ლავრა 161v=167v

მავეალი 324r=224r

მამიზღებელი 360v=361r

მარწუხი 282r=282v

მექიქე 360v=361r

ნასხლევი 262v=362v

საგზებელი 360r=361r

სავარცხალი 283r=283v

სატფური 324r=224r

ფოლი 307v=307r

ქუეფთი 324r=224r

შექშირება 324r=224r

ცინება 360v=361r

ძმარი 361r=361v

წარძება 358v=368r

წუერი 283r=283v

ხაკო 326r=325v.

**M.** ორიოდ სიტყვა მოყვანილი ციტატების შესახებ. რაკი ლექსიკონი დოკუმენტირებულია, იგი შეიძლება გამოვიყენოთ ამა თუ იმ სიტყვის დასამოწმებლად. ამიტომ, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება ზოგიერთი არსებითი ხასიათის უზუსტობის გასწორებაც.

დამოწმებულ სიტყვასთან მარცხნივ ლექსიკონისეული წაკითხვაა მოცემული, მარჯვნივ — ხელნაწერში არსებული ფორმა:

აღსობა, კელობა: ფრკითა=ფრკითა (=ფერკითა)

აღსობა: ადგილი=ადგილი იგი

განმგე: ამა საქმესა=ამას საქმესა

დალიკი: მოყვანება=მოყვანება მისი

დამადნობელი: ძვალისა=რვალისა

ერთგული: ცხოვნდებოდეს=ცხოვნდებოდეს

კასტელი: გაწმიდნა=განწმიდნა

კუნია: კუნია=კურნია

მავეალი: ქუეფთისა=ქუეფთისა

მიზღება, ფოლი: თავსა თვისა=თავსა თვისა

ს ა ტ თ უ რ ი: მკრდამდის=მკრდამდისი  
 ქ უ ე მ თ ი: საქედრისა=საქედარისა  
 შ ე შ ი ნ ე ბ ა: იწყო=იწყონ  
 წ ა რ ძ ე ბ ა: იერუსალტმდ=იერუსალემდ.

დასასრულ, **Add. 11281** ხელნაწერის შესატყვისი ინდექსების შესახებ. ვფიქრობთ, სს. ინდექსი წარმოადგენს ს ჯ მ ე ო ნ ს ა ლ. და ს ჯ მ. ს ა ლ. შემოკლებების კიდევ უფრო გამარტივებულ სახეობას. ილ. აბულაძემ, ალბათ, სს. ინდექსი თავდაპირველად „სჯმეონ სალოსის ცხოვრებიდან ამოკრებილი ნიმუშებისათვის იხმარა, შემდეგ კი მთელი ხელნაწერისათვის განაზოგადა. ძნელი სათქმელია, ავტორი ბოლომდე ამ ინდექსს გაატარებდა თუ შემდგომში მასაც უფრო მოხერხებული ინდექსით შეცვლიდა. ილ. აბულაძეს, ჩანს, ლექსიკონის საბოლოო ვარიანტი დახვეწილი არა ჰქონდა და, სავარაუდოა, თანდათან მას უფრო სრულყოფილ სახეს მისცემდა, მათ შორის **Add. 11281** ხელნაწერიდან დამოწმებულ ციტატებსაც ერთნაირ ინდექსს შეურჩევდა. ერთი რამ კი ნიშანდობლივია: სს. გვხვდება მ ი ყ ო ლ ე ბ ი თ კ ა რ ა უ ლ ს ა და ლ ა ვ რ ა ს შ ო რ ი ს მოთავსებულ სიტყვებთან ისე, რომ ამ მონაკვეთისათვის რაიმე განსხვავებული ინდექსი არაა გამოყენებული. ლავრის შემდეგ კი X ინდექსია ნახმარი (მანამდე X ინდექსი საერთოდ არ გვხვდება). შესაძლოა ილ. აბულაძეს ყველა X შემდგომში სწორედ სს. აღნიშვნით შეეცვალა. ახლა ამაზე დანამდვილებით ლაპარაკი ძნელია...

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
 აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა)

ЛАРИСА ДЕЛАШВИЛИ

## ОБ ОДНОМ АРАБОЯЗЫЧНОМ ПАМЯТНИКЕ ДАГЕСТАНСКОГО ПРОИСХОЖДЕНИЯ

Арабоязычная культура Дагестана имеет многовековую историю. Как известно, в этом краю, где на совсем небольшой территории живет много национальностей, говорящих на различных языках, уже с VIII—IX вв. широко внедряется арабский язык. Правда, этот процесс имел место и в других областях Кавказа, однако для Дагестана он оказался наиболее сильным и плодотворным.

Ориенталисты различают две волны арабского влияния на Кавказ. По определению академика И. Ю. Крачковского «первая, шедшая с ранними завоеваниями не глубоко затрагивала местное население Закавказья, а вторая, медленно нараставшая с XVI в., постепенно создала в Дагестане, Чечне, Ингушетии, отчасти Кабарде и Черкесии, местную оригинальную литературу на арабском языке»<sup>1</sup>.

Арабская письменность внесла коренные изменения в культурную жизнь горцев. Именно благодаря арабскому языку Дагестан оказался включенным в мусульманский круг мировой культурной жизни. Только теперь оказалось возможной фиксация образцов устного творчества, и в Дагестане создается т. н. «аджам» — литература на родном языке оригинального характера, переданная арабским алфавитом. Материалы такого рода в большом количестве хранятся в Институте языка, литературы и истории Дагестанского филиала Академии наук СССР.

На основе анализа и обобщения отдельных фактов, в 1948 году было сделано величайшее открытие не только в истории дагестанской литературы, но и в истории ориенталистики. Основоложник советской арабистики, академик Игнатий Юлианович Крачковский публикует статью о почти неизвестной в науке арабской литературе на Северном Кавказе<sup>2</sup>. Исследователь придавал большое значение этому открытию и ставил его в один ряд с большими успехами, достигнутыми нашими арабистами в советский период.

Известно, что в Дагестане на арабском языке были созданы как типичные схоластико-канонические памятники, так и образцы художественной литературы. На наш взгляд, в отличие от типичных схоластико-канонических памятников, образцы художественной литературы трудно назвать арабской художественной литературой, поскольку они являются духовным наследием самого дагестанского народа, который на

<sup>1</sup> И. Ю. Крачковский, *Избранные сочинения*, т. VI, М.-Л., 1960 г., стр. 612.

<sup>2</sup> И. Ю. Крачковский, *Арабская литература Северном Кавказе*, указ. стр. 609.

определенной стадии исторического развития лишь пользовался арабским языком для передачи этих образцов. Пожалуй, было бы правильнее образцы художественной литературы назвать «дагестанской литературой на арабском языке», а не «арабской литературой на Северном Кавказе», даже в Дагестане, ибо национальное своеобразие той или иной культуры определяется не тем языком, на котором она выражена, а теми социально-экономическими и этническими взаимоотношениями, на чьих корнях возникла эта культура и которые составляют ее содержание.

Если коснуться эволюции арабской литературы Дагестана, ее развития и упадка, нельзя не учесть выказывавший И. Ю. Крачковского по этому вопросу: «Эта литература за свое трехвековое существование знала один период особого расцвета, который является и апогеем ее развития. Он падает на конец XVIII и первую половину XIX в., приблизительно до 70-х годов. Он отражает известное движение мюридизма на Кавказе, и особенно долголетнюю борьбу с царским правительством третьего имама, знаменитого Шамиля. В это время около середины XIX в. арабская литература тем создает свои крупнейшие произведения, приобретает особое разнообразие и количественное богатство»<sup>3</sup>.

Прошло более ста лет после Кавказской войны (1830—1859), но со временем интерес к ее истории не ослаб. Создано много исследований, в которых движение горцев и личность руководителя движения самого Шамиля оценивались с диаметрально противоположных позиций. Сравнительно единой линией придерживаются последние исследования; их авторы исходят в основном из известного призыва Карла Маркса: «Народы, учитесь у них (у черкесов. — Л. Л.) на что способны люди, желающие остаться свободными»<sup>4</sup>.

Что, как не литература должна была наиболее рельефно и убедительно отобразить всеобщее народное движение в Дагестане против царских колонизаторов и местных проводников их политики шамхалов, ханов, беков и молл. Борьба классовая, борьба идеологическая — вот что характерно для Дагестана эпохи имамата.

Шамиль не раз признавался своему биографу Мухаммед Тахиру Ал-Карахй: «Я хотел бы собрать рассказы о событиях, случившихся в мое время, однако я не могу найти досуга для этого по занятости всякими делами и войнами»<sup>5</sup>.

Перед дагестанскими алимами встала неотложная задача создания крупных прозаических произведений. Следовало написать книги о явлениях большого исторического значения. Так создавались крупные лирико-эпические полотна дагестанских авторов о подлинных событиях; они отображали на арабском языке всю историю имамата. Эти исторические хроники превратились во взволнованные поэтические рассказы о героике прошлых лет.

Что касается истории их научного изучения, академик И. Ю. Крачковский писал: «Количество арабских источников по истории эпохи Шамиля, которые становятся известными в науке, продолжает медленно, но можно надеяться — систематически увеличиваться»<sup>6</sup>. Здесь

<sup>3</sup> И. Ю. Крачковский, указ. соч., стр. 614.

<sup>4</sup> К. Маркс, Коммунистический манифест, М., 1930, Приложение, стр. 237.

<sup>5</sup> А. М. Барабанов, Введение к «Хронике Мухаммеда Тахира ал-Карахй», М.-Л., 1941, стр. 8.

<sup>6</sup> И. Ю. Крачковский, указ. соч., стр. 585.

же исследователь отмечал, что этот рост происходил в основном за счет отдельных писем и документов. Автор считал, что главная заслуга в этом деле принадлежит академику Г. В. Церетели<sup>7</sup>. «Необходимо, — указывает академик И. Ю. Крачковский, — систематическое исследование объема арабской литературной традиции в Дагестане... в особенности тех, которые создавались на месте»<sup>8</sup>.

Как известно, работа в этом направлении начата уже давно. Труды И. Ю. Крачковского, Г. В. Церетели, М.-С. Саидова, А. Н. Генко, А. М. Барабанова, Т. С. Маргвелашвили, Н. Г. Капчавели и др. посвящены изучению арабских памятников дагестанского происхождения. Однако многие памятники до сих пор не изучены. Например, специального изучения требует воспоминание Абд Ар-Рахмана, поэтический сборник Хасана ал-Кадари «Диван Ал-Мамнуи» и др.

Много арабоязычных памятников до сих пор не найдено. Так, рукописи, отражающие движение Шамиля, как указывает академик И. Ю. Крачковский<sup>9</sup>, иногда встречаются в самых неожиданных хранилищах. К этому следует добавить и то, что рукописи находятся не только в неожиданных хранилищах, но и часто вне всяких хранилищ. Эти рукописи являются принадлежностью семейных библиотек. К сожалению, до сих пор не удалось их собрать соответствующим образом и поместить для обработки в доступные для специалистов места.

В 1972 году, во время одной из научных командировок в г. Махачкалу, мне удалось обнаружить рукопись, заглавие которой приписано по-русски: «Хроника о трех имамах Дагестана». Ее автор Хаджи Хайдар-Бек ал-Генечутли.

Академик Г. В. Церетели заинтересовался рукописью и посоветовал тщательно ее изучить.

Известно, что научно изучена лишь одна хроника, отображающая боевую деятельность Шамиля. Это «Блеск дагестанских шашек в некоторых шамилевских битвах» Мухаммеда Тахира ал-Карахи, переведенный и изданный А. М. Барабановым. Поэтому изучение «Хроники» Хаджи Хайдар Бека ал-Генечутли, как еще одного из источников о Шамиле, не лишено научного интереса. Академик И. Ю. Крачковский справедливо считал, что «необходимо собрать сведения о всех материалах о Шамиле на арабском языке, сохранившихся где бы то ни было... которые осветят этот период с новой и своеобразной точки зрения»<sup>10</sup>.

Приступая к изучению данной Хроники мы руководствовались именно этими соображениями. К сожалению, автограф Хроники не найден. По словам компетентных научных сотрудников Дагестанского Института языка, литературы и истории, оригинал «Хроники» попал в г. Махачкалу в 1937 году через аварского поэта Гамзата Цадаса. «Хроника» была переведена на русский язык Б. Малачихановым и

<sup>7</sup> Г. В. Церетели, Письмо Шамиля из Калуги, ЗИВ, V, 1935, стр. 97—114.

Г. В. Церетели, Вновь найденные письма Шамиля, труды первой сессии Ассамблеи арабистов, М.-Л., 1937, стр. 95—112.

<sup>8</sup> И. Ю. Крачковский, Указ. соч., стр. 574.

<sup>9</sup> Там же, стр. 586.

<sup>10</sup> Там же, стр. 573.

Али Каяевым, но и перевод пропал во время Великой Отечественной войны, в период консервации Института. Что касается подлинника, он вернулся к хозяину и впоследствии стал жертвой пожара.

Тем не менее, те два списка, которые имеются у нас на руках, все таки дают определенное представление об оригинале. Разница между списками вариантная.

Один из списков переписан Хаджи Дибиром из аула Ахалчи. Список А<sup>11</sup>, находящийся у нас на руках, представляет собой именно его копию, переписанную младшим научным сотрудником Дагестанского филиала АН СССР Магомедом Нурмагомедовым в июле 1972 года.

Второй список В переписан Абд Ар-Рахманом ал Джунгутай 12 декабря 1940 года.

Список А состоит из 51 страницы размером 21×29. Количество строк на каждой странице — 20. Исключения составляют страницы V, 14 (по 19 строк) и 17 (21 строка).

Список В представляет собой самодельную простую тетрадь из 36 страниц, размером 14×17. Количество строк на страницах разное. Перепищик снабжает каждую страницу кустосом. Пагинация арабская.

Оба переписчика — дагестанцы, аварцы. Список В весьма неразборчив. Полагаем, что он написан шикастеобразным насталиком. О списке А можно сказать, что он принадлежит профессиональному переписчику.

Список В, видимо, читался неоднократно — страницы зачитаны об этом свидетельствует множество следов пальцев на нижних углах страниц. Приписки на полях и между строк (в особенности заглавия, приписанные на полях) указывают на то, что этот вариант более поздний. Особенно часто попадаются выведенные на полях крупными буквами заголовки и сделанные той же рукой вставки, выполненные миниатюрным шрифтом. Некоторые буквы обведены особыми значками, которые требуют специального анализа. При чтении рукописи возникли отдельные трудности; по мере возможности они были преодолены.

Композиционно «Хроника» является типичным образцом арабской литературы, поскольку автор согласно традиции старается показать всю свою мудрость. Она начинается твердо соблюдаемым введением, за т. н. «басмала» и «хамдала» следует обычный переход «амма ба'д». Далее мы знакомимся с личностью автора и идеей произведения: «Это — маленький очерк о том, что сделала судьба с дагестанским народом, начиная с появления просветителя имама Гази Мухаммеда, до помилует его всевышний Аллах, материал этот собрал достойный богобоязненный ученый, единственный в свое время, Хаджи Хайдар-бек ал-Генечутан, да смилостивится над ним всевышний Аллах и да превратит его могилу в цветущую долину».

Далее автор знакомит нас с историческими фактами. Весь рассказ разделен на главы и без всякой нумерации — на подглавы<sup>12</sup>.

И форма передачи тоже следует арабской традиции. Произведение написано прозой. Часто обыкновенная проза сменяется рифмованной — садж'. В прозу порою включены, опять-таки на арабский манер, стихи. Впрочем в этом отношении текст не перегружен. Стихи принадлежат предшественнику Шамиля имаму дагестанцу Гази Мухаммеду.

<sup>11</sup> Буквой А мы обозначали список в языковом нем даны правильные грамматические формы.

более грамотн

<sup>12</sup> Количество подзаголовков в списке А намного больше, чем в списке Б.

и в автографе одного сочинения Шейха ат-Таптави»<sup>14</sup>. Лексика «Хроники» весьма богата. Чувствуется прекрасное знание автором и комментатором нюансов арабского языка. Синонимы, приведенные в нужных местах цитаты и термины из Корана свидетельствуют о высокой культуре их речи. Русские слова, встречающиеся в хронике, относятся лишь к военной терминологии. Из них следует отметить *ينارال* (генерал) — в характерной для Кавказа измененной форме начального звука, как указывает академик И. Ю. Крачковский<sup>15</sup>. Это слово в той же форме встречается и в грузинском языке, в частности, в хевсурском диалекте<sup>16</sup>.

Из военной терминологии в обоих списках встречается также *سردار* — главнокомандующий, переданный в двух вариантах.

А سردار || سردال      В سردار

С определенными трудностями связана передача географических и этнических имен. Из названных в тексте географических наименований (множество аварских пунктов, лажские (даргинские) аулы, а также различные племена дагестанцев) в списке А многие огласованы, в списке же В — огласовка имеется лишь у некоторых. Для передачи специфических для кавказских языков звуков автор использует дополнительные литеры, чуждые классическому арабскому языку.

Например, ل, ج, ك, ز.

При передаче географических наименований обращают на себя внимание два различных окончания *ى* ~ *ه* (А *شحه* || В *شحي*) Так, окончание *ى* ~ не может считаться характерным для арабского языка Дагестана, поскольку оно очень редко употребляется, в большинстве случаев встречается *ه* ~ или обыкновенное окончание. Такое многообразие может быть объяснено отсутствием установленных норм написания географических наименований. Возможно и то, что местные авторы или переписчики при передаче топонимических и этнических имен руководствовались своими принципами.

Следует отметить, что фонетическая картина арабизации русской лексики, местных топонимических или других собственных имен требует специального изучения для установления взаимовлияния арабского и местного языков.

Возникает вопрос: в каких отношениях между собой находятся эти два списка, к какому источнику восходят и чем можно объяснить указанные различия?

Разница между списками А и В, как уже отмечалось выше, вариантная. Мы полагаем, что у обоих списков один источник, представляющий собой не оригинал, а переписанный с оригинала список, поскольку в значительной части списка комментатором указано: «Об этой (всей истории. — Л. Л.) упоминал шейх ал-Багиви, а также Хасан ал-Надани в «Законах управления мюридом», который отличается (от первого) некоторыми фразами. Это последний сборник, который составили Хаджи Хайдар-бек Эфенди. В то же время заветный плод Хаджи Хайдар-бека сокращен незначительно в некоторых местах». И дальше: «Сказал, да смилостивится над ним Аллах (Хаджи Хайдар-

<sup>14</sup> И. Ю. Крачковский, Указ соч., стр. 607.

<sup>15</sup> Там же, стр. 600.

<sup>16</sup> Г. В. Церстели, Письмо Шамиля барону Николаю, стр. 114.

бек ал-Генечутли. — Л. Л.) в заключительной части оригинала, представляющий собой его Резюме: Это один глоток воды в пучине моря битв могучего воина и маленький рассказ о славных делах знаменитого совершенного правителя шейха Шамиля, да помилует его всевышний господь. Я собрал его у тех, кто был свидетелем всех его дел, кто взывал на себя все трудности — от Ади Абу-Бекр ал-Аргани, да смилятся над ним Аллах».

Мы не знаем, кто был комментатором ал-Генечутлийского оригинала, поскольку он себя не называет. И те двое авторов, которых упоминает комментатор (шейх ал-Багиви и Хасан ал-Надави), нам тоже неизвестны. Быть может при дальнейшем исследовании можно будет установить их личности и конкретно изучить.

И так, имеющиеся у нас оба варианта переписаны с комментированного списка «Хроники» Хайдар-бека ал-Генечутли, поскольку они в точности следуют друг за другом и не имеют никаких фактических или количественных различий. О чем же в таком случае свидетельствуют, зафиксированные нами различия между списками А и В? Скорее всего, один из переписчиков (А) лучше другого (В) знал арабский язык и, главное, добросовестнее отнесся к этому делу. Это видно, хотя бы, из заголовков. В списке А каждое новое событие озаглавлено весьма точно, ясно и в центре строки, хотя некоторые заготовки и заключены в скобки. В списке же В озаглавлены лишь крупные отрывки. В остальных случаях заглавие дано либо на полях, либо вообще они отсутствуют. По нашему мнению, это объясняется отношением переписчика к тексту. Даже характер ошибок и топонимическая транскрипция указывают на то, что один из них выполнен наскоро, другой же — вдумчиво.

Исследование «Хроники о трех имамах» Хаджи Хайдар-бека ал-Генечутли, думается, внесет определенный вклад в историю битв Шамиля. Правда, по объему она намного меньше известной «Хроники» Тахира ал-Карахи, но в ней своеобразно отражены реалии битв дагестанцев.

На основе всестороннего анализа работы можно утверждать, что в ней явно царит арабская традиция. Читаем «Хронику» и иногда забываем, что она возникла на не арабской почве и создана пером кавказца, для которого арабский язык не был родным. Объективная реальность — совсем другая, но средства отражения классические. Итак, «арабская литература» в Дагестане на протяжении всего своего существования живет своими же традициями. Думается, именно этот факт обусловил и термин «арабская литература в Дагестане», и объединение арабоязычных художественных произведений Дагестана с арабской литературой.

Вся сила и жизненность языка именно в том и заключается, что чуждая среда не приводит его к вырождению, а наоборот — язык чуждые элементы этого окружения естественно преобразовывает и оригинально сочетает в себе.

(Представил член-корреспондент АН ГССР К. Г. Церетели)

## ქ რ ო ნ ი კ ა დ ა ინ ფ ო რ მ ა ც ი ა

## ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში\*

1974 წ. 14 ივნისი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. პეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 259; 260; 261; 262; 263; 264; 265 (პროექტი მოამზადეს ს. ცაიშვილმა, მ. ანთაძემ, გ. არაბულმა, ნ. კოტეტიშვილმა, თ. ცქიტიშვილმა); 266; 267; 268; 267; 270; 271; 272; 272,1; 273 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, ე. ბილანიშვილმა, ლ. კიკნაძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ).

259 ქალსა ყმამან მოუსმინა, დამორჩილდა, დართო ნება,  
ამას ზედა მოიხედნეს, ქვეით ესმა ჩხაპუნება;  
მთქარე წყალსა გამოსრული ნახეს, შუქთა მოვანება,  
და უკურიდნეს, აღარა კმნეს მუნ ხანისა დაყოვნება.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 260) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

260 ქალმან უთხრა: „ყმაო, ღმერთმან მოგცა ყამად, რაცა გინა,  
მაგრა თავი უჩინო კმენ, დამალული იყავ შინა;  
იმა ყმისა მუწუნებლე ქორცაელი არავინ-ა;  
და ნუთუ ვით რა მოვაგუარო, შენი ნახვა არ ეწყინა“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 261) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზია: მეორე ტაეპში უჩინო კმენ რთულ ზმნად უნდა გაეიგოთ და არა შესიტყვებად (შდრ. ტყუემკმენ 247), ამიტომ ერთ სიტყვად უნდა დაიწეროს.

დაადგინეს: უჩინო კმენ, როგორც რთული ზმნა, დაიწეროს ერთ სიტყვად, ჯერჯერობით შერწყმულად (დეფისის გარეშე). შემდგომში სპეციალურად დაეუბრუნდეთ რთულ ზმნათა დაწერილობის საკითხს (იხ. 1974 წ. 17 მაისის ოქმი).

რედაქციამ ასევე დროებით, სპეციალურ განხილვამდე, უცვლელად დატოვა არავინ-ა (შდრ. თინათინ-ა 169, იხ. 1974 წ. 11 იანვრის ოქმი).

რედაქციის წევრებმა ყურადღება მიაქციეს იმას, რომ მეოთხე ტაეპში ზმნის თხრობითი კილოს ფორმა გამოყენებულია კავშირებითის ფუნქციით: არ ეწყინა = არ ეწყინოს.

261 ავთანდილ ქუაბსა დამალა ქალმან მალეითა მალითა,  
იგი ყმა ცხენსა გარდაქდა, შუენოდა კაპარქ-ქრმალითა;  
ატირდეს მალლად ცრემლითა, ზღუათაცა შესამალითა,  
და ავთანდილ სარკმლით უჭურტდა ჭურტითა იდუმალითა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 262) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მეორე ტაეპში ზოგიერთი ხელნაწერი კაპარქის ნაცულად ქარქაშს კითხულობს (ქარქაშ-ქრმალითა). შენიშვნებში უნდა ითქვას, რომ ქარქაში შინაარსობრივად კაპარქის ტოლფასი სიტყვაა და შემთხვევითი არ არის მისი გამოვლენა ზოგ წესხაში.

დაადგინეს: შენიშვნებში გათვალისწინებულ იქნეს აღნიშნული მოსაზრება.

262 ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან,  
დიდხან იტირეს ყმამან და მან ქალმან შაოსანამან;  
შუქსნა, შეილო აბჯარი, ცხენიცა შეიყვანა მან;  
და დადუმდეს, ცრემლნი მოკუტეთნა შავმან გიშრისა დანამან.

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მაცნე“, 1974, №№ 3, 4; 1975, № 1.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 263) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: შექსნა (შეხსნა). პროექტი მიღებულ იქნა.

263 ავთანდილ სარკმლით უჭურვტდა. ტყუე. საყნით ნააზატები.

მან ქალმან ქაქეშე დაუგო ვეფხის ტყაისა ნატები;

მას ზედა დაჯდა იგი ყმა. სულთქამს ჭირმონამატები.

და სისხლისა ცრემლსა გაეწნა შუა გიშრისა სატები.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 264) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: არ არის სწორი ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, თითქოს სატები = სალტები. შტრ. საბას მართებული განმარტება: სატები — საჩრდილობელი.

ა. ბარამიძე: სატებ-ში უნდა გვექონდეს სპარსული სატა „ქარვის მაღალი ბოქი“.

რედაქციის წევრთა აზრით, მეოთხე ტაეპში გაეწნა შეიძლება ორგვარად იქნეს გაგებული: ა) მოქმედებითი გვარის ზმნის მეორე თურმეობითად (სისხლიან ცრემლს შეეწნა, შეეწებებინა, შეეერთებინა წამწამები); ბ) ენებითი გვარის ზმნის წყვეტილად (სისხლიან ცრემლში შეიწნა, შეიწება, შეერთდა წამწამები).

264 მან ქალმან კელყო კაქსითა გზება ცეცხლისა ნელისა.

ეგონა ჭამა ქორცისა შემწურისა. შეუქნელისა;

მიუპყრა. ერთი აკლინა, ქმნაა საქმისა ძნელისა.

და ძალი არ ქქონდა. დაუწყო გამოყრა უცოხხელისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 265) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

რედაქციის წევრებს სხვადასხვაგვარად ესმით მეორე ტაეპში შეუქნელ სიტყვის მნიშვნელობა. ა. ბარამიძისა და ს. ცაიშვილის აზრით, იგი აუქნელს, დაუქრელს ნიშნავს, ი. გიგინეიშვილის, გ. კარტოზიას, ც. კიკვაძის, ე. მეტრეველის აზრით — შეუკაზმავს, მოუშზადებელს.

ა. ბარამიძის წინადადებით, მესამე ტაეპში ქმნაა საქმისა ძნელისა, როგორც ჩართული წინადადება, გამოიყო ტირებით.

265 ცოტად მიწვა. მიიძინა, თუცა ყოლა ვერა მეტი;

შეერთა, ღიდნი დაიზახნა, წამოვარდა ვითა რეტი,

იზახლის და წაშ-წამ იქრის გულსა ლოდი, თავსა კეტი.

და ცალ-კერძ ზის და პირსა იხიეს ქალი მისი შენაჭურეტი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 266) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: მოვარდა (წამოიქრა).

ს. ცაიშვილი: მიუხედავად იმისა, რომ ხელნაწერთა უმრავლესობაში სტროფის ბოლო სიტყვად შენაჭურეტი გვაქვს, ჩვენ მაინც უმანო ფორმას (შენაჭურეტი) მივეციოთ უპირატესობა, როგორც გრამატიკულად უფრო სწორს.

შ. ძიძიგური: შ პრეფიქსის არსებობა ამ სიტყვაში გამართლებულია: მოქმედებითი გვარის გაგებას ანიჭებს ენებითი გვარის ნა-პრეფიქსიან მიმღეობას.

გ. კარტოზია: მოქმედებითი გვარის მიმღეობის შ მაწარმოებელი ამ სიტყვაში უადგილოა. შენაჭურეტი ენებითი გვარის მიმღეობაა, რომელსაც მოქმედებითი გვარის მიმღეობის გაგება აქვს. შტრ. ჩახედული (საქმეში ჩახედული კაცი), გაგებული და სხვა ფორმები. „ვეფხისტყაოსანში“ ვადასტურებთ ნა-პრეფიქსიანი მიმღეობის ამგვარი მნიშვნელობით ხმარებას სხვა მაგალითსაც: ომგარდაქდილი შქენოდი, შენატევები ცხენისა (486), სადაც შენატევები = შემტევებელი, ვინც შეუტია.

ი. გიგინეიშვილი: გრამატიკულად შ-ს ახსნა, მართლაც, გაკირდება. შეიძლება დავუშვათ, რომ შენაჭურეტის სახით გვაქვს პოეტური ლიტენცია, ნა- და შ- პრეფიქსიანი მიმღეობების კონტამინაციით შექმნილი ხელოვნური ფორმა.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა შენაჭურეტი, რომელიც პოემის ხელნაწერთა რედაქციების უმრავლესობაშია დატული და ქართული მწერლობის სხვა ძეგლებშიც (შანაძე, ბარბაქულიძე-ნიანი) არის დადასტურებული.

266 „რად დაპბრუნდი? — მოაკსენა. — მითხარ, რაცა წაგეყიდა!“

მან უბრძანა: „მონადირე მეფე ვინმე გარდმეყიდა,

კყევს ლაშქარნი უთქალაფნი. ბარგი მძიმედ აყიდა,

და იგი მინდორს ნადირობდა, დაეფანჩა მარეკი, და-“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 267) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

- 267    სუედად მეცა კაცთა ნახვა. ცუცხლი უფრო გავიალე,  
 არ მივეო ახლოს შეყრად, თავი ჩემი შევიწყალე.  
 მათგან მკრთალი შემოვბრუნდი, ტყესა შიგან დავიმალე”.
- და თქვა: „ნუთუმცა უკუმრიდა, რა გათენდეს, წაველ ხვალე”.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 268) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მეორე ტაეპში გაუგებარია სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის ადგილი. ამიტომ უპირატესობა უნდა მიეცეს რიგ ხელნაწერში დადასტურებულ მიუხედავად ფორმას.

გ. კარტოზია: სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის ასე უჩვეულო ადგილას ხმარება რუსთველის ენისთვის დამახასიათებელია. ზოგ ხელნაწერში დადასტურებული სასხვისო ქცევის ფორმა მიუხედავად გეიანდელი წარმოშობისაა. სასხვისო ქცევის უ მარცვალთა რაოდენობისთვისაა დამატებული ნაწილაკოკეცილ ზმნაზე. შდრ. მსგავსი ადგილი პოემის ტექსტში: „მეხუეწე-ზოდა, ლამოდა ჩემგან რასამე სმენასა; ნუ ყო სო ღმერთმან, გაძლება მემცა ვით მივეცენასა!“ ხაზგასმული ზმნა, რომელშიც ასევე „უადგილოდ“ არის ნახმარი -ო ნაწილაკი, რიგ ხელნაწერში, აქედან კი გამოცემებშიც, სასხვისო ქცევის ფორმით არის შეცვლილი: ნუ უყოს.

შ. ძიძიგური: მაინც, რადგანაც -ო-ნაწილაკიანი ზმნა უჩვეულო ადგილას ზის, ამ ზმნის შემცველი წინადადება (არ მივეო ახლოს შეყრად) გამოვყოთ ტირეებით.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა არ მივეო. მისი შემცველი წინადადება (არ მივეო ახლოს შეყრად) გამოიყოს ტირეებით (გ. კარტოზია წინააღმდეგია ტირეებით გამოყოფისა).

- 268    ქალსა ცრემლი გარდმოსტეიდა ასნაეცი, ბევრისბევრად;  
 მოაკსენა: „მქეცთა თანა იარები მარტო ტევრად,  
 არას კაცსა არ იახლებ საუბრად და შემაქცევრად;

და მას მაგითა ვერას არგებ. დღეთა შენთა ცუდად ლევ რად?

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 269) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

- 269    ყოელი პირი ქუეყანისა ერთობ სრულად მოგივლია,  
 ერთი კაცი შემაქცევრად შენად ვითა დაგელია?  
 გეახლოს და არ გაშმაგდე, თუცა ჭირი არ გაკლია;

და შენ მოქუდე და იგი წაქდე. ესე შენთუის რა მადლია?”

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 270) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მეორე და მესამე ტაეპი ერთმანეთთან დაკავშირებულია: მათ შორის რომ კავშირი იგულისხმება: ერთი კაცი ვითა დაგელია, რომ გეახლოს... ამიტომ მეორე ტაეპის ბოლოს მძიმე უნდა დაისვას, მესამის ბოლოს კი — წერტილი.

რედაქციამ მიიღო ეს წინადადება.

- 270    უბრძანა: „დაო, ეგეა მსგავსი შენისა გულისა,  
 მაგრა არ არის ქუეყანად წამალი ამა წყლულისა!  
 ვის ძალუც პოენა კაცისა, თუით სოფლად არმოსრულისა?  
 და ჩემი ღზინია სიკუდილი, გაყრა კორცთა და სულისა.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 271) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

- 271    ღმერთმან სხუამცა ეტლსა ჩემსა რაცა კაცი რად დაბადა,  
 სიახლე და საუბარი თუმცა მისი მე მეწადა!  
 ვინმცა გასძლნა ჭირნი ჩემნი ანუ ვინმცა შეეცადა?  
 და შენგან კიდე კორციელი, დაო, მივის არასადა”.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 272) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

- 272    ქალმა ჰყადრა: „არ გამიწყრე, ვიშიშვი და ვიაჯ დია;  
 რათგან ღმერთსა ვაზირობა შენი ჩემზედ მოუგდია,  
 ვერ დავმაღაე უკეთესი რაცა საქმე გამიცდია.  
 და არა ვარგა უსაზომო, თავი ზომსა გარდგიკდია”.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 273) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

- 272.1    მისი მძებნელი იყომცა ჭკუითა მეტისმეტითა;  
 შენ კაცთა ნაცულად ნადირთა ახლავ ცნობითა რეკითა;

სჯობს, ერთი კაცი იახლო, ილხენდე მისით ჭჭრეტითა.

და ვით იადონი არ მოჰქუდე ბულბულოს თესლთა კწნეტითა.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 377) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: ჰკუთთა (ჰკუთითა), მეტისმეტითა (მეტის მეტითა), ცნობითა (გულითა), ბულბულოს (ბულბული). პროექტი მიღებულ იქნა.

273 ყმამან უთხრა: „რას მენუევე, არა ვიცო, გამიცხადე.  
კაცი ჩემად სამსახურად უღმრთოდ მემცა ვით დაეზადე  
ღმერთსა ჩემი უბედობა უნდა, მემცა რას ვეცადე!  
და განალამცა გაენადირდი, თავი ასრე გაეიკადე“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 272) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

#### 1874 წ. 28 ივნისი

სხდომას დაესწრნენ: ა. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური.

განიხილეს სტროფები: 274; 274,1; 274,2 (პროექტი მოამზადეს გ. კარტოზიამ, ე. ბილანიშვილმა, ლ. კიკვიძემ, ბ. მასხარაშვილმა, ე. ტურაბელიძემ); 275; 276; 277; 278; 279; 281; 282; 283; 284; 285; 286 (პროექტი მოამზადეს ც. კიკვიძემ, ნ. ავალაშვილმა, ე. გვრიტიშვილმა, ლ. გუგუშვილმა, ნ. სკიტისვილმა).

274 ქალმან კულა ჰკადრა: „გაგსაჯე მეტითა შეგონებითა,  
მაგრა თუ კაცი მოგგჰარო, მოგყვეს თავისა ნებითა,  
იგი გეახლოს, ილხენდე მისითა შემეცნებითა,  
და ფიცე, არ მოჰკლა, არ იყო, არ, საენებლისა ვნებითა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 275) შედარებით პროექტში შემდეგი ცვლილება: არ იყო, არ, საენებლისა (არ იყო არ-საენებლისა).

გ. კარტოზია: პროექტში აღდგენილია 1957 წლის გამოცემის (p) წაკითხვა. საენებლისა ვნება გაგებულია როგორც „ეფთხისტყაოსნის“ ენისთვის დამახასიათებელი პარონომაზიული გამოთქმა. არ იყო, არ, საენებლისა ვნებითა = არ იყო ვნებისა ვნებითა = არ იყო ვნებით, ე. ი. არ ავნო.

ი. გიგინეიშვილი: საენებლისა ვნება სავსებით მისაღები გამოთქმაა, ოღონდ გაუგებარია ამ კონტექსტში იყო ზმნა. ობიექტი (ვისაც არ უნდა უყონ ვნება) არ ჩანს. ამიტომ უფრო მართებული იქნება მივიღოთ წაკითხვა: არ უყო, არ, საენებელი ვნებითა.

ც. კიკვიძე: ასეთი წაკითხვა მხოლოდ ერთ ხელნაწერში (A<sup>4</sup>) არის დადასტურებული, რაც გარკვეულ ეჭვს აღძრავს მის მიმართ.

ა. ბარამიძე: ლიტერატურაში სწორად არის მითითებული, რომ ტაეპში არსაენებლად აეთანდილი იგულისხმება. ამიტომ უნდა აღდგეს წაკითხვა არ იყო არსაენებლისა ვნებითა (=არ ავნო არსაენებელს).

ე. მეტრეველი: საენებელ სიტყვის სახელობითში დასმა და იყო-ს გადაკეთება უყო-დ და ამით ირიბ ობიექტზე (აეთანდილზე) მითითება მართებულად მიმაჩნია. მაგრამ არ ნაწილაკის ცალკე გამოყოფა არ არის საჭირო. ვუაქრობ, ტაეპი ასე უნდა წაეიკითხოთ: ფიცე, არ მოჰკლა, არ უყო არსაენებელი ვნებითა.

გ. კარტოზია: წაკითხვა არ უყო არსაენებელი შინაარსობრივად შეუსაბამოა. არ ნაწილაკის გამოყოფა ამ შემთხვევაში აუცილებელია. უარყოფითი ნაწილაკის ამგვარი განმეორების შემთხვევები პოემაში სხვაგანაც დასტურდება. შტრ. მაგ., არ იქმნების, არ, იგია (436გ).

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: ფიცე, არ მოჰკლა, არ იყო არსაენებლისა ვნებითა (მომხრენი: ა. ბარამიძე, ც. კიკვიძე, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური).

274.1 უთხრა, თუ: „დაო, არა ვარ სულ ცნობადაკარგულია,  
მიჯნურობისა შმაგობით კელთა არა მაქუს გულია,  
მაგრამ ცოტაცა კულავ ვიცო, რაცა რამ საკარგულია;  
და ვინ ღირს-ა, კაცი გამოჩნდეს, ჩემებრ თავდაკარგულია“.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 379<sup>1</sup>) შედარებით პროექტში ცვლილება: მესამე ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცვლად წერტილ-მძიმეა. პროექტი მიღებულ იქნა.

- 274.2 მოახსენა: „ვკპოვე ვინმე მიჯნურობით გამოჭრილი, შენად ძებნად წამოსრული, დიდთა ჭირთა გარდაქდილი; დაუვდია მისი მთვარე, ამაღ ქნილა ფერმიქდილი; და ნახო, აწყა ეკადრების მზისა შუქთა მისგან ცილი“.

1956 წლის გამოცემასთან (სტრ. 379<sup>2</sup>) შედარებით პროექტში ცვლილებაა: მეორე ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცულად წერტილ-მძიმეა. პროექტი მიღებულ იქნა.

- 275 ყმამან უთხრა: „თუ მიჩქენებ, ვნახავ, დიდად გავიხარებ, სიყუარულმან მისმან, ეისტუის ხელი მინდორს თავსა ვარებ, არას უზამ უგემურსა, არაოდეს გავამწარებ; და რაცა ჩემგან ეამების, ვაამებ და შევიყუარებ“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 276) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: სტროფის დასაწყისში წაკითხვა ყმამან უთხრა უნდა შეიცვალოს წაკითხვით მან უბრძანა, რომელსაც მხარს უჭერს პოემის რედაქციითა უმრავლესობა (B და C რედაქციის ყველა ხელნაწერი, აგრეთვე A<sup>12</sup>). ეს უფრო სწორად გადმოსცემს ეტიკეტს. ტარიელი უბრძანებს, ასმათი კი კვადრებს (შდრ. წინა, 274-ე სტრ.: ქალმან კქლა ქკადრა).

უ. კიკვიძე: რასაკვირველია, პოემაში საუბრის აღწერისას უმთავრესად ასეა გამოხატული უფროს-უმცროსობის წესი, მაგრამ პატრონისა და ყმის საუბრისას არც ნეიტრალური უთხრა ზმნა გამოიჩინებდა. შდრ., მაგ., 273-ე სტრ., სადაც წაკითხვას ყმამან უთხრა ხელნაწერებში ვარიანტი არა აქვს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა მან უბრძანა.

გ. კარტოზია: მესამე ტაეპში ნაცულად წაკითხვისა არაოდეს გავამწარებ უპირატესობა უნდა მიეცეს წაკითხვას არათოდეს გავამწარებ (ე. ი. არაფრათ არასოდეს არ გავამწარებ). ამას მხარს უჭერს რედაქციითა უმრავლესობა. თანაც არათოდეს > არაოდეს უფრო გასაგებია, ვიდრე არათოდეს > არათოდეს.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა არათოდეს.

რედაქციას არ განუხილავს მომდევნო თავის სათაურის (შეყრა ტარიელისა და აეთანდღლისა) ვარიანტები. დაადგინეს, რომ ყველა სათაური ცალკე უნდა იქნეს განხილული.

- 276 ქალი ადგა და წავიდა მის ყმისა მოსაყვანებლად; „არ ეწყინაო“. უამბობს, არს მისად მაგულევანებლად. ქელი მოჰკიდა, მოჰყვანდა, ვით მთქარე მოსაყვანებლად; და იგი რა ნახა ტარიელ, თქუა მზისა დასაგვანებლად.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 277) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

- 277 გამოეგება ტარიელ, მართებს ორთავე მზე დარად, ანუ ცით მთქარე უღრუბლო შუქთა მოჰყენდეს ქუე დარად, რომე მათთანა აღვისა ხეცა ვარგიყო ხედ არად, და ჰგვანდეს შტიდთავე მნათობთა, სხუადმცა რისად ვთქუი მე და რად!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 278) შედარებით პროექტში ცვლილებაა: ქუე დარად (ქვე ბარად).

უ. კიკვიძე: მეორე ტაეპის ბოლოს ყველა ხელნაწერში დაცული წაკითხვა ქვე ბარად არღვევს რითმას. ჩვენ რითმა ვაეპართეთ პ. ინგოროყვას (ყ) კონიექტურის მიხედვით: ქვე დარად.

ი. გიგინეიშვილი: რითმა კი იმართება, მაგრამ აზრი იღუნება. რას ნიშნავს „უღრუბლო ციდან შუქთა დარად მოყენა“?

გ. კარტოზია: მე მგონია, სულაც არ არის უხერხული გამოთქმა. შდრ. დიდხან შექნი არ აღარნა (303<sup>2</sup>).

შ. ძინიგური: შუქს მოჰყენდა დარად — მშვენიერი პოეტური სახეა!

ს. ცაიშვილი: რუსთველი რომ რითმას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს, ამას მეოთხე ტაეპი მოწმობს: სხუადმცა რისად ვთქუი მე და რად.

დაადგინეს: დარჩეს პროექტის წაკითხვა: ქუე დარად.

- 278 მათ აკოცეს ერთმანერთსა, უცხოობით არ დარიდეს,  
ვარდასა კლერდეს, ბაგეთაგან კბილნი თეთრნი გამოსჭეტირდეს,  
ყელი ყელსა გარდააქედეს, ერთმანერთსა აუტირდეს,  
და ქარვად შექმნნეს იაგუნდნი მათნი, თუცა ლალად ღირდეს.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 279) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილის წინადადებით შესაძებ ტაეპში გარდააქედეს შეიცვალა ფორმით: გარდააქედეს.

- 279 მობრუნდეს, ყმამან აეთანდილს კელი შეუპყრა კელითა.  
ერთგან დასხდეს და იტირეს დიდხან ცრემლითა ცხელითა.  
ასმათი სულსა უღებდა სიტყუითა საკუირველითა:  
და „თავთა ნუ დაქოცოთ, ნუ ბნელიქთ მხესა თქუენითა ბნელითა“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 280) შედარებით პროექტში ცვლილებაა: დაქოცოთ (დახოცოთ), ბნელიქთ (ბნელ-იქმთ). პროექტი მიღებულ იქნა.

- 280 ტარიელის ვარდი იყო დათრთვილული, არდაზრული:  
ყმასა უთხრა: „მესწრაფების, მითხარ შენი დაფარული,  
ეინ ხარ, ანუ სით მოსრულხარ, სადაური, სად მოსრული?  
და მე სიქუდილსა აღარ ვაქსოვ, ვარ მისგანცა განწირული“.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 281) შედარებით პროექტში ცვლილებაა: არდაზრულ (არ დაზრული).

გ. კარტოზია: პირველ ტაეპში უნდა აღდგეს წაკითხვა არ დაზრული. ტაეპის აზრით: ტარიელის ვარდი იყო დათრთვილული, მაგრამ არა დაზრული.

ი. გიგინეიშვილი: მართალია, არ ნაწილაკი აქ საჭიროა დაპირისპირებისათვის. დათრთვილული და არდაზრული აქ სინონიმები არ არის.

დაადგინეს: აღდგეს წაკითხვა არ დაზრული.

ი. გიგინეიშვილმა და შ. ძიძიგურმა აღნიშნეს, რომ შესაძებ ტაეპში ანუ კავშირის წინ მძიმე არ არის საჭირო.

ს. ცაიშვილისა და ც. კეკელიძის აზრით, რადგან ანუ აქ ზმნებს აკავშირებს, მძიმე საჭიროა დაადგინეს: ჯერჯერობით მძიმე დარჩეს. ანუ კავშირის წინ მძიმის ხმაკების საკითხი ცალკე იქნეს შესწავლილი.

ა. ბარამიძე: ამავე ტაეპში სად ნაცვალსახელის ნაცვალად ხელნაწერებში თითქმის უკლებლად ყველგან სით წერია: სადაური, სით მოსრული. სად მხოლოდ A<sup>2</sup>-ში კვაქეს. უნდა მივიღოთ სით.

გ. კარტოზია: სით უფრო გასაგებია. მაგრამ ტავტოლოგია გამოდის: სით მოსრულხარ და სით მოსრული. საყურადღებოა A<sup>12</sup>-ის წაკითხვა რად: სადაური, რად მოსრული.

შ. ძიძიგური: სად აქ უფრო გამართლებულია: სადაური ხარ და სად მოხვედიო!

ს. ცაიშვილი: სით ჯობია, მაგრამ ტავტოლოგიაა.

ი. გიგინეიშვილი: მაინც სით ჯობია.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს ტაეპის წაკითხვა: ეინ ხარ, ანუ სით მოსრულხარ, სადაური სით მოსრული?

- 281 აეთანდილ გასცა პასუხი. სიტყუები ლამაზებია:  
„ლომო და გმირო ტარიელ, ეის თავი გინაზებია,  
მე ვარ არაბი. არაბეთს არს ჩემი დარბაზებია,  
და მიჯნურობითა დამწუარეარ, ცუცხლი უშრეტი მგზებია.“

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 282) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

- 282 მე პატრონისა ჩემისა ასული შემყუარებია:  
თუით მეფედ მათად მას ხედვენ მონები მკლავმაგრებია.  
თუცა არ მიცნობ, გინახავ, თუ ვითა გიაზრებია,  
და ვაქსოვსცა, ოდეს დაქოცე მონები არსაპყრებია?

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 283) შედარებით პროექტში ცვლილებაა: დაქოცა (დახოცე).

გ. კარტოზია: მესამე ტაეპში ზმნის თურმეობითის ფორმა გეაზრებია ამ კონტექსტში გაუგებარია. მე გგონია, უნდა გექონდეს გეაზრებია (როგორც ამას D<sup>1</sup> კითხულობს), ე. ი. ზმნის აწმყოს ფორმა გეაზრები, რომელსაც პროსოდული ა ხმოვანი ერთვის. ტაეპის აზრი ასეთია: თუშე არ მიცნობ, გინახეარ, თუ როგორმე გაგონდები. ეა კომპლექსას ელა ია-დ ფართოდ გავრცელებული პროცესია; ასევე ჩვეულებრივია „ეეფხისტყაოსანში“ პროსოდული ა-ს დართვა ზმნაზე (შდრ. თუეა ვერას ვერ გეტყუია. 128; ცოცხალ ხარდა? სიტყუა თქუია! 343ე).

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა გეაზრებია.

283 შენ მინდორს გნახეთ გაჭრილი. ჩუენ ზედა გარდგეკიდენით.  
პატრონი ჩემი გაგიწყრა. ჩუენ კაჟად წაგეკიდენით.  
გიკმეთ. არ მოხუე. ლაშქარნი უკანა გამოგკიდენით,  
და შენ ეელნი წითლად შეღებენ სრულად სისხლისა კი დენით.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 284) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

გ. კარტოზიასა და ი. გიგინეიშვილს მიაჩნიათ, რომ ამბის თანმიმდევრობა მოითხოვს სტროფში მეორე და მესამე ტაეპების გადასმას (ასეა A<sup>8</sup>A<sup>12</sup>D<sup>1</sup>D<sup>2</sup>-ში). ჯერ გადმოცემული უნდა იყოს მეფის მიერ ტარიელის ხმობა და არმოსელა, შემდეგ კი — მეფის გაწყრომა.

ა. ბარამიძის აზრით, ტაეპების გადასმა საჭირო არ არის. ჯერ სწორედ მეფის გაწყრომა უნდა იყოს აღწერილი, შემდეგ კი — ლაშქართა ვამოკიდება.

დაადგინეს: ტაეპების რიგი უცვლელად დარჩეს.

284 ყუელაკასა მათრაკითა თავი უკრმლოდ გარდაკუეტეთ.  
მეფე შეჯდა. დაგუეკარგე. კუალი შენი ვერ მოეკუეთეთ,  
ვითა ქაჯი დაგუემალე. მონებიცა დავაფეთეთ,  
და ამან უფრო დაგუამმაგნა, თავი სრულად გავაშეთეთ.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 285) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა.

285 კმუნვა შეექმნა. თქუენც იცით. კელმწიფე ნებიერია.  
მოგნახეს. გძებნეს ყოველგან. მათ რუკა დაუწერია.  
ვერ ნახეს შენი მნახაეი ვერცა ყმა. ვერცა ბერია:  
და აწ გამომგზავნა, რომელსა ვერ მზე კგავეს, ვერ ეთერია.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 286) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ა. ბარამიძე: მესამე ტაეპში ხელნაწერები მნახავის ნაცულად უმთაერესად ნახულს კითხულობენ. ხომ არ შეეცვალათ ტაეპის წაკითხვა?

ი. გიგინეიშვილი: ნახული ჯობია, სუბორდინაცია იქნება დატული.

გ. კარტოზია: ნახული თუშეა ვნებითი გეარის მიმლეობაა, მაგრამ ამ კონტექსტში მას გაგება მოქმედებითი გეარისა აქვს. ნახული = მნახელი, ისევე როგორც ჩახედული (საქმეში ჩახედული კაცი) ნიშნავს იმას, ვინც ჩახედა. შდრ. აგრ. ვნებითი გეარის სხვა მიმლეობები „ეეფხისტყაოსანში“: შენაკვერეტი, შენატეეები, რომელთაც მოქმედებითი გეარის მიმლეობათა შინაარსი აქვთ.

ი. გიგინეიშვილი: ნახულს უნდა მიეცეთ უპირატესობა, რადგან: 1) ხელნაწერების უმრავლესობა მას უჭერს მხარს; 2) ნახული > მნახელი უფრო გასაგები პროცესია, ეადრე პირიქით; 3) ნახული ნიშნავს იმას, ვინც ნახეს, მაგრამ შესაძლებელია ლექსში გამოყენებული ყოფილიყო მნახელის მნიშვნელობით.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა ნახული.

286 მიბრძანა: «მიცან ამბავი მის ყმისა წაკდომილისა.  
მაშინ ვარ მქმნელი საქმისა, მის შენგან მონდომილისა».  
სამ წლამდის მითხრა დადენა უმისოდ ცრემლთა ძილისა.  
და არ გიკუირს. გავძელ ვერჭურეტა მისისა მე ღიმილისა?!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 287) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: ჩემი აზრით, მეოთხე ტაეპი უნდა იკითხებოდეს ისე, როგორც მხოლოდ ერთადერთ (A<sup>3</sup>) ხელნაწერშია წარმოდგენილი: არ გიკვირს, გავძელ ვერკუჩერტა მისისა გალიმილისა?! 1) ასე სჯობს ლექსის თეალსაზრისით; 2) მე ნაცვალსახელის ჩამატება გადაკეთებისას ჩვეულებრივ ხდება; 3) ვალიშილისა ტიპის წარმოება ჩვეულებრივია ლიტერატურის ძეგლებში და აგრეთვე თანამედროვე ქართულის კილოებში. შდრ. ა) რუსუდანიანის შემოკვივილი და მისთ. ბ) თანამედროვე ფშაურ-ხევსურულის: გასივილი (= გასიევა), გაქყვივილი, დასივილი, გაყვივილი. დამახასიათებელია, რომ ა. შანიძეს „სიმფონიაში“ სწორედ ამნაირი „მასდარები“ აქვს აღდგენილი: გამოჭვირილი (გამოსკვირდეს-ფორმისათვის); გაჭვირილი (გასკვირს-ფორმისათვის).

ა. ბარამიძე: ვალიმილი ვაუგებარი ფორმა არ არის. საკითხავია, რატომ მოხდა, რომ ხელნაწერთა აბსოლუტურ უმრავლესობაში სავსებით გასაგები სიტყვა შეიკვალა და გადაკეთდა. უფრო საღიჭრებელია, რომ ვალიმილისა A<sup>3</sup>-ის სიახლეს წარმოადგენს.

გ. კარტოზია: ვაუმაართლებელია ტრადიციული წაკითხვის (მე ლიმილისა) უარყოფა ამ მიზეზით, თითქოს მე ნაცვალსახელი ტაეპში უადგილო ადგილას არის ჩართული და ნაცვალსახელებისა და ზმნისარტების ამგვარ ჩამატებას თითქოს ჩვეულებრივ მარცვალთა რაოდენობ-ს შესაესებად მიმართავენ გადაკეთებლები. მე ნაცვალსახელის „ზედმეტად“ და ასე „უადგილოდ“ გამოყენება „ვეფხისტყაოსნის“ ენისათვის ნიშანდობლივი თავისებურებაა. შდრ. შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა (23); ანუ მომეც განკურნება ანუ მიწა მე სამარი (84); დაეყო მარტოდ და ღარიბად ესე წლეული მე წელი (165); უცილოდ ღმერთსა მოესძულდი აქამდის მე მსიარული (110); ერთგან განახე ნადირობას შენ და შენი მე ვაშრადელი (289); ასმათმან დამსვა შორსგვარად ვულსა მე ლახვარხებული (515); სავაქროთა შევექანბვი, ვიქმ საქმესა მე მეტალსა (1385); ავთანდილ იტყვის: „მოქლაო სოფლისა მე სამსალამა“ (1578) და ა. შ. შდრ. აგრ. შენ ნაცვალსახელის ასეთივე გამოყენების მაგალითები: გითხრა, თუ ცოდნა გწადიან ჩვენისა შენ სახელისა (257); კვლაცა მითხრა: «რას გუბნა მტყუენსა და შენ მუხთალსა?» (517)... ასე რომ ეჭვი არ არის, მე ლიმილისა 286-ე სტროფში დედნისეული წაკითხვაა. ვალიმილისა რომ მხოლოდ A<sup>3</sup>-ის სიახლეა, შემდეგ ფაქტურ მოწმობს. როგორც სტროფული შედგენილობით, ისე წაკითხვებითაც A<sup>3</sup> მეტად ახლო A<sup>4</sup>A<sup>5</sup>A<sup>10</sup> ხელნაწერებთან და მათთან ერთად ხშირად უპირისპირდება სხვა ნუსხებს. ამ შემთხვევაში კი A<sup>3</sup>-ის წაკითხვა სხვაობს არა მარტო სხვა რედაქციებისა და ჩგუფების, არამედ თავისი ბუნდ-ს ხელნაწერთა წაკითხვისგანაც. ცხადია, საქმე გვაქვს A<sup>3</sup>-ის ინდივიდუალურ სწორებასთან.

ც. კიკვიძე: აღსანიშნავია, რომ ვალიმილი არსად არ დასტურდება ძველი ქართული მწერლობის სხვა ფეგლთა ენაში.

შ. ძიძიგური: ვალიმილი ბუნებრივი ფორმა იქნებოდა რუსთველის ენისათვის, მაგრამ ხელნაწერთა ჩვენება მას მხარს არ უჭერს. ამასთან არც მე ლიმილისა არის უხერხული გამოთქმა. ამიტომ ძველი წაკითხვა უნდა დარჩეს.

დაადგინეს: ტაეპის წაკითხვა დარჩეს უცვლელად.

1874 წ. 20 სექტემბერი

სხდომას დაესწრნენ: ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, გ. კარტოზია, ც. კიკვიძე, ე. მეტრეველი, ს. ცაიშვილი.

განიხილეს სტროფები: 287; 288; 239; 290; 291; 292 (პროექტი მოამზადეს ს. ცაიშვილმა, მ. ანთაძემ, გ. არაბულმა, ნ. კოტეტიშვილმა, თ. ცქიტიშვილმა).

- 287 აქანამდის მნახავიცა კაცი შენი არ მენახა;
- თურქნი ვნახენ, რომე თქუენთუის სიტყუა რამე ვაემეტახა;
- მათრაკითა ჩამოგეგდო ერთი, მუტდართა დაგესახა;
- და მათ მასწავლეს. ძმა რომელთა სულმობრძავი სამე, გლახ. ა.

საიუბრეო გამოცემასთან (სტრ. 288) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის.

ს. ცაიშვილი: მეორე ტაეპში წაკითხვა თურქნი ჩ გამოცემის კონიექტურაა. ყველა ხელნაწერში ქურდნი იკითხება. ჩვენ უპირატესობა მაინც ამ კონიექტურას მივეცი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში (ბერტელსი) ვარკვეულია, რუსთველის ეპოქაში ეთნიკური სახელები თურქი და ხატაელი სინონიმებს წარმოადგენდნენ. შდრ. აგრ. 291, სადაც ხელნაწერთა უმრავლესობაში თურქნი გვაქვს: მათ თურქთა მიღმა გაშეგო ჩუ არას არ შეწამება.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა თურქნი.

მესამე ტაეპში მძიმე გადაისვა: მათრახითა ჩამოგეგლო, ერთი მქუდართა დაგესახა.

288 ტარიელსცა აექსენა ომი მათი მაშინდელი.

იტყუის: მაქსოვს ეგე საქმე, თუცა არის ადრინდელი;

ერთგან გნახენ ნადირობას შენ და შენი მე გამზრდელი;

და მით ეტიროდი, მომეგონა მე, გლახ, ჩემი წარმწყმედელი.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 299) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი დამტკიცდა, ოღონდ მეოთხე ტაეპში ნაცვლად წაკითხვისა წარმწყმედელი, რომელიც მხოლოდ ერთ ხელნაწერში (C) დასტურდება, მიღებულ იქნა წამწყმედელი.

289 რას მაქნევდით, რა გინდოდა, ერთმანერთსა რითა ეკვეანდით?

თქვენ მორკმულნი სთამაშობდით, ჩვენ მტირალნი ლაწუთა ებანდით.

რა მონანი შესაპყრობლად მომწიენით, გაკგულვანდით.

და აწ ვეპუ. რომე ჩემად ნაცვლად თანა მქუდართა წაიტანდით.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 290) შედარებით პროექტში ცვლილებაა: წაიტანდით (მიიტანდით).

ი. გიგინეიშვილი: პირველ ტაეპში ნაცვლად წაკითხვისა რა გინდოდა უფრო მართებული იქნება მივიღოთ რად გინდოდი, რომელიც წინა ფრაზის (რას მაქნევდით) გამეორებას წარმოადგენს.

გ. კარტოზია: არ არის აუცილებელი, რომ ორივე წინადადებაში იდენტური აზრი იყოს გამოთქმული.

უ. კიკვიძე: ორივე წაკითხვა (რა გინდოდა და რად გინდოდი) აზრობრივად თანაბარი ღირებულებისაა, ხელნაწერთა ჩვენება კი განსხვავებულია: რა გინდოდა-ს უფრო მეტი მომხრე ჰყავს. რატომ უნდა მივიანიჭოთ ნაცვლად ხმარებულს უპირატესობა?

ე. მეტრეველი: ასეთ შემთხვევაში ხელნაწერთა ჩვენებას ვუწევთ ანგარიშს.

დაადგინეს: დარჩეს წაკითხვა რა გინდოდა.

ი. გიგინეიშვილი: მეოთხე ტაეპში უნდა აღდგეს წაკითხვა მიიტანდით. ნახევარტაეპის აზრია: თან მიიტანდით მეკდრებს შეფესთან.

რედაქციის წევრები არ დაეთანხმნენ ამ მოსაზრებას, რადგან მეფე თვით იყო მღევართა შორის. ნახევარტაეპის აზრია: მეკდრებს თან წაიღებდით (თქვენ ყველანი, მათ შორის მეფეც).

290 მოვიხედენ, მომეწია, რა პატრონი შენი ვნახე.

კელმწიფობით შემებრალნეს, ამაღ კელი არ შევახე.

თქალთა წინა გამოეექეც, მეტი არა შეუზრახე.

და ჩემი ცხენი უჩინოსა ჰგავს და სხუასმცა რას ვასახე!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 291) შედარებით პროექტში ცვლილებაა: პირველ ტაეპში მძიმე ადგილგადანაცვლებულია: მომეწია, რა პატრონი შენი ვნახე (მომეწია რა პატრონი შენი, ვნახე).

ე. მეტრეველის წინადადებით ეს მძიმე შეიცვალა წერტილ-მძიმით.

ი. გიგინეიშვილის წინადადებით მესამე ტაეპში ნაცვლად შეუზრახე ფორმისა მიღებულ იქნა შეუზახე (= შევეუტიე).

291 კაცმან ვერ ასწრას თქალისა დაფახეა, დაწამწამება.

მას გაუქცევი, ვისგანცა ჩემი არა ვცნა ამება;

მათ თურქთა მიღმა გამეგო მე არას არ შეწამება.

და აჟად შუენოდა მორუენა და ჩემი დათამამება.

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 292) შედარებით პროექტში ცვლილება არ არის. პროექტი მიღებულ იქნა, ოღონდ მეორე ტაეპის ბოლოს წერტილ-მძიმის ნაცვლად დაისვა წერტილი.

292 აწ ვაშად მოხტე, მეამა ნახეა შენისა პირისა!

ტანად სარო და პირად მზე, მამაცად მსგავსი გმირისა.

მაგრა გარჯილხარ, არა ხარ გარდაუქდელი ჰირისა!

და ძნელია პოვნა კაცისა ღმრთივ ზეცით განაწირისა!

საიუბილეო გამოცემასთან (სტრ. 293) შედარებით პროექტში ცელილება არ არის.

ი. გიგინეიშვილი: მესამე ტაეპში საწყის სიტყვათა რიგი უნდა შეიცვალოს: გარჯილხარ, მაგრა არა ხარ გარდაუქდელი ქირისა. პროექტში წარმოდგენილი წაკითხვა, რაც ზოგ ხელნაწერში დასტურდება, მეორეულია და იმით აიხსნება, რომ სწორად არ იყო გაგებული გარდაუქდელ-ის მნიშვნელობა. ქირის გარდახდა ნიშნავს ქირის ანაზღაურებას, სანაცლოს მიგებას. ამასთან ერთად სტროფში შესაცვლელია პუნქტუაცია: მეორე ტაეპის ბოლოს მძიმის ნაცულად წერტილი უნდა დაისევას.

დაადგინეს: მიღებულ იქნეს წაკითხვა: გარჯილხარ, მაგრა არა ხარ გარდაუქდელი ქირისა. მეორე ტაეპის ბოლოს დაისევას წერტილი.

გ. კარტოზიამ აღნიშნა, რომ ამგვარი შესწორების შემდეგ მესამე ტაეპის ბოლოს ორწერტილის დატოვება გაუმართლებელია, რადგან მეოთხე ტაეპს მესამე ტაეპის ახსნად, განმარტებად ვერ ჩაეთვლით. მესამე ტაეპის ბოლოს წერტილი უნდა დაისევას.

რედაქციის წევრები არ დაეთანხმნენ ამ წინადადებას. მესამე ტაეპის ბოლოს დარჩა ორწერტილი.